თანამედროვე ქართული თეატრი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში

ანალიტიკა
პრაგმატიკა
სტატისტიკა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი

ლაშა ჩხარტიშვილი, ელენე ბაბაკიშვილი

თანამედროვე ქართული თეატრი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში 2010-2012 წწ. ანალიტიკა, პრაგმატიკა, სტატისტიკა

თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი
თბილისი 2013

ავტორები:
ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, დოქტორანტი
ელენე ბაბაკიშვილი, კულტურის მენეჯერი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მენეჯერი, დოქტორანტი

კრებულზე მუშაობდნენ:
ირაკლი გოგია, რეჟისორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მკვლევარი, დოქტორანტი
ნერონ აბულაძე, თეატრმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
გოჩა ხვიჩია, რეჟისორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

სარედაქციო კოლეგია:
მაკა ვასაძე - თეატრმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივესიტეტის დოქტორანტი.
ირინა ღოღობერიძე - თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციის პრეზიდენტი
გიორგი ცქიტიშვილი - თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
თამარ ბოკუჩავა - თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ნიკოლოზ წულუკიძე - თეატრმცოდნე, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტი

გარეკანის დიზაინის იდეა: ირაკლი გოგია
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ეკატერინე ოქროპირიძე

გამოცემა მომზადებულია თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციასთან თანამშრომლობითა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით - პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის პროგრამის ფარგლებში. კრებულში შესული ყველა მასალა მოწოდებულია თეატრების მიერ.

© თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი/Modern Georgian Theatre Researche Center
© შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი/Shota Rustaveli National Science Foundation

ISBN 978-9941-0-6086-1

სიამოვნებით მივიღებთ თქვენს შენიშვნებს, კეთილ სურვილებს ან ინფორმაციას ხარვეზების შესახებ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: georgiantheatre@iliauni.edu.ge;

ს ა რ ჩ ე ვ ი:

წინასიტყვაობა ----------5

აჭარა

- ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 7
- ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი 27
- ხულოს იუსუფ ზოიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 37

გურია და იმერეთი

- ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 50
- ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 63
- ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 79
  ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 91

სამეგრელო

- ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 103
- ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 117
- სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი 132

აღმოსავლეთ საქართველო

- თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 144
- გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 154
- მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 168
- რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის მუნიციპალური პროფესიული დრამატული თეატრი 182

მაყურებელთა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები 195

მსახიობთა რეიტინგები 203

გამოცემა ეძღვნება ოთარ მელვინეთუხუცესის ნათელ ხსოვნას

წიგნის გარეკანზე დაბეჭდილია იმ მსახიობთა ფოტოები, რომლებიც მოექცნენ მაყურებელთა სოციოლოგიური გამოკითხვის რეიტინგის ზედა შკალაში. ფოტოები მოგვაწოდეს და შეარჩიეს მსახიობებმა, თეატრების პიარ სამსახურებმა და ადმინისტრაციებმა.

ფოტოების წყობის თანმიმდევრობა, ზომა და განლაგება არ გამოხატავს მსახიობთა რეიტინგს.

წიგნის გარეკანის ორივე გვერდზე გამოყენებულია თაკო რობაქიძის, ირაკლი ძნელაძის, ლევან ლეკო ჭყონიას, გია გურგენიძის, მაკა გოგალაძის, თინა კაზახიშვილის, თიკო ზუკაკიშვილის, ჯანო იზორიას, ლაშა ღუღუნიშვილის, ნინო სუხიაშვილის, მაია კალანდიას და სხვათა ფოტოები. ზოგიერთი ფოტოს ავტორის ვინაობა ვერ დავადგინეთ, რისთვისაც მათ ბოდიშს ვუხდით.

პროექტი -„თანამედროვე ქართული თეატრი ანალიტიკაში, პრაგმატიკასა და სტატისტიკაში (გარდამავალი ეკონომიკის პირობებში 2010-2012 წწ.)“, რომელიც განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, მოიცავს საქართველოს 13 ადმინისტრაციული პუნქტის ***(რუსთავი, გორი, თელავი, ახალციხე, ქუთაისი, ჭიათურა, ზესტაფონი, ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი, ბათუმი, ხულო)*** თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების მეცნიერულ გაანალიზება - დამუშავებას 2010-2012 წლებში. ამ პერიოდის რეპერტუარის გაცნობას, შემოქმედებითი პროცესის ამსახველი ტექსტური მასალის მოპოვებას, სტატისტიკურად შესწავლა-დამუშავება-ანალიზს, მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებასა და შედეგების სტატისტიკურ ანალიზს. პროექტის განხორციელების აუცილებლობა ორმა ფაქტორმა განაპირობა: 1. რეგიონულ თეატრებში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების ამსახველი ინფორმაციის სიმწირემ, ელემენტარული სტატისტიკური მონაცემების და ინფორმაციის არარსებობამ; 2. კანონში ,,თეატრის შესახებ“ შეტანილმა ცვლილებებმა (2005 წ.).

პირველი ფაქტორის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას შეუძლებელია არ აღინიშნოს საქართველოში ბოლო ოცწლეულის განმავლობაში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებმაც იმდენად უარყოფითად იმოქმედა თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე, რომ დაეცა მისი მხატვრული დონე და შემცირდა მაყურებლის აქტივობა-ინტერესი, განსაკუთრებით - დედაქალაქის გარეთ მომუშავე თეატრებში. ჩვენ 13 რეგიონული თეატრის მხატვრული დონის მეცნიერულ შესწავლას ვიწყებთ პერიოდიდან, როდესაც რეგიონებში კულტურული ცხოვრება შედარებით გამოცოცხლდა. ამას მოჰყვა მართვის სისტემისა და ადმინისტრაციულ-შემოქმედებითი ხელმძღვანელობის შეცვლა (2004-2006 წწ.), თეატრებისთვის ბიუჯეტის გაზრდა და 2005 წელს ,,თეატრების შესახებ“ კანონის მიღება. ყოველივე ამან კი იქ მიმდინარე კულტურული პროცესების ახლებურად წარმართვას შეუწყო ხელი.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად მათი მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში განხილვა არ კმარა. საჭიროა თეატრებში განვითარებული შემოქმედებითი პროცესების მეცნიერული კვლევა-ანალიზი, მაყურებლის გამოკითხვა, სოციოლოგიური კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზი, რათა განისაზღვროს მომხმარებლის მოთხოვნილებები, შემეცნების დონე და ისიც, პასუხობს თუ არა თანამედროვე ქართული თეატრი საზოგადოების მოთხოვნებს. შეკითხვებზე პასუხის გასაცემად კი პროფესიული კრიტიკა, რომელიც ბოლო დროს ნაკლებად თანმიმდევრული იყო, აქტიური და მობილური უნდა გახდეს. ეს პროექტი სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის მცდელობას წარმოადგენს.

აღნიშნული პროექტის განხორციელება საჭირო იყო თუნდაც იმიტომ, რომ თეატრებს, რომლებიც რეგიონებში ხშირ შემთხვევაში ერთადერთ კულტურულ ცენტრს წარმოადგენენ, შემოქმედებითი პროცესის უკეთ წარმართვის სტიმული გაუჩნდეთ და ოდნავ მაინც შეივსოს ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც ამ სფეროში ათწლეულების განმავლობაში წარმოიშვა და დაგროვდა. ფაქტობრივად, რეგიონულ თეატრებს, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ერთმანეთთან კომუნიკაცია არ აქვთ.

დღეს რეგიონული თეატრები პროფესიული თანმიმდევრული კრიტიკის გარეშე არის დარჩენილი. ეს ჭეშმარიტება ამ კვლევამაც დაადასტურა, უნდა გახშირდეს დარგის სპეციალისტების რეგიონებში ჩასვლა და მათ ადგილზე მუშაობის საშუალება უნდა მიეცეთ. ამ პროცესში უნდა ჩაერთოს არა მხოლოდ თავად თეატრები, არამედ საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობები. ამ მიმართულებით წარმართული პროცესები კი ხელს შეუწყობს როგორც პროფესიული კრიტიკის განვითარებას, ასევე, 10 რეგიონულ თეატრში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების გაანალიზებას, შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიონალიზმის განსაზღვრასა და ყოველივე ამის ისტორიულ კონტექსტში მოქცევას.

ჩვენს გამოცემაში თავი მოიყარა პროექტის ფარგლებში დამუშავებულმა და გაანალიზებულმა მასალებმა, რომლებიც დავამუშავეთ სტატისტიკურად და მოვახდინეთ სისტემატიზაცია, რაც ამ დარგის სპეციალისტებსაც დაინტერესებს და თეატრალურ გამოცემათა ჩამონათვალსაც გაამდიდრებს. გარდა ამისა, გამოცემა საშუალებას იძლევა, რეგიონულმა თეატრებმა ერთმანეთში გაცვალონ ინფორმაცია გამოცდილების, მიღწევების, დაშვებული შეცდომების, შემოქმედებითი ექსპერიმენტების შესახებ. გამოცემა, სოციოლოგიური კვლევის წარმოება და მისი სტატისტიკური ანალიზი ხელს შეუწყობს ამ თეატრების პოპულარიზაციას არა მხოლოდ კონკრეტული რეგიონის ფარგლებში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

შესაბამისად, ამ პროექტის მიზანი იყო 2010-2012 წლებში საქართველოს 13 რეგიონული თეატრის განვითარების პროცესის მეცნიერული შესწავლა, ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება, მისი პრაგმატული ანალიზი, მხატვრული ტენდენციების დადგენა და პროფესიული კვლევა (სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით). ასევე, 2010-2012 წლებში საქართველოს რეგიონული თეატრების მაყურებლის აქტივობის სტატისტიკური კვლევა და განსაზღვრა: რა რაოდენობის მაყურებელი

ჰყავდა/ჰყავს ამ თუ იმ თეატრს, რა თემატიკის, ესთეტიკისა თუ შინაარსის სპექტაკლებისადმი იჩენდა/ იჩენს ინტერესს ან პირიქით - გულგრილობას; საქართველოს რომელმა რეგიონულმა თეატრმა შეძლო მეტი მაყურებლის მოზიდვა და რა გზებს მიმართა ამისათვის და ა.შ.

ვფიქრობთ, ეს გამოცემა დააინტერესებს ამ დარგის ისტორიის მკვლევარებს, სტუდენტებს, იმ სახელმწიფო სტრუქტურებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც კულტურას კურირებენ ან ქართული თეატრის მონიტორინგს ახორციელებენ. ასევე, - ამ სფეროში მომუშავე ჟურნალისტებსა და თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებულ პირებს. ანალიტიკურ-პუბლიცისტური მასალის გაცნობასთან ერთად, თეატრების წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობს ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის სტატისტიკური ანალიზი, რომლითაც, უპირველესად, ამ სფეროს მენეჯერები, თეატრის სოციოლოგები, ხელმძღვანელები, დამოუკიდებელი რეჟისორები და ა. შ. ისარგებლებენ - ეს კი ხელს შეუწყობს ახალი სარეპერტუარო პოლიტიკის შემუშავებას, მაყურებლისა და თეატრის ექსპერტთა მოთხოვნების გათვალისწინებას.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

ბათუმში პირველი ქართული წარმოდგენა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, 1879 წლის 8 (21) ივლისს, ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა გამართეს. ამით საფუძველი ჩაეყარა ქართულ თეატრს აჭარაში. წარმოდგენის ინიციატორი იყო ბათუმის პოლიცმაისტერის მეუღლე ქეთევან ჟურული. სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ზ. ანტონოვის კომედია „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ თეატრის პატარა შენობა 1884 წელს ააგეს, იგი იტევდა 450-მდე მაყურებელს. შემდეგში თეატრი განთავსდა ე. წ. „რკინის თეატრში“. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს სცენისმოყვარეთა მუდმივ დასს ხელმძღვანელობდა ბათუმში სამხედრო სამსახურში მყოფი დავით კლდიაშვილი. სცენისმოყვარეები წარმოდგენებს მართავდნენ საქველმოქმედო მიზნით - „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, ქართული წიგნთსაცავისა და ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

1912 წლის 28 აგვისტოს შედგა მსახიობთა კრება და დაფუძნდა მსახიობთა ამხანაგობა. რეჟისორად არჩეულ იქნა შალვა დადიანი. „მოგზაურთა დასმა“ პირველი წარმოდგენა ბათუმში გამართა 15 სექტემბერს, შმაევსკის თეატრში. ასე ჩაეყარა საძირკველი მესამე პროფესიულ თეატრს საქართველოში, რასაც იმ დროს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული თეატრალური კულტურის განვითარებისათვის. 1913 წელს ბათუმში დაარსდა დრამატული საზოგადოება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე მესხი. დრამატული საზოგადოების გამგეობამ შეადგინა პროფესიონალთა დასი, რომელსაც რეჟისორობდა შალვა დადიანი. ბათუმის დრამატული დასის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული მსახიობები. 1921 წელს ბათუმის თეატრს „აკადემიურის“ წოდება მიენიჭა. 1928 წელს კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაისში გაიხსნა მეორე სახელმწიფო თეატრი, რომელსაც „ქუთაის-ბათუმის თეატრი“ ეწოდებოდა. თეატრის თბილისში გადასვლამდე, 1928-1930 წლებში თეატრი წარმოდგენებს მართავდა როგორც ქუთაისში, ასევე ბათუმში. 1931-1932 წლების თეატრალურ სეზონში ბათუმის თეატრის დასში ჩაირიცხა ახალგაზრდა იუსუფ კობალაძე. დასს ხელმძღვანელობდა კოტე მარჯანიშვილი.

1932 წელს ბათუმში რუსთაველის თეატრის მორიგი გასტროლის დროს აჭარის ხელისუფლება შეუთანხმდა თეატრის ხელმძღვანელს, სანდრო ახმეტელს, რომ რუსთაველის თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში შექმნილიყო აჭარის სექცია, რომელიც გაითვალისწინებდა ბათუმის თეატრის მსახიობთა ჯგუფის მომზადებას. რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა მიღება. სტუდიისათვის შერჩეულ იქნა 20-ზე მეტი ახალგაზრდა. ჯგუფის პედაგოგები იყვნენ: სანდრო ახმეტელი, აკაკი ვასაძე, შოთა აღსაბაძე, კოტე პატარიძე, დიმიტრი ალექსიძე და სხვები.

1937 წლის 18 მარტს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალი თეატრი, რომლის დასი შედგებოდა რუსთაველის თეატრის დრამატულ სტუდიაში გამოზრდილი ახალგაზრდებისაგან. მათ წარმოადგინეს გ. მდივნის დრამა „ბრმა“, რომელშიც მთელი დასი მონაწილეობდა. დასში ირიცხებოდნენ: ლილი აფხაზავა, ალექსანდრა გორნელი (დარჩია), ნუნუ თეთრაძე, ნინო ფხაკაძე, გიორგი ახვლედიანი, ხასან ბაბუჩ-ოღლი, ბუხუტი ზაქარიაძე, სულიკო თურმანიძე, ისკანდერ კაიკაციშვილი, იუსუფ კობალაძე, აკაკი მგელაძე, ხასან მეგრელიძე, ზორბეგ ღლონტი, ედნარ შამილაძე, მიხეილ წიგნაძე, მურად ხინიკაძე და სხვები. სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა არჩილ ჩხარტიშვილი, დამდგმელ რეჟისორად - შალვა ინასარიძე. 30-40-იანი წლების სათეატრო სეზონები ნაყოფიერი, მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. თეატრმა განახორციელა მრავალი დადგმა, რომელთა შორის აღსანიშნავია :კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ (რეჟისორი - დ. ალექსიძე), გ. მდივნის „ალკაზარი“ (რეჟისორი - შ. ინასარიძე), შ. დადიანის „გუშინდელნი“ (რეჟისორი - შ. ინასარიძე), ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (რეჟისორი - ა. ჩხარტიშვილი), ვ.დარასელის „კიკვიძე“ (რეჟისორი - რ. ჩომახიძე), ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ (რეჟისორი - ა. ჩხარტიშვილი). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თეატრის დასში ჩაირიცხნენ გაიოზ გოგიბერიძე და აკაკი მგელაძე.

1946 წლის 27 ივლისს ბათუმის თეატრმა მაყურებელს უჩვენა სოფოკლეს „მეფე ოიდიპოსი“ (რეჟისორები - ა.ჩხარტიშვილი, შ ინასარიძე). სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. პრესა ფართოდ გამოეხმაურა თეატრის ამ შემოქმედებით გამარჯვებას. ცნობილი დრამატურგი ლ. მალიუგინი წერდა: „რამდენიმე თვის წინათ ბათუმის ქართულ თეატრში ვნახე „ოიდიპოს მეფის“ ბრწყინვალე დადგმა. ჩემთან ერთად ამერიკელი მწერალი სტეინბეკი აღფრთოვანებული იყო სპექტაკლით და მე ვამაყობდი იმით, რომ ამერიკელმა მწერალმა ვერ იხილა სოფოკლე ვერც თავის ქვეყანაში, ვერც დიდი დრამატურგის სამშობლოში - საბერძნეთში და ნახა იგი ჩვენთან, არა მარტო დედაქალაქის ვახტანგოვის თეატრის სცენაზე, არამედ პატარა სანავსადგურო ქალაქში, რომელიც, ამერიკული წესის მიხედვით, განთქმული უნდა ყოფილიყო არა თეატრით, არამედ დანსინგებითა და ლუდხანებით“.

1952 წლის 19 მარტს ბათუმში გაიხსნა თეატრის ახალი შენობა, რომელიც არქიტექტორ ი. ტეპლიცკის პროექტით აშენდა. 1959 წელს ბათუმის თეატრს მიენიჭა ილია ჭავჭავაძის სახელი. ორმოცდაათიან წლებში

ბათუმის თეატრს დროთა განმავლობაში ახალგაზრდა მსახიობები შეემატნენ: მიხეილ ნაპირელი, ლუბა კობეშავიძე, თამარ სულხანიშვილი, ნათელა წერეთელი, იური ცანავა, მანუჩარ შერვაშიძე, ნინო საკანდელიძე და სხვები. 1957 წელს თბილისში გამართულ აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე თეატრმა მაყურებელს უჩვენა რეპერტუარის საუკეთესო სპექტაკლები: ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი" (რეჟისორი - გ. ლაღიძე), სოფოკლეს „მეფე ოიდიპოსი" (რეჟისორები - ა. ჩხარტიშვილი, შ. ინასარიძე), პ. ლორიას „დინარა" (რეჟისორი - გ. მრავლაძე), შექსპირის „ჰამლეტი" (რეჟისორები - ა. ჩხარტიშვილი, შ. ინასარიძე), ა. შტეინის „პერსონალური საქმე" (რეჟისორი - შ. ინასარიძე). თეატრმა კრიტიკოსების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება მნიშვნელოვანი ცვლილებები ქართულ თეატრში. ასპარეზზე გამოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა. თბილისის თეატრების მსგავსად დგება ბათუმის თეატრის განახლების პერიოდი. 60-70-იან წლებში ბათუმის თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი ივსება ახალგაზრდა რეჟისორებითა და მსახიობებით, რომლებმაც შემდგომში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბათუმის თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. ესენი იყვნენ: რეჟისორები: გიზო ჟორდანია, გოგი ქავთარაძე, ენვერ ჩაიძე, თემო აბაშიძე, გურამ აბესაძე, დათო ხინიკაძე; მსახიობები: ლევან ღლონტი, ამირან ტაკიძე, ნიაზ მესხიძე, ნუნუ ხინიკაძე, ბერდია ინწკირველი, 70-იანი წლებიდან: სერგო ბაზიაშვილი, სერგო კუნჭულია, ცირა აბზიანიძე, ლუიზა ჯიბლაძე და სხვები. ბათუმის თეატრის 60-70-იანი წლების რეპერტუარი გამოირჩევა მრავალფეროვნებით, იდგმება მსოფლიო და ქართული კლასიკური ნაწარმოებები: კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი" (რეჟისორი - ი.კობალაძე), ა. ოსტროვსკის „უმზითვო" (რეჟისორი - შ. ინასარიძე), გილიერმოს "მელია და ყურძენი" (რეჟისორი - შ. ინასარიძე), მოლიერის „ძალად ექიმი" (რეჟისორი - ე. ჩაიძე), შექსპირის „მეთორმეტე ღამე" (რეჟისორი - გ. ქავთარაძე), ნ. გოგოლის „რევიზორი" (რეჟისორი - გ. ქავთარაძე), ჰაშეკის „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი" (რეჟისორი - ე. ჩაიძე), მ. გორკის „ეგორ ბულიჩოვი" (რეჟისორი - გ. აბესაძე), დიურენმატის „ფიზიკოსები" (რეჟისორი - დ. ხინიკაძე), ვაჟა-ფშაველას „მინდია" (რეჟისორი - გ. ჟორდანია), ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური" და „სტუმარ-მასპინძელი" (რეჟისორი - გ. ქავთარაძე). ე. იურანდოტის "მეცხრე წმინდანი" (რეჟისორი - გ. აბესაძე). 70-80-იან წლებში თეატრში მოდის ახალი თაობა, მსახიობები: ა.ქარჩავა, კ. კობალაძე, ბ. მიქაუტაძე, ლ. აბულაძე, ნ. გოგიტაური და სხვები; რეჟისორები: ზ. სიხარულიძე, მ. ლებანიძე. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ- პოლიტიკური ცვლილებები აისახა მთლიანად ქართულ და, მათ შორის, ბათუმის თეატრზე. არასტაბილურმა ვითარებამ ზეგავლენა იქონია თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაზე, მის ესთეტიკაზე. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ინიშნება ლევან მირცხულავა, რომელიც ცდილობს არსებული ვითარების შეცვლას. მის მიერ დადგმულმა ჟან ანუის ,,ტოროლამ" და გრიგოლ რობაქიძის ,,ლამარამ" არსებულ ვითარებაზე გავლენა ვერ მოახდინა.

2005 წლიდან თეატრის შემოქმედებითი საქმიანობა რადიკალურად შეიცვალა რობერტ სტურუას სამხატვრო კონსულტანტად, ხოლო გიორგი თავაძის (რობერტ სტურუას სტუდენტი) სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ. თეატრის მმართველად დაინიშნა ახალგაზრდა კინორეჟისორი ზაზა ხალვაში. რობერტ სტურუას მიერ დადგმული დ. კლდიაშვილის ,,დარისპანის გასაჭირი" თეატრის განახლების საფუძვლად იქცა, ხოლო გ. თავაძის სპექტაკლებმა - ლ. ბუღაძის ,,ნუგზარი და მეფისტოფელი", ი. სამსონაძის „საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში", კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური", ი. სამსონაძის „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით" და მის მიერ განხორციელებულმა სხვა სპექტაკლებმა თეატრს საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. თეატრი გახდა ევროპის თეატრების არაფორმალური ორგანიზაციის წევრი. 2006 წლიდან თეატრმა მონაწილეობა მიიღო არაერთ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, რომელთა შორის აღსანიშნავია მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი" (2006 წელი), კულტურის საერთაშორისო ბაზრობა „კავკასია - 2007" (2007 წელი), ლვოვის საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს ლომი" (2008 წელი), ტრაპიზონის მე-10 საერთაშორისო ფესტივალი (2009 წელი), ეჟენ იონესკოს სახელობის კიშინიოვის საერთაშორისო ბიენალე (2010 წელი), თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი (2010 წელი).

თეატრის შენობა

ბათუმს კარგა ხანს არ გააჩნდა სათეატრო ნაგებობა, იყო მხოლოდ პატარა ხის შენობა, რომელიც 1884 წელს ააგეს, რომელიც იტევდა 450 -მდე მაყურებელს. მდებარეობდა ახლანდელი კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე. შემდეგ შენობა გადაიტანეს ანანიევის მამულში. ახლანდელ ვაჟა ფშაველასა და მემედ აბაშიძის ქუჩების კვეთაზე (ახლანდელი რესპუბლიკური ბიბლიოთეკის შენობა). ამიტომაც დაერქვა მას ანანიევის თეატრი. იგი დაანგრიეს 1890 წელს. 1889 წელს ააგეს საზოგადო საკრებულოს კლუბის შენობა. აქ იყო დიდი საცეკვაო დარბაზი, მაგრამ სცენა ძალზე პატარა იყო (შენობა დაიწვა 1900 წელს და აღდგენილი იქნა 1902 წელს). წლების განმავლობაში იმ შენობაში განთავსებული იყო ოფიცერთა სახლი.

1891 წელს ბათუმში თავისი რუსული დასის ჩამოყვანა დააპირა ანტრეპრენიორმა ტომსკიმ. მან ბათუმში შესაფერისი შენობა ვერ მონახა და გადაწყვიტა, თეატრი საკუთარი სახსრებით მოეწყო. იმ დროს ბათუმში,

ახლანდელ ბარათაშვილის ქუჩაზე, ვინმე ფრანგ ვაჭარ მარშოს ჰქონდა უზარმაზარი ფარღალალა ნაგებობა, რომელსაც რკინეულობის საწყობად იყენებდნენ. ის ტომსკიმ იჯარით აიღო და სახელდახელოდ თეატრად გადააკეთა. სამ თვეს მართავდა იგი თავისი დასის წარმოდგენებს აქ. ამის შემდეგ ასევე იჯარით აიღო ვექილმა იურკევიჩმა, შეალამაზა და წარმოდგენებისთვის აქირავებდა. შენობას რკინის თეატრი შეარქვეს, რადგან რკინისაგან იყო აგებული, ხოლო შიგნიდან კი შეფიცრული იყო. დარბაზი 900-მდე მაყურებელს იტევდა, აქ მართავდნენ წარმოდგენებს ბათუმის სცენისმოყვარეებიც და ჩამოსული პროფესიონალი მსახიობები. იურკევიჩი სცენისმოყვარეებს წარმოდგენებისათვის დარბაზს უფასოდ უთმობდა. 1924 წელს დიდმა თოვლმა რკინის თეატრის სახურავი ჩაანგრია და ამ ნანგრევებზე შემდეგ საცირკო ნაგებობა იქნა აგებული.

1952 წლის 19 მარტი ბათუმის თეატრის ისტორიის მნიშვნელოვანი დღეა. ამ დღეს საზეიმოდ გაიხსნა თეატრის ახალი შენობა. თეატრი აშენდა ცნობილი მოსკოველი არქიტექტორის ტეპლიცკის პროექტით. მშენებლობა დაწყებული იყო ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში, მაგრამ შეჩერდა მეორე მსოფლიო ომის დროს. შენობა აგებულია რკინა-ბეტონით, ფართოდ არის გამოყენებული ცეცხლგამძლე მასალა. თეატრის ფასადი არქიტექტურულადაა გადაწყვეტილი კლასიკური მოტივების მიხედვით. მოპირკეთდა მარმარილოთი. მაყურებელთა დარბაზი წრიული ფორმისაა, აქვს სამი იარუსი და იტევს 600-მდე მაყურებელს. დარბაზს ამშვენებს ბროლის ლამაზი ჭაღი, რომელიც დაამზადა სპეციალურად ბათუმის თეატრისათვის მოსკოვის ქარხანამ "როსსკულპტორმა". შესანიშნავია დარბაზის და ფოიეს მოხატულობა, რომელიც შესრულებულია მხატვარ ბ. ბენოს მიერ, სცენა მოწყობილი იყო თეატრალური ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. თეატრს აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ლითონის ფარდა, რომელიც ჰყოფს დარბაზს სცენისგან. თეატრის ახალი შენობის გახსნის დღეს, საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ, წარმოდგენილი იყო შალვა დადიანის პიესა "ნაპერწკლიდან" ვასო ყუშიტაშვილისა და შალვა ინასარიძის დადგმით.

თეატრის დასახელება – სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი
დაარსების წელი – 1879 წლიდან, პროფესიული პერიოდი 1937 წლიდან
თეატრის იურიდიული ფორმა – საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირი – სამხატვრო ხელმძღვანელი თეიმურაზ კეჟერაძე
თეატრის ელ.ფოსტა – batumisteatri@yahoo.com
ვებგვერდის მისამართი – batumitheatre.ge
თეატრის მისამართი – ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.№1
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა – 129
ადმინისტრაცია – 13
მსახიობთა რაოდენობა – 42
ტექნიკური პერსონალი – 65
სხვა თანამშრომელთა რაოდენობა – 9

თეატრის ბიუჯეტი (ლარებში)

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	**850 990**			
2011	**857 790**			
2012	**953 100**			

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით:

2010 წ. – 17 900
2011 წ. – 19 800
2012 წ. – 21 504
2010-2012 წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი წლების მიხედვით).
ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა:

2010 წ. სულ 24 წარმოდგენა
ლ. ბუღაძე – "ნუგზარი და მეფისტოფელი" - 3
ი. სამსონაძე – "ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით" - 15

ო. ბაღათურია - მეფე ლირი თავშესაფარში” - 3
ნ. საიმონი – “კალიფორნიული სუიტა” – 3
2011 წ. სულ 34 წარმოდგენა
ნ. საიმონი – “კალიფორნიული სუიტა” – 3
ი. სამსონაძე – “ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით” - 3
ო. ბაღათურია – “მეფე ლირი თავშესაფარში” - 3
რ. ლინდბერგი – “უდღეური დღეობა” - 5
მ. ვიშნეკი – “გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი” - 16
მ. კამოლეტი – “ოჯახური იდილია” - 2
ა. ენუქიძე – “დავა გემოვნებაზე” – 2

2012 წ. სულ 60 წარმოდეგნა
მ. ვიშნეკი – “გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი” - 9
ა. ენუქიძე – “დავა გემოვნებაზე” – 4
ი. სამსონაძე – “ყოფილების სარეცელი” – 3
მ. კამოლეტი – “ოჯახური იდილია” - 17
რ. ლინდბერგი – “უდღეური დღეობა” - 1
ნ. ბრაერი – “ბოლო გაჩარება” – 13
დ. გაბუნია _ “საპნის ოპუსი” – 7
მ. ლადო – “ერთი უბრალო ამბავი” – 10

ბილეთის ტარიფები:
3, 4, 5, 6, 7, ლარი
თეატრის შემოსავალმა რაიმე სხვა საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა) 2010-2012 წლებში შეადგინა 72 416 ლარი.
რა უჯდება თეატრს საშუალოდ ახალი სპექტაკლის დადგმა: 30 000 – 40 000 ლარი
რა უჯდება თეატრს საშუალოდ სპექტაკლის აღდგენა: 10 000 - 15 000 ლარი
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი: 6 500 - 8 000 ლარი
მოწვეული მსახიობის ჰონორარი: 800 – 1000 ლარი
მსახიობის საშუალო ხელფასი – უმაღლესი – 960 ლარი, უმდაბლესი – 360 ლარი;
თეატრი გასტროლებზე 2010 – 2012 წლებში:
ქვეყნის შიგნით – თბილისი, თელავი, ხულო
საზღვარგარეთ - მოლდოვა
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი - ევროპის თეატრების არაფორმალურ ქსელი (IETM).
თეატრის მონაწილეობა ფესტივალებში:
თბილისი – ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი
კიშინიოვი – ეჟენ იონესკოს ხელოვნების საერთაშორისო ბიენალე; ახალციხე – ქართული დრამატურგიის ფესტივალი.
მასპინძლობდა:
გრიბოედოვის თეატრი, ხულოს თეატრი, სარდაფის თეატრი, ნიდერლანდების თეატრი, ირანული თეატრი, სახალხო თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, ახალციხის თეატრი, რუსთაველის თეატრი, ქუთაისის თეატრი, „შიშველი თეატრი“ (თბილისი), ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, სანდკორნის (გერმანია) თეატრი, სამეფო უბნის თეატრი, თუმანიშვილის თეატრი, მოსკოვის დამოუკიდებელი თეატრი, თეატრალური ფესტივალი ,,24 საათიანი სპექტაკლების ფესტივალი”,
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა – დიახ;
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში – დიახ;
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში – დიახ;
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში – დიახ;
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის ან პიარსამსახურის მენეჯერი – დიახ;
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება – დიახ;
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება – დიახ;
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი:
ყველაზე ახალგაზრდა - 23 წ.
ყველაზე ხანდაზმული – 90 წ.
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში – 2011 წ.
თეატრში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო:
ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია - თამარ სულხანიშვილი,
იუსუფ კობალაძის სახელობის პრემია - გიორგი თავაძე, ბიძინა მიქაუტაძე, ლევან ღლონტი, ენვერ ჩაიძე;
ნუნუ თეთრაძის სახელობის პრემია - ცირა აბზიანიძე.

შენობის შესაძლებლობები:

აქვს თუ არა ფოიე, საგამოფენო სივრცე – აქვს
საკონფერენციო – არა
ბუფეტი – არა
წიგნის მაღაზია – არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის – არა

ტექნიკური აღჭურვა:

განათება – განათების მოწყობილობა მოძველებულია, ლედი (8 ც), კგმ (60 ც), პისტოლეტი 2 ც., „პიცოტკა“ 10 ც., კვამლის აპარატი 2 ც., თოვლის აპარატი 1 ც.
გახმოვანება – მოძველებულია; მინიდისკი სისტემა, (3 მინიდისკის გამშვები), დინამიკები 6 ც, (4 დარბაზში, 2 სცენაზე), პულტი, მიქშერი
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა – 520
დარბაზი (პარტერი 146 ადგილი, ამფითეატრი 133 ადგილი, I იარუსი 68 ადგილი; II იარუსი 68 ადგილი, III იარუსი 104 ადგილი)

სცენის პარამეტრები:

სცენის სიღრმე 24 მეტრი
სცენის სიგანე 18 მეტრი
სცენის სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 24 მეტრი
სცენის სიმაღლე იატაკიდან გამოყენებამდე 16 მეტრი
სცენის სარკის სიგანე 10.65 მეტრი
სცენის სარკის სიმაღლე 7.50 მეტრი
საორკესტრო ორმოს სიგანე 2.10 მეტრი
საორკესტრო ორმოს სიმაღლე 2.50 მეტრი
საორკესტრო ორმოს რკალი 12 მეტრი
სცენის წრის დიამეტრი 12 მეტრი
სცენის მარჯვენა ჯიბე 2.75 მეტრი
სცენის მარცხენა ჯიბე 3 მეტრი
შტანგეტების რაოდენობა 48 ერთეული
შტანგეტებს შორის ინტერვალი 20-25 სანტიმეტრი
სოფიტების რაოდენობა - 5
სოფიტებში მოთავსებულია 7-7 შტანგეტი, მხოლოდ ერთ სოფიტშია 10 შტანგეტი
მოძრავი პორტალების სიმაღლე 7.50 მეტრი
მოძრავი პორტალების სიგანე 2.5 მეტრი

რეპერტუარი (2010-2012 წწ.)

სპექტაკლის დასახელება – “ნუგზარი და მეფისტოფელი”
პიესის ავტორი – ლაშა ბუღაძე
დამდგმელი რეჟისორი – გიორგი თავაძე
დამდგმელი მხატვარი – გალაქტიონ გოგიბერიძე
მუსიკალური გამფორმებელი – ია საკანდელიძე
ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე
მონაწილეობენ: მამუკა მანჯგალაძე, ტიტე კომახიძე, ზაალ გოგუაძე, ეკა ჩავლეიშვილი, გოჩა ხვიჩია, დავით ჯაყელი, დავით წერეთელი, ლაშა კონცელიძე, მეგი კობალაძე, ზაზა ზოიძე, თეონა შამილაძე, ქეთევან ეგუტიძე, მარინა ბურდული.

სპექტაკლის დასახელება – “ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით”
პიესის ავტორი – ირაკლი სამსონაძე
რეჟისორი - გიორგი თავაძე
მხატვარი - თემურ ნინუა
მუსიკალური გაფორმება - თენგიზ შამილაძე
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
მონაწილეობენ: კახა კობალაძე, მამუკა მანჯგალაძე, ოთარ ქათამაძე, ეკა ჩავლეიშვილი, თეონა შამილაძე, შორენა მამრიკიშვილი, მარინა ბურდული, ქეთევან ეგუტიძე, ლევან თედორაძე.

სპექტაკლის დასახელება – “დავა გემოვნებაზე”
პიესის ავტორი და რეჟისორი - ანდრო ენუქიძე
კომპოზიტორი - მიშა მდინარაძე
მხატვარი - მირიან შველიძე
მონაწილეობენ: ზაალ გოგუაძე, ქეთევან ეგუტიძე, ოთარ ქათამაძე, მეგი კობალაძე, ავთო ქარჩავა, გოგიტა მეგრელიძე

სპექტაკლის დასახელება – “კალიფორნიული სუიტა”
პიესის ავტორი - ნილ საიმონი
რეჟისორი - იური ცანავა
მხატვარი - გოგლა გოგიბერიძე
მუსიკალური გაფორმება - თენგიზ შამილაძე
მონაწილეობენ: ავთო ქარჩავა, ცირა აბზიანიძე, თეონა შამილაძე

სპექტაკლის დასახელება – “უდღეური დღეობა”
პიესის ავტორი – რასმუს ლინდბერგი
რეჟისორი - მიხეილ ჩარკვიანი
მხატვარი - ირინე ყველიაშვილი
კომპოზიტორი - ნიკა ფასური
მონაწილეობენ: მარინა ბურდული, დავით წერეთელი, მეგი კობალაძე, ლევან თედორაძე, ანი გულიაშვილი

სპექტაკლის დასახელება - “გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი”
პიესის ავტორი – მატეი ვიშნეკი
რეჟისორი – გიორგი თავაძე
მონაწილეობენ: მამუკა მანჯგალაძე, ტიტე კომახიძე, რამაზ იოსელიანი, ზაზა ზოიძე.

სპექტაკლის დასახელება - “ოჯახური იდილია”
პიესის ავტორი – მარკ კამოლეტი
რეჟისორი – იური ცანავა
მხატვარი – მირიან მშველიძე
მუსიკალური გაფორმება – თენგიზ შამილაძე
მონაწილეობენ: დავით წერეთელი, თათია თათარაშვილი, ქეთევან ეგუტიძე, ტიტე კომახიძე, დავით ჯაყელი, ინგა ღირდალაძე, მამუკა მანჯგალაძე, გიორგი ფირცხალაიშვილი, ზაზა ზოიძე.

სპექტაკლის დასახელება - “ყოფილების სარეცელი”
პიესის ავტორი – ირაკლი სამსონაძე
რეჟისორი – ირაკლი სამსონაძე
მხატვარი – გოგლა გოგიბერიძე
მუსიკალური გაფორმება – თენგიზ შამილაძე
მონაწილეობენ: ნოდარ იაკობაძე, ეკა ჩავლეიშვილი, ნანა კიკვაძე, ჯუმბერ კახიძე

სპექტაკლის დასახელება - „მეფე ლირი თავშესაფარში”
პიესის ავტორი – ოთარ ბაღათურია
რეჟისორი – ენვერ ჩაიძე
მხატვარი – აივენგო ჭელიძე
მუსიკალური გაფორმება – თენგიზ შამილაძე
მონაწილეობენ: მანუჩარ შერვაშიძე, ნინო საკანდელიძე, თამარ სულხანიშვილი, ბერდია ინწკირველი, ნუნუ ხინიკაძე, ცირა აბზიანიძე, ლევან ღლონტი, ბიძინა მიქაუტაძე, კახა კობალაძე, ზურა ქავთარაძე, ნანა კიკვაძე, ეკა ჩავლეიშვილი, ჯემალ ველიაძე, ნოდარ იაკობაძე, გოგიტა მეგრელიძე, დათო წერეთელი, ავთო ქარჩავა, გოჩა ხვიჩია.

სპექტაკლის დასახელება – „ერთი უბრალო ამბავი“
პიესის ავტორი – მარია ლადო
რეჟისორი - ანდრო ენუქიძე
სცენოგრაფი – აივენგო ჭელიძე
კოსტიუმების მხატვარი – გოგლა გოგიბერიძე
მუსიკალური გაფორმება თენგიზ შამილაძე
მონაწილეობენ: ლია აბულაძე, მარინა ბურდული, ზაალ გოგუაძე, ქეთევან ეგუტიძე, ოთარ ქათამაძე, ლევან თედორაძე, ტიტე კომახიძე, მამუკა მანჯგალაძე, მერი ნაკაშიძე, ზურაბ ქავთარაძე, ეკა ჩავლეიშვილი, ანი ცეცხლაძე, დავით ჯაყელი.

სპექტაკლის დასახელება – “ბოლო გაჩერება”
პიესის ავტორი ნიკოლას ე. ბრაერი
ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი – გაგა გოშაძე
მხატვარი – გოგლა გოგიბერიძე
მონაწილეობენ: დავით ჯაყელი, მამუკა მანჯგალაძე, დავით წერეთელი, ნინო საკანდელიძე, მანუჩარ შერვაშიძე, კახა კობალაძე, ტიტე კომახიძე, ნინო კვიტაიშვილი, ზაზა ზოიძე, დიანა ჩახუნაიშვილი,

ლევან თედორაძე, მერი ნაკაშიძე, ნიკა ძიძიგური, გიორგი ფირცხალაიშვილი, გიორგი მეგრელიძე, ლაშა კონცელიძე, ზურა ქავთარაძე.

სპექტაკლის დასახელება – "საპნის ოპუსი"
პიესის ავტორი – დავით გაბუნია
დამდგმელი რეჟისორი – მიხეილ ჩარკვიანი
მხატვარი – ლევან ოჩხიკიძე
კომპოზიტორი – ნიკა ფასური
მონაწილეობენ: ანი ცეცხლაძე, მარინა ბურდული, მეგი კობალაძე, ქეთევან ეგუტიძე, ლია აბულაძე, დავით ჯაყელი.

საუბარი თეატრის მმართველ თემურ კეჟერაძესთან

- **როგორ აფასებთ კულტურისა და ხელოვნების დასპონსორების შესაძლებლობებს? რამდენად ძლიერი პარტნიორია თეატრი სასპონსორო ურთიერთობებში? რისი შეთავაზება შეუძლია?**
- საერთოდ, სპონსორები ნებისმიერ სფეროში, მითუმეტეს კულტურაში და კერძოდ, თეატრალურ ხელოვნებაში აუცილებელია. ჯერ კიდევ ქართული ეკონომიკა არ არის ისე მომძლავრებული, რომ განახორციელოს მსგავსი აქტივობა. ჩვენ გვქონდა უამრავი მცდელობა, რომ მოგვეძიებინა სპონსორები. სხვათა შორის, ერთი სპონსორი აღმოვაჩინეთ და ისეთი პირობები შემოგვთავაზა, რაც შემოქმედებით ორგანიზაციას არ აწყობს, კერძოდ, თავისი რეჟისორი უნდა მოეყვანა, თვითონ უნდა მოეტანა სპექტაკლი, ანუ მთლიანად უნდა ჩარეულიყო შემოქმედებით პროცესში, რაზეც ბუნებრივია უარი მიიღო. ბათუმში, ძირითადად, მაინც არაქართული კაპიტალი მოძრაობს ბიზნესში, ამიტომ არა მგონია, რომ არაქართული კაპიტალი იყოს დაინტერესებული ქართული კულტურის განვითარებით. ამდენად, ცოტა რთული არის სპონსორების მოძიება. ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ თავად სპონსორი არ გეძებს. კანონმდებლობა არ იძლევა ამის საშუალებას, რომ სპონსორმა მოგძებნოს. ჩვენ ვეძებთ სპონსორებს და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე კომპანიაა, ვისთანაც ვთანამშრომლობთ და ესეც არის ძალიან სიმბოლური დაფინანსებები. შეიძლება რაღაც რეკლამა, ბარტერული გაცვლა - ამაზე ნამდვილად ვერ ააგებ თეატრის ფინანსურ საქმიანობას.
- **თავად თქვენ თუ გაქვთ ჩამოყალიბებული თქვენი სასპონსორო შეთავაზება?**
- ჩვენ რა შეგვიძლია შევთავაზოთ, მათი საქმიანობის პოპულარიზაცია, რეკლამირება და ა.შ.
- **ამჟამად გაქვთ ეს ყველაფერი წერილობითი სახით ჩამოყალიბებული?**
- არა, უბრალოდ, როდესაც უშუალოდ მივდივართ სპონსორებთან მოლაპარაკებაზე, ეს არის მოლაპარაკების საგანი. ვთავაზობთ გარკვეულ პირობებს და, უმრავლეს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ მოდიან მოლაპარაკებაზე, ვინაიდან, თეატრს ჯერ არ აქვს თავისი შემოქმედებითი საქმიანობა აწყობილი. რეპერტუარში გვაქვს ძალიან მწირი რაოდენობის სპექტაკლები. ამას წინათ გვქონდა საბანკო ქსელთან შეთავაზება, რაღაც ფინანსურ ჯგუფებთან მოლაპარაკება, ვთანამშრომლობთ კიდეც, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ჩვენ მხოლოდ ვახერხებთ კვირაში ორი სპექტაკლის თამაშს. წელს უკვე დავნერგეთ ის, რომ ყოველ შაბათ-კვირას გვაქვს სპექტაკლები. მანამდე ასეთი სიტუაცია არ იყო. ვიდრე ჩვენ არ გამოვასწორებთ ჩვენს შემოქმედებით მხარეს, ვიდრე არ გვექნება სტაბილური რეპერტუარი (ახლა სტაბილურად გვაქვს ორი სპექტაკლი ყოველ შაბათ-კვირას, ანუ კვირაში ორი სპექტაკლი გვაქვს), ვიდრე კვირაში სამ-ოთხ სპექტაკლს არ ვითამაშებთ, მანამდე სპონსორებს არ უღირთ ფულის დაბანდება. კვირაში ორჯერ მოსული მაყურებელი, უბრალოდ, იმდენ ინფორმაციას ვერ ღებულობს ამ კომპანიის საქმიანობის შესახებ, რომ მათ უღირდეთ საკუთარი ფინანსების ჩადება თეატრში.
- **თეატრში გყავთ სპეციალური კადრი, რომელიც უშუალოდ ამ საკითხებითაა დაკავებული?**
- გვაქვს მუშაობის ასეთი სისტემა - ჩვენთან არის მარკეტინგული ჯგუფი, ვიკრიბებით, ვსახავთ რაღაც ამოცანას, ჩვენს პირობებს ვაყალიბებთ, სავარაუდო სპოსნორთან რაღაც კონკრეტული წინადადებები რომ შევიმუშავოთ. ამდენად, დაახლოებით ხუთი ადამიანი, მათ შორის მეც, ვსხდებით, ვთხოვ სამუშაო ჯგუფს, რაღაც წინადადებები შეიმუშავონ, ამავე დროს, ვეცნობით მათ საქმიანობას, მათ საშუალებებს და ამის შემდეგ მივდივართ მათთან სასაუბროდ მოლაპარაკებებზე. თეატრში არის ჯგუფი, რომელიც მარკეტინგულ საქმიანობას ითავსებს და ართმევს თავს.
- **როგორ გამოიყურება თქვენი სპონსორების და პარტნიორების ჩამონათვალი?**
- ახლა ჩვენ გვაქვს მოლაპარაკებები ნავთობტერმინალთან. უბრალოდ, ამ მოლაპარაკებაზე ასეთ ხერხს მივმართეთ: ჩვენ მათ არაფერს არ ვთხოვთ, იმიტომ რომ ხშირად ბიზნესმენები ცდილობენ ყველგან და ყველაფერში საკუთარი მოგება დაინახონ და ყველაფერი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ. პრინციპში, ასეც უნდა იყოს ბიზნესში. ნავთობტერმინალთან უკვე სამი შეხვედრა გვქონდა და ვთავაზობთ ჩვენს მომსახურებას, სანაცვლოდ არაფერი არ გვჭირდება. გარკვეული ძვრები ამ მიმართულებით შეინიშნება. კომპანიის გენერალური დირექტორი წარმოშობით ყაზახია, სხვათა შორის, საინტერესო პიროვნებაა. საუბარია იმის შესახებ, რომ ყაზახური თეატრი ჩამოიყვანოს ბათუმში, ხოლო ჩვენ დავუთმობთ ჩვენს სივრცეს და ა.შ. მსგავსი საუბარი გვაქვს კონკრეტული მოთხოვნების გარეშე. თუკი ეს იდეა განხორციელდა, შემდეგ უკვე შეიძლება ვიფიქროთ ყაზახი რეჟისორის ჩამოყვანაზე,

რომელიც ჩვენს თეატრში დადგამს ყაზახურ პიესას, თუმცა ეს იმ შემთხვევაში, თუკი ყაზახური მხარე, ამ შემთხვევაში ნავთობტერმინალი ამას დააფინანსებს. ჩვენ სიამოვნებით წამოვალთ ამაზე. ამავე დროს, შეიძლება გაცვლით პროგრამებზე ფიქრი, თუმცა ამაზე ჯერ საუბარი არ მიმდინარეობს. ამას ჩვენ ვინახავთ, რომ ეტაპობრივად გადავიდეთ აქტიურ მოქმედებაზე. პირდაპირ ასეთი საუბარი, რომ ჩვენ გვჭირდება ფული, დაფინანსება, არცერთ ჩვენს სავარაუდო სპონსორთან არ გვაქვს.

- **2010 – 2012 წლებში თუ განხორციელებულა რაიმე ერთობლივი პროექტი რომელიმე სპონსორთან ან ორგანიზაციასთან ერთად?**
- არა, მსგავსი პროექტი არ მახსენდება.
- **თუ განიხილავთ თქვენს თეატრს სასპონსორო ურთიერთობებში საქმიან, ძლიერ პარტნიორად?**
- ამ ეტაპზე ჩვენ სუსტი საყრდენი ვართ, როგორც პარტნიორები, მაგრამ მხოლოდ ამ ეტაპზე. წლევანდელი შემოქმედებითი საქმიანობა მომავალი წლისთვის რაღაც საფუძველს შეგვიქმნის. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს დაახლოებით ოთხი ახალი სპექტაკლის დადგმა. გარდა ამისა, რეპერტუარში გვქონდა ძალიან კარგი სპექტაკლები, რომელიც აღარ გადის. მაისის თვისთვის ვაპირებთ ჩვენი ორი საკმაოდ წარმატებული სპექტაკლის აღდგენას, ესენია შემოკლებით „პუდინგი“ და „ნუგზარი და მეფისოტოფელი“. ცოტა მოვძლიერდებით ამ მხრივ და შემდეგ, თავისთავად, ჩვენს შეთავაზებებსაც რაღაც გარკვეული წონა ექნება. ეს წელი იქნება ჩვენთვის ერთგვარად მოსამზადებელი პერიოდი.
- **რას ნიშნავს თქვენთვის სპონსორობა? კომპანიებთან ხანგრძლივ, პარტნიორულ ურთიერთობას თუ მხოლოდ ფულის შოვნის საშუალებას?**
- რა თქმა უნდა, ფულის შოვნის საშუალებაც არის, ვინაიდან სპონსორობა თავისთავად გულისხმობს, რომ რაღაც თანხა უნდა შემოვიდეს თეატრში ან რაღაც წმინდა შემოქმედებით საქმიანობაში უნდა ჩაიდოს, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის ხანგრძლივი, პარტნიორული ურთიერთობა. არავინ არაფერს ტყუილად არ იძლევა. რა თქმა უნდა, ჩვენც რაღაც უნდა გავიღოთ.
- **რაიმე ვადებზე განსაზღვრული სამოქმედო გეგმა თუ გაქვთ? თუ შეგიმუშავებიათ რაიმე უფრო ხანგრძლივ დროზე გათვლილი სტრატეგია? თუ ეს რაღაც კონკრეტულ ამოცანებთან დაკავშირებული სტრატეგიაა?**
- ჩვენ გვაქვს გარკვეული სტრატეგია შემუშავებული. სპონსორებთან დაკავშირებით, როგორც უკვე გითხარით, ვფიქრობთ მომძლავრებას და ამის შემდეგ უკვე კონკრეტული საქმიანობის განხორციელებას. ეს პერიოდი ჩვენთვის არის სპონსორების არა როგორც დამფინანსებლის მოძიება, არამედ როგორც პარტნიორებისა. მერე უკვე შეიძლება საუბარი იყოს რაღაც კონკრეტულ თანხებსა და ერთობლივ პროექტებზე.
- **როგორ ფიქრობთ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები არის თუ არა საკმარისი თეატრის შემოქმედებითი პროცესის სრულად წარმართვისათვის?**
- წლევანდელ ბიუჯეტზე შემიძლია გითხრათ, სახელმწიფო მაქსიმალურად უდგას თეატრს მხარში. საკმაოდ ნორმალური დაფინანსება აქვს, სადღაც მილიონ 300 ათასი. ჩვენი გეგმების განხორციელებისთვის უფრო მეტი თანხები რომ გვქონდეს, უკეთესია, მაგრამ ჩვენ მადლიერი ვართ იმითაც, რომ შარშანდელთან შედარებით 30 000 გაიზარდა სადადგმო ხარჯი. რაღაც გარკვეული ხარჯები დაგვიმატეს, თუმცა ჩვენს ბიუჯეტში არის ბევრი პუნქტი, რომელიც საერთოდ არ არის ბიუჯეტში გათვალისწინებული და ამ თანხას ჩვენ ვშოულობთ გაყიდული ბილეთების შემოსავლიდან, დარბაზის გაქირავებიდან. ამავე დროს, გვაქვს შენობის ძალიან დიდი პრობლემა, რომელიც არ აკმაყოფილებს არანაირ მოთხოვნებს. ეს შენობა 1953 წელს შევიდა ექსპლუატაციაში, 1984 წელს ჩატარდა კაპიტალური რემონტი. თეატრი არის ძალიან ცუდ დღეში. „ქართუ ჯგუფმა“ გარკვეული ხარჯთაღრიცხვა გააკეთა და ველოდებით პასუხს. მათი გათვლით სარემონტო სამუშაოები 5 მილიონამდე დაჯდება. გვპირდებიან, რომ ეს საკითხი მალე დაიძვრება.
- **თეატრის ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზება რა გზებით ხდება?**
- ბილეთების გაყიდვა, დარბაზის გაქირავება. კოსტიუმების გაქირავება არ ხდება, ვინაიდან თეატრს არ აქვს ისეთი კოსტიუმები, რომლებიც გამოსადეგი იქნება ღონისძიებისთვის. ამავე დროს ჩვენი გარდერობი არის საკმაოდ მოძველებული, რაც ნორმალური კოსტიუმებია, იმათ შენარჩუნებას ვცდილობთ და თეატრიდან არ გაგვაქვს. ეს ჩვენი ერთგვარი კაპიტალია.
- **რაიმე დამატებითი მომსახურება თუ გაქვთ?**
- არა, ძირითადად, ეს არის გაყიდული ბილეთები და დარბაზის გაქირავება. თუმცა თეატრის კოლექტივთან შეთანხმებით უარი ვთქვით თეატრის გაქირავებაზე. ჩვენთან, ხშირად, ტარდება ძალიან ბევრი საბავშვო-ქორეოგრაფიული ფესტივალი, რომელსაც საეჭვო ადამიანები ატარებენ. კი შემოაქვთ რაღაც თანხა, 3000 ლარი, მაგრამ ეს თანხა ჩვენ არ გვიღირს ამად. უამრავი რესურსი იხარჯება, ელექტროენერგია, გათბობა, გაოხრებულია მთელი შენობა. არანაირი მსგავსი ღონისძიებები თეატრში აღარ ჩატარდება, ვინაიდან თეატრი არის სულ სხვა სპეციფიკის დაწესებულება.
- **რა იყო თეატრის ყველაზე დიდი წარმატება მარკეტინგული თვალსაზრისით 2010-2012 წლებში?**
- მესამე თვეა, რაც ჩვენ დავიწყეთ რეგულარულად სპექტაკლების ჩვენება და მაყურებელს რაღაც სტაბილურობის განცდა გაუჩნდა. ბათუმში იცის მაყურებელმა, რომ შაბათ-კვირას შეუძლია თეატრში მობრძანდეს. მე არ ვიტყვი, რომ ეს არის ძალიან დიდი წარმატება, მაგრამ პირველი ნაბიჯი ნამდვილად გადადგმულია.

- **რა პრობლემების წინაშე დგას თეატრი მენეჯმენტის და მარკეტინგის კუთხით?**
- ერთი პრობლემა არის ის, რომ ბათუმელი მაყურებელი არ არის მიჩვეული ბილეთის ყიდვას. ასლან აბაშიძის დროს ხალხი მიეჩვია მოსაწვევებს თეატრში და ეს პროცესი დღესაც გრძელდება და, ამდენად, ყველაზე მეტად რაც გვაღელვებს მენეჯერებს, ისაა, რომ მაყურებელმა შეიძინოს ბილეთი, ბათუმში ეს პროცესი ძალიან რთულად მიმდინარეობს. ჩვენი ძირითადი მაყურებელი უნდა იყოს ახალგაზრდობა. ჩვენთან ბილეთის ფასი მერყეობდა 3-დან 7 ლარამდე, თუმცა ჩამოვიყვანეთ 2-დან 5 ლარამდე. როცა ბილეთის ფასი 3-დან 7 ლარამდე იყო, ჩვენი ანშლაგი შეადგენდა დაახლოებით 2 800 ლარს, როდესაც ფასი მოვაკელით, ჩვენი ანშლაგი შეადგენს 2080 ლარს, ანუ ანშლაგის შემთხვევაში ვიღებთ სულ რაღაც 700 ლარამდე სხვაობას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანს თეატრში მოსვლა მარტო ბილეთის ფასი არ უჯდება. კი, ბატონო, ბილეთის ფასი პარტერში ახლა არის 5 ლარი, ადრე იყო 7. ეს არის ერთი ბილეთის ფასი, მაგრამ მაყურებელს 5 ლარი არ უჯდება თეატრში მოსვლა. მარტო თეატრში იშვიათად თუ ვინმე დადის, ანუ თქვენი ხარჯი უკვე არის 10 ლარი, ასევე, უნდ გავითვალისწინოთ გზის ხარჯი. ადამიანი თეატრში ავტობუსით არ მოდის, ძირითადად, მოდის ტაქსით, ვინაიდან თეატრში წასვლას რაღაც სადღესასწაულო განწყობა ახლავს. შეიძლება არც მოდიოდეს, მაგრამ ეს მაინც უნდა გავითვალისწინოთ. თეატრიდან და თეატრამდე სულ მცირე ტაქსის ღირებულება შეადგენს 3 ლარს, ამ შემთხვევაში უკვე 6 ლარი. ნორმალურია, როდესაც თეატრიდან გადის მაყურებელი და სადღაც ჩამოჯდება, ყავას მიირთმევს. პლიუს 10 ლარი, ეს მთლიანობაში უკვე 26 ლარია. 26 ლარი უკვე ფუფუნებაა. ასე გავთვალეთ მაყურებლის ხარჯი თეატრში მოსასვლელად და ამიტომ დავწიეთ ფასები. სტუდენტებს თუნდაც 2, 3 და 5 ლარის გადახდა უჭირთ. თეატრში ადამიანი უფასოდ არ უნდა შემოვიდეს, მან უნდა გადაიხადოს თუნდაც ძალიან მცირე, სიმბოლური თანხა, მაგრამ უნდა გადაიხადოს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტიში ჩავატარეთ გამოკითხვა და 2000 სტუდენტმა არ იცის თეატრის მდებარეობა. ეს არის კატასტროფა. მოვაწყვეთ საინტერესო აქცია და სტუდენტები პირველად მოვიყვანეთ თეატრში; გაოცებული და აღფრთოვანებული დარჩნენ ამ მისტიკური სამყაროთი.
- **როგორია მაყურებლის ასაკობრივი ზღვარი?**
- ჩვენი ძირითადი მაყურებელი არის სტუდენტობა. ძირითადად, ახალგაზრდობა 20-დან 30 წლამდე, რაც ძალიან სასიამოვნოა. ჩვენ გვყავს ტრადიციული მაყურებელიც, რომელიც ყოველთვის ელოდება ახალ პრემიერას და რაღაც ახალს თეატრში. 90-იანი წლებიდან მოყოლებული თეატრში სიარულის კულტურა მოიშალა, მაგრამ აი ის ძველი მაყურებელი ყოველთვის კითხულობს, როდის გვაქვს წარმოდგენები. ისინი მეტ-ნაკლებად დადიან, მაგრამ ახალგაზრდობას ნელ-ნელა ვაჩვევთ თეატრს. ვმუშაობთ სკოლებთან. ჩვენ ახლახანს მოვიფიქრეთ ასეთი მეთოდი, რომ ჩვენი ხარჯებით დავამზადოთ თეატრის სტენდები, რომელიც იქნება ყველა სკოლაში და მასზე განთავსდება ინფორმაცია ჩვენი თეატრის შესახებ, თავისი ფოტომასალით. ასევე სტენდთან დაიდგმება მომცრო ყუთი, რომელშიც მოსწავლეები თავის სურვილებს, მოსაზრებებს და კითხვებს ჩაყრიან. გაიკვრება ყოველი სპექტაკლის მცირე, ფლაერის ზომის აფიშები. ბავშვებს და პედაგოგებს ექნებათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება თეატრში და ვფიქრობთ, ეს დადებით შედეგს გამოიღებს.
- **ინტერნეტით თუ იყიდება ბილეთები?**
- არა, ასეთი სერვისი არ გვაქვს. ჩვენი ვებგვერდი ძალიან მოძველებულია, უბრალოდ, ვერ გავიმეტეთ ჩვენ თანხები იმისათვის, რომ ის განვაახლოთ. თეატრის წინაშე სხვა უფრო მწვავე პრობლემები დგას. გარდა ამისა, ინტერნეტის ფუნქციას ჩვენი თანამშრომლები ასრულებენ, ფეისბუქით და უშუალო ურთიერთობის სახით ვავრცელებთ ინფორმაციას, თუმცა მომავალ წელს აუცილებლად გვექნება განახლებული ვებგვერდი. ამ ეტაპზე ეს ყველაფერი შეუძლებელია. ამჟამინდელი ინფრასტრუქტურა არ იძლევა ამის საშუალებას. რემონტის შემდეგ წინ შემოსასვლელი იქნება ერთგვარი კლუბი, მესამე სართულზე გვაქვს მუზეუმი და ვფიქრობთ, მის გადმოტანას პირველ სართულზე. მესამე სართულზე არავინ არ ადის, ხშირ შემთხვევაში, ჩვენ პარტერსა და ამფითეატრს ვერ ვავსებთ. ამიტომ პირველ სართულზე გაკეთდება ეს მუზეუმი და სამუშაო დღეებში დილის 10-დან საღამოს 7, 8 სთ-მდე ეს მუზეუმი იქნება ღია არა მარტო მაყურებლისთვის, არამედ ქალაქში ჩამოსული ტურისტებისა და დამსვენებლებისთვის. ვაპირებთ, ასევე, ექსპერიმენტული სცენის გაკეთებას. ასე რომ, სერიოზული რეკონსტრუქცია იგეგმება თეატრში.
- **როგორია თეატრის სამომავლო გეგმები?**
- 2013 წლის გეგმა ასეთია - წინა წლებში ჩვენ ვთამაშობდით მაქსიმუმ 40 სპექტაკლს მთელი წლის განმავლობაში, წელს ვგეგმავთ ვითამაშოთ 100 სპექტაკლი, ანუ სადღაც 2-ჯერ, 3-ჯერ მეტი, ვიდრე ვთამაშობდით. ეს გეგმის მიხედვით, თუმცა ჩვენ ვგეგმავდით თებერვალში გვეთამაშა 8 სპექტაკლი და ვითამაშეთ 10. როცა ვხედავთ, რომ გარკვეული ინტერესი ჩნდება, შაბათ-კვირის გარდა კიდევ ვამატებთ სპექტაკლებს. რაღაც აქციებს ვატარებთ სპექტაკლების სახით. ეს მაჩვენებელი, ვფიქრობ, 2014 წელში 50-ჯერ გაიზრდება. ანუ 2014-ში ჩვენ ვითამაშებთ 150, 160 სპექტაკლს. ჩემი მიზანია, რომ ორშაბათის გარდა, თეატრში ყოველდღე იმართებოდეს სპექტაკლი. ამისი რესურსი, მე მხედველობაში მაქვს როგორც მაყურებლის, ასევე შემოქმედებითი თეატრს ნამდვილად აქვს. ამავე დროს, ეს თეატრის შემოსავალსაც გაზრდის. საუბრის დასაწყისში რომ აღვნიშნეთ სპონსორებზე; ცხადია, როდესაც გამართულია ორგანიზაცია, სპონსორები თავად შეეცდებიან ჩვენს მოძიებას და ჩვენთან თანამშრომლობას და არა პირიქით.

- **საქველმოქმედო აქციებს თუ ატარებს თეატრი?**
- დიახ, ჩვენ წელს გვქონდა ერთი საქველმოქმედო სპექტაკლი მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად. სპექტაკლი გავმართეთ, ანშლაგი იყო და მთლიანი შემოსავალი გადავრიცხეთ მის ფონდში. ამავე დროს, ჩვენ დახმარების ყუთი გვქონდა, იქაც საკმაო თანხა შეგროვდა. ამავე დროს, ბავშვის, რომელსაც ხერხემლის პრობლემა ქონდა, დასახმარებლად გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება. სამი თვის განმავლობაში სამი საქველმოქმედო ღონისძიება ჩავატარეთ. ასევე, ჩვენ გვაქვს შეთანხმება წითელ ჯვართან და ყოველ სპექტაკლზე ვეპატიჟებით მოხუცებს, დაახლოებით 10-15 მოხუცს. ეს ადგილები არასდროს არ იყიდება და სპეციალურად მათთვის არის გამიზნული. ბავშვთა სახლისთვის ვითამაშეთ წარმოდგენა, ასევე ეკლესიის მშენებლობისთვის და თანხა გადავრიცხეთ. თეატრის სახელით გვინდა მოიხატოს ახალი ტაძარი, ერთ-ერთი ფრესკა იქნება ჩვენს სახელზე. ამის თანხა გაიღო თეატრმა. მთლიანობაში თეატრი აქტიურად არის ჩაბმული მსგავს ღონისძიებებში. ხშირად, როდესაც მოდიან საქველმოქმედო ღონისძიების ჩასატარებლად, ჩვენ ვთავაზობთ პარტნიორობას, ან თავად ვატარებთ ღონისძიებას, ან ვართ ქველმოქმედების პარტნიორები და უფასოდ ვუთმობთ დარბაზს.

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ გიორგი თავაძესთან

- **ბატონო გიორგი, ბათუმის თეატრში თქვენი მოღვაწეობა ურთულეს პერიოდს დაემთხვა. ვგულისხმობ მოღვაწეობის საწყის ეტაპს, როდესაც თეატრში შემოქმედებითი ცხოვრება, ფაქტობრივად, გაიყინა, არ არსებობდა რეპერტუარი და მსახიობებიც პროფესიული რეგრესის საფრთხის წინაშე დადგნენ. რამდენად რთული იყო მათთან მუშაობა და იმ შედეგის მიღწევა, რომელიც დღეს გვაქვს?**
- მაშინ, როცა ადამიანი ნებით თუ უნებლიეთ ანებებს თავს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას, ფორმიდან ამოვარდნის საფრთხეც თავისთავად ჩნდება, ეს შეიძლება დაემართოს მუსიკოსსაც და მხატვარსაც. საერთოდ, ხელოვანი ადამიანისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მუდმივი შემოქმედებითი პროცესი. მსახიობის პროფესია იმითაა რთული, რომ გარდა ფიზიკური მონაცემებისა, უნდა ჰქონდეს კარგი ხმა, პლასტიკა და, რაც მთავარია, კარგი მეტყველება, რასაც თეატრში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბათუმის თეატრმა უმოქმედობის რთული პერიოდი გადაიტანა, რამაც გარკვეული დაღი დაატყო მსახიობთა პროფესიონალიზმს, თავიდან ძალიან გამიჭირდა, პირველ სპექტაკლზე უამრავ სირთულეებს შევეჯახეთ, მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი მსახიობები მყავდა დაკავებული. ისინი ვერ ინარჩუნებდნენ იმ სცენურ მონახაზსა და თამაშის სტილს, რომელსაც სარეპეტიციო პროცესში ვაღწევდით. პიესა "საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში" ჩემი და ირაკლი სამსონაძის თანამშრომლობის შედეგია, ეს არ არის ყოფითი, რეალისტური პიესა და უნდა გითხრათ, რომ მსახიობები საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. ძალიან დიდი დრო დაგვჭირდა, რომ მიგვეგნო თამაშის სტილისათვის და, რაც მთავარია, შემდეგ ეს მანერა შეგვენარჩუნებინა. ჩვენდა სასიხარულოდ ამ რთულმა სარეპეტიციო პროცესმა კარგი შედეგი გამოიღო.
- **რეპერტუარის განსაზღვრისას რა ძირითად ფაქტორებს ითვალისწინებთ?**
- ჩემთვის მთავარია თეატრს გააჩნდეს მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი პოზიცია, გამოიკვეთოს, რამდენად ეხმიანება იგი დღევანდელობას. მაყურებლისათვის გასაგები უნდა იყოს, რაზე ესაუბრებიან მას სცენიდან. სპექტაკლებში ყოველთვის ვცდილობთ კონკრეტული იდეის, მხატვრული და თეატრალური ფორმის ხორცშესხმას, კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებზე მეტაფორებითა და სიმბოლოებით საუბარს. თეატრს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ნათელი პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე ისტორიულ, პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე და მაყურებელს, დიდი ილია ჭავჭავაძის მსგავსად, ჭირისუფლის პოზიციიდან ესაუბროს. ვითვალისწინებთ მაყურებლის მოთხოვნასაც. გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მას უფრო კომედიური ჟანრის, თანამედროვე თემაზე შექმნილი სპექტაკლები აინტერესებს, თუმცა ჩვენს სპექტაკლებს ვერ დავარქმევდი მხოლოდ კომედიურებს, აქ ყველა ჟანრი ერთადაა თავმოყრილი და ისინი როგორც კომედიურ, ასევე დრამატულ ელემენტებსაც შეიცავს, მაგალითად: "ნუგზარი და მეფისტოფელი" შესაძლოა თავიდან კომედიური ჩანდეს, მაგრამ იგი ძალიან ტრაგიკული და მკაცრი ფინალით მთავრდება. გასათვალისწინებელია დასის შემოქმედებითი პოტენციალიც. თუკი მხოლოდ იმაზე ვიფიქრებთ, ახლა რა შეგვიძლია, მაშინ შეიძლება ბევრი რამ ვერ გავბედოთ. ჩემი მოღვაწეობის პერიოდი ერთგვარ ეტაპებად მაქვს დაყოფილი და ნელ-ნელა ვცდილობ, გავართულო შემოქმედებითი ამოცანები, კიდევ უფრო ავამაღლო დასის მხატვრული ხარისხი. ახლახან შევეჭიდეთ ისეთი პიესის განხორციელებას, როგორიცაა ბერტოლდ ბრეხტის "სამგროშიანი ოპერა", რომელიც მსახიობისგან განსაკუთრებულ ვოკალურ მონაცემებს მოითხოვს. დასის ნაწილს საკმაოდ კარგი ვოკალური მონაცემები აქვს, განსაკუთრებით – ვაჟებს. დასანანი იქნება, რომ მათი შესაძლებლობები არ გამოვიყენოთ. გოგონებთან საქმე სხვაგვარადაა, მაგრამ თანდათან ამასაც ეშველება...
- **ბატონო გიორგი, აქტიურად თანამშრომლობთ თანამედროვე ქართველ დრამატურგებთან. ხშირად ტექსტის თანაავტორიც ხართ. დღეისათვის რამდენად მნიშვნელოვანია რეჟისორისა და დრამატურგის მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი და ხშირია თუ არა ისეთი ძიებები, მხატვრული ფორმები, სადაც**

სიტყვა კარგავს სემანტიკურ მნიშვნელობასა და პირველად დანიშნულებას?

- ილიამ ძალიან კარგად განსაზღვრა ქართული თეატრის მთავარი დანიშნულებაა, ყოველთვის ქართული სიტყვისა და მწერლობის გვერდით იდგეს. ჯერ ერთი, ქართულ ენაზე ვთამაშობთ და როგორ შეიძლება უგულებელვყოთ ქართული სიტყვა. ვაკეთებთ ექსპერიმენტულ სპექტაკლებს, სადაც სიტყვა მინიმუმამდე დაგვყავს, მაგრამ, ასევე, ქართული სიტყვისა და მწერლობის ნიადაგზე ვქმნით სპექტაკლებს. თეატრმა უნდა განავითაროს ეროვნული დრამატურგია, ამიტომაც ხშირად ვთანამშრომლობთ დრამატურგებთან. გვინდა ძალიან ახლოს იყვნენ თეატრთან, შესანიშნავია, როცა დრამატურგია და რეჟისურა ერთად ეძებს თეატრალური თხრობის ახალ ფორმებს. ერთია, როცა დრამატურგი სახლში ზის და წერს თავისთვის, ხოლო მეორეა, როცა რეჟისორი თავად უკვეთავს პიესას კონკრეტულ თემაზე გარკვეულ მოვლენასთან დაკავშირებით. თეატრის დასთან ახლოს მყოფი დრამატურგი ხშირად საინტერესო თამაშის ხერხსა და დადგმის ფორმასაც გვთავაზობს, რადგან კარგად იცნობს მსახიობებს, რომლებისთვისაც წერს. კარგია, როცა სხვადასხვა თეატრი აწყობს დრამატურგთა კონკურსებს. ბევრი კარგი პიესა იწერება და მჯერა, რომ ახალ თაობაშიც გამოჩნდებიან ნიჭიერი დრამატურგები. მთავარია, რომ პროცესი არ გაყინულა, გრძელდება.

- **თანამედროვე მაყურებელს როგორ შეაფასებთ, რამდენად ადეკვატურად აღიქვამს იმ თეატრალურ ფორმებსა და ხერხებს, რომლებსაც სთავაზობთ?**

- დასანანია, რომ ინტენსიურად ვერ ვთამაშობთ სპექტაკლებს, ამას აქვს გარკვეული ობიექტური მიზეზები, მაგრამ ამჯერად ამ პრობლემებზე არ ვისაუბრებ. დღევანდელი გადასახედიდან ბათუმის თეატრმა მაყურებლის თეატრალური გემოვნების ამაღლება მოახერხა. ჩვენი სპექტაკლები ადვილი აღსაქმელი არ არის და მაყურებლისგან გარკვეულ მომზადებას, თეატრალური ენის ცოდნას მოითხოვს. არის შემთხვევები, როცა ჩვენს სპექტაკლებს ზოგიერთი "პროფესიონალიც" ვერ იგებს... ან არ უნდა, რომ გაიგოს...

- **ხშირად იბეჭდება თეატრმცოდნეთა შეფასებები. როგორ ფიქრობთ, თეატრმცოდნეები რამდენად ობიექტურად აანალიზებენ სპექტაკლს?**

- სპექტაკლებს თეატრმცოდნეებისათვის კი არ ვდგამ, არამედ მაყურებლისათვის. მაყურებლის სახეებს რომ ვაკვირდები, შემიძლია ამოვიკითხო, რას ხვდებიან და რას – ვერა. ჩვენს სპექტაკლებს ბათუმში, უცხოეთსა თუ თუნდაც თბილისში განსხვავებულად აღიქვამენ. კრიტიკოსთა ნაწილი აანალიზებს და სწორად ესმის ჩვენი სპექტაკლები, ხოლო მეორე ნაწილი პრინციპულად არ იღებს თხრობის ასეთ ფორმას. ეს ნორმალური პროცესია, მაგრამ კრიტიკა მაინც ვერ არის საკმარისად ჩართული თეატრების ექსპერიმენტულ პროცესებში. ექსპერიმენტული დადგმები ცოტაა, მაგრამ მაინც არის. სამწუხაროდ, ბევრმა ისეთმა თეატრალურმა კრიტიკოსმა, რომელთა აზრსაც ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს, დაანება წერას თავი...

- **გეგმავთ თუ არა დასის განახლებას?**

- დასში განახლება მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს, ეს თეატრის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო პრინციპია და არასოდეს უნდა შენელდეს. ერთი ახალი ნიჭიერი მსახიობიც რომ მოვიდეს თეატრში, მას შეუძლია თვისობრივად რაღაც ახალი შესძინოს სპექტაკლს. აუცილებელია თანდათან ახალი ძალები შემოვიკრიბოთ და დასი გავაძლიეროთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაყურებელი ყოველთვის სიახლეს მოითხოვს და ჩვენი პროფესიული ვალია, მას იმედები არ გავუცრუოთ.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა:
ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
გამოიკითხა 88 მაყურებელი

მაყურებლებს დაურიგდათ კითხვარები, რომლებიც მოიცავდა შემდეგ კითხვებსა და სავარაუდო პასუხებს:

ხშირად ესწრებით თუ არა სპექტაკლებს?

1. ვნახულობ ყოველ ახალ დადგმას
2. მხოლოდ საინტერესო სპექტაკლებზე
3. ხშირად, ორ - სამ თვეში ერთხელ
4. იშვიათად, წელიწადში ერთი-ორჯერ
5. არ ვყოფილვარ თეატრში სამი წელია

ხშირად თუ არ ხართ თეატრში რატომ?

1. არ მაქვს თავისუფალი დრო
2. შორს ვცხოვრობ
3. ვერ ვყიდულობ ბილეთს
4. არ მაკმაყოფილებს სპექტაკლების დონე
5. არ მიზიდავს თეატრი
6. თეატრში არაფერი ხდება

უმთავრესად რისთვის მიდიხართ თეატრში?
1. გავიგო რაიმე ახალი
2. დასვენებისა და გართობის მიზნით
3. ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორის ნამუშევარი
4. ესთეტიკური სიამოვნებისთვის
5. მეგობრებში თავის მოწონების მიზნით

განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
1. კომედია
2. ფსიქოლოგიური დრამა
3. მელოდრამა
4. ვოდევილი
5. ტრაგიკომედია
6. ტრაგედია
7. მუსიკალური კომედია

რომელი წყაროებიდან იგებთ სპექტაკლის გამართვის შესახებ?
1. სატელევიზიო რეკლამით
2. აფიშით
3. ინტერნეტგამოცემით
4. პრესით
5. რადიოთი

როგორი დრამატურგია გსურთ ნახოთ გაცოცხლებული სცენაზე?
1. თანამედროვე უცხოური
2. თანამედროვე ქართული
3. ისტორიული
4. ქართული კლასიკური რეპერტუარი
5. უცხოური კლასიკა
6. ყველა

რატომ მოხვედით დღეს თეატრში?
1. წაკითხული მქონდა ნაწარმოები
2. მინდოდა მენახა საყვარელი მსახიობების თამაში
3. დამაინტერესა სპექტაკლის თემამ
4. დამაინტერესა პრესამ და ტელევიზიამ
5. მიმიზიდა აფიშამ
6. ნაცნობებმა მირჩიეს მენახა სპექტაკლი
7. მოვხვდი შემთხვევით
8. მაინტერესებდა რეჟისორის ახალი ნამუშევარი
9. სხვაგან არსად მქონდა წასასვლელი

რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?
1. სპექტაკლის პრობლემა და მისი იდეურ-პოლიტიკური მიმართულება
2. ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსი
3. საინტერესო ამბავი
4. მსახიობის ნამუშევარი
5. რეჟისორის ნამუშევარი

როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია?
1. სატელევიზო რეკლამით
2. აფიშით
3. ინტერნეტ გამოცემით
4. პრესით
5. რადიოთი

რამდენად ენდობით თეატრმცოდნის, კრიტიკოსის შეფასებას?
1. ნაწილობრივ ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ)
2. საერთოდ არ ვენდობი
3. მთლიანად ვენდობი (გთხოვთ დაასახელოთ)

რომელი რეჟისორი მოგწონთ ყველაზე მეტად?
1. დაასახელეთ

რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი მსახიობი (ქალი, მამაკაცი) შეგიძლიათ დაასახელოთ სამ-სამი ვარიანტი?
უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულებები? (კაფე, ღამის კლუბი, კარაოკე კლუბი, დისკოთეკა)

1. კი (გთხოვთ მიანიშნოთ ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან)
2. არა
3. სხვა (გთხოვთ მიუთითოთ)

სქესი
ასაკი
განათლება
ქალაქი

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები ბათუმში
გამოიკითხა 88 მაყურებელი

88 გამოკითხულიდან კითხვაზე - ხშირად ესწრებით თუ არა სპექტაკლებს - 40-მა უპასუხა - იშვიათად, 21 გამოკითხული ამბობს, რომ არ ყოფილა თეატრში 3 წელია, 17 გამოკითხული კი მხოლოდ საინტერესო სპექტაკლებზე დადის. მხოლოდ 10 გამოკითხული ამბობს, რომ ხშირად (2-3 თვეში ერთხელ) სტუმრობს ბათუმის თეატრს და 2 გამოკითხული ნახულობს ყოველ ახალ დადგმას.



ამ გამოკითხვამ აჩვენა, რომ, ფაქტობრივად, ბათუმელთა დიდი უმრავლესობა დრამატულ თეატრს არ სტუმრობს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბათუმის თეატრს მაყურებლის პრობლემა აქვს.
საინტერესოა, რა მიზეზს ასახელებს ბათუმელი მაყურებელი, რატომ არ დადის ის თეატრში?!



88 გამოკითხული რესპოდენტიდან 36 თავისუფალი დროის არქონას ასახელებს, 17 - ბილეთის სიძვირეს, ხოლო 14 - სპექტაკლების დონით დაუკმაყოფილებლობას. 5 გამოკითხული ამბობს, რომ თეატრში არაფერი ხდება.
ანონიმურობის მიუხედავად, როგორც ჩანს, რესპოდენტთა უმრავლესობა არ არის გულწრფელი, რადგან ისინი ამბობენ, რომ არ აქვთ თავისუფალი დრო თეატრში მისასვლელად, გამოდის, რომ დიდი უმრავლესობა დასაქმებულია, რაც ჩვენს რეალურ სურათს არ შეეფერება.

კითხვაზე - უმთავრესად რისთვის მიდიხართ თეატრში, შედეგები ასე გამოიყურება:



88 გამოკითხულისგან უმრავლესობა - 38 რესპოდენტი ამბობს, რომ ესთეტიკური სიამოვნებისთვის, 29 - დასვენებისა და გართობის მიზნით, ხოლო 26 საყვარელი მსახიობისა და რეჟისორის ახალი ნამუშევრის

სანახავად. ეს გამოკითხვა ავლენს იმას, რომ მაყურებელს ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად სურს თეატრში მისულმა განიცადოს და, ამავდროულად, მიიღოს ახალი ინფორმაცია.
რაც შეეხება ჟანრებს, თუ რომელი ჟანრისკენ იხრება მაყურებლის ინტერესი:



გამოკითხული 88 მაყურებლიდან 40 ამბობს, რომ კომედიური ჟანრის სპექტაკლები მოსწონს, 29 - რესპოდენტს კი ფსიქოლოგიური დრამა, 25-ს - მელოდრამა, 18-ს -მუსიკალური კომედია. ეს შედეგები ადასტურებს იმას, რომ მაყურებელი თანამედროვე თეატრისაგან ელის ესთეტიკურ სიამოვნებას და გართობას. სწორედ ამიტომაც სურთ იხილონ კომედია, მელოდრამა (სერიალების ეპოქაში ლოგიკური არჩევანია მაყურებლის მხრიდან), მუსიკალური კომედია. რაც შეეხება კომედიისაგან რადიკალურად დაშორებულ და განსხვავებულ ჟანრს - ფსიქოლოგიურ დრამას: ქართველი მაყურებლის რადიკალიზმი ამ გამოკითხვითაც ვლინდება. კომედიასთან ერთად მას ფსიქოლოგიური დრამაც მოსწონს.
მარკეტინგული კვლევისთვის, ალბათ, თეატრისთვის საინტერესო იქნება თუ რომელი წყაროებიდან იგებს მაყურებელი სპექტაკლის შესახებ:



დიდი უმრავლესობა 51 გამოკითხული ამბობს, რომ აფიშის საშუალებით, ხოლო 41 სატელევიზიო რეკლამით, ხოლო 16 ინტერნეტით. როგორც ჩანს, ბათუმში ჯერ კიდევ აქტიურია სააფიშო სისტემა, ისე როგორც სატელევიზიო რეკლამა, თუმცა ისეთი ტიპის ქალაქში, როგორიც ბათუმია, რეიტინგი ინტერნეტსაშუალებებს უფრო უნდა ჰქონოდა, რადგანაც თეატრის მაყურებელის უმრავლესობა სწორედ ინტერნეტის მომხმარებელია.

თუ როგორი ტიპის დრამატურგიაზეა მაყურებლის მოთხოვნა ამას შემდეგი დიაგრამიდან გავიგებთ:



მაყურებლის უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს რეპერტუარის მრავალფეროვნებას, ამის დასტურია 36 პასუხი, რომელსაც ჩამოთვლილთაგან სურს ყველა ტიპის დრამატურგიის ხილვა სცენაზე. მეორე ადგილს (23 ხმა) იკავებს ქართული კლასიკა, ხოლო მესამეს 21 ხმით თანამედროვე ქართული დრამატურგია. საკმაო მოთხოვნაა ისტორიული ჟანრის, უცხოური კლასიკისა და თანამედროვე უცხოური დრამატურგიის მიმართაც.

კითხვაზე - რატომ მოხვედით დღეს თეატრში? - ხმები შემდგენაირად გადანაწილდა:

27 მაყურებელი ამბობს, რომ აინტერესებს სპექტაკლის თემა, რაც ნიშნავს იმას, რომ მაყურებელი არ იცნობს დრამატურგიას, რომელსაც თეატრი სთავაზობს, 14-14 ხმა დააგორვა პასუხებმა: მინდოდა მენახა მსახიობების თამაში და ნაცნობებმა მირჩიეს მენახა სპექტაკლი. როგორც ჩანს, ბათუმში კარგად მუშაობს ყველაზე ეფექტური რეკლამის სახე - ინფორმაციის ზეპირი გავრცელება - ე. წ. ჭორი.

კითხვაზე - რა არის თქვენთვის მთავარი სპექტაკლში, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:



გამოკითხულთაგან უმრავლესობა (39 რესპოდენტი) თვლის, რომ მისთვის მთავარი სპექტაკლში ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსია, ხოლო 24-ისთვის რეჟისორის ნამუშევარი, 22-22 ხმა დააგროვა პასუხმა: საინტერესო ამბავი და მსახიობის ნამუშევარი. სხვათა შორის, საგრძნობლად რეიტინგულია ბათუმელი მაყურებლისთვის სპექტაკლის პოლიტიკური მოტივიც.

რა საშუალებებით უნდა შეიტყოს მაყურებელმა სპექტაკლის გამართვის შესახებ, შედეგები ასე გამოიყურება:



56 ხმა - სატელევიზიო რეკლამა;
48 ხმა - აფიშა;
30 ხმა - ინტერნეტი;
11 ხმა - პრესა;
7 ხმა - რადიო;

კითხვაზე თუ რამდენად ენდობიან თეატრმცოდნის, ან კრიტიკოსის შეფასებას სპექტაკლზე, მაყურებელმა ასე უპასუხა:



9 გამოკითხული მთლიანად ენდობა
17 გამოკითხული საერთოდ არ ენდობა
51 გამოკითხული კი ნაწილობრივ ენდობა კრიტიკოსის შეფასებებს.
კითხვაზე, დაასახელებთ თუ არა რომელიმე თეატრმცოდნეს ან კრიტიკოსს, 88 გამოკითხულიდან დასახელდა: ნიკა წულუკიძე 3-ჯერ; ლაშა ჩხარტიშვილი 3-ჯერ; ვასილ კიკნაძე 2-ჯერ; თამარ კიკნაველიძე 2-ჯერ;
შეკითხვაზე „ვინ არის თქვენი საყვარელი მსახიობი?“ დასახელდნენ:

1. კახი კავსაძე 17-ჯერ
2. მარინა კახიანი 12-ჯერ
3. ზურაბ ყიფშიძე 9-ჯერ
4. გივი ბერიკაშვილი 6-ჯერ
5. **ნინო საკანდელიძე 5-ჯერ**
6. **მანუჩარ შერვაშიძე 5-ჯერ**
7. რუსკა მაყაშვილი 5-ჯერ
8. **ოთარ ქათამაძე 4-ჯერ**
9. **ტიტე კომახიძე 4-ჯერ**
10. დუტა სხრიტლაძე 3-ჯერ
11. ჟანრი ლოლაშვილი 3-ჯერ
12. თენგიზ არჩვაძე 3-ჯერ
13. ზაზა გოგუაძე 2-ჯერ
14. გიორგი ყიფშიძე 2-ჯერ
15. ეკა ნიჟარაძე 2-ჯერ
16. გიორგი ვარდოსანიძე 2-ჯერ
17. ზაზა პაპუაშვილი 2-ჯერ
18. ბაია დვალიშვილი 2-ჯერ
19. **თამარ სულხანიშვილი 2-ჯერ**
20. **დავით წერეთელი 2-ჯერ**
21. **ავთანდილ ქარჩავა 2-ჯერ**

იური ცანავა
ლია აბულაძე
მარინა ბურდული
დავით ჯაყელი
ნინელი ჭანკვეტაძე
თათული დოლიძე
გიორგი ზანგური
ნინო ბურდული
დათო კვირცხალია

ჯემალ ღაღანიძე
აკაკი სვანაძე
ია ნინიძე
ნუნუ ხინიკაძე
შორენა ბეგაშვილი
ია სუხიტაშვილი
ნინო კასრაძე
ჯაბა კილაძე
მარინა ჯანაშია
ზურაბ ცინცქილაძე

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მსახიობებიდან ყველაზე მეტჯერ დასახელდნენ ნინო საკანდელიძე და მანუჩარ შერვაშიძე 5-5 ხმით, 4-4 ხმა გადაინაწილეს ტიტე კომახიძემ და ოთარ ქათამაძემ. ერთზე მეტჯერ ადგილობრივი მსახიობებიდან, ასევე, დასახელდნენ: თამარ სულხანიშვილი, ავთანდილ ქარჩავა და დავით წერეთელი.

რაც შეეხება რეჟისორებს: ლიდერის პოზიციები ბათუმში რობერტ სტურუას (33 ხმა), ლევან წულაძეს (22 ხმა) და დავით დოიაშვილს (14 ხმა) უჭირავს. მას მოსდევს 14 ხმით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი თავაძე.



კითხვაზე უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გართობისა და დასვენების სხვა კერა, ბათუმელ მაყურებელთა დიდმა ნაწილმა ნახევარმა უპასუხა „დიახ“, შესაბამისად, მეორე ნახევარი წინააღმდეგია თეატრში სხვა რაიმე გასართობი დაწესებულების გახსნისა. საინტერესოა, თუ რა იგულისხმება გასართობ დაწესებულებაში მაყურებლის აზრით:



41 მაყურებელი თვლის, რომ შესაძლებელია თეატრში კაფის გახსნა, 7 უპირატესობას ღამის კლუბს ანიჭებს, ხოლო 3-3 დისკოთეკასა და კარაოკე კლუბს.

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

მოკლე ისტორია

ბათუმში თოჯინების თეატრის არსებობა სათავეს XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს. ასეთი ტიპის თეატრი ,,ტიკინების თეატრის" – სახელწოდებით აჭარაში 1936 წელს გაიხსნა, მანამდე ბათუმში არსებობდა თოჯინების მოყვარულთა თვითმოქმედი თეატრი, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა ბათუმის თოჯინების პროფესიული თეატრი.

ბათუმში თოჯინების თეატრის დაარსების იდეა წარმოიშვა მოსკოვში, სტალინთან ქართული თეატრის მოღვაწეების შეხვედრისას. ამ დელეგაციაში შედიოდნენ ცნობილი მსახიობი: თამარ ჭავჭავაძე და დრამატურგი მიხეილ ნიორაძე, რომლებიც იმხანად ბათუმის დრამატულ თეატრში მოღვაწეობდნენ. სწორედ მათ დასვეს საკითხი ბათუმში თოჯინების თეატრის დაარსებისა. მათ გამოსვლას მოჰყვა რეაგირება შესაბამისი ორგანოების მხრიდან და 1936 წლის 20 ივლისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბათუმის თოჯინების თეატრი. პირველი სპექტაკლი ,,კაკოს ოინები" – წარმოდგენილი იქნა თეატრის გახსნის დღეს, რომელიც დადგა ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა გრიგოლ კოსტავამ.

ბათუმში მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იყო თოჯინების თეატრის გახსნა, რომელსაც მოწონებითა და ინტერესით შეხვდა აქაური საზოგადოება. პრესა აღფრთოვანებული იყო პირველი თოჯინური სპექტაკლით. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარისტანი" (1936.№200) წერდა: „ახლო წარსულში ჩამოყალიბებულმა ტიკინების თეატრმა დიდი კულტურულ-თეატრალური მსახურება გაუწია მრავალრიცხოვან მოწაფეობას, მათ შესანიშნავი წარმოდგენა დადგეს, რომელმაც ბავშვებზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა".

ბათუმის თეატრის დასში იმთავითვე ირიცხებოდნენ პროფესიონალი ხელოვანები. რეჟისორებად აქ მუშაობდნენ გრიგოლ კოსტავა და კოწო (კონსტანტინე დოღონაძე), სპექტაკლებისთვის მუსიკას წერდა ვლადიმერ კორშონი, მხატვრად ივან ეფრემოვი და ოლეგ ერომირი. (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თოჯინებს ადგილზე ამზადებდნენ). დასში მსახიობებად ირიცხებოდნენ: ოლღა ჩხიკვიშვილი, ტასო შარაშიძე, თამარ თავდიშვილი, ლუიზა ანჯელო, გალია ბულგაკოვა, ეკატერინე რალცევიჩი, შალვა ხორავა და სხვები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბათუმის თოჯინების თეატრში მუშაობდა ორენოვანი სექცია. სპექტაკლები წარმოდგენილი იყო ქართულ და რუსულ ენებზე. ახლად დაარსებული თოჯინების თეატრის რეპერტუარი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. ორი წლის განმავლობაში აქ დაიდგა შემდეგი სპექტაკლები: ,,კაკოს ოინები", ,,პატარა ჯემალი", ,,ცოდვები", ,,ჯადოსნური სატუცავი", ,,კაცია-ადამინი?!, ,,ჯადოსნური ფლეიტა", ,,სამი გოჭი". ამ სპექტაკლების წარმატებამ შორს გაუთქვა სახელი პატარა თეატრს. ამას მოწმობს მოსკოვიდან გამოგზავნილი წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ საბჭოთა კავშირის კულტურის კომისარი ი. რუმიანცევი და საბჭოთა კავშირის თოჯინების თეატრების მეთოდისტი მალინივსკაია. წერილში ნათქვამია: ,,თქვენ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი წარმატებული თოჯინების თეატრის კოლექტივი ხართ, თეატრალური კომბინატი, რომელიც გაეცნო თქვენს წარმატებულ მუშაობას, დიდი მუშაობის გამოცდილების წყალობით შეგიძლიათ რეკომენდაცია გაუწიოთ მუშაობაში თქვენთან ახლომდებარე რეგიონებსაც, რათა დააარსოთ თოჯინების თეატრები.ბათუმის თოჯინების თეატრს დიდ დახმარებას უწევდა ,,სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება", რომელსაც მეთაურობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე მემედ აბაშიძე. სწორედ ეს ფაქტი გახდა მიზეზი 1938 წელს თეატრის დახურვისა.

თეატრის ისტორიაში ტრაგიკული ფურცელი გადაიშალა, იგი დაიხურა პოლიტიკურ ნიადაგზე. სალიკვიდაციო კომისიის დასკვნაში ნათქვამია: ,,თეატრის რეჟისორმა კოწო დოღონაძემ სწორედ ის ადგილები დატოვა უცვლელად, რომელიც ანტისაბჭოთა, კონტრევოლუციურ აზრებს შეიცავდნენ, აგრეთვე ყოველგვარი ნებართვის გარეშე განახორციელა პიესის ,,მეტი სიფხიზლე" დადგმა. ბათუმში თოჯინების თეატრს თითქმის ოცი წლის მანძილზე შეწყვეტილი ჰქონდა ფუნქციონირება.

1980 წლამდე, ვიდრე ბათუმში თოჯინების სახელმწიფო თეატრი გაიხსნებოდა, აჭარის მასწავლებელთა სახლის ბაზაზე იდგმებოდა თოჯინური სპექტაკლები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ ბათუმის ილიაჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები. 1980 წლიდან ბათუმში ფუნქციონირებას იწყებს მუდმივმოქმედი თოჯინების სახელმწიფო თეატრი. თბილისში, თეატრალურ ინსტიტუტში, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გივი სარჩიმელიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გაიხსნა თოჯინების თეატრის მსახიობებისა და რეჟისორების მიზნობრივი ჯგუფი, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა ბათუმის პროფესიული თოჯინების თეატრი. ამ ჯგუფის პირველი რეჟისორები და მსახიობები იყვნენ: თამაზ ბოლქვაძე, მანანა ხელაია, მანანა გოგიტიძე, ნინო ანთიძე, გოგა ხიჩინაშვილი, თამახ ჩახვაძე, დათო ქებულაძე. თეატრის მთავარ რეჟისორად დაინიშნა გივი სარჩიმელიძე, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ თეატრს. პირველი სპექტაკლი მ. ხეთაგურის ,,ხეტიალა“ დიდხანს იყო რეპერტუარში. წლების განმავლობაში ბათუმის თოჯინების თეატრი მონაწილეობას იღებდა არაერთ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალსა და კონკურსში და წარმატებებსაც აღწევდა, მათ შორის: ბულგარეთში, უნგრეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში, უკრაინაში.

ბათუმის თოჯინების თეატრში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი მხატვრები: ნინო ნიჟარაძე, ანტონ ფილიპოვი, ბესიკ კალანდაძე, კობა ხოფერია, შადიმან ჭავჭავაძე, გელა ჭელიძე, მარინა ფრანგიშვილი, გია გოგიტიძე. თეატრის მუსიკალურ ნაწილს ხელმძღვანელობდნენ: სოსო ბარდანაშვილი, ალექსანდრე ოჩიგავა, თენგიზ შამილაძე, მინდია ხითარიშვილი. თეატრს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: გივი სარჩიმელიძე რეზო გელაძე, თამაზ ბოლქვაძე, ეთერ თავართქილაძე. სწორედ ეთერ თავართქილაძის სახელთან არის დაკავშირებული ამ თეატრში სპექტაკლების ცოცხალ პლანში დადგმა.

1993 წელს ეთერ თავართქილაძის მიერ დადგმულმა ე. შვარცის ,,არაჩვეულებრივმა კონკიამ” მისცა ბიძგი მსახიობებს ემუშავათ სხვა ჟანრში. რაც შემდგომ წლებში გახდა საფუძველი ბათუმის თოჯინების თეატრის ბაზაზე მოზარდ მაყურებელთა თეატრის დაარსებისა. ამ მნიშვნელოვან და ისტორიულ ფაქტს წინ უსწრებდა ეთერ თავართქილაძის მიერვე დადგმული თ. მეტრეველის ,,ფიფქია და შვიდი ჯუჯა” და გ. ნახუცრიშვილის ,,ათას ერთი ღამის ზღაპარი”. სწორედ ამ სპექტაკლით გაიხსნა ახალი თეატრი ბათუმში.

მოზარდ მაყურებელთა თეატრმა განახორციელა მნიშვნელოვანი დადგმები: ვაჟა-ფშაველას ,,შენ რომ სხვა მაჰკლა, შენც მაგკვლენ” (,,ალუდა ქეთელაურისა” და ,,სტუმარ-მასპინძლის“ მიხედვით), თ. ჭილაძის ,,ბუდე მეცხრე სართულზე” და ,,ნოეს კიდობანი”. ამ დადგმების ავტორია ეთერ თავართქილაძე.

2007 წელს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა თავის ერთგულ პატარა მაყურებელს ორი პრემიერა გრიგოლ ოსტერის „მოკითხვა მაიმუნს“ და ედუარდ უსპენსკის “ნიანგი გენა და მისი მეგობრები” უჩვენა. ორივე სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ზურაბ ცინცაძე. 2007 წელს შესაძლებელი გახდა ორი სპექტაკლის აღდგენა. 25 სექტემბერს გაიმართა პრემიერა ვახტანგ ახვლედიანის სპექტაკლისა “მეგობრობის ძალა” (რეჟისორი თამაზ ბოლქვაძე), ხოლო ავთო დიასამიძემ აღადგინა მაყურებლის საყვარელი სპექტაკლი “ოქროს წიწილა”. გარდა ამისა, თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში შედგა საახალწლო სპექტაკლის დალი თედორაძის “ჯადოსნური ვარკვლავის” პრემიერა. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო და ქართული თეატრის დღეებთან დაკავშირებით ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში მოეწყო არაერთი საქველმოქმედო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც ესწრებოდნენ მახინჯაურის, ურეკის და სავანეს ბავშვთა სახლების აღსაზრდელები. პატარა მაყურებლებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.
2007 წლის 13 დეკემბერს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში ჩატარდა აჭარის დამსახურებული არტისტის, თოჯინის ტარების ოსტატის, თენგიზ სარდანაშვილის, შემოქმედებითი საღამო – “ოცდაათი წელი სცენაზე”. თეატრის ფოიეში მოეწყო მსახიობების ცხოვრების და შემოქმედების ამსახველი ფოტო გამოფენა.
ახალი, სარეპერტუარო და აღდგენილი სპექტაკლებისათვის სისტემატურად იბეჭდება მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული მხატვრული აფიშები, ხოლო საპრემიერო კვირეულში თეატრის ფოიეში ეწყობა სპექტაკლზე მუშაობის პერიოდის ამსახველი ფოტო გამოფენა, რითაც მაყურებელი ეცნობა არა მხოლოდ მსახიობებს, არამედ მთელ დამდგმელ ჯგუფს.

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრს რამდენიმე წელია, რაც ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. თეატრის მმართველად დაინიშნა მედეა

ჩარკვიანი. თეატრში წარმოქმნილი გაუთავებელი კონფლიქტების ფონზე თეატრს არ შეუწყვეტია მუშაობა, პირიქით, – დგამდა ახალ სპექტაკლებს. თეატრის შემოქმედებით კურსს უძღვება რეჟისორი ზურაბ ცინცაძე, რომელიც გამოირჩევა განსხვავებული ხელწერით. მისი შემოქმედება და სარეპერტუარო პოლიტიკა თეატრში მრავალფეროვანია. ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა მაყურებელთა რაოდენობამ, არა მარტო აჭარის რაიონებიდან, არამედ გურიის და იმერეთის რეგიონებიდანაც. თეატრის ხელმძღვანელების ძალისხმევით განახლდა დასი. თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის დასი შეივსო ახალგაზრდა, პროფესიონალი კადრებით, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. თეატრში უფროს თაობასთან თამაზ ჩახვაძესთან, კობა ფაცურიასთან, ია გოგიბერიძესთან, მანანა გოგიტიძესთან, ნინო დავითაშვილთან, ქეთი სამხარაძესთან, ირმა მგელაძესთან, გურანდა თოდრიასთან ერთად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევიან ახალგაზრდები: სოფო ცინცაძე, ალეკო გაბაიძე, დიმიტრი მელია, ეკატერინე გვარამია, ლევან მიდილიში, თამარ მახარაძე, მერი დიასამიძე, ვანო მაღლაკელიძე, მინდია ჩოხარაძე და სხვები.

თეატრის შენობა:

შენობა, რომელშიც ამჟამად ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასია განთავსებული, ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური არქიტექტურული ძეგლია არა მხოლოდ ბათუმში, არამედ მთელ საქართველოში. ამის გამო, მას მინიჭებული აქვს კულტურის ეროვნული ძეგლის სტატუსი. სამწუხაროდ, სხვადასხვა მეცნიერის კვლევის მიუხედავად, დღემდე დაუდგენელია ამ შენობის არქიტექტორის ვინაობა და მისი აგების კონკრეტული თარიღი. გადმოცემით ცნობილია, რომ ეს შენობა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ეკუთვნოდა ვინმე ბერძენ ექიმს, რომელიც სახლში იღებდა პაციენტებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1924 წლიდან, შენობა გადაეცა აჭარის მასწავლებელთა სახლს, ხოლო 2011 წელს - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრს. მანამდე საბავშვო თეატრს ბათუმში საკუთარი შენობა არ გააჩნდა. 2012 წელს დაიწყო მისი რეაბილიტაცია, ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები და, ფაქტობრივად, ხელახლა აშენდა თეატრის ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი შენობა.

თეატრის დასახელება - სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი
დაარსების წელი - 1936 წელი
თეატრის იურიდიული ფორმა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები:
მმართველი - მედეა ჩარკვიანი
სამხატვრო ხელმძღვანელი - ზურაბ ცინცაძე
თეატრის ელ. ფოსტა - shgogichaishvili@yahoo.com
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა - medeacharkviani@gmail.com
ვებგვერდის მისამართი - www.puppet-show.org
თეატრის მისამართი - მემედ აბაშიძის 49
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 65
ამათგან
მსახიობთა რაოდენობა 19
შემოქმედებითი პერსონალი 10
ტექნიკური პერსონალი 28
ადმინისტრაცია 8

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010		341 400		
2011		423 100		
2012		1 787 500		

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან:
2010 წელი 45205 ლარი
2011 წელი 29853 ლარი
2012 წელი 30859 ლარი

2010-2012 წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი, წლების მიხედვით)

2010 წელს შედგა 142 წარმოდგენა
ფიფქიას საახალწლო სიურპრიზი 6-ჯერ
სამი გოჭი 8-ჯერ
ოქროს წიწილა 7-ჯერ
ნიანგი გენა და მისი მეგობრები 3-ჯერ
მოკითხვა მაიმუნს 6-ჯერ
ბრემენელი მუსიკოსები 5-ჯერ
მეგობრობის ძალა 7-ჯერ
მოჯადოებული ფერია 50-ჯერ
არგონავტები 1-ჯერ
რკინის გული 16-ჯერ
წუნა და წრუწუნა 27-ჯერ
მზეთუნახავი და ურჩხული 6-ჯერ

2011 წელს შედგა 123 წარმოდგენა
ბურატინოს საახალწლო თავგადასავალი 5-ჯერ
ოქროს წიწილა 10-ჯერ
მოკითხვა მაიმუნს 7-ჯერ
სამი გოჭი 11-ჯერ
ნიანგი გენა და მისი მეგობრები 3-ჯერ
მეგობრობის ძალა 7-ჯერ
წუნა და წრუწუნა 18-ჯერ
მზეთუნახავი და ურჩხული 14-ჯერ
ფერადი ნისლების სანაპირო 21-ჯერ
რკინის გული 8-ჯერ
მოჯადოებული ფერია 9-ჯერ
არგონავტები 7-ჯერ
ბრემენელი მუსიკოსები 1-ჯერ
ნუნუ მასწავლებელი ჯოჯოხეთში 2-ჯერ

2012 წელს შედგა 142 წარმოდგენა
მოკითხვა მაიმუნს 2-ჯერ
სამი გოჭი 11-ჯერ
დედობილი 64-ჯერ
ბრემენელი მუსიკოსები 6-ჯერ
ფერადი ნისლების სანაპირო 10-ჯერ
ბატის ჭუკი 7-ჯერ
ოქროს წიწილა 10-ჯერ
მზეთუნახავი და ურჩხული 15-ჯერ
წუნა და წრუწუნა 13-ჯერ
საახალწლო დღესასწაული 4-ჯერ

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წელს - 162 სპექტაკლი
2011 წელს - 155 სპექტაკლი
2012 წელს - 158 სპექტაკლი

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელს - 16 500 მაყურებელი
2011 წელს - 17 000 მაყურებელი
2012 წელს - 16 300 მაყურებელი

ბილეთის ტარიფები 2-6 ლარი
რა უჯდება თეატრს საშუალოდ ახალი სპექტაკლის დადგმა 8 000 - 10 000 ლარი
რა უჯდება საშუალოდ თეატრს სპექტაკლის აღდგენა 1 000 - 2 500 ლარი
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი 1500 ლარი
მოწვეული მსახიობის ჰონორარი 500 ლარი

მსახიობის საშუალო ხელფასი - უმაღლესი - 700 ლარი, უმდაბლესი - 550 ლარი
თეატრი გასტროლებზე 2010-2012 წლებში:
რა უჯდება საშუალოდ თეატრს გასტროლებზე გასვლა:
ქვეყნის შიგნით 1 500 - 2 000 ლარი
საზღვარგარეთ 8 000 – 10 000 ლარი
თეატრი გასტროლებზე 2010-2012 წლებში:
ქვეყნის შიგნით: თბილისი, ქობულეთი, ქედა, შუახევი, ხულო
ქვეყნის გარეთ: ულანჯაკი (თურქეთი), მინსკი (ბელორუსია), ვარნა (ბულგარეთი)
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით - საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელი (GRTN)
ქვეყნის გარეთ - UNIMA წევრი
თეატრის მონაწილეობა ფესტივალებში:
2011 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით, ბათუმის თოჯინების თეატრი გასტროლით ბულგარეთის ქალაქ ვარნაში იმყოფებოდა და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ერთად, საერთაშორისო ფესტივალ "ოქროს დელფინში" ღებულობდა მონაწილეობას. ფესტივალით გათვალისწინებულ პრიზებს შორის საქართველოს (ანუ ბათუმის თოჯინების თეატრს) საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისთვის გადაეცა ჯილდო. (კომპოზიტორი მინდია ხითარიშვილი).

2012 წლის 8 – 13 მაისის ჩათვლით ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი მიწვეული გახლდათ თურქეთის ქალაქ ბულანჯაკში, ბულანჯაკის თეატრის საიუბილეო კვირეულში. თეატრმა სპექტაკლი „წუნა და წრუწუნა" წარუდგინა მაყურებელს.

2012 წლის 1-7 ივლისს თეატრმა მონაწილეობა მიიღო მინსკში (ბელორუსია) გამართულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში „თეატრალური კუფარი" ირაკლი გოგიას სპექტაკლით „ფერფლის პლანეტა".

მასპინძლობდა:
რუსთაველის თეატრს, შიშველ თეატრს (თბილისი), ქუთაისის თოჯინების თეატრს, მულტი-პულტის სამყაროს თეატრს (თბილისი), სახალხო თეატრების ეროვნულ ფესტივალს
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - არა
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის ან პიარსამსახურის მენეჯერი - დიახ
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება - დიახ
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი:
ყველაზე ახალგაზრდა 26 წლის
ყველაზე ხანდაზმული 50 წლის

თეატრში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
აჭარის თეატრალური საზოგადოების პრემია: ქეთევან სამხარაძე, გელა გელაძე (ბოლო წლებში განხორციელებული როლებისთვის)

შენობის შესაძლებლობები

აქვს თუ არა ფოიე - საგამოფენო სივრცე - აქვს
საკონფერენციო - არა
ბუფეტი - არა
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - კი
ტექნიკური აღჭურვა
განათება - ლედი პარი 26; პროფესიული პროჟექტორი 6, პარი 64-8, მოტრიალე თავი 4; თორმეტ არხიანი დიმერი 1, პულტი DMX X 512, კვამლის აპარატი 1, სტრობისკოპი 1,
გახმოვანება - დინამიკი 12, ხმის გამაძლიერებელი 5, მიკროფონი 8. პულტი+მიქშერი 1, მინი დისკის გამშვები 1, DVD გამშვები 1.
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა 150 ადგილი

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე 8 მეტრი
სცენის სიგანე 8 მეტრი
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 6 მეტრი

იატაკიდან გამოყენებამდე 3, 5 მეტრი
სარკის სიგანე 6 მეტრი
სარკის სიმაღლე 3, 4 მეტრი
სცენის წრის დიამეტრი 4 მეტრი
სცენის მარჯვენა ჯიბე 1, 2 მეტრი
სცენის მარცხენა ჯიბე 1, 2 მეტრი
შტანგეტების რაოდენობა 5
შტანგეტებს შორის ინტერვალი 0, 8 მეტრი
სოფიტების რაოდენობა 2

რეპერტუარი 2010-2012 წწ.

სპექტაკლის დასახელება: „დედობილი“
ინსცენირების ავტორი - კობა ფაცურია
რეჟისორი - ზურაბ ცინცაძე
მხატვარი - გიორგი გოგიტიძე
კომპოზიტორი - გიული კუბლაშვილი
სიმღერების ტექსტის ავტორი - ნინო დავითაშვილი
მონაწილეობენ: ნინო დავითაშვილი, მანანა გოგიტიძე, გურანდა თოდრია, მინდია ჩოხარაძე, კობა ფაცურია, ლევან მიდილიში.

სპექტაკლის დასახელება „დედილო კურაჟი და მისი შვილები“
პიესის ავტორი - ბერტოლდ ბრეხტი
რეჟისორი - ზურაბ ცინცაძე
მხატვარი - მარინა ფრანგიშვილი
თოჯინების ავტორი და მექანიზმების ოსტატი - გიორგი გოგიტიძე
კომპოზიტორი - მინდია ხითარიშვილი
სიმღერების ტექსტის ავტორი - დალი თედორაძე
მონაწილეობენ: ნინო დავითაშვილი, მერი დიასამიძე, ვანო მაღლაკელიძე, მინდია ჩოხარაძე, დიმიტრი მელია, მანანა გოგიტიძე, კობა ფაცურია.

სპექტაკლის დასახელება „წუნა და წრუწუნა“
ინსცენირების ავტორი - ელენე მაცხონაშვილი
რეჟისორი - ელენე მაცხონაშვილი
მხატვარი - მარინა ფრანგიშვილი
კომპოზიტორი - მინდია ხითარიშვილი
სიმღერების ტექსტის ავტორი - დალი თედორაძე
მონაწილეობენ: კობა ფაცურია, ვანო მაღლაკელიძე, მანანა გოგიტიძე, დიმიტრი მელია, ქეთევან სამხარაძე, თამაზ ჩახვაძე, გელა გელაძე, ალექსანდრე გაბაიძე.

სპექტაკლის დასახელება „ჯადოსნური ნატვრისთვალი“
ინსცენირების ავტორი - დალი თედორაძე
რეჟისორი - კობა ფაცურია
მხატვარი - მარინა ფრანგიშვილი
მუსიკალური გამფორმებელი - ირმა გოგელია
ქორეოგრაფი - გია ფარტენაძე
მონაწილეობენ: ანრი ჩაგუნავა, მერი დიასამიძე, ეკატერინე გვარამია, თამარ მახარაძე, მინდია ჩოხარაძე, ლევან მიდილიში, დიმიტრი მელია, თამაზ ჩახვაძე, გელა გელაძე, ალექსანდრე გაბაიძე.

სპექტაკლის დასახელება „ბრიყვი და ხელმწიფე“
პიესის ავტორი - დავით ჩაჩიბაია, დავით მაცხონაშვილი
რეჟისორი - დავით მაცხონაშვილი
მხატვარი - მარინა ფრანგიშვილი
კომპოზიტორი - შალვა მაცხონაშვილი
მუსიკალური პროდიუსერი - ირმა გოგელია
მონაწილეობენ: ქეთევან სამხარაძე, დიმიტრი მელია, ალექსანდრე გაბაიძე, ლევან მიდილიში, თამუნა მახარაძე, მერი დიასამიძე, ირმა მგელაძე, გურანდა თოდრია, მინდია ჩოხარაძე, ვანო მაღლაკელიძე, გელა გელაძე.

სპექტაკლის დასახელება „ფერფლის პლანეტა“ (აუშვიცი)
პიესის ავტორი - დევიდ ზონ მაიროვიცი

რეჟისორი - ირაკლი გოგია
მონაწილეობენ: დიმიტრი მელია, თამარ მახარაძე.

სპექტაკლის დასახელება "მოჯადოებული ფერია"
რეჟისორი - ნინო დავითაშვილი
მხატვარი - მარინა ფრანგიშვილი
კომპოზიტორი - მინდია ხითარიშვილი
მონაწილეობენ: სოფიო ცინცაძე, ვანო მაღლაკელიძე, ლევან მიდილიში, ირმა მგელაძე, თამარ მახარაძე, ალექსანდრე გაბაიძე, გელა გელაძე.

სპექტაკლის დასახელება „ოცნებების გზაჯვარედინი"
პიესის ავტორი - დავით მაცხონაშვილი
რეჟისორი - დავით მაცხონაშვილი
მხატვარი - გიორგი გოგიტიძე
კომპოზიტორი - შალვა მაცხონაშვილი
მონაწილეობენ: მანანა გოგიტიძე, ქეთევან სამხარაძე, ვანო მაღლაკელიძე, დიმიტრი მელია.

სპექტაკლის დასახელება „რკინის გული"
ინსცენირების ავტორი – ირაკლი სამსონაძე (იური ოლეშას "სამი გოდორას" ზღაპრის მიხედვით)
რეჟისორი – ზურაბ ცინცაძე
მხატვარი – მარინა ფრანგიშვილი
კომპოზიტორი – მინდია ხითარიშვილი
ქორეოგრაფი – ნატო ბერძენიშვილი
მონაწილეობენ: მინდია ჩოხარაძე, სოფიო ცინცაძე, ვანო მაღლაკელიძე, ლევან მიდილიში, ნინო დავითაშვილი, ქეთევან სამხარაძე, კობა ფაცურია, თამაზ ჩახვაძე, გელა გელაძე, მანანა გოგიტიძე, თამარ მახარაძე, სულხან ხახუტაიშვილი, გურანდა თოდრია, ანრი ჩაგუნავა, ირმა მგელაძე, ეკატერინე გვარამია.

სპექტაკლის დასახელება „მოჯადოებული ფერია"
პიესის ავტორი - ნინო დავითაშვილი
რეჟისორი - ნინო დავითაშვილი
მხატვარი - მარინა ფრანგიშვილი
კომპოზიტორი - მინდია ხითარიშვილი

სპექტაკლის დასახელება „ურჩხული და მზეთუნახავი"
პიესის ავტორი – ელენე მაცხონაშვილი
რეჟისორი – ელენე მაცხონაშვილი
მთავარი მხატვარი – მარინა ფრანგიშვილი
კომპოზიტორი – მინდია ხითარიშვილი
სიმღერების ტექსტის ავტორი – ელენე მაცხონაშვილი
მონაწილეობენ: სოფიო ცინცაძე, გელა გელაძე, კობა ფაცურია, თამაზ ჩახვაძე, ქეთი სამხარაძე, დიმიტრი მელია, თამაზ ჩახვაძე, ვანო მაღლაკელიძე, მანანა გოგიტიძე, ალეკო გაბაიძე

სპექტაკლის დასახელება „ფერადი ნისლების სანაპირო"
ინსცენირების ავტორი – ელენე მაცხონაშვილი (უილიამ შექსპირის "რომეოსა და ჯულიეტას" მიხედვით)
რეჟისორი – დავით მაცხონაშვილი
მხატვარი – მარინა ფრანგიშვილი
კომპოზიტორი – შალვა მაცხონაშვილი, მინდია ხითარიშვილი
მონაწილოებენ: მანანა გოგიტიძე, ქეთევან სამხარაძე, ვანო მაღლაკელიძე, სოფიო ცინცაძე, ალექსანდრე გაბაიძე

საუბარი თეატრის მმართველ მედეა ჩარკვიანთან

- **რამდენად ხელსაყრელია ურთიერთობა სპონსორებთან? განხორციელებულა თუ არა ერთობლივი პროექტები?**
- ჩვენთან ასეთი რამ თითქმის არ ხდება, თუმცა მისასალმებელი და აუცილებელია, რომ დააფინანსონ და დაასპონსორონ კულტურა. იმედია, ოდესმე და ოდესღაც ეს პრესტიჟული გახდება. ბიზნესსექტორი უნდა მიხვდეს, რომ კარგია, როცა აბანდებენ ფულს კულტურაში, კერძოდ, თეატრში. ვისაც ჭეშმარიტად უყვარს ხელოვნება, მით უმეტეს, თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რომელიც ბავშვებისა და მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება, მას არ აქვს მატერიალური შესაძლებლობა, რომ

დაეხმაროს თეატრს, ხოლო ვისაც აქვს, იმას არ აინტერესებს ეს სფერო და, ზოგადად, თეატრალური ხელოვნება. ის ბიუჯეტი, რომელიც თეატრს აქვს, ყველაფერს არ სწვდება - ეს არის ახალი სპექტაკლების დადგმა, საერთაშორისო ფესტივალები და შენობის რეაბილიტაცია. შესაძლებელია, ახლა გაჩნდეს ეს პერსპექტივა. სიმართლე გითხრათ, მთელი ამ დროის განმავლობაში მეც გადართული ვიყავი თეატრში სხვა პრობლემების, კერძოდ, შენობის რეაბილიტაციის მოგვარების საკითხზე, ახალი შენობა ბევრი ინიციატივის და შეთავაზების საშუალებას იძლევა ბიზნესსექტორისათვის. ჩვენ ვაკეთებთ ღია სცენას ეზოში, გვექნება დახურული კეთილმოწყობილი დარბაზი, კაფე, ბავშვთა ცენტრი. ახალი თეატრი იძლევა იმის საშუალებას, რომ თეატრი გახდეს თავშეყრის ადგილი. მოგეხსენებათ, ბათუმში არ არის ბევრი ადგილი, სადაც ბავშვები გაერთობიან და საინტერესოდ გაატარებენ დროს. თეატრი კი იქნება მრავალმიმართულებიანი და საკმაოდ დიდ ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი, დაწყებული 3 წლიდან დამთავრებული აბიტურიენტამდე. ეს შუა თაობა მინდა დავაინტერესოთ თეატრით. ჩვენი ძალისხმევა სულ მიმართული იქნება თანხების მოძიებისკენ და თეატრის ახალი სივრცის კეთილმოსაწყობად.

- **თქვენ არ იჩენთ ინიციატივას? თქვენ არ აქტიურობთ?**
- ჩვენ გამოვიჩინეთ ინიციატივა და ერთ-ერთ ძალიან ცნობილ, პოპულარულ კომპანიას საქართველოში შევთავაზეთ სპონსორობა პროექტისა, რომელიც ითვალისიწინებდა ქვეყნის შიგნით საგასტროლო ტურნეს. სპონსორისგან მოთხოვნილი თანხა იყო მინიმალური, 1500 ლარი. ჩვენი წარმომადგენელი ძალიან თბილად მიიღეს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ უთხრეს, რომ მათ მოსწონთ იდეა, მით უმეტეს, რომ ის ბავშვებს ეხება, თუმცა არ ძალუძთ რეგიონულ დონეზე საკითხის გადაწყვეტა, სათავო ოფისს კი პროექტი აღარ დააინტერესა. ძალიან ცუდია, რომ ბიზნესმენებს არ აქვთ ჩადებული ბიუჯეტში ქველმოქმედება და ეს არ არის მათთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, უფრო მეტიც, საერთოდ, არ ინტერესდებიან ამ საკითხით. ასეთი კომპანიები უკვე არასერიოზულ, არამოწყალე და არაკეთილშობილ კომპანიებად აღიქმება. 70 000 ბავშვი სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობს და ასეთ ქვეყანაში მომუშავე კომპანიებმა უნდა წარმართონ შემოსავლები ქველმოქმედებისა და სპონსორობისაკენ. უცხოეთში ეს კულტურა ძალიან მაღალ დონეზეა ასული.
- **2010 - 2012 წლებში თუ იყო რაიმე ერთობლივი პროექტი?**
- არაერთი! ილიაუნის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრთან ერთად გავაკეთეთ ერთობლივი პროექტი „აუშვიცი“ და ამავე სპექტაკლით ვმონაწილეობდით მინსკის საერთაშორისო საუნივერსიტეტო თეატრების ფესტივალში, ვინაიდან სპექტაკლი დადგა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა, რეჟისორმა ირაკლი გოგიამ, თუმცა თამაშობდნენ ჩვენი თეატრის პროფესიონალი მსახიობები. სპექტაკლს საკმაოდ დიდი წარმატება ხვდა წილად. ჩვენი თეატრი მიესალმება ასეთ კოლაბორაციულ პროექტებს და ყოველთვის მზადაა ახალი ინიციატივების განსახორციელებლად. ბათუმის თოჯინების თეატრმა ასევე უმასპინძლა თოჯინების საერთაშორისო გაერთიანების „უნიმას“ ადგილობრივი ოფისის „უნიმა-საქართველოს“ დაარსებას. ჩვენს თეატრს აქვს საკმაოდ დიდი რესურსი, თუმცა ყოველთვის საჭიროა ადამიანების მხარდაჭერა. მე, როგორც თეატრის მმართველი, ყოველთვის მივესალმები კოპროდუქციებს და არსებული რესურსების გაცვლა-გაზიარებას.
- **ახალი შენობა რომ გექნებათ, თქვენს თავს განიხილავთ საიმედო პარტნიორად სასპონსორო ურთიერთობაში?**
- როდესაც ჩვენი საკუთარი კეთილმოწყობილი შენობა გვექნება (1981 წლიდან მუდმივად სხვის შენობაში ვმოღვაწეობდით) ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება, ჩვენი თეატრი ყოველმხრივ იქნება მზად ნებისმიერი პროექტის განსახორციელებლად. ჩვენ ძალიან ბევრი პოზიტიური მხარე გვაქვს, რომლითაც შეიძლება სპონსორების და პარტნიორების დაინტერესება. ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა არის აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ განვითარდეს არა მხოლოდ ჩვენი თეატრი, არამედ პარტნიორიც. თანამშრომლობა ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ ორივე მხარისთვის იყოს ურთიერთსასარგებლო, სასურველი და სასიამოვნო.
- **სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები საკმარისია?**
- არა, ბიუჯეტი არის ძალიან მწირი. არ შეიძლება, სადადგმო და საგასტროლო ხარჯი იყოს 25 ათასი, როცა ერთი პროექტი შეიძლება დაგიჯდეს ამდენივე. აქ ორი პროფილისა და სპეციფიკის სპექტაკლები იდგმება. ახალ შენობაში იქნება ექსპერიმენტული სცენა და ჩვენს რეპერტუარს თითების წარმოდგენებიც შეემატება. ბათუმში არაჩვეულებრივი გარემო პირობებია საერთაშორისო თოჯინური თეატრების ფესტივალის დასაფუძნებლად. ამ მხრივ აუცილებელია სპონსორებთან აქტიური მუშაობა. სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც უნდა გამოიყოს ამისათვის შესაბამისი თანხები. ფესტივალი აუცილებლად უნდა დაფუძნდეს. სპონსორებთან მთავარია ნდობის ფაქტორის მოპოვება.
- **დამეთანხმებით სახელმწიფოს თანხები არ არის საკმარისი თეატრის საქმიანობისთვის, როგორ ფიქრობთ, დამატებითი თანხების გენერირება როგორ უნდა მოხდეს?**
- სასპონსორო შეთავაზებები, საკუთარი შემოსავლები, სარეკლამო ბილბორდები, ლაითბოქსები, რომლებსაც თეატრი ყიდის, ეს არის შიდა რესურსის ბოლომდე გამოყენება, არენდა, იჯარა, კაფე, საზაფხულო სცენა, ალტერნატიული მიმართულება თეატრალური სტუდია, ჩვენი პროდუქციის გაყიდვა, დამზადება თეატრალური კოსტიუმების სადღესასწაულო დღეებისთვის, თოჯინების დამზადება და ასე შემდეგ.

- **რა იყო 2010 - 2012 წლების ყველაზე დიდი წარმატება მარკეტინგული თვალსაზრისით?**
- სამი წლის განმავლობაში ყველაზე წარმატებული არის საახალწლო პროექტები, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა ყოველთვის. მხატვრული დონე შესაძლოა სადავო იყოს, მაგრამ მარკეტინგულად ძალიან მნიშვნელოვანია თეატრისთვის, მით უმეტეს, წლის ბოლოს. ჩვენ, სპექტაკლის გარდა, საჩუქრებსაც ვამზადებთ, რაც შედის ბილეთის ღირებულებაში. ამ სპექტაკლებს საკმაოდ დიდი შემოსავალი შემოაქვს. შეკვეთები ყოველთვის დიდი არის, მაგრამ ვერ ვწვდებით ყველას, ეს მაშინ, როცა არ გვქონდა ჩვენი სივრცე, სადაც გავმართავდით სპექტაკლებს, ამიტომ გამოვიყენეთ დრამატული თეატრის სცენა და მინდა მადლობა გადავუხადო ზაზა ხალვაშს იმისათვის, რომ მან ყველაფერი გააკეთა, რათა ჩვენ კომფორტულად გვემუშავა. საშუალოდ ამან ბიუჯეტში შემოიტანა 20 ათას ლარამდე, ეს ძალიან დიდი ციფრია თეატრისთვის, რა თქმა უნდა, ხარჯიც დიდი იყო, საჩუქრებს და სპექტაკლის შეფუთვას ვგულისხმობ, მაგრამ მაინც. ამ შემოსულმა თანხამ ახალი სპექტაკლის დადგმის საშუალება მოგვცა.
- **დღეს ყველაზე მეტად რა პრობლემების წინაშე დგას თეატრი?**
- არაჩვეულებრივი მარკეტინგის მენეჯერი მუშაობს ჩვენს თეატრში, ქალბატონი დალი თედორაძე, რომელიც კარგად ართმევს თავს სპექტაკლის მარკეტინგულ შეფუთვას და შემდეგ მის გაყიდვას, მაგრამ ძალიან კარგი იქნება, თუკი აბონემენტების სისტემა დაბრუნდება და მოსწავლისათვის სავალდებულო გახდება თეატრში სიარული. ეს მისი ესთეტიკური აღზრდისთვის არის აუცილებელი და თან ჩვენ დაგვეხმარება, რომ მაყურებელთა დასწრება იყოს უფრო ორგანიზებული. დღეს ჩვენ მთლიანად დამოკიდებული ვართ სკოლის დირექტორების გემოვნებასა და ხედვაზე თეატრთან მიმართებაში. ზოგიერთი დირექტორი არ არის მოტივირებული და არ თვლიან აუცილებლობად, რომ მოსწავლეები თეატრში მოიყვანონ. ადრე ხომ ტარდებოდა სკოლებში შეხვედრები მსახიობებთან, ეცნობოდნენ ერთმანეთს. ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო და აუცილებლად უნდა აღდგეს, რაც უფრო მეტი ბავშვი გახდება მოტივირებული, მით უკეთესია მთელი საზოგადოებისთვის, უფრო უკეთესი ქართველები აღიზრდებაინ, რადგან ხელოვნება და სულიერი საზრდო აკეთილშობილებს ადამიანს.
- **მომსახურებაზე რას ფიქრობთ?**
- მხოლოდ ჩვენი შემოქმედებითი პოპულარიზაციისთვის არის აუცილებელი და საჭირო, ბავშვები დასაჩუქრდნენ ბილეთებით, ვატარებთ ლატარეა-გათამაშებას, სადაც თამაშდება 20-მდე საშვი, რომელიც არის სამი ტიპის - წლის განმავლობაში ყოველ შაბათს და წლის განმავლობაში ყოველ კვირა დღეს დასაშვები საშვი და მესამე - ეს არის წლის განმავლობაში ყველა პრემიერის უფასოდ ნახვა. ეს არის მოტივაცია იმისა, რომ ბავშვი და მშობელიც დაინტერესდეს თეატრით, თუმცა იყო შემთხვევა, როდესაც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ბავშვმა მოიგო საშვი და მშობელმა განმიცხადა, ასე შარშანაც მოვიგე, მაგრამ ის საშვი საერთოდ არ გამომიყენებია და არ მიმიყვანია ბავშვი თეატრშიო. ჩვენ, აი, ასეთ კატეგორიასთანაც გვიხდება მუშაობა და აქ თავს იჩენს უკვე მეორე პრობლემა - ადამიანი რაშიც ფულს არ იხდის, იმას არ აფასებს, რაც ძალიან სამწუხაროა. რეაბილიტაციის შემდეგ წარჩინებული მოსწავლეები გვინდა დავაჯილდოვოთ საშვებით. ეს იქნება დამატებითი სტიმული სწავლისთვისაც და ჩვენი მაყურებლისთვისაც.
- **რამდენად ხშირად გაქვთ საქველმოქმედო ღონისძიებები?**
- ეს თეატრი სწორედ საქველმოქმედო წარმოდგენების სიუხვით გამოირჩევა, ყველა საერო და სასულიერო დღესასწაულზე ვთამაშობთ სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილების, მშობლების, მზურნველობას მოკლებულები ბავშვებისა და ინკლუზიური სწავლების ჯგუფის ბავშვებისათვის. ჩვენ ამ ყველა ორგანიზაციასთან გვაქვს ურთიერთობა, ხელშეკრულებაც კი გავაფორმეთ, რომ ორ თვეში ერთხელ ჩავატარებთ საქველმოქმედო წარმოდგენებს. პრობაციონერებზეც გვქონდა პროექტი, მათთვის და მათი ოჯახებისთვის ვითამაშეთ საქველმოქმედო სპექტაკლები. მით უმეტეს, ამ ბავშვებისათვის არის აუცილებელი თეატრთან ზიარება და ამ სულიერი საზრდოს მიღება.
- **როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**
- ექსპერიმენტული სტუდიის ბაზაზე ვაპირებთ თითების თეატრის სპექტაკლების დადგმას. ჩვენი წამყვანი მსახიობი დიმა მელია დავნიშნეთ ამ სტუდიის ხელმძღვანელად. ახლო მომავალში აქ დადგამს სპექტაკლს ბესო კუპრეიშვილი. ამის თაობაზე მოლაპარაკება უკვე შედგა. 2014 წელს ვგეგმავთ თოჯინური თეატრების ფესტივალის ჩატარებას. სავარაუდოდ საწყის ეტაპზე ეს იქნება ეროვნული მასშტაბის ღონისძიება, რომელიც სამომავლოდ გადაიზრდება საერთაშორისოში.

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ზურაბ ცინცაძესთან

- **როგორც ვიცით, ახლო შემოქმედებითი ურთიერთობა ჩამოყალიბდა ბათუმის თოჯინებისა და ქალაქ ბულანჯაკის თოჯინების თეატრს შორის. თქვენ მიწვეული იყავით თურქეთის რესპუბლიკაში და ერთი სპექტაკლი დადგით. სამომავლოდ რა ერთობლივი პროექტები იგეგმება?**
- 2012 წლის მაისში ჩვენი თეატრი გახლდათ გასტროლზე ქალაქ ბულანჯაკში, სადაც მათი თეატრის დაარსებიდან ოცდაათ წლისთავს ზეიმობდნენ. ასევე, სტუმრები მოწვეულნი იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის თავისუფალი თეატრიდანაც. შემდეგ უკვე ოქტომბრისთვის მიმიწვიეს იმავე თეატრში, რათა განმეხორციელებინა სპექტაკლი. რასაკვირველია, საუბარი

იყო თოჯინური სპეციფიკის საბავშვო სპექტაკლზე. ავიღე ქართული ზღაპარი - „მამობილი“, ინსცენირება მსახიობმა კობა ფაცურიამ გააკეთა და საბოლოო ვარიანტში პიესას „ეშმაკი მელა“ ეწოდა. სპექტაკლზე დაახლოებით თვე-ნახევარი ვმუშაობდი და, სადღაც დეკემბრის ბოლოსათვის პრემიერა ვითამაშეთ. ახლახან მაცნობეს, რომ სპექტაკლი აპრილში ქალაქ ანკარის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. როგორც კი ახალ შენობაში გადავალთ, ბულანჯაკის თეატრი უკვე ჩვენთან განახორციელებს გასტროლს. რასაკვირველია, ამ თეატრთან ვაგრძელებთ აქტიურ შემოქმედებით ურთიერთობას და ვფიქრობ, რომ ერთობლივი ძალისხმევით კიდევ არაერთ პროექტს ჩაეყრება საფუძველი.

- **თუკი თანამედროვე ქართული თეატრის საერთაშორისო საგასტროლო ურთიერთობების სტატისტიკურ მაჩვენებლებს გადავხედავთ, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა. ბოლო წლებში თქვენი სპექტაკლები არაერთ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე იყო წარმოდგენილი. მათ შორის უკრაინის რესპუბლიკაში, ქალაქ ვინიცაში, სადაც სპექტაკლმა „არგონავტები“ ფესტივალის მთავარი ჯილდო - გრანპრი დაიმსახურა. სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**
- ვინიცის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, გარდა გრანპრისა, მივიღეთ ჯილდო საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის. უკვე მომდევნო წელს გასტროლი განვახორციელეთ ბულგარეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ვარნაში საერთაშორისო ფესტივალზე - „ოქროს დელფინი“, სადაც, ასევე, ავიღეთ ჯილდო მუსიკალური გაფორმებისათვის. წელს უკვე მოწვევა მივიღეთ ვინიციდან, სერბეთიდან და თურქეთიდან. ამ ეტაპზე ვაზუსტებთ პირობებს და უახლოეს პერიოდში გადაწყდება, თუ სად გვექნება მორიგი გასტროლი. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი თეატრი აქტიურად მართავს სარაიონო და საქალაქთაშორისო გასტროლებს. აჭარის ყველა რაიონში და ასევე დედაქალაქში ვითამაშეთ სპექტაკლები. ამდენად, ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას.
- **ბატონო ზურაბ, მიმდინარე წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის. როგორც იქნა, დასი გადადის ახალ, ამჯერად უკვე საკუთარ შენობაში. როგორ ჩაიარა სამშენებლო პროცესმა და შესაძლებელია თუ არა ახალ სცენაზე მრავალმხრივი სათეატრო ექსპერიმენტების განხორციელება?**
- თავდაპირველად ტენდერი პროექტზე გამოცხადდა, შემდეგ კი - მშენებლობაზე, რომელიც თურქულმა კომპანიამ მოიგო. საქმე ისაა, რომ ამ კომპანიას არ ჰქონდა გამოცდილება თეატრის მშენებლობისა. ის, ძირითადად, საცხოვრებელ სახლებს და სასტუმროებს აშენებდა. ამ ფაქტმა პროცესი ცოტათი შეაფერხა, მაგრამ ჩვენ მოვიწვიეთ სპეციალისტები და ყოველგვარი ლაფსუსი აღმოფხვრილ იქნა. ამჟამად მიმდინარეობს სცენის მონტაჟი, რომელსაც ბატონი იური ხაბაზი ხელმძღვანელობს. სამონტაჟო სამუშაოების დამკვეთი ამ შემთხვევაში თავად თურქული კომპანიაა. სხვა მხრივ შედეგით კმაყოფილი ვართ. დავაარსეთ ექსპერიმენტული სტუდია, რომელსაც დიმიტრი მელია უხელმძღვანელებს. პირველ სართულზე განთავსებულია ძირითადი სცენა, პარალელურად კი არის საზაფხულო სცენა, ხოლო ექსპერიმენტული სცენა და ბავშვთა სტუდია განთავსდება სარდაფში, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს სავენტილაციო სისტემის დაგეგმარება.
- **სამომავლოდ თეატრი აპირებს კიდევ ერთი რეჟისორის მოწვევას, ანუ მოწვევითობის პრინციპი კვლავაც გრძელდება...**
- ისევე როგორც მთელ საქართველოში, ჩვენს შემთხვევაშიც თეატრი მუშაობს მოწვევით პრინციპზე. რადგან გაუქმდა დამდგმელი რეჟისორის შტატები, აქტიურად ვიწვევთ რეჟისორებს. ჩემი სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში მოვიწვიეთ დაახლოებით თორმეტი რეჟისორი როგორც დედაქალაქიდან, ასევე, სხვადასხვა ქალაქიდან. ამჯერად მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ბატონ ბესო კუპრეიშვილთან, რომელიც მალე დაიწყებს სპექტაკლზე მუშაობას.

ხულოს იუსუფ ზოიძის სახელობის
პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

საარქივო დოკუმენტებში ხულოს თეატრის დაარსების თარიღად 1936 წელია მიჩნეული. ამავე წელს იწყებს ფუნქციონირებასაც ბათუმის პროფესიული დრამატული თეატრი. აჭარის რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თეატრის არსებობას. 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა დედასამშობლოს. მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულები უკვე გასული იყო, მოსახლეობაში მაინც გრძელდებოდა თურქული ინერცია, ვგულისხმობთ როგორც რელიგიურ, ასევე მენტალურ ფაქტორს. თეატრს, რომელიც ისტორიულად ყოველთვის ქართული სიტყვის სადარაჯოზე იდგა, ამჯერადაც უნდა ეტვირთა ეროვნული მისია. ასე რომ, ხულოს რაიონში თეატრის გახსნა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი იყო. იმხანად საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნით აჭარის მაღალმთიანეთში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პედაგოგები. ერთ-ერთი ასეთი პედაგოგი იყო მღვდელი ბესარიონ დოლიძე, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად ხულოში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. პედაგოგ ცოლ-ქმარს თან ახლდა ვაჟიშვილი, შემდგომში ცნობილი კინორეჟისორი სიკო დოლიძე. სწორედ სიკო დოლიძის სახელთან არის დაკავშირებული ხულოს რაიონში თეატრის შექმნა. ცნობილი ქართველი მკვლევრის, თეიმურაზ კომახიძის, წიგნში ,,ხულოს რაიონი“ მოხმობილია სიკო დოლიძის მოგონება, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ... ,,მოგეხსენებათ, ჩემი მშობლები ხულოში მუშაობდნენ მასწავლებლებად... ჩვენს ოჯახთან მეგობრობა აკავშირებდა იქაურ ბეგს, ჯემალ ხიმშიაშვილს. მახსოვს, 1917 წელი იდგა... იმ ხანებში ხულოში სტუმრად იმყოფებოდა აპოლონ წულაძე-ამ კუთხის მემატიანე და დიდად გულშემჭირნე კაცი. სწორედ მან გვთხოვა, რომ იქაური მაყურებლისათვის გაგვემართა საღამო-კონცერტები. შევუდექით საქმეს... ორ-აქტიანი პიესის მომზადება მე ვიკისრე, ხოლო მომღერალთა გუნდის მომზადება ჩემს ბიძას დედის მხრიდან-დავით თოხაძეს დაეკისრა. როგორც იქნა, საჭირო ძალისხმევისა და მონდომების შედეგად ყველაფერი სათანადოდ მოეწყო და მოგვარდა. ცხრა კაცისგან შემდგარმა ჯგუფმა მართლაც რომ კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე.“ მეცნიერ გრიგოლ ბაბილოძის ნაშრომიდან-,,ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში“-ვიგებთ მცირე ინფორმაციას სიკო დოლიძის მიერ განხორციელებული სპექტაკლების შესახებ: ,,1917 წლის ზაფხულში ჩამოუვიდათ დასასვენებლად შვილები და მარიამის მთელი ოჯახი თოხაძეებისა-დედ-მამა, სამი ვაჟი და ორი ქალი. მათ მთელი აქაური ინტელიგენცია კეთილად შეხვდა. ქრისტიანობა და მაჰმადიანობა ხელს არ უშლიდა მათ ურთიერთობას, რამაც განაპირობა აქ დრამატული წრის შექმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბესარიონისა და მარიამის ვაჟი, იმხანად გიმნაზიის მოწაფე სიკო დოლიძე. მისი ხელმძრვანელობით მომზადდა და დაიდგა ორი პიესა, ვოდევილი ,,ტიმოთეს ლეღვი“ და ,,ორი მშიერი“. ამ სპექტაკლებში სიკო დოლიძესთან ერთად მონაწილეობდნენ მისი ძმა, მარიამის ძმა ბესარიონ თოხაძე და, რაც მთავარია, ადგილობრივი სცენის მოყვარულები-მერჯან და ასლან ბოლქვაძეები, ასევე, თინა და მერჯან თავართქილაძეები.“ სამწუხაროდ, მომდევნო წლებში სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ სპექტაკლებზე ინფორმაცია ოფიციალური დოკუმენტების სახით არ მოგვეპოვება. მხოლოდ რაიონის უხუცეს მკვიდრთა მოგონებების საფუძველზე ვიგებთ, რომ სპექტაკლების განხორციელებას არ ჰქონდა სისტემური ხასიათი, მაგრამ რაც იდგმებოდა, ის მაყურებელს ძალიან მოსწონდა და ხშირად იმართებოდა ამა თუ იმ წარმოდგენის საჯარო განხილვები. თეიმურაზ კომახიძის ნაშრომში მოხმობილია რაიონის უხუცესი მცხოვრების, ზექერია აბულაძის, მონათხრობი, რომელიც იხსენებდა: ,,ჩვენთან, ხულოში, მართალია სისტემურად ვერ დგამდნენ სპექტაკლებს, მაგრამ, რაც იდგმებოდა, მას ძალზე დიდი მნიშვნელობა გააჩნდა იმ მხრივ, რომ ამ დადგმებით, წარმოდგენებით ხდებოდა სოფლის ახალგაზრდობის დაინტერესება, მათი მოზიდვა. ეს წარმოდგენები იზიდავდა არა მარტო ახალგაზრდებს, არამედ მოხუცებსაც, რომლებიც დიდი სიამოვნებით მოდიოდნენ და ნახულობდნენ ამ დადგმებს და მერე კარგა ხნის განმავლობაში მიდიოდა აზრთა ურთიერთგაზიარება, მსჯელობა განსახიერებული გმირების ქცევა-მოქმედებაზე, დადგმის ავ-კარგზე“. ამდენად, ცხადია, რომ ხულოს რაიონში თეატრალური ცხოვრება ნელ-ნელა იდგამდა ფეხს. სიკო დოლიძის მიერ განხორციელებულ სპექტაკლებს მომდევნო წლებში ენაცვლებოდა სხვადასხვა ცნობილი ხელოვანების - (გია თოხაძე, მიშა (მიხეილ) იარალი, გრიშა მდივანი)- წარმოდგენები. დრამატულმა წრემ საბოლოოდ ნიადაგი მოამზადა, მის ბაზაზე სახელმწიფო თეატრის შესაქმნელად.

დრამატული წრის შემადგენლობას ნელ-ნელა უერთდებოდნენ ადგილობრივი და მოწვეული ხელოვანები. მათმა აქტიურმა მოღვაწეობამ თეატრის აშენების წინაპირობა შექმნა. გაზეთ ,,აჭარისტანის“ 1930 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა მცირე წერილი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა ხულოში განხორციელებული სპექტაკლის (ია ეკალაძის ,,სიყვარულზე ძლიერი“) წარმატებას. აღნიშნულმა სპექტაკლმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. გაზეთი იუწყებოდა, რომ წარმოდგენა ა. ყალიბეგაშვილის რეჟისორობით განხორციელდა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე. სწორედ კარგმა რეჟისურამ და მსახიობთა შესრულების მაღალმა ხარისხმა მიიპყრო რაიონის იმდროინდელი ხელმძღვანელობის ყურადღება. მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ აშენებულიყო ახალი თეატრის

შენობა, სადაც შემოქმედებით ჯგუფს ექნებოდა საკუთარი შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოხატვის საშუალება. ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა 1931 წელს დაიწყო და, საბოლოოდ, 1934 წელს დასრულდა. მაყურებელთა დარბაზი 500 ადამიანზე იყო გათვლილი. ტექნიკური აღჭურვილობა კი სრულად შეესაბამებოდა იმ პერიოდის მოთხოვნებს, თავისი ერთი იარუსით, კულისებით, სარეპეტიციო დარბაზებით, ფოიეთი და სცენური ჩაცმულობით. საკოლმეურნო თეატრის სტატუსით აგრძელებდა მოღვაწეობას თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ცნობილი თეატრალური მოღვაწეები: ედნარ შამილაძე, გრიგოლ მდივანი, ისკენდერ კაიკაციშვილი, აკაკი მგელაძე, ნუნუ მაჭავარიანი და სხვები. თუკი გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს დავეყრდნობით, თეატრს სახელმწიფო სტატუსი 1937 წელს მიენიჭა, მაგრამ, ვინაიდან ცენტრალური არქივი დაარსების თარიღად 1936 წელს ადასტურებს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ოფიციალური ბრძანება სტატუსის შეცვლის შესახებ სწორედ 1936 წელს დაფიქსირდა სახელისუფლებო სტრუქტურაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონკრეტულ თარიღებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი რამ კამათს იწვევს, თუნდაც ის ფაქტიც, რომ თეატრმა სწორედ 1937 წელს უჩვენა მაყურებელს პირველი პრემიერა. სანდრო შანშიაშვილის ცნობილი პიესით ,,ანზორი" დაიწყო ხულოს სახელმწიფო თეატრმა ახლადაშენებულ შენობაში ფუნქციონირება. თეატრალებს კარგად მოეხსენებათ აღნიშნული პიესის მნიშვნელობა როგორც ქართული თეატრის ისტორიაში, ისე სანდრო ახმეტელის შემოქმედებაში. რეჟისორმა და თეატრის ხელმძღვანელმა მიხეილ იარალმა კარგად იცოდა შანშიაშვილისეული ლიტერატურული პირველწყაროს მნიშვნელობა და, შესაბამისად, პირველი წარმოდგენა სწორედ ამ პიესის საფუძველზე განახორციელა. პრემიერის შემდეგ მ. იარალის რეჟისორობით განხორციელდა ისეთი სპექტაკლები, როგორებიცაა მოლიერის ,,ძალად ექიმი", და ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო"... ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დასაწყისშიც და შემდგომ პერიოდშიც ხულოს თეატრის ხელმძღვანელები სადადგმოდ ხშირად მიმართავდნენ ისეთ დრამატურგიას, როგორიც ქვეყნის უპირველეს რუსთაველის თეატრში ხორციელდებოდა. იმ დროისათვის ხულოს თეატრის სამსახიობო ანსამბლი წარმოდგენილი იყო ისეთი შემსრულებლებით, როგორებიც იყვნენ: ნუნუ მთვარიან-მაჭავარიანი, აკაკი მგელაძე, საქართველოს დამსახურებული არტისტი, იუსუფ ზოიძე, თოფან მელაძე, იაკობ-(იაშა)-მელაძე, მევლუდ რიჟვაძე და სხვა სცენისმოყვარეები. მიხეილ იარალის შემდეგ თეატრს კოტე ყურაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელმაც კ. კალაძის ,,ხატიჯე" და ს. მთვარაძის ,,სურამის ციხე" განახორციელა... 1941 წლიდან კი თეატრში მოღვაწეობას იწყებს ზორბეგ ღლონტი, როგორც დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, რომლის რეჟისორობით რეპერტუარს შეემატა ისეთი მნიშვნელოვანი სპექტაკლები, როგორებიცაა: ალ. ყაზბეგის ,,არსენა", გ. მდივნის ,,ბრმა", ვ. დარასელის ,,კიკვიძე", ლავრენიევის ,,რღვევა", ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები", ს. კლდიაშვილის ,,გმირთა თაობა", კორნეიჩუკის-,,პლატონ კრეჩეტი" და არაერთი სხვა. პერიოდულად სამსახიობო ანსამბლი ივსებოდა ახალი კადრებით: ნევრიზ ჯორბენაძე, მამია ბოლქვაძე, რიზა ჯორბენაძე, თამარ თავდიშვილი, ტასო შარაბიძე, ფაცია კოპლატაძე, მევლუდ რიჟვაძე, გივი ყალიბეგაშვილი, დავით კაცაძე, სერგო ძიძაძე, შალვა ხორავა, ისკენდერ კაიკაციშვილი, გაიოზ გოგივერიძე, ასლან ჯორბენაძე, ლილი თურნავა, მზია ახვლედიანი, ეკატერინე გალუსტოვა და სხვა. ზორბეგ ღლონტის შემდეგ იუსუფ ზოიძე ჩაუდგა თეატრს სათავეში, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, 1952 წელს თეატრმა შეწყვიტა ფუნქციონირება.

ხულოს თეატრის რეპერტუარი იმ დროისა და ისტორიული ვითარების ლოგიკური გამოძახილია... სწორედ აჭარის რეგიონი საჭიროებდა მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნებისა და ცნობიერების ამაღლებას. ადგილობრივ მკვიდრთა თითქმის უმრავლესობა საკუთარ რელიგიად ისლამს აღიარებდა და ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე თავისუფალი თურქული მსოფმხედველობის ზეგავლენისაგან. თეატრის ხელმძღვანელები უმთავრეს აქცენტს ეროვნულ, პატრიოტულ, საბრძოლო სულისკვეთების გამომხატველ თემატიკაზე აკეთებდნენ, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი რეპერტუარი ჟანრობრივი ერთფეროვნებით არ შეიძლება განისაზღვროს. სადადგმოდ თეატრში ადგილი ეთმობოდა როგორც დრამას, ისე კომედიას, ვოდევილსა და ისტორიულ დრამას. ქართულ კლასიკურ მწერლობაზე ამოზრდილი პერსონაჟები ახლობელი იყო ხულოელი მაყურებლისათვის.

თეატრის შენობა

ხულოს თეატრი განთავსებულია დაბა ხულოს ცენტრში მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, შენობა აშენდა 1935 წელს და ის ექსპლუატაციაში 1937 წელს შევიდა, რომელიც გამიზნული იყო კულტურის ცენტრისთვის. მაშინ, როცა ხულოს თეატრს შეწყვეტილი ჰქონდა სახელმწიფო თეატრის სტატუსი, შენობას კულტურის სახლის ფუქნცია ჰქონდა. სტატუსის აღდგენიდან ის კვლავ თეატრს გადაეცა. 2011-2012 წლებში თეატრის შენობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია და ის ახლა კეთილმოწყობილია. მაყურებელთა დარბაზი კამერულია და, დრამატული თეატრების მსგავსად, მოიცავს პარტერსა და მაყურებელთა ლოჟებს ერთი იარუსით. არქიტექტურული თვალსაზრისით შენობა არ გამოირჩევა არც ფასადით და არც ინტერიერით, მიუხედავად იმისა, რომ შენობის ფასადი ანტიკური ბერძნულ-რომაული ტაძრის პრინციპითაა გადაწყვეტილი, კოლონებითა და ფრიზით.

თეატრის დასახელება - სსიპ ხულოს პროფესიული სახელმწიფო თეატრი
დაარსების წელი - 1937 წელი
თეატრის იურიდიული ფორმა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები
მმართველი - გურამ აბულაძე
სამხატვრო ხელმძღვანელი - როინ სურმანიძე
თეატრის ელ. ფოსტა - არა აქვს
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა: roinxulo@mail.ru
ვებგვერდის მისამართი - არა აქვს
თეატრის მისამართი - დაბა ხულო, რუსთაველის №11
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 40
ამათგან მსახიობთა რაოდენობა - 17
შემოქმედებითი პერსონალი - 28
ტექნიკური პერსონალი - 8
ადმინისტრაცია - 5

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010			366 200	
2011			478 200	
2012			203 670	

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით
2010 წელი - 00 ლარი (თეატრი რემონტდებოდა)
2011 წელი - 00 ლარი (თეატრი რემონტდებოდა)
2012 წელი - 800 ლარი

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წელს - 20 წარმოდგენა
2011 წელს - 30 წარმოდგენა
2012 წელს - 50 წარმოდგენა
დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელს - 1 150
2011 წელს - 1 260
2012 წელს - 2 950
ბილეთის ტარიფები - 1 ლარი

თეატრის შემოსავალი სხვა საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა)
2010-2012 წლებში შეადგინა 4 500 ლარი.
რა უჯდება თეატრს საშუალოდ ახალი სპექტაკლის დადგმა 8 000 – 10 000 ლარი
რა უჯდება საშუალოდ თეატრს სპექტაკლის აღდგენა 3 000 ლარი
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი 2 500 – 3 500 ლარი
მსახიობის საშუალო ხელფასი 350 ლარი
თეატრი გასტროლებზე (2010-2012 წწ.)
საშუალოდ რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა:
ქვეყნის შიგნით 6 000 ლარი
საზღვარგარეთ 12 000-13 000 ლარი
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით - საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელი
ქვეყნის გარეთ - არა
თეატრის მონაწილეობა ფესტივალებში
სინოპის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი, (თურქეთი)
ვის მასპინძლობდა
თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულს (რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, თუმანიშვილის თეატრი, ბათუმის თეატრი, ფოთის თეატრი, ქუთაისის თეატრი, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი)
ჰქონდა თუ არა თეატრს კოპროდუქცია 2010-2012 წლებში - არა

გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის ან პიარსამსახურის მენეჯერი - დიახ
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება - დიახ
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 25 წლის
ყველაზე ხანდაზმული მსახიობი - 50 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში - 2012 წელს
თეატრში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო - რამაზ ბოლქვაძე - წლის საუკეთესო მამაკაცი მსახიობი (აჭარის თეატრალური საზოგადოების პრემია)

შენობის შესაძლებლობები

აქვს თუ არა ფოიე, საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო დარბაზი - დიახ
ბუფეტი - არა
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - არა
ტექნიკური აღჭურვა
განათება - პარი 2, პროჟექტორი 28, „პუშკა“ 1, კვამლის აპარატი 1,
გახმოვანება - დინამიკი 2, მინი დისკის გამშვები 1, მიკროფონი 4, პულტი+მიქშერი 1.
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა - 340 ადგილი
დარბაზი შედგება პარტერისგან (100 ადგილი), ამფითეატრისა (40 ადგილი) და ერთი იარუსისაგან (100 ადგილი).

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე - 14 მ.
სცენის სიგანე - 10 მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - 12 მ.
იატაკიდან გამოყენებამდე - 8 მ.
სარკის სიგანე - 8 მ.
სარკის სიმაღლე - 5, 5 მ.
სცენის მარჯვენა ჯიბე - 2 მ.
სცენის მარცხენა ჯიბე - 2 მ.
შტანგეტების რაოდენობა - 10
შტანგეტებს შორის ინტერვალი -1, 3 მ.
სოფიტების რაოდენობა- 3
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა - 3
მოძრავი პორტალების სიმაღლე - 6 მ.
მოძრავი პორტალების სიგანე - 10 მ.

რეპერტუარი 2010-2012 წლებში

სპექტაკლის დასახელება - „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი“
პიესის ავტორი - თამაზ მეტრეველი
რეჟისორი - ვახტანგ ბერიძე
მხატვარი - ალეკო შელია
მუსიკალური გაფორმება - ნინო რაზმაძე
მონაწილეობდნენ: მარიკა ასათიანი, რამაზ ბოლქვაძე, ედნარ ბოლქვაძე, მადონა ბოლქვაძე, ნინო ქარცივაძე, ჯუმბერ ცეცხლაძე, მაყვალა მელაძე, ლევან აბულაძე, ზაზა აბულაძე, თეა ქამადაძე

სპექტაკლის დასახელება - „საჭიროა მატყუარა“
პიესის ავტორი - დ. პსათასი
რეჟისორი - სულიკო თავართქილაძე
მხატვარი - ოთარ ქურქავა
მუსიკალური გაფორმება - ედნარ აბულაძე

მონაწილეობდნენ: რამაზ ბოლქვაძე, გურამ თავართქილაძე, ნინო ქარცივაძე, მადონა ბოლქვაძე, ნატო ჩოგაძე, გია მელაძე, გენადი ბოლქვაძე, მაყვალა მელაძე.

სპექტაკლის დასახელება - „ძველ სასამართლოში“
პიესის ავტორი - ქ. ბახუტაშვილი
რეჟისორი - როინ სურმანიძე
მხატვარი - თენგიზ დავითაძე
მუსიკალური გაფორმება - ედნარ აბულაძე
მონაწილეობდნენ: ედნარ ბოლქვაძე, გურამ თავართქილაძე, ნინო ქარცივაძე, მადონა ბოლქვაძე, ზაზა აბულაძე, მაყვალა მელაძე.

სპექტაკლის დასახელება - „აბეზარა“
პიესის ავტორი - ვ. მასლოვი
რეჟისორი - ვახტანგ გიგინეიშვილი
მხატვარი - ირინა გურგენიძე
მუსიკალური გაფორმება - ედნარ აბულაძე
მონაწილეობდნენ: გენადი ბოლქვაძე, გურამ თავართქილაძე, ნინო ქარცივაძე.

სპექტაკლის დასახელება - „ჭკუისა მჭირს“
პიესის ავტორი - ა. ცაგარელი
რეჟისორი - როინ სურმანიძე
მხატვარი - თენგიზ დავითაძე
მონაწილეობდნენ: ედნარ ბოლქვაძე, რამაზ ბოლქვაძე, გურამ თავართქილაძე, რობერტ ხოზრევანიძე, მადონა ბოლქვაძე, ლევან აბულაძე.

სპექტაკლის დასახელება - „პეპი გრძელი წინდა“
პიესის ავტორი - ა. ლინდგერნი
რეჟისორი - რევაზ ბაინაზიშვილი
მხატვარი - ირინა გურგენიძე
კომპოზიტორი - მინდია ხითარიშვილი
მონაწილეობდნენ: რამაზ ბოლქვაძე, გურამ თავართქილაძე, ნინო ქარცივაძე, მადონა ბოლქვაძე, ნატო ჩოგაძე, მაყვალა მელაძე, მარიკა ასათიანი, ზაზა აბულაძე, ედნარ ბოლქვაძე, თეა ქამადაძე, ლევან აბულაძე

სპექტაკლის დასახელება - „ფიროსმანი“
პიესის ავტორი - ელენე მაცხონაშვილი
რეჟისორი - ელენე მაცხონაშვილი
მონაწილეობდნენ: ედნარ ბოლქვაძე, მარიკა ასათიანი, გურამ თავართქილაძე, თეა თავართქილაძე, ნინო ქარცივაძე

საუბარი თეატრის მმართველ გურამ აბულაძესთან

- რას გვეტყვით სპონსორების შესახებ?
- 2010–11 წლებში შენობას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, შეიქმნა მატერიალურ–ტექნიკური ბაზა იმისათვის, რომ გვეზრუნა შემოქმედებით მხარეზე, დადგმულიყო მაღალმხატვრული სპექტაკლები. ჩვენ გვაქვს მოლაპარაკება იმისათვის, რომ მოვიზიდოთ თანხები. ახლა ვიწყებთ ამაზე ფიქრს და მოქმედებას.
– **რამდენად საიმედო პარტნიორი იქნება თქვენი თეატრი ბიზნესკომპანიებისათვის?**
– შესაძლოა თანამშრომლობა და პარტნიორობა. ჯერ ურთიერთობის აწყობაა მთავარი მათთან, მერე მოძიებული თანხებით ქართული თეატრის განვითარებას, ჩვენი თეატრის შემოქმედებით წარმატებებს უნდა შევუწყოთ ხელი.
– **როგორ აპირებთ დამატებითი თანხების მოძიებას?**
– ამაზე ბევრს ვფიქრობთ. კულტურის სამინისტროში საკითხიც კი დავსვით, გვინდოდა, კაფე–ბარი გახსნილიყო და რაღაც შემოსავალი გაუჩნდებოდა თეატრს. ჯერ ეს ვერ მოხერხდა. ამას გარდა, შესაძლოა, დარბაზის გაქირავება ყველა საჭირო საქმისათვის. ეს ხელს შეუწყობს თანხების მოზიდვას.
– **რა იყო მარკეტინგული თვალსაზრისით ბოლო წლებში ყველაზე წარმატებული პროექტი თქვენს თეატრში?**
– 2012 წელს თეატრალური კვირეული ჩატარდა და ამან ხელი შეუწყო მაყურებლის მოზიდვას. ამას გარდა, გვესტუმრა რუსთაველისა და თუმანიშვილის თეატრები – ეს დიდი სკოლა იყო მსახიობებისთვისაც,

დიდი გამოცდილება შევიძინეთ და, ზოგადად, ძალიან ვისიამოვნეთ. მერე ორი წარმატებული სპექტაკლი დავდგით, ერთი მათგანი „პეპი გრძელი წინდა“ თურქეთშიც წავიღეთ გასტროლებზე, მერე სოფლებშიც გავიტანეთ ეს სპექტაკლი, ყველა ბაგა-ბაღის აღსაზრდელს ვუჩვენეთ. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ უნდა შექმნა მაღალმხატვრული ღირებულების პროდუქცია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხულოში არის თეატრი. აქ თბილისიდან ჩამოსული ადამიანები მუშაობენ და ამას აქვს პოლიტიკური დატვირთვაც, რადგან ამ რეგიონში ხულოს თეატრმა უნდა თქვას თავისი სიტყვა, ეროვნული სულისკვეთება უნდა გაამძაფროს. ჩვენ ვმუშაობთ გუნდური პრინციპით. ჩვენთან ჩამოვიდა მსახიობი ლაურა რეხვიაშვილი, მან დაგვანახა, რომ ცოტა სხვანაირად უნდა დაიდგას სპექტაკლი, დაიწყო ტრენინგები მსახიობებთან, რათა მხატვრული დონე და პროფესიონალიზმი ამაღლდეს.

– მაყურებლის შესახებ რას გვეტყვით?

– ძირითადად, ახალგაზრდობა მოდის, თუმცა ყველა თაობის მაყურებელი გვყავს. პრობლემაა ბილეთის გაყიდვა, მისი ფასი მაინც მნიშნელოვანია მათთვის. გვინდა სააბონენტო სისტემის დანერგვაც, რომ სკოლებმა და წარმოება-დაწესებულებებმა შეიძინონ, ისინიც ეზიარონ თეატრს და თეატრსაც ჰქონდეს შემოსავალი. ყიველ შემთხვევაში, მაყურებლის უკმარისობას არ ვუჩივით.

– თუ ეწევით საქველმოქმედო საქმიანობას?

– ახლა ვაპირებთ გაყიდული ბილეთების თანხის ჩარიცხვას გიორგი ყორღანაშვილის ფონდში. სხვათა შორის, როცა სოფლებში და ბაგა-ბაღებში გავდივართ, იქ თანხას არ ვახდევინებთ და შესაძლოა ვთქვათ, რომ ესეც საქველმოქმედო აქციებია.

– რას გვეტყვით თეატრის პრობლემების შესახებ?

– თეატრის მუშაობას ამჟამად ხელს უშლის მხოლოდ გახმოვანების აპარატურა, რომელიც შეიცვლება აუცილებლად. მეორე უმთავრესი პრობლემაა მსახიობთა ხელფასი. მართალია, ბოლო პერიოდში გაიზარდა, მაგრამ მაინც მიზერულია ის თანხა და აუცილებლად უნდა გავზარდოთ. საკუთარი ტრანსპორტი არ გვყავს, სხვისი მიკროავტობუსი გვყავდა დაქირავებული და ისე დავდიოდით გასტროლებზე. საკითხი სამინისტროს დონეზეა დასმული და იმედი გვაქვს, რომ თეატრს თავისი სატრანსპორტო საშუალებაც ეყოლება

– რას გვეტყვით სამომავლო გეგმებზე?

– ძირითადია შემოქმედებითი დონის ამაღლება. ბევრს ვფიქრობთ იმაზე, რომ დავდგათ საინტერესო სპექტაკლები, გავიდეთ რეგიონებში და ასე შემდეგ. ამასთანავე, გავზრდით პრემიერების რაოდენობასაც, სეზონზე 3–4 სპექტაკლს ვგეგმავთ, ვაპირებთ რეჟისორის მოწვევას, აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას.

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ როინ სურმანიძესთან

- როგორ შეაფასებთ ბოლო თეატრალურ სეზონს თქვენს თეატრში?

- 2012 წლის 27 მარტს გაიხსნა ხულოს თეატრის რეაბილიტირებული შენობა. საზეიმო ცერემონიალი და თეატრალური კვირეული ძალიან შთამბეჭდავი იყო ჩვენთვის. ამის შემდეგ განვახორციელეთ ორი სპექტაკლი: ერთი იყო „პეპი გრძელი წინდა“, რომელიც დაიდგა უშუალოდ იმისთვის, რომ თეატრს მონაწილეობა მიეღო თურქეთში გამართულ ქალაქ სინოპის IV საერთაშორისო ფესტივალზე, ხოლო მეორე - დედაქალაქიდან მოწვეული რეჟისორის - ელენე მაცხონაშვილის „ფიროსმანი“. აღნიშნულ თემაზე სპექტაკლები ძალიან იშვიათად იდგმება და ესეც განკუთვნილი იყო ბავშვებისთვის და არამხოლოდ მათთვის, რამდენადაც აღმზრდელობით-შემეცნებით ხასიათს ატარებდა. არასაკმარისი სადადგმო ხარჯების გამო, მხოლოდ ორი დადგმა განვახორციელეთ და ვშიშობ, წელსაც ვერ ვიქნებით მნიშვნელოვნად უკეთეს სიტუაციაში, რამდენადაც ახლანდელი სადადგმო თანხებიც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ უფრო აქტიურად ვიმუშაოთ. ამჟამად, ვდგამთ თანამედროვე ქართველი დრამატურგის - ზურაბ მდინარაძის პიესას „ორაგულები“, რომელიც აფხაზეთის თემას ეძღვნება და გვინდა, რომ თეატრალურ ფესტივალ „დურუჯზეც“ წარვადგინოთ.

- რამდენი დადგმის განხორციელება გაქვთ განსაზღვრული?

- ასე თქმა ნამდვილად გამიჭირდება, რამდენადაც ვცდილობთ ისეთ პიესას მოვკიდოთ ხელი, რომელიც მაღალპროფესიულ დონეზე იქნება გადაწყვეტილი და ეს კიდევ რა თანხებს მოითხოვს, წინასწარ არ ვიცით...

- მოწვევითობის პრინციპს მომავალშიც შეინარჩუნებთ?

- რა თქმა უნდა. მაგალითად, ახალ სპექტაკლზე მთელი შემოქმედებითი ჯგუფი, დამდგმელი რეჟისორის გარდა, მოწვეულია, იგივე მხატვარი, კომპოზიტორი, კონსულტანტი, რომელიც მსახიობებთან მასტერკლასს ატარებს...

- რამდენად დადგება მსახიობების მოწვევის აუცილებლობა?

- თუ გვინდა, რომ მსახიობების დონე ავამაღლოთ, აუცილებლად დადგება... მაგრამ ყველაფერი, ისევ და ისევ, დამოკიდებულია ფინანსებზე. ახალი კანონის საფუძველზე, რომლის მიღებასაც პარლამენტი აპირებს, თეატრში ამის შესაძლებლობა გაჩნდება. თეატრის ხელმძღვანელობას შეიძლება გაუჩნდეს ან გამოუთავისუფლდეს თანხები მოწვევებისთვის და ა.შ.

- რადგან კანონი ახსენეთ, რამდენად მისაღებია თქვენთვის წარმოდგენილი კანონპროექტი?
- აბსოლუტურად ვეთანხმები! მასში არის ბევრი საინტერესო ფაქტი, ნოვაცია და ვფიქრობ, დაარეგულირებს პროფესიული თეატრების მუშაობისა და განვითარების პროცესს. მთავარია, თეატრს ჰქონდეს აღებული შემოქმედებითი მიმართულება და თეატრი არ იქნება ადმინისტრაციულ-ტექნიკურ ორიენტაციაზე მორგებული დაწესებულება.
- აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ გეგმავთ თუ არა რეორგანიზაციას?
- აუცილებლად! ეს კანონი იძლევა ამის საშუალებას, რომ მოხდეს რეორგანიზაცია, მხოლოდ არა ცუდი, არამედ კარგი მიმართულებით. ეს არის თეატრი და ვისაც ესმის თეატრი, ის უნდა იყოს და ვისაც არ ესმის, მისი ადგილი აქ არ არის!
- ახალგარემონტებულ თეატრში რამდენად გაუმჯობესდა ტექნიკური ბაზა?
- ერთადერთი პრობლემაა გახმოვანების აპარატურა. ურთიერთობა მაქვს კულტურის სამინისტროსთან, უმაღლეს საბჭოსთან და ვფიქრობ, რომ საკითხი მოგვარდება, რამდენადაც დამპირდნენ და მითხრეს, რომ დაგვეხმარებიან. სრულყოფილია განათება, სცენის ტექნიკური აღჭურვილობა და, თუ ამას გახმოვანებაც მიემატება, მაშინ პრობლემები, რომლებიც ხულოს თეატრში გასტროლზე ჩამოსულ დიდ თეატრებს ექმნებოდათ თბილისიდან, აღარ იქნება. მალე დრამატულ თეატრში დაიწყება რემონტი და მისთვის გამოყოფილ თანხას ჩვენი გახმოვანებისთვის საჭირო 30 000 ლარიც რომ მიაბან, თეატრი უფრო სრულყოფილად მოწესრიგდება.
- რა სიხშირით აჩვენებთ სპექტაკლებს?
- ამჟამად სარეპერტუარო პოლიტიკა ისე არ არის აწყობილი, როგორც გვინდა. ყველაფერი თანდათან მოგვარდება და, ჩემი სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნის შემთხვევაში, ესეც გადაიჭრება.
- თუ გეგმავთ გასტროლებს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით?
- საერთაშორისო თეატრალური ურთიერთობების გათვლა რთულია... ცალკეული წინადადებები აქვს კულტურის სამინისტროს მომდევნო სპექტაკლის დაფინანსებასთან დაკავშირებით და, აი, მაშინ უკვე შეიძლება საერთაშორისო გასტროლებზე ფიქრი.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა
ხულოს იუსუფ ზოიძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
გამოიკითხა 81 მაყურებელი



81 გამოკითხულიდან ხულოში 32 მხოლოდ საინტერესო სპექტაკლებს ესწრება, 24 ნახულობს ყოველ ახალ დადგმას, ხოლო 15 იშვიათად დადის თეატრში. 10 გამოკითხული ფიქრობს, რომ საკმაოდ ხშირად დადის თეატრში, გამოკითხულთაგან მხოლოდ 4-მა უპასუხა, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში თეატრში არ ყოფილა. ამ გამოკითხვამ დაასაბუთა, რომ მაყურებელი ხულოში აქტიურია და ეს აქტიურობა გამოწვეულია იმითაც, რომ თეატრი მთაში არის კულტურის ერთადერთი კერა, სადაც მოზარდს (ძირითადად, საჯარო სკოლების მოსწავლეებს) აქვთ მოტივაცია თეატრთან მჭიდრო კონტაქტისა.



ხულოში გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა, ისე როგორც სხვა რეგიონებში, თეატრში წაუსვლელობის მოტივად ასახელებს თავისუფალი დროის უქონლობას, ხოლო 9 ამბობს, რომ შორს ცხოვრობს, ასევე 9 მაყურებელს არ აკმაყოფილებს სპექტაკლების დონე.



კითხვაზე, თუ რისთვის მიდიან უმთავრესად თეატრში, 81 გამოკითხულიდან 36 პასუხობს, რომ დასვენებისა და გართობის მიზნით, 21-21 ხმა დააგროვა პასუხებმა: გავიგო რაიმე ახალი და ვნახო საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორის ნამუშევარი.



რაც შეეხება ჟანრის მიმართ ინტერესს, როგორც მოსალოდნელი იყო 64 რესპოდენტი კომედიას ასახელებს, ასევე, 19 ხმით მეორე ადგილს იჭერს რეიტინგში მუსიკალური კომედია, და 12 ხმა დააგროვა ტრაგიკომედიის ჟანრმა.



ყველაზე გავრცელებული სარეკლამო საშუალება ხულოში, როგორც აღმოჩნდა, აფიშაა. 56 გამოკითხული ამბობს, რომ აფიშის საშუალებით იგებს სპექტაკლის გამართვის შესახებ, ხოლო 16 სატელევიზიო რეკლამით. ძალიან მცირეა ინტერნეტის მომხმარებელი. ასეთი რესპოდენტი მხოლოდ 6 აღმოჩნდა.



ხულოელი მაყურებელიც მრავალფეროვნების მოყვარულია, თუმცა 21 რესპოდენტი ფიქრობს, რომ ხულოს თეატრის სცენაზე თანამედროვე ქართული დრამატურგია უნდა იდგმებოდეს. აქტუალურია ისტორიული ჟანრის პიესები (18 ხმა), ასევე, მოთხოვნა გამოიკვეთა თანამედროვე უცხოური დრამატურგიისადმიც (11 ხმა).



კითხვაზე, თუ რატომ მოვიდა მაყურებელი თეატრში, 33-მა უპასუხა, რომ აინტერესებდა სპექტაკლის თემა, 17-ს კი მსახიობებთან შეხვედრა სურდა, ხოლო 12-ს აინტერესებდა რეჟისორის ახალი ნამუშევარი, ასევე 12 გამოკითხულს წაკითხული ჰქონდა ნაწარმოები.



63 მაყურებელი ხულოში ფიქრობს, რომ სპექტაკლში მთავარია ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსი, 35 კი პოლიტიკურ მოტივს ასახელებს, 15 საინტერესო ამბავს მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვნად სპექტაკლში.



მაყურებლის რეკომენდაცია ხულოს თეატრის ხელმძღვანელობისადმი სარეკლამო საშუალებებთან დაკავშირებით შემდეგნაირად გამოიყურება:
63 რესპოდენტი ფიქრობს, რომ აფიშით უნდა გაიგოს სპექტაკლის გამართვის შესახებ, ხოლო 35 სატელევიზიო რეკლამას და პრესას მიიჩნევს ყველაზე ეფექტურ სარეკლამო ხერხად.



ხულოელი მაყურებლის ნდობა კრიტიკისადმი საკმაოდ დაბალი 81 გამოკითხულთაგან მხოლოდ 5 ენდობა კრიტიკოსის შეფასებას, 22 საერთოდ არ ენდობა, ხლო 49 ნაწილობრივ ენდობა. ამავდროულად, ხულოში არ იცნობენ, არც გაუგონიათ არც ერთი თეატრმცოდნის ან კრიტიკოსის სახელი, არ აქვთ ინფორმაცია მათ რეცენზიებზე, კვლვებზე, სტატიებსა და სატელევიზიო გამოსვლებზე.

ქართველი რეჟისორების რეიტინგი ხულოში კი ასე გამოიყურება:



რობერტ სტურუა 21 ხმა, დავით დოიაშვილი 17 ხმა, მას მესამე ადგილზე მოსდევს ლევან წულაძე 13 ხმით. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთაგან 19 რესპოდენტმა სასურველ რეჟისორად ხულოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი როინ სურმანიძე დაასახელა.
პასუხები კითხვაზე - ვინ არის თქვენი საყვარელი მსახიობი? - ასე გამოიყურება

1. რუსკა მაყაშვილი 33-ჯერ
2. კახი კავსაძე 18-ჯერ

3. გივი ბერიკაშვილი 16-ჯერ
4. გიორგი ვარდოსანიძე 10-ჯერ
5. ვანიკო თარხნიშვილი 4-ჯერ
6. გიორგი ყიფშიძე 4-ჯერ
7. მიშა მესხი 4-ჯერ
8. ია სუხიტაშვილი 3-ჯერ
9. ნინელი ჭანკვეტაძე 3-ჯერ
10. გურანდა გაბუნია 3-ჯერ
11. ლაურა რეხვიაშვილი 2-ჯერ
12. მურმან ჯინორია 2-ჯერ

ავთო ბოლქვაძე
მარიკა ასათიანი
გია მელაძე
რამაზ ბოლქვაძე
გენო ბოლქვაძე
გურამ თავართქილაძე
ნინო ქარცივაძე
ბაჩო ქაჯაია
მარინა ჯანაშია
ეკა ნიჟარაძე
ლევან უჩანეიშვილი
ნინო გაჩეჩილაძე
ნანა ფაჩუაშვილი
ია ფარულავა
გია ბურჯანაძე
მარინა კახიანი

ადგილობრივ მსახიობთაგან ერთხელ დასახელდნენ: **ავთო ბოლქვაძე, მარიკა ასათიანი, გია მელაძე, რამაზ ბოლქვაძე, გენო ბოლქვაძე, გურამ თავართქილაძე, ნინო ქარცივაძე.**

უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულება? ხულოელი მაყურებლის აზრით, ასეთი დაწესებულების არსებობა თეატრის სივრცეში არარეკომენდირებულია (36 ხმა), 32 ფიქრობს, რომ შესაძლებელია, ამათგან 13 რესპოდენტის აზრით კაფე, 7 რესპოდენტის აზრით ღამის კლუბი, 3 რესპოდენტის აზრით დისკოთეკა, ხოლო ორი მაყურებელი ფიქრობს, რომ თეატრში კარაოკე კლუბიც უნდა იყოს.



ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას
სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

მოკლე ისტორია

თეატრალურ სანახაობათა ისტორია გურიაში მამია V გურიელის (1789–1826) დროიდან იწყება. "გურიის ამბები" 1819 წელს იუწყებოდა: „მამია V გურიელმა თავის სასახლეში საფუძველი დაუდო ევროპულად მოწყობილ სალონს – პირველ კულტურულ ცენტრს დასავლეთ საქართველოში, სადაც მოაწყო ზნეობათა საღამო, შესაქცევი შეკრებილობა ასამბლეების მსგავსად, გამოიყვანა ევროპიდან ბუზიკის მასწავლებლები, შეადგინა თავისი ბუზიკა და ჩვეულებათ გააჩინა ევროპული ტანცები".

თეატრის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1868 წლის 20 მარტი, როდესაც ოზურგეთში გაიმართა პირველი საჯარო წარმოდგენა. თეატრის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1895 წელი, როდესაც ქალაქს ეწვივნენ მსახიობები ვასო აბაშიძე, ეფემია მესხი, ნატო გაბუნია და სხვანი. იმავე წელს სცენისმოყვარულთა წრეს სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე წუწუნავა. დასში შედიოდნენ: ვ. ურუშაძე. მ. მდივანი, ლ. მირიანაშვილი, ს. ხურციძე, თ. გოგიტიძე და სხვები. 1900-იანი წლებიდან დასის შემადგენლობა გაიზარდა. დასმა ქალაქში სახლი იქირავა, რომელიც 1901 წელს დაიწვა და წარმოდგენები ქალაქის როტონდაში გადაიტანეს. 1902 წლიდან დასი ისე გაძლიერდა, რომ გასტროლებსაც მართავდა სხვა ქალაქებში, თუმცა 1903 წელს როტონდის შენობაც გადაიწვა. წამყვანმა მსახიობებმა დასი მიატოვეს და ქუთაისში გადაბარგდნენ.

1823 წელს ოზურგეთს ესტუმრა გერმანელ მოხეტიალე მსახიობ კომედიანტთა, ჯამბაზთა და აკრობატთა ჯგუფი, რომელიც გურიელმა თავის კარზე დაიტოვა საღამოთა და სანახაობათა მოწყობისა და გართობის მიზნით. ოზურგეთის დრამატული თეატრის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1868 წელი, როდესაც ქალაქში პირველი საჯარო წარმოდგენა გაიმართა. 1895 წელს სცენისმოყვარეთა წრეს სათავეში ჩაუდგა ალ. წუწუნავა, რომლის სახელსაც დღეს თეატრი ატარებს. 1912-1913 წლებში დასში დარჩენილმა სამსონ ხურციძემ გარს ახალგაზრდები შემოიკრიბა და თეატრალური დასის აღორძინება დაიწყო. 1914 წელს გერმანე გოგიტიძის თაოსნობით ოზურგეთში, ამჟამინდელი სასტუმრო „გურიის" ადგილზე, ააგეს კინოთეატრის შენობა. ეს იყო ელექტროენერგიით განათებული პირველი შენობა ოზურგეთში, რომელიც 1 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა. წარმოადგინეს ა. სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინება" ლადო მესხიშვილის მონაწილეობით. დადგმის რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა იყო. 1920 წელს სცენისმოყვარულებს ხელმძღვანელობდა სოსო ჟივიძე. წრეში შედიოდნენ: ე. აბაზაძე, დ. აბდუშელი, ბ. შავიშვილი, ა. ღლონტი, ბ. წულაძე, სიკო დოლიძე (შემდგომში კინორეჟისორი) და სხვები. 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისიდან მიიწვიეს მსახიობი ე, ნინიძე, რომელმაც ჩამოაყალიბა ოზურგეთის სახელმწიფო რევოლუციური დრამატული დასი. 1934 წლიდან, ქალაქის სახელის ცვლილების გამო, სახელი ეცვალა თეატრსაც, ის გახდა მახარაძის თეატრი.

თეატრის ისტორიაში წარმატებული იყო 1958 და 1964 წლები, როდესაც დასი გასტროლებზე იმყოფებოდა თბილისში. 1967 წელს თეატრის სახელწოდებას დაემატა სიტყვა „სარაიონთაშორისო". 1968 წელს თეტრმა გადაიხადა არსებობის 100 წლის იუბილე, მას მიენიჭა ა. წუწუნავას სახელი. ამავე წელს თეატრმა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. 1987 წლის 4-10 ივლისს თეატრის დასს გასტროლები ჰქონდა მოსკოვში, 1989 წელს კი - უნგრეთში. 1988 წელს პომპეზურად აღინიშნა თეატრის 120 წლის იუბილე, თეატრის გვერდით გაიხსნა ალექსანდრე წუწუნავას ძეგლი (ავტ.: ვ. მჟავანაძე, ჯ. მიმინოშვილი, ვ. ბახტაძე).

საუკეთესო დადგმებია: პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება", გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ", მ. მრევლიშვილის „ზვავი", მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი", ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს", ა. გეწაძის „ყარამან ყათელაძე", ბ. ლავრენევის „რღვევა" და სხვა.

1962 წელს დამთავრდა 1935 წელს დაწყებული მახარაძის (ოზურგეთი) თეატრის მშენებლობა, რამაც დასს აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების საშუალება მისცა. სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც ძველი ბერძნული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, ზომების მიხედვით, საქართველოს ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასშტაბური შენობაა ფილარმონიის შემდეგ (არქიტექტორი კ. ჩხეიძე; ჭერის მხატვრობა ეკუთვნის ა. ქუთათელაძეს). სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი რეჟისორები, დამსახურებული და სახალხო არტისტები, ხელოვნების დამსახურებული მუშაკები.

დღეს ოზურგეთის თეატრის დასი წარმატებით აგრძელებს თეატრალური წარმოდგენების დადგმას. თეატრს ამჟამად ჰყავს 42-კაციანი დასი. 2005 წელს თეატრი აღიარებულ იქნა კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის მიერ როგორც საუკეთესო რეგიონული თეატრი.

თეატრის შენობა

თეატრი 1914 წლიდან გერმანე გოგიტიძის აგებულ შენობაში მოღვაწეობდა. 1934-1935 წლებში დაიწყო ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც 1962 წელს დასრულდა. თეატრი ძველი ბერძნული ტიპის ნაგებობაა. ზომების მიხედვით საქართველოს ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასშტაბურია ფილარმონიის

შემდეგ. მისი მშენებლობა 1933 წელს დაიწყო და 1962 წელს დასრულდა. (არქიტექტორი კ. ჩხეიძე, მოქანდაკეები ც. თოფურიძე, ჭერის მხატვრობა ა. ქუთათელაძე). თეატრი წარმოადგენს ხუთსართულიან ნაგებობას, რომლის შემადგენლობაშიც შედის თოჯინების თეატრი, სხვადასხვა სათავსო, საგრიმიოროები, სველი წერტილები; მეხუთე სართულზე განთავსებულია კულტურის ცენტრი. გარდა ამისა, თეატრს აქვს დიდი მოცულობის სარდაფი (50 მ3). ცენტრალურ დარბაზი სრულად იტევს დაახლოებით 1200 კაცს (ითვლება ფეხზე მდგომი მაყურებელიც), დასაჯდომი ადგილი კი დაახლოებით 600 ადამიანზეა გათვლილი. თეატრის შენობა არის 3600 მ ^{2}.

თეატრის დასახელება – ს.ს.ი.პ ქ. ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების წელი – 1868 წელი
თეატრის იურიდიული ფორმა – საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები 2010-2012 წწ.
მმართველი ზაზა ჯინჭარაძე,
სამხატვრო ხელმძღვანელი ოთარ კუტალაძე
თეატრის ელ.ფოსტა - არ აქვს
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა – jincharadzezaza@mail.ru
ვებგვერდის მისამართი – facebook.com/ozurgetis saxelmwifo teatri
თეატრის მისამართი - ქ. ოზურგეთი, ი. ჭავჭავაძის ქ. №1
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა – 53
ამათგან მსახიობთა რაოდენობა – 22
შემოქმედებითი პერსონალი – 23
ტექნიკური პერსონალი – 4
ადმინისტრაცია – 4

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	**14 700**		**178 600**	
2011	**7 000**		**216 800**	
2012	-		**191 192**	

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით
2010 წელი - 618 ლარი
2011 წელი - 1015 ლარი
2012 წელი - 1128 ლარი

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა - 151 -ჯერ
2010 წელს – 45 სპექტაკლი (მათ შორის, გ. ბათიაშვილის „წერილები შვილებს“ 19 –ჯერ)
2011 წელს – 47 სპექტაკლი (მათ შორის, გ. ბათიაშვილის „ლალი, სიყვარული და სხვები“ 16 –ჯერ).
2012 წელს – 59 სპექტაკლი (მათ შორის, ა. ცაგარელის „ოინბაზი“ 23–ჯერ).

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა 2010-2012 წლებში
2010 წელს – 4 600
2011 წელს – 4 900
2012 წელს – 6 400

ბილეთის ტარიფები:
საპრემიერო ჩვენება – 3 ლარი, რიგითი სპექტაკლი – 1 ლარი.

თეატრის შემოსავალი სხვა საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა)
2010 წ. – 22 721 ლ.
2011 წ. – 20 608 ლ.
2012 წ. – 11 617 ლ.
რა უჯდება თეატრს საშუალოდ ახალი სპექტაკლის დადგმა 3 800 ლარი.
რა უჯდება თეატრს საშუალოდ სპექტაკლის აღდგენა 300–500 ლარი.
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი – 1 250 – 2 000 ლარი.
მსახიობის ხელფასი
უმაღლესი - 330 ლარი
უმდაბლესი – 240 ლარი

იყო თუ არა თეატრი გასტროლებზე (2010-2012)
საშუალოდ რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა:
ქვეყნის შიგნით – 7400 ლარი.
საზღვარგარეთ – 4200 ლარი (თურქეთის საერთაშორისო ფესტივალზე).
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი /დაასახელეთ/
ქვეყნის შიგნით – საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელი (GRTN).
ქვეყნის გარეთ – არა
რომელ ფესტივალში მონაწილეობდა თეატრი, ჩამოთვალეთ – ბულანჯაკის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი (2010 – 2012 წ.)
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) –
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2010-2011) – არა
რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა – დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში – დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში – დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში – დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის ან პიარსამსახურის მენეჯერი – არა
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება – დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება – დიახ
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 22 წლის
ყველაზე ხანდაზმული –85 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა – 2012 წლის 27 აპრილს

თეატრში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიური პრემიით 2010 წელს დაჯილდოვდა ბელა კიკვაძე, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

შენობის შესაძლებლობები:
აქვს თუ არა ფოიე - საგამოფენო სივრცე - აქვს
საკონფერენციო დარბაზი – აქვს
ბუფეტი – არა
წიგნის მაღაზია – არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის – არა
ტექნიკური აღჭურვა
განათება – ძალიან ძველი
გახმოვანება – ძალიან ძველი
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა – 423 ადგილი
პარტერი 423 ადგილი; ორი იარუსი, პირველ იარუსზე 92 ადგილი, მეორე თავისუფალი.

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე – 25 მეტრი
სცენის სიგანე – 12 მეტრი
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე – 15 მეტრი
იატაკიდან გამოყენებამდე – 9 მეტრი
სარკის სიგანე – 9 მეტრი
სარკის სიმაღლე – 9 მეტრი
საორკესტრო ორმოს სიგანე – არა
საორკესტრო ორმოს სიმაღლე – არა
საორკესტრო ორმოს რკალი – არა
სცენის წრის დიამეტრი – 13 მეტრი
სცენის მარჯვენა ჯიბე – არა
სცენის მარცხენა ჯიბე – კი
შტანგეტების რაოდენობა – 34 ცალი
შტანგეტებს შორის ინტერვალი – 0.5 მ.
სოფიტების რაოდენობა – 2 ცალი
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა – 15 ცალი
მოძრავი პორტალების სიმაღლე – 10 მ.
მოძრავი პორტალების სიგანე – 3 მ.

რეპერტუარი 2010-2012 წწ.

სპექტაკლის დასახელება - „მეფე ლირი თავშესაფარში“
პიესის ავტორი - ოთარ ბაღათურია
რეჟისორი - ოთარ კუტალაძე
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
ქორეოგრაფი - მარიკა ქვეთაია
მონაწილეობენ: ბელა კიკვაძე, თემურ კვირკველია, ივანე ჩხაიძე, გენადი ნიკოლაიშვილი, ლია მარტიაშვილი, მარგარიტა ავაქიანი, ნელი ბასილაშვილი, ვალერიან კანთელაძე, ნუგზარ ბარამიძე, ალექსანდრე ლომიძე, ომარ ურუშაძე, ზაირა თოთიბაძე, შორენა გვეტაძე, იური ჯიჯიეშვილი, ნინო ჯუღელი, ზაზა ჯინჭარაძე, ვერიკო ხუხუნაიშვილი, თამარ მდინარაძე, ვახტანგ ჩხარტიშვილი, თეა კეჭეყმაძე, გიორგი დოლიძე, ქეთევან ცეცხლაძე, შოთა გოგიტიძე, ივანე ჩხაიძე, ვერიკო ხუხუნაიშვილი, ირაკლი ვადაჭკორია, თეა ჯიჯიეშვილი, ჯემალ კეჭაყმაძე.

სპექტაკლის დასახელება - „შვილები და რძლები“
პიესის ავტორი - ნიკოლოზ არეშიძე
რეჟისორი - ოთარ კუტალაძე
მხატვარი - თამაზ დარჩია
მუსიკალური გამფორმებელი - ნინო გარაყანიძე
ქორეოგრაფი - ლია მარტიაშვილი, მარიკა ქვეთაია
მონაწილეობენ: ომარ ურუშაძე, მარგარიტა ავაქიანი, ნელი ბასილაშვილი, თემურ კვირკველია, ლია მარტიაშვილი, გენადი ნიკოლაიშვილი, ვალერიან კანთელაძე, თეა კეჭაყმაძე, გიორგი დოლიძე, თეა ჯიჯიეშვილი.

სპექტაკლის დასახელება - „შემოდგომის სონატა“
პიესის ავტორი - ინგმარ ბერგმანი
დადგმის ხელმძღვანელი - ლევან წულაძე
რეჟისორი - ლელა ლაშხი
მხატვარი - თამაზ დარჩია
მუსიკალური გამფორმებელი - მერაბ ორაგველიძე
მონაწილეობენ: ბელა კიკვაძე, თამარ მდინარაძე, ივანე ჩხაიძე, შორენა გვეტაძე, გიორგი ბაბილოძე.

სპექტაკლის დასახელება - „სპილოები“
პიესის ავტორი - გიორგი ჩარკვიანი
რეჟისორი - შოთა ბაბილოძე
მხატვარი - გია გვიჩია
მუსიკალური გამფორმებელი - მამუკა ბაბილოძე
ქორეოგრაფი - მარიკა ქვეთაია
მონაწილეობენ: ნუგზარ ბარამიძე, გენადი ნიკოლაიშვილი, ვახტანგ ჩხარტიშვილი, გიორგი დოლიძე, თეა კეჭაყმაძე, ვალერიან კანთელაძე, იური ჯიჯიეშვილი, ივანე ჩხაიძე, მამუკა გაგუა, თამარ მდინარაძე, შორენა გვეტაძე.

სპექტაკლის დასახელება - „ლალი, სიყვარული და სხვები“
პიესის ავტორი - გურამ ბათიაშვილი
რეჟისორი - ოთარ კუტალაძე
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
მუსიკალური გამფორმებელი - ნინო გარაყანიძე
მონაწილეობენ: თეა კეჭაყმაძე, მარგარიტა ავაქიანი, ნელი ბასილაშვილი, ნინო ჯუღელი, ბელა კიკვაძე, თეა ჯიჯიეშვილი, ირაკლი ვადაჭკორია, გიორგი დოლიძე, ვასიკო ჩავლეიშვილი, თემურ კვირკველია, ზაზა ჯინჭარაძე, მამუკა გაგუა, გენადი ნიკოლაიშვილი.

სპექტაკლის დასახელება - „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი“
პიესის ავტორი - თამაზ მეტრეველი
რეჟისორი - ოთარ კუტალაძე
მხატვარი - თამაზ დარჩია
მუსიკალური გამოფრმებელი - თორნიკე სურგულაძე
ქორეოგრაფი - ლია მარტიაშვილი
მონაწილეობენ: ბელა კიკვაძე, გენადი ნიკოლაიშვილი, თეა კეჭაყმაძე, გიორგი დოლიძე, თამარ მდინარაძე, ლია მარტიაშვილი.

სპექტაკლის დასახელება - „ნაფტალინი“
პიესის ავტორი - ლაშა ბუღაძე
რეჟისორი - შოთა ბაბილოძე
მხატვარი - გია გვიჩია
მუსიკალური გამფორმებელი - მამუკა ბაბილოძე
ქორეოგრაფი - მარიკა ქვეთაია
მონაწილეობენ: ვერიკო ხუხუნაიშვილი, ივანე ჩხაიძე, თეა კეჭაყმაძე, გენადი ნიკოლაიშვილი, თემურ კვირკველია, ნუგზარ ბარამიძე, ნინო ჯუღელი, ბელა კიკვაძე, იური ჯიჯიეშვილი, ალექსანდრე ლომიძე, თამარ მდინარაძე, გიორგი ბაბილოძე, ანი შაქარიშვილი, მარი შაქარიშვილი.

სპექტაკლის დასახელება - „გამარჯობა, ხალხო“
პიესის ავტორი - კოტე ნინიკაშვილი, ვასილ ჩიგოგიძე
რეჟისორი - ვასილ ჩიგოგიძე
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
მუსიკალური გამფორმებელი - ეკა კუხიანი, ამირან გოლიაძე
ქორეოგრაფი - მარიკა ქვეთაია
მონაწილეობენ: გიორგი დოლიძე, ბელა კიკვაძე, გაბრიელ მდინარაძე, ზაირა თოთიბაძე, ზაზა ჯინჭარაძე, ამირან ქადეიშვილი, ნუგზარ ბარამიძე, ვალერიან კანთელაძე, თამარ მდინარაძე, შორენა გვეტაძე, თეა ჯიჯიეშვილი, ქეთევან ცეცხლაძე, გენადი ნიკოლაიშვილი, მარგარიტა ავაქიანი, ნინო ჯუღელი, ალექსანდრე ლომიძე, თემურ კვირკველია, ჯემალ კეჭაყმაძე, შოთა ბაბილოძე, ვერიკო ხუხუნაიშვილი, ლია მარტიაშვილი, ირაკლი ვადაჭკორია, ივანე ჩხაიძე, ვასიკო ჩავლეიშვილი, იური ჯიჯიეშვილი

სპექტაკლის დასახელება - „ოინბაზი“
პიესის ავტორი - ა. ცაგარელი
რეჟისორი - შოთა ბაბილოძე
მხატვარი - შოთა ბაბილოძე
მუსიკალური გამფორმებელი - ნინო გარაყანიძე
ქორეოგრაფი - მარიკა ქვეთაია
მონაწილეობენ: გიორგი დოლიძე, ქეთი ცეცხლაძე, ვახტანგ ჩხარტიშვილი, თეა ჯიჯიეშვილი

სპექტაკლის დასახელება - „ჭაობი“
პიესის ავტორი - ი. ჯიჯიეშვილი
რეჟისორი - იური ჯიჯიეშვილი
მხატვარი - ხვიჩა დობორჯგინიძე
მუსიკალური გამფორმებელი - რუსუდან ჩხაიძე
ქორეოგრაფი - ლია მარტიაშვილი, მარიკა ქვეთაია
მონაწილეობენ: გიორგი დოლიძე, ვალერიან კანთელაძე, ნინო ჯუღელი, თეა კეჭაყმაძე, თეა ჯიჯიეშვილი, ივანე ჩხაიძე, გენადი ნიკოლაიშვილი, მამუკა გოგია, ვახტანგ ჩხარტიშვილი, ვასო ჩავლეიშვილი, ბაჩანა ჭანტურია.

საუბარი თეატრის მმართველ ზაზა ჯინჭარაძესთან

- **როგორ აფასებთ კულტურისა და ხელოვნების დასპონსორების შესაძლებლობებს?**
- გურიაში არ არის იმდენი ბიზნესმენი, რომ დაიწყო პარტნიორობა და იმ კუთხით იმუშაო მათთან, რასაც ჰქვია თეატრის დაფინანსება. ჩემი აზრით, აუცილებელია მომზადდეს საკანონმდებლო ბაზა, უნდა შევიდეს ძალაში კანონი ქველმოქმედების შესახებ, ამის შემდეგ ბიზნესმენი უფრო გაბედულ ნაბიჯებს გადადგამს. მე რომ დავინიშნე, 40 ათასი იყო თეატრის ბიუჯეტი, ახლა 200 ათასია. 2008 წელს 1 მარტიდან 300 პროცენტით გავზარდეთ ხელფასები. რაც შეეხება დასპონსორებას, ერთადერთი გზა ესაა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გამოცხადებული კონკურსები, რომლებშიც ვმონაწილეობთ და გვიფინანსდება სადადგმო ხარჯები. ჩვენთვის 7 ათასი ლარი დიდი თანხაა და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. რაც შეეხება ადგილობრივ ბიზნესს, ერთადერთი ბატონი ვანო ჩხარტიშვილია, რომელიც ზრუნავს თეატრზე. გასულ წელს სამი ხელოვანი ადამიანის ვარსკვლავი გავხსენით და ბატონმა ვანომ დიდი ფინანსური დახმარება გაგვიწია. სპონსორები არ გვყავს. კონცეფცია შემუშავებული გვაქვს, მაგრამ ადგილობრივ დონეზე ბიზნესმენთა შემოსავლები ისეთი მწირია, რომ ვერ შესთავაზებ დიდ პროექტს, თუმცა მცირეხარჯიანი პროექტები შესაძლოა დაგიფინანსონ. მაგთიკომთან, ბილაინთან და ჯეოსელთან გვითანამშრომლია. მათ ფართი დავუთმეთ ქალაქის ცენტრში, აქ დაამონტაჟეს ანტენები, სამაგიეროდ ისინი გასტროლებს გვიფინანსებდნენ, მსახიობის ხელფასებსაც, მაგრამ ნიკა გილაურის მთავრობამ მიიღო ჩვენთვის კაბალური გადაწყვეტილება და ეს კომპანიები ვეღარ გვაფინანსებენ. საიჯარო შემოსავლები გაგვიუქმდა.

- **თუ იყო რამე განსაკუთრებული პროექტი დაფინანსებული 2010 –2012 წლებში?**
- თურქეთში საერთაშორისო ფესტივალზე ამ კომპანიების სრული დაფინანსებით წავედით, არც ერთი თეთრი ბიუჯეტიდან არ დაგვიხარჯავს, ჭიათურასა და საჩხერეშიც გვქონდა გასტროლები, გასული წლის ზუგდიდში გასტროლის მთელი 60 პროცენტი დაგვიფინანსეს, მაგრამ მარჯვენა ხელი მოგვაჭრეს, როცა ნაციონალებმა ის კაბალური გადაწყვეტილება მიიღეს, რომელზეც უკვე მოგახსენეთ!
- **რას ნიშნავს თქვენთვის სპონსორობა?**
- ეს არის ერთგვარი აზარტი. დაახლოებით ათი პროექტი მაქვს დაწერილი, აქედან ერთი შეიძლება დაფინანსდეს, მაგრამ მაინც აქვს დიდი მნიშვნელობა: ვხვდები ფონდებს, ვსაუბრობ თეატრის რემონტზე, მსახიობებზე – ეს ერთგვარად შენი პიარიცაა. საქმეს უნდა მოახმარო ფული და ამით უნდა გაიხარო.
- **საკმარისია თუ არა თეატრისათვის სახელმწიფოსაგან გამოყოფილი ხარჯები?**
- წლის განმავლობაში სამ სპექტაკლში სადადგმო ხარჯებისთვის გამოყოფილია 12 ათასი ლარი, ამ თანხაში შედის ჰონორარებიც - ეს ხომ სასაცილო თანხაა სამი სპექტაკლისათვის. არ არსებობს თეატრი მსოფლიოში დოტაციის გარეშე. ბილეთიდან გაყიდული თანხით თეატრი ვერ იარსებებს. ჩვენ უზარმაზარი ფართი გვაქვს, მაგრამ გადამხდელი არავინაა. საბიუჯეტო ორგანიზაცია როცა გვიკვეთავს, 150 ლარს იხდის თავისი რეპეტიციით, მომსახურე პერსონალით მაშინ, როცა იმხელა ინფრასტრუქტურა გვაქვს, რომ 1 საათში ელექტროენერგიის დანახარჯი შეადგენს 18–21 ლარს.
- **როგორ მოიზიდეთ მაყურებელი თეატრში?**
- ადრე არსებობდა და ჩვენ აღვადგინეთ თეატრის შემოქმედებითი კვირეულები. დავარიგე ანკეტები მაყურებლებში და გამოვავლინეთ კვირეულის საუკეთესო ქალი და მამაკაცი მსახიობი... გარდა ამისა, მქონდა ერთი პრიზი – საუკეთესო მაყურებელი, რომელიც ყველა პრემიერასა და სპექტაკლზე დადის, სიმბოლურ საჩუქარს გადავცემდით. ამან კარგი შედეგი გამოიღო და რიგით სპექტაკლებზე დადის ხალხი. ყოველი პარასკევი თეატრის დღეა ოზურგეთში. ჩვენი თეატრის ძირითადი მაყურებელი ბავშვები არიან. ქალაქის პროკურატურას ჰქონდა პროექტი „საზოგადოებრივი პროკურატურა“ და ამ ეგიდით გავაკეთეთ ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული წარმოდგენა „ჭაობი“. ერთი წელი ვითანამშრომლეთ პროკურატურასთან, ვაწყობდით განხილვებსა და საუბრებს ნარკომანიის თემაზე. მე მგონია, რომ პრობლემატიკას სწორად ასახავს თეატრი.
- **რას გვეტყვით საქველმოქმედო წარმოდგენებზე?**
- ახლახან გიორგი ყორღანაშვილის ანგარიშზე ჩავრიცხეთ თანხა, ჩავატარეთ საქველმოქმედო საღამოც ადგილობრივის, დათო შალიგავას, დასახმარებლადაც. ძალიან კარგად ვთანამშრომლობ შეზღუდულ მშესაძლებლობების მქონე ადამიანების ასოციაციასთან, მათ "ღვთის შვილებს" ვეძახი, ერთობლივ ნაწყვეტებსაც ვთამაშობთ მათთან, პრემიერებზეც ვეპატიჟებით.
- **თუ გაქვთ საახალწლო სპექტაკლები?**
- არა, არ გვაქვს. სამი წელია სამხარეო პოლიციასთან ერთად ოზურგეთის თეატრი აწყობს საბავშვო კარნავალს სამხარეო პოლიციის თანამშრომელთა ბავშვებისათვის. საახალწლოდ თეატრი დატვირთულია და დრო არ გვრჩება. ქალაქში ერთადერთი ფართი ჩვენი თეატრის დარბაზია, სხვა ალტერნატივა არ არის ოზურგეთში.
- **რა პრობლემების წინაშე დგას თეატრი?**
- შენობის წინა ფასადი მთლიანად გასაწმენდია, აუცილებელია მაყურებელთა დარბაზის გათბობა, მსახიობთა სალონებისა და საგრიმიოროების კეთილმოწყობა, სველი წერტილების მთლიანად გარემონტება, სასტუმრო ოთახების მოწყობა, სცენის გარემონტება... 1961 წელს დამონტაჟებული განათება–გახმოვანების შეცვლა.
- **რა სამომავლო გეგმები გაქვთ?**
- ძალიან გვინდა ნოდარ დუმბაძის სახელობის ფესტივალის მოწყობა, - ეს ჩვენი დიდი ხნის ოცნებაა. გურიაში უნდა ჩატარდეს დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალი. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს ლიტვის პანევიჟისის თეატრთან. ჩვენ გავაკეთეთ პროექტი "გამარჯობა, ხალხო!", ეს ჯერ იქ დაიდგა, შემდეგ – ჩვენთან, დეკორაცია გვაქვს იდენტური. ოზურგეთის თეატრი მიიწვიეს ლიტვის საერთაშორისო ფესტივალზე, ყოველგვარ ხარჯებს იღებდა ლიტვის მხარე, ჩვენ უნდა გვეთამაშა ორ ენაზე მათთან ერთად. მგზავრობის ხარჯი 20 ათსი ლარი ვერ ვიშოვეთ და ვერ ჩავედით. ეს პროექტი ისევ ძალაშია. ახლა თუმანიშვილის ფესტივალზე ჩამოდიან ლიტველები და შესაძლოა, ვითამაშოთ მათთან ერთად თბილისში, რუსთავში ან ოზურგეთში. ეს იქნება ძალიან დიდი მოვლენა ჩვენი თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში.

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ოთარ კუტალაძესთან

- **2010–2012 წლებში რას თვლით თეატრის შემოქმედებით წარმატებად?**
- დავდგით დაახლოებით 7 სპექტაკლი და ყველაზე წარმატებული იყო გ. ბათიაშვილის "წერილები შვილებს", რომელშიც ლელა კიკვაძემ მიიღო პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. ასევე, მონაწილეობა მივიღეთ თურქეთში საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც წარმოვადგინეთ ა.

წერეთლის „ბუტიაობა“, რომელიც ძალიან მოეწონათ, დაგვაჯილდოვეს. ასეთივე წარმატება გვქონდა ზუგდიდში, სადაც დიდი სიყვარულით გველოდებოდა მაყურებელი და გადაჭედილ დარბაზში ვითამაშეთ.

- **რა შემოქმედებითი პრობლემების წინაშე დგახართ?**
- უპირველესად, გვჭირდება ახალგაზრდა ქალი მსახიობები. თეატრში დიდი ნაკლებობაა ახალგაზრდებისა. პროფესიონალი მსახიობები არ გვყავს. ჩვენი ამოცანაა, მუნიციპალიტეტმა როგორმე დაგვიფინანსოს ორი გოგონას სწავლა. კადრების მოპოვება ოზურგეთში შესაძლებელია. ჩვენ გვყავდა მიზნობრივი ჯგუფი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, მაგრამ უხელფასოდ აქ ვინ იმუშავებს?! დაფინანსება უნდა იყოს, რომ ახალი პროფესიონალი ძალები მოვიზიდოთ. ძალიან დაბალი ხელფასებია თეატრში და შეუძლებელია ასეთი ანაზღაურების ფონზე რამე სერიოზული მოსთხოვო მსახიობს. პრობლემაა თანამედროვე ქართველი დრამატურგების პიესების მოძიებაც. სამწუხაროდ, უცხოური დრამატურგია უფრო ხელმისაწვდომია ჩვენთვის, ვიდრე – ქართული. ამასთანავე,უფრო იმას ვარჩევ,ჩვენს დასს რომ მოერგოს,ყველა მსახიობი რომ დავაკავოთ სპექტაკლში.
- **რეპერტუარს როგორ არჩევთ?**
- გადავწყვიტე, მაყურებელს მივაწოდო კომედიები, რადგან ამაზეა მოთხოვნა, უფრო ეს აინტერესებს და იზიდავს ოზურგეთელებს. სამივე სპექტაკლს კომედიას ვდგამ წელს. მათ შორის გ. ერისთავის “ძუნწს“,მაგრამ რეკვიზიტების პრობლემაა,მსახიობებს ხომ უნდა ჩააცვა?! რეჟისორს რომ ჩამოიყვან, იმას ხომ უნდა ბინა,ხელფასი?!... მოკლედ,დიდი პრობლემების პირისპირ ვდგავართ. ჩვენ თბილისში საერთაშორისო ფესტივალზე ჩაგვაქვს სპექტაკლი და მეტი ყურადღებაა საჭირო. მართალია, 300 ლარადაც დაგვიდგამს სპექტაკლი, აგვიწყვია ძველი დეკორაციებისაგან, მაგრამ ეს მაინც “საკასო“ სპექტაკლებია. როცა სერიოზული პრეტენზიები გაქვს, მაშინ მას დაფინანსებაც სჭირდება.
- **რა ინტენსივობით თამაშობთ სპექტაკლებს?**
- ახლა ყოველ პარასკევს ვთამაშობთ. ვავრცელებთ ბილეთებს მთელი წლის განმავლობაში. წელიწადში დაახლოებით 60–70 სპექტაკლის თამაში გვიწევს. სოფლებში საგასტროლოდ რომ გავიდეთ, არაა ბაზა, ინფრასტრუქტურა. დიდი მნიშვნელობა აქვს დასის შემოქმედებითი ზრდისათვის მოწვეულ რეჟისორს. ვცდილობთ, დასის განვითარებისათვის ორი–სამი მოწვევა მაინც შევძლოთ. თეატრის კოლექტივი, მთელი დასი მზადაა სერიოზულ ნაწარმოებებს შეეჭიდოს, მთავარია, დაფინანსების პრობლემის გადაჭრა, სადადგმო ხარჯების მოზიდვა.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა
ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრი
გამოიკითხა 56 მაყურებელი

ხშირად ესწრებით თუ არა სპექტაკლებს?



ოზურგეთში გამოკითხულ 56 მაყურებლიდან 33 ამბობს, რომ ნახულობს ყოველ ახალ დადგმას, გამოკითხულთაგან 8 მხოლოდ საინტერესო სპექტაკლებს ესწრება, ხოლო 7, 2-3 თვეში ერთხელ. რეგიონული თეატრისთვის მაყურებლის ასეთი აქტივობა მისასალმებელია და საზოგადოების აქტიურობაზე მიუთითებს.



თეატრში მიუსვლელობის მიზეზად ოზურგეთში მაყურებელი თავისუფალი დროის არქონას ასახელებს (23), გამოკითხულთაგან 14 ამბობს, რომ შორს ცხოვრობს, ხოლო 4-ს არ აკმაყოფილებს სპექტაკლების დონე.



კითხვაზე, თუ რატომ მიდის მაყურებელი თეატრში გამოკითხულთაგან 27 მსახიობების სანახავად მიდის, 21 რაიმე ახლის გასაგებად, ხოლო 10 დასვენებისა და გართობის მიზნით. როგორც ჩანს, ოზურგეთში მაყურებელი მოტივირებულია, თეატრისაგან გაიგოს რაიმე ახალი და მსახიობებს აქვს გარკვეული ავტორიტეტი, რადგანაც მაყურებლის 51% სწორედ მათი ახალი როლების სანახავად მიდის თეატრში.



ყველაზე დიდი მოთხოვნა კომედიურ ჟანრზეა, როგორც ყველა რეგიონის მაყურებელი, ოზურგეთელებიც არ არიან გამონაკლისები, 12-12 ხმით მეორე პოზიციას მელოდრამა და ტრაგიკომედია იკავებს. ასევე, მაყურებელი დაინტერესებულია მუსიკალური კომედიით და ფსიქოლოგიური დრამით.



კითხვაზე, თუ რომელი წყაროებიდან იგებს მაყურებელი სპექტაკლის გამართვის შესახებ, ოზურგეთელი მაყურებელი უპასუხებს, რომ აფიშით (51 ხმა), სატელევიზიო რეკლამით (7 ხმა) და პრესით (4 ხმა). ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ოზურგეთში, აფიშის გარდა, არ მუშაობს სხვა სარეკლამო საშუალება, თუნდაც ყველაზე იაფი საშუალება - ინტერნეტი და სოციალური ქსელები.



ოზურგეთში დიდი მოთხოვნაა მრავალფეროვან რეპერტუარზე, თუმცა განსაკუთრებით თანამედროვე ქართული დრამატურგიის ხილვა სურთ სცენაზე.



კითხვაზე, თუ რატომ მოვიდა მაყურებელი თეატრში, უმრავლესობამ (25 რესპოდენტი) სპექტაკლის თემისადმი ინტერესი დაასახელა, 18-მა მსახიობების ნახვა ახალ ამპლუაში, 11-ს კი რეჟისორის ახალი ნამუშევარი აინტერესებდა. 4 რესპოდენტი ამბობს, რომ სხვაგან წასასვლელი არსად ჰქონდა, ხოლო 5-ს ნაცნობებმა ურჩიეს, ენახათ სპექტაკლი.



ოზურგეთელი მაყურებლისთვის მთავარი სპექტაკლში არის: მსახიობის ნამუშევარი, თანაბრად ანიჭებს უპირატესობას მაყურებელი პოლიტიკურ მოტივსა და სპექტაკლის ზნეობრივ-აღმზრდელობით შინაარსს. ასევე, მნიშვნელოვანი მონაცემია, როცა მაყურებელს რეჟისორის ახალი ნამუშევარი აინტერესებს.



გურიაში მაყურებლის რეკომენდაცია, თუ როგორ უნდა გაიგოს საზოგადოებამ წარმოდგენის გამართვის ან კვირის აფიშის შესახებ, მონაცემები ასე გამოიყურება: 41 აფიშას ასახელებს, 19-სატელევიზიო რეკლამას და 9 - ინტერნეტს, აქ კი აშკარად ჩანს, რომ იზრდება მოთხოვნა ინტერნეტმომხმარებლისა, რომელსაც სურს ინტერნეტით მიიღოს ინფორმაცია კვირის აფიშის შესახებ.



გურია აღმოჩნდა ერთადერთი რეგიონი, სადაც იცნობენ და ენდობიან თეატრმცდონეთა და კრიტიკოსთა შეფასებებს სპექტაკლებზე. გამოკითხული 56 რესპოდენტიდან 23 მთლიანად ენდობა, 21 ნაწილობრივ ენდობა, 9 არ ენდობა მხოლოდ.
კითხვაზე დაასახელებთ თუ არა რომელიმე თეატრმცოდნეს, ან კრიტიკოსს, 56 გამოკითხულიდან

დასახელდა:
გუბაზ მეგრელიძე 3-ჯერ
ნიკა წულუკიძე 3-ჯერ
ლაშა ჩხარტიშვილი 3-ჯერ

კითხვაზე, რომელი რეჟისორი მოგწონთ? დიაგრამაში შედეგები ასე გამოიყურება:



პირველ ადგილს ლევან წულაძე იკავებს, ხოლო მეორეს რობერტ სტურუა, მესამე ადგილზე სოსო ნემსაძეა. გამოკითხულთაგან მხოლოდ 9 რესპოდენტმა დაასახელა ადგილობრივი რეჟისორები: ოთარ კუტალაძე 7-ჯერ, შოთა ბაბილოძე 2-ჯერ.

ოზურგეთში მსახიობთა რეიტინგი ასე გამოიყურება.

1. **ბელა კიკვაძე 8-ჯერ**
2. **ვახტანგ ჩხარტიშვილი 6-ჯერ**
3. **თამარ მდინარაძე 6-ჯერ**
4. კახი კავსაძე 6-ჯერ
5. რუსკა მაყაშვილი 6-ჯერ
6. ზაზა პაპუაშვილი 5-ჯერ
7. მარინა კახიანი 4-ჯერ
8. **ნუგზარ ბარამიძე 4-ჯერ**
9. **ზაზა ჯინჭარაძე 4-ჯერ**
10. **თეა კეჭაყმაძე 3-ჯერ**
11. **ჯემალ კეჭაყმაძე 3-ჯერ**
12. **გიორგი დოლიძე 3-ჯერ**
13. გიორგი ვარდოსანიძე 3-ჯერ
14. გოგა პიპინაშვილი 2-ჯერ
15. გივი ბერიკაშვილი 2-ჯერ

ნინელი ჭანკვეტაძე, **ნინო ჯუღელი, თემურ კვირკველია, ომარ ურუშაძე,** ია სუხიტაშვილი.

სასიხარულოა, რომ რეიტინგში მოხვდა ადგილობრივი მსახიობები: ბელა კიკვაძე (8-ჯერ), ვახტანგ ჩხარტიშვილი (6-ჯერ), 6-6 ხმა დააგროვეს თამარ მდინარაძემ და ნუგზარ ბარამიძემ, ხოლო 4-4-ჯერ დაასახელეს ზაზა ჯინჭარაძე და თეა კეჭაყმაძე. ასევე, რეიტინგში 3-ჯერ დასახელებით მოხვდნენ: ჯემალ კეჭაყმაძე და გიორგი დოლიძე .



ოზურგეთში მაყურებელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ თეატრში არ უნდა ფუნქციონირებდეს გასართობი დაწესებულებები. გამოკითხული 56 რესპოდენტიდან მხოლოდ 7 ამბობს, რომ დასაშვებია კაფე, 2 - კარაოკე კლუბს ასახელებს. კვლევის ამ ბოლო პასაჟმა აჩვენა, რომ მენტალურად მაყურებელი შორს არის თანამედროვე სათეატრო მოწყობისაგან, როცა თეატრების ინფრასტრუქტურა ფართოვდება.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის
პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

ქუთაისის დრამატული თეატრის ისტორია მე-19 საუკუნიდან დაიწყო და ამ წამოწყებას სათავეში თერგდალეულები ედგნენ. ქუთაისმა ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა და ტოლერანტობის სამაგალითო ფურცლები ჩაწერა ქართული თეატრის ისტორიაში, აქ ჟღერდა ქართული სიტყვა. ქუთაისში ჯერ კიდევ 1859 წლიდან იმართებოდა სცენის მოყვარულთა წარმოდგენები აკაკი წერეთლის, დიმიტრი ბაქრაძის, ანტონ ლორთქიფანიძის, გიორგი ღოღობერიძის, ეფროსინე კლდიაშვილისა და სხვათა ხელმძღვანელობით, რომლებმაც მტკიცე ნიადაგი შეუქმნეს ქუთაისში პორფესიული თეატრის დამკვიდრებას. იდგმებოდა გ. ერისთავის, ზ.ანტონოვის, ა.წერეთლის, გ.სუნდუკიანის, მოლიერის პიესები.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებიდან დაიწყო ახალი მოძრაობა ქართული თეატრის ისტორიაში. პირველი თეატრალური წარმოდგენა ქუთაისში 1861 წლის 3 მარტს გაიმართა, დაიდგა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა". 1880 წელს ჩამოყალიბდა ქუთაისის მუდმივი პროფესიული დასი. ფინანსური კრიზისის გამო მან მხოლოდ ერთი წელი იარსება. 1885 წელს მსახიობ კ. მესხის ხელმძღვანელობით უკვე საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც პროფესიული თეატრი. იდგმებოდა ა. წერეთლის, ა. ცაგარელის, ი. ჭავჭავაძის, რ. ერისთავის, ა.ყაზბეგის, უ. შექსპირის და სხვათა პიესები. 1894-1905 წლებში ქუთაისის თეატრს ხელმძღვანელობდა დიდიი ქართველი მსახიობი, რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე ლადო ალექსი-მესხიშვილი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ლადო ალექსი-მესხიშვილის მოღვაწეობა, რომელიც ქუთაისის თეატრს სათავეში ჩაუდგა და დაამკვიდრა ჰეროიკულ-რომანტიკული მიმართულება. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა რეჟისორ-მსახიობთა მთელი თაობა. შემდეგ წლებში თეატრს ხელმძღვანელობდნენ: ვ.გუნია, ვ.შალიკაშვილი, ა.იმედაშვილი, მ.ქორელი, ვ.ბალანჩივაძე, ნ.ჩხეიძე , კ.ყიფიანი და სხვა.

1928 წელს ქუთაისში დაარსდა მეორე სახელმწიფო თეატრი, ქუთაის-ბათუმის თეატრის სახელწოდებით, კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. ორი სათეატრო სეზონის განმავლობაში ქართული თეატრის რეფორმატორმა, დიდმა რეჟისორმა, ქართული სცენის მსახიობთა ჭეშმარიტ თანავარსკვლავედდთან ერთად, აქ განახორციელა თავისი საუკეთესო დადგმები.

ქუთაისი ქართული თეატრალური ხელოვნების მექად იქცა 1928-1930 წლებში, როდესაც აქ მოღვაწეობდა ქართული თეატრის რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი. მის მიერ დადგმული სპექტაკლები კ.გუცკოვის "ურიელ აკოსტა", შ.დადიანის „კაკალ გულში", ე. ტოლერის "ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ" მნიშვნელოვანი ეტაპია ქართუილი თეატრის ისტორიაში.

შემდეგში თეატრს ხელმძღვანელობდნენ გ.სულიაშვილი, ვ.აბაშიძე, ა. ჩხარტიშვილი, ი.ზარდალიშვილი. თეატრს 1940 წელს მიენიჭა ლადო ალექსი- მესხიშვილის სახელი.

1955 წელს ოფიციალურად გაიხსნა ქუთაისის დრამატული თეატრის ახალი შენობა, უნიკალური არქიტექტურული ნაგებობა, რომელსაც 2009 წელს ძეგლის სტატუსი მიენიჭა. 2008 წელს მესხიშვილის თეატრში გაიხსნა 100 ადგილიანი მცირე სცენა და ქუთაისის თეატრის ისტორიის ამსახველი მუზეუმი.

2009-2010 წლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით თეატრის შენობის წინ საზეიმოდ გაიხსნა მესხიშვილის თეატრის სამი მსახიობის სახელობითი ვარსკვლავი: ევა ხუტუნაშვილის, ანზორ ხერხაძის და ერემო სვანაძისა. ქუთაისის თეატრის ისტორია მდიდარია ქართული თეატრისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეების სახელებით, მნიშვნელოვანი თეატრალური მოვლენებით და ფაქტებით. მის ტრადიციებს დღეს ღირსეულად აგრძელებს მესხიშვილელთა ახალი თაობა.

თეატრის შენობა

ქუთაისის არქიტექტურულ ნაგებობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრს. მშენებლობა დაიწყო 1934 წელს არქიტექტორ შ. თავაძის პროექტით. შ.თავაძის მიერ შექმნილი მაკეტი ნამდვილად ორიგინალური იყო. შენობის სახურავზე დიდებული წყლის ფარდა უნდა ყოფილიყო, შადრევნები, ასასვლელები როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ასევე - მანქანებისთვის. სახურავზე უნდა გაკეთებულიყო საზაფხულო სცენა... მაგრამ შ. თავაძე 1937 წელს დახვრიტეს, მშენებლობა

კი პროექტის მიხედვით აღარ დასრულდა, ხოლო შემდგომ განხორციელდა 1944 წელს არქიტექტორ მ. შავიშვილის მიერ გადამუშავებული პროექტის საფუძველზე. თეატრის აგება 1955 წელს დასრულდა და იმავე წლის 5 ნოემბერს შედგა მისი საზეიმო გახსნა ლ .ქიაჩელის პიესით "ტარიელ გოლუა". ამ დროს თეატრის ხელმძღვანელი იყო გიგა ლორთქიფანიძე.
თეატრი თავდაპირველად 1100 მაყურებელზე იყო გათვალისწინებული.

თეატრის შენობა ძველ ქუთაისში აგებულია კლასიკური ელინური ეპოქისათვის დამახასიათებელი ტრადიციისა და სტილის დაცვით. ძველბერძნული ეპოქის არქიტექტურის ძირითად სამშვენისს წარმოადგენდა ფრონტონები, კაპიტელები, კარნიზები და კოლონები, რომლებიც ქმნიან ნაგებობის სიდიადესა და იშვიათი მომხიბვლელობის განწყობას. თეატრის მაკეტი ნახევრად წრიული ფორმისაა და აგებულია ეკლარის ქვით. წრეზე შემოყვება თაღოვანი კამარნარები. კოლონები იონური და კორინთული სტილისაა. თეატრის არქიტექტურაში გამოყენებულია ქართული საეკლესიო არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც.

თეატრის დასახელება - სსიპ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების წელი - 1861 წელი
თეატრის იურიდიული ფორმა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო,
თეატრის ხელმძღვანელი პირები:
მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი სიხარულიძე
დირექტორები: თორნიკე მარჯანიშვილი, გიორგი ფუთურიძე.
თეატრის ელ. ფოსტა: meskhishvilitheatre0@gmail.com
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა
გიორგი სიხარულიძე - sizo70@mail.ru
გიორგი ფუთურიძე - giorgi-rezi@mail.ru

ვებგვერდის მისამართი - www.meskhishvilitheatre.ge
თეატრის მისამართი - ქუთაისი, გელათის ქუჩა N1.
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა - 150
ამათგან მსახიობთა რაოდენობა - 56
შემოქმედებითი პერსონალი - 10
ტექნიკური პერსონალი - 68
ადმინისტრაცია - 16

თეატრის ბიუჯეტი 2010-2012 წლებში

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	17 000		686 135	93 401
2011	7 000		799 623	39 351
2012	22 098		864 438	27 207

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით
2010 წელი - 19 460 ლარი
2011 წელი - 9 437 ლარი
2012 წელი - 4 315 ლარი

2010-2012 წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი, წლების მიხედვით)
2010-2012 წწ. წარმოდგენების რაოდენობა:

2010 წ.

სულ წლის განმავლობაში 87 წარმოდგენა
ი. სამსონაძე "ინდაური ინდიკოს საახალწლო თავგადასავალი" – 11
უ. შექსპირი „რომეო და ჯულიეტა" – 11
ნ. დუმბაძე „დიდრო" – 8
ნ. სადღობელაშვილი „ბამბაზიის სამოთხე" – 8

ლ. ბუღაძე „თეატრი“ – 7
ა. მხეიძე „არჩევანი მე“ - 13
ედუარდო დე ფილიპო „ცილინდრი“ – 9
ლ. ტოლსტოი „ანა კარენინა“ – 7
ო. ბაღთურია „მეფე ლირი - რაც მოგივა დავითაო“ – 3
ვაჟა- ფშაველა „სათაგური“ – 2
თ. ბართაია „მთავარი როლი“ - 6
დ. კლდიაშვილი „დარისპანის გასაჭირი“ – 2

2011 წ.

სულ წლის განმავლობაში 55 წარმოდგენა
ი. სამსონაძე “ინდაური ინდიკოს საახალწლო თავგადასავალი” – 4
ვაჟა- ფშაველა „სათაგური“ – 10
ნ. დუმბაძე „დიდრო“ – 4
დ. კლდიაშვილი „დარისპანის გასაჭირი“ – 4
ს. ბეკეტი „გოდოს მოლოდინში“ – 9
უ. შექსპირი „რომეო და ჯულიეტა“ - 3
პ. კაკაბაძე „სიმართლე თუ გინდათ ესაა“ – 2
ედუარდო დე ფილიპო „ცილინდრი“ – 3
გ. თავაძე „საუბარი ფესვებთან“ – 8
უ. შექსპირი „ტროილოსი და კრესიდა“ – 3
გ. ქართველიშვილი „ცერკოვნი ბუნტ“ – 4
ნ. სადღობელაშვილი „ბამბაზიის სამოთხე“ - 1

2012 წ.

სულ წლის განმავლობაში 39 წარმოდგენა
გ. თავაძე „საუბარი ფესვებთან“ – 2
ედუარდო დე ფილიპო „ცილინდრი“ – 2
ა. მხეიძე „არჩევანი მე“ – 9
ნ. დუმბაძე „დიდრო“ – 9
ა. ოსტროვსკი „შემოსავლიანი ადგილი“ – 4
უ. შექსპირი „ზაფხულის ღამის სიზმარი“ – 4
ნ. სადღობელაშვილი „ბამბაზიის სამოთხე“ – 2
დ. კლდიაშვილი „დარისპანის გასაჭირი“ - 1
ჰ. პინტერი, ვ. ჰაველი „DUPLET” – 4
ე. ხუტუნაშვილი, ნ. სადღობელაშვილი „უსასრულობის ათვლა დაიწყო“ – 2

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წელს - 69 წარმოდგენა
2011 წელს - 47 წარმოდგენა
2012 წელს - 20 წარმოდგენა

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელს - 5 270
2011 წელს - 3 224
2012 წელს - 1 462

ბილეთის ტარიფები
პრემიერა დიდ სცენაზე - 7, 5, 4, 3 ლარი;
მიმდინარე სპექტაკლები - 5, 4, 3, 2 ლარი
მცირე სცენა: პრემიერა - 7 ლარი,
მიმდინარე სპექტაკლები - 5 ლარი

თეატრის შემოსავალი რაიმე სხვა საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა)
საშუალოდ - 20 741 ლარი.
რა უჯდება საშუალოდ თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა - 8 000 ლ.
რა უჯდება საშუალოდ თეატრს სპექტაკლის აღდგენა - 1 000-2 000 ლ.
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი - 5 000 ლ.
მოწვეული მსახიობის ჰონორარი - 50 – 375 ლ.

რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი - 543ლ
უმაღლესი- 750 ლარი
უმდაბლესი - 375 ლარი
თეატრი გასტროლებზე 2010-2012 წწ.
ქვეყნის შიგნით: თბილისი, ბათუმი, ახალციხე, გორი, ხულო
საშუალოდ რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა: 3 000-7 000 ლარი
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი /დაასახელეთ/
ქვეყნის შიგნით შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური
საზოგადოების წევრი.
ქვეყნის გარეთ არა
ფესტივალებში მონაწილეობა:
თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი,
თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ხულოს თეატრალური კვირეული.
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას)
თეატრები:
თბილისის შოთა რუსთველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.
მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი.
თავისუფალი თეატრი.
ალ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.
ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ფესტივალები:
ჯანსუღ კახიძის სახელობის ფესტივალი.
ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2012“.
სასკოლო ახალგაზრდული თეატრების ფესტივალი „N-ოვაცია“ .

ღონისძიებები:
ევა ხუტუნაშვილის, ანზორ ხერხაძის, ერემია სვანაძის ბენეფისები - ვარსკვლავების გახსნა;
ლიტერატურულ სალონში: ნინო სადღობელაშვილის და კატო ჯავახიშვილის პოეზიის საღამო ;
ფოლკნერის საღამო - შეხვედრა როსტომ ჩხეიძესთან; ფრანკოფონიის დღეებისადმი მიძღვნილი
ფრანგული პოეზიის საღამო; ფარნაოზ ლაპიაშვილის დაბადებიდან 95 წლისთავისადმი მიძღვნილი
თეატრალური ესკიზების გამოფენა მთავარ ფოიეში.
მსახიობების: ლამარა ვაშაკიძის, გივი ბერძენის, ვაჟა ოყრეშიძის, გოვენ ჭეიშვილის საიუბილეო
საღამოები.

მწერლების: მუხრან მაჭავარიანის, გურამ ფანჯიკიძის, რეზო ჭეიშვილის საიუბილეო შემოქმედებითი
საღამოები.

ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2010-2012 წწ)
ინგლისელმა რეჟისორმა ჯონათან ბანათვალამ დადგა უ. შექსპირის ,, ტროილოსი და კრესიდა“
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარსამსახურის მენეჯერი - დიახ
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება - დიახ
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 21 წლის
ყველაზე ხანდაზმული - 81 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში
2013 წლის 14-15 ივლისს ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით დადგმულ სპექტაკლში
„HELLADOS” ლამარა ვაშაკიძემ 81 წლის ასაკში განასახიერა ოლიას როლი.

თეატრში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო
2011 წ. - რეჟისორ გიორგი სიხარულიძეს, მსახიობებს: ენდი ძიძავას, დავით როინიშვილს, გიორგი
ზანგურს ლადო მესხიშვილის სახელობის პრემია გადაეცათ სპექტაკლისთვის „ანა კარენინა“
2013 წ. - მსახიობ დავით როინიშვილს მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, შემოქმედებითი
კავშირი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიური პრემია გადაეცა.

სპექტაკლები 2010-2012 წწ.

ალექსანდრე ოსტროვსკი „შემოსავლიანი ადგილი“
დამდგმელი რეჟისორი - გიორგი სიხარულიძე
რეჟისორი - იოანე (ვანო) ხუციშვილი
სცენოგრაფია - კოსტიუმები - თეო კუხიანიძე
მუსიკალური გაფორმება - გიორგი სიხარულიძე
სასცენო მოძრაობა - კახაბერ შარტავა
მონაწილეობენ: გია საგინაშვილი, ლუკა მუხიგული,ლიაკო გოგიძე, ნანჩო ცხვირაშვილი, თორნიკე ბუხრაშვილი, გიორგი კიკნაველიძე, გიორგი ჩაჩანიძე, ალექსანდრე ფურცხვანიძე, თამთა გაბუნია, ნინი ქარჩავა, თინათინ მოსულიშვილი, ნინი არდიშვილი, ნანუკა კუპატაძე, ნუცა სულაბერიძე, გაგი შენგელია, რეზი ქაროსანიძე

უილიამ შექსპირი „ რომეო და ჯულიეტა“
რეჟისორი, მუსიკალურად გამფორმებელი - გიორგი სიხარულიძე
ქორეოგრაფი, სასცენო მოძრაობის რეჟისორი - კახაბერ შარტავა
სცენოგრაფი - იოანე ხუციშვილი
კოსტიუმების მხატვარი - თეო კუხიანიძე
მონაწილეობენ: კახაბერ შარტავა, ნინო ჭოლაძე, აბელ სოსელია, რეზი ქაროსანიძე, ნიკოლოზ ჯანგავაძე, გაგი შენგელია, ირინა გუბელაძე, მაგდა ჩიხლაძე.
ასევე: სოფიო ჩირაძე,თემურ ისაკაძე და შოთა რუსთველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტები (მესხიშვილის თეატრის მიზნობრივი ჯგყუფი): ნუცა სულაბერიძე, ლია საგინაშვილი, ალეკო ფურცხვანიძე, ლუკა მუხიგული, ნინო არდიშვილი, ნინი ქარჩავა, თორნიკე ბუხრაშვილი, თამთა გაბუნია, ნანუკა კუპატაძე, თეკლა მარჯანიშვილი, ნანჩო ცხვირაშვილი, გიორგი ჩაჩანიძე

უილიამ შექსპირი „ზაფხულის ღამის სიზმარი“
რეჟისორი - კახაბერ შარტავა
ქორეოგრაფი - გიორგი ბარბაქაძე
სცენოგრაფია და კოსტიუმები - თეო კუხიანიძე
მონაწილეობენ: გაგი შენგელია, სოფიო ჩირაძე, რეზი ქაროსანიძე, ნანუკა კუპატაძე, ნუცა სულაბერიძე, აბელ სოსელია, ლელა ლომთაძე, გიორგი ქართველიშვილი, თამთა გაბუნია, თორნიკე ბუხრაშვილი, მაგდა გერაძე, გივი საგინაშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, ნანა ცხვირაშვილი, ალექსანდრე ფურცხვანიძე, ნინო ქარჩავა.

ედუარდო დე ფილიპო „ცილინდრი“
რეჟისორი - თორნიკე მარჯანიშვილი
მხატვარი - ანდრო მარჯანიშვილი
ქორეოგრაფია, პლასტიკა - კახაბერ შარტავა
მუსიკალური გაფორმება - გოჩა ნემსიწვერიძე
მონაწილეობენ: სოფიო ჩირაძე, აბელ სოსელია, თემურ ისაკაძე, ლელა ლომთაძე, გოჩა ნემსიწვერიძე, ავთანდილ სახამბერიძე, გოჩა ნიკოლაძე, გოჩა რაზმაძე, სულხან მარჯანიშვილი

ნინო სადღობელაშვილი „ბამბაზიის სამოთხე“
რეჟისორი - გიორგი სიხარულიძე
კომპოზიტორი - გომარ სიხარულიძე
სცენოგრაფი - შოთა გლურჯიძე
სპექტაკლში გამოყენებულია სანდრო სადაგაშვილის,
სანდრო ოსეფაიშვილის მუსიკალური კომპოზიციები.
მონაწილეობენ: მარიკა სამანიშვილი, ენდი ძიძავა, გიორგი ზანგური, იოანე ხუციშვილი, დავით როინიშვილი, ლელა ლომთაძე, გელა ებანოიძე

ვაცლავ ჰავრლი, ჰაროლდ პინტერი „DUPLET”
დრამატურგიული კომპოზიცია - კ. აბაშიძე
დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი - კოტე აბაშიძე
მხატვარი - თეო კუხიანიძე
სცენიური ეფექტები - ალექსანდრე ტოროტაძე
მონაწილეობენ: დავით როინიშვილი, ზვიად სვანაძე, ელზა სულაძე

კლოდ მანიე „ბლეზი“
დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი - დავით ჩხარტიშვილი.
მხატვარი - თეო კუხიანიძე
ქორეოგრაფი - გიორგი ქართველიშვილი.
მონაწილეობენ: რეზი ქაროსანიძე, ნუცა სულაბერიძე, სოფიო ჩირაძე, ნინო ქარჩავა, გაგი შენგელია, გივი საგინაშვილი, თამთა გაბუნია, ნანა ცხვირაშვილი.

ნოდარ დუმბაძე „დიდრო“
დამდგმელი რეჟისორები: გიორგი სიხარულიძე, თორნიკე მარჯანიშვილი
ინსცენირების ავტორი - თორნიკე მარჯანიშვილი
კომპოზიტორი - გომარ სიხარულიძე
მხატვარი - მამუკა ტყეშელაშვილი
მონაწილეობენ: ზვიად სვანაძე, სულხან მარჯანიშვილი, მაგდა გერაძე, გიგა მიქაძე, ნანი მიქაძე, თენგიზ ჯავახაძე, დალი ბასილაძე, აბელ სოსელია, ვაჟა ოყრეშიძე, ნიკოლოზ ჯანგავაძე, გოჩა ნიკოლაძე

დავით კლდიაშვილი „დარისპანის გასაჭირი“
რეჟისორი - გიორგი სიხარულიძე
სცენოგრაფია - იოანე ხუციშვილი
კოსტიუმების მხატვარი - თეო კუხიანიძე
მუსიკა - ზაზა ხუბუკელაშვილი
ქორეოგრაფი - კახაბერ შარტავა
მონაწილეობენ: გიორგი ქავთარაძე, ავთანდილ სახამბერიძე; მარიკა სამანიშვილი, ირინე გუბელაძე, ინგა კაკიაშვილი, თენგიზ ჯავახაძე, გელა ებანოიძე, ნინო ჭოლაძე

ნინო სადღობელაშვილი, ევა ხუტუნაშვილი „უსასრულობის ათვლა დაიწყო“
დამდგმელი რეჟისორი - გიორგი სიხარულიძე
დამდგმელი მხატვარი - ვანო ხუციშვილი
კოსტიუმების მხატვარი - თეო კუხიანიძე
ქორეოგრაფი - კახაბერ შარტავა
მუსიკალური გაფორმება - ნინო სიხარულიძე
მონაწილეობენ: ევა ხუტუნაშვილი, გიორგი შალამბერიძე, ნინო ჭოლაძე, ვაჟა ოყრეშიძე, დავით როინიშვილი, ენდი ძიძავა, ზვიად სვანაძე

ფრიდრიხ დიურენმატი „ავარია“
დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი - მამუკა ცერცვაძე.
მხატვარი - ნათია კიკვაძე-ჯაოშვილი.
ქორეოგრაფი - გიორგი ქართველიშვილი.
მონაწილეობენ: რეზი ქაროსანიძე, გიგა მიქაძე, თენგიზ ჯავახაძე, დავით გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ კობახიძე.

ერიკ ემანუელ შმიტი „სტუმარი“
დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი - ლევან ბიბილეიშვილი
მხატვარი - თეო კუხიანიძე
მონაწილეობენ: სულხან გოგოლაშვილი, ნინი ქარჩავა, გიორგი ჩაჩანიძე, ალექსანდრე ფურცხვანიძე

„საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“
ჯაბა იოსელიანის პიესის მიხედვით
რეჟისორი - გოჩა კაპანაძე
სცენოგრაფი - ლომგულ მურუსიძე
კოსტიუმების მხატვარი - ქეთევან ციციშვილი
მუსიკალურად გამფორმებელი - ნანი ნემსიწვერიძე
მონაწილეობენ: მარიკა სამანიშვილი, ევა ხუტუნაშვილი, გიზო ღელეყვა, ავთანდილ სახამბერიძე, დავით როინიშვილი, ნიკოლოზ ჯანგავაძე, თენგიზ ჯავახაძე, გიორგი შალამბერიძე, გიორგი ზანგური, ელზა სულაძე.

“HELLADOS” – ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით.
ინსცენირების ავტორი - ნინო სადღობელაშვილი
დამდგემლი რეჟისორი და მუსიკალურად გამფორმებელი - გიორგი სიხარულიძე
სცენოგრაფი და კოსტიუმების მხატვარი - თეო კუხიანიძე
ქორეოგრაფი - გიორგი ბარბაქაძე
სასცენო მოძრაობა - შოთა გეგიაძე

მონაწილეობენ: თორნიკე ბუხრაშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, გივი საგინაშვილი, ნანა ცხვირაშვილი, ნანი მიქაძე, ნინო ქარჩავა, ვახტანგ ამანათიძე, ლამარა ვაშაკიძე, ანზორ ხერხაძე, ლელა ლომთაძე, თინათინ მოსულიშვილი, გიორგი ქართველიშვილი, კონსტანტინე რობაქიძე, ალექსანდრე ფურცხვანიძე, რევაზ ქაროსანიძე, ლუკა მუხიგული, ნინო არდიშვილი, თამთა გაბუნია, გაგი შენგელია, აბელ სოსელია, გიორგი კიკნაველიძე, მანუჩარ ბეგალიშვილი, თენგიზ ფხაკაძე, ოთარ ტორჩინავა.
მასიურ სცენებში - მიმოზა გოგოხია, მარიამ ნინუა, მარიამ ენდელაძე, მარიამ მიხელიძე, მარიამ იამანიძე, ქეთევანგაბრიჭიძე, გიორგი ბურჯანაძე, შოთა გოცირიძე, ლაშა ხვადაგიანი, საბა ედიბერიძე, თორნიკე ჭელიძე, ნიკა ძნელაძე.

ლევ ტოლსტოი „ანა კარენინა“
ინსცენირება, დამდგმელი რეჟისორი,
მუსიკალური გაფორმება - გიორგი სიხარულიძე
სცენოგრაფია - შოთა გლურჯიძე
კოსტიუმების მხატვარი - თეო კუხიანიძე
სასცენო მოძრაობა, ქორეოგრაფია - კახაბერ შარტავა
მონაწილეობენ: ენდი ძიძავა, გიორგი ზანგური, დავით როინიშვილი, ნინო ჭოლაძე, გიორგი შალამბერიძე, დალი ბასილაძე, თენგიზ ჯავახაძე, ევა ხუტუნაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, დავით კოხრეიძე, მაგდა გერაძე, მირიან მაღლაკელიძე
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტები (ქუთაისის მიზნობრივი ჯგუფი): ნუცა სულაბერიძე, ალეკო ფურცხვანიძე, თიკო მოსულიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, ლიაკო გოგიძე, რეზი ქაროსანიძე, ნანუკა კუპატაძე, ნანჩო ცხვირაშვილი, გიგი შენგელია, ნინო არდიშვილი, ლუკა მუხიგული, ნინი ქარჩავა, თამთა გაბუნია, თორნიკე ბუხრაშვილი, გია საგინაშვილი, გიორგი კიკნაველიძე

სემუელ ბეკეტი „გოდოს მოლოდინში“
დამდგმელი რეჟისორი - პაატა მილორავა
რეჟისორი - დალი ბასილაძე
კომპოზიტორი - ჭაბუკა ამირანაშვილი
დამდგმელი მხატვარი, ქორეოგრაფი- კახა ბაკურაძე
კოსტიუმების მხატვარი - ნინო ჩიტაიშვილი
მონაწილეობენ: რუსუდან ბოლქვაძე, აბელ სოსელია, მარიკა სამანიშვილი, თენგიზ ჯავახაძე, რეზი ქაროსანიძე

შენობის ტექნიკური შესაძლებლობები:
აქვს თუ არა ფოიე - საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო - დიახ
ბუფეტი - დიახ
წიგნის მაღაზია -არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ
ტექნიკური აღჭურვა
განათება კვადრო 1000-იანი 70, პროფილი 1000-იანი 30, სი 1000, 10, პარი 750-იანი 30, სკანერი 9, ლედი 15, თოვლის აპარატი 2, კვამლის აპარატი 2, პისტოლეტი 2,
გახმოვანება დინამიკი 8, მინი დისკის გამშვები 4, მიკროფონი 8.
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა
მაყურებელთა დარბაზში სულ 826 ადგილია, მათ შორის: პარტერში 287, ამფითეატრში 47, ბენუარის ლოჟაში 117, თითოეულში 9, ბელეტაჟში 118, პირველ იარუსზე თავსდება 136 მაყურებელი, ხოლო მეორე იარუსზე 168.

სცენის პარამეტრები
სცენის სიღრმე 20 მ.
სცენის სიგანე 16 მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 25 მ.
იატაკიდან გამოყენებამდე 8 მ.
სარკის სიგანე 12 მ.
სარკის სიმაღლე 8 მ.
საორკესტრო ორმოს სიგანე 2 მ.
საორკესტრო ორმოს სიმაღლე 2,5 მ.
საორკესტრო ორმოს რკალი 2. 3 მ.
სცენის წრის დიამეტრი 14 მ.
სცენის მარჯვენა ჯიბე 10 მ
სცენის მარცხენა ჯიბე 10 მ.

შტანგეტების რაოდენობა 40
შტანგეტებს შორის ინტერვალი 2, 5 მ.
სოფიტების რაოდენობა 5
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა 8-10
მოძრავი პორტალების სიმაღლე 6 მ.
მოძრავი პორტალების სიგანე 3 მ.

საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან და მმართველთან გიორგი სიხარულიძესთან

- **რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითად, რა პროცესები მიმდინარეობდა ბოლო სამი წლის განმავლობაში თეატრში?**
- რეპერტუარს თუ გადავხედავთ, კლასიკაც და თანამედროვე დრამატურგიაც წარმოდგენილია ჩვენს თეატრში. ყველანაირი მაყურებლის გემოვნებას ვითვალისწინებთ. თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, ჩვენს სპექტაკლებს მაყურებელი ჰყავს. ძალიან დატვირთული არაა სპექტაკლებით აფიშა. თვეში 12–13 სპექტაკლს ვთამაშობთ. მირჩევნია, ბევრი მაყურებელი გვყავდეს სპექტაკლზე, ვიდრე ცოტა და ხშირად ვთამაშობდეთ. სადაც ჩავიტანეთ სპექტაკლები, ყველგან წარმატება ჰქონდა, ასევე, ის თეატრალური პრემიები, რომლებიც გაიცა ბოლო დროს, მაჩვენებელია იმისა, რომ შემოქმედებითი პრობლემები თეატრში ნაკლებადაა. არ დარჩენილა მოქმედი რეჟისორი საქართველოში, რომელსაც თავისუფალი დრო ჰქონდა და ჩვენთან არ დაედგა რამე. სხვა საკითხია ხარისხი. ბუნებრივია, არავის არ უნდა ცუდი სპექტაკლი გამოუვიდეს, მაგრამ მთავარია ის, რომ შემოქმედებითი პროცესი მიმდინარეობს აქტიურად, ადგილობრივი რეჟისორებიც დგამენ და არაა ჩვენს თეატრში ერთი კაცის ჰეგემონია, დასისთვისაც საინტერესოა სხვადასხვა რეჟისორთან ურთიერთობა. ჩვენ თეატრში დიდი და მცირე სცენა გვაქვს. მცირე სცენაზე უფრო მეტია ექსპერიმენტი, თავისუფლება.
- **როგორ ხდება დასის განახლება?**
- მე რომ ქუთაისში ჩამოვედი, აქ არ იყო ახალგაზრდა თაობა, ამიტომ მივმართე თეატრალურ ინსტიტუტს, რომ გაკეთებულიყო მიზნობრივი ჯგუფი და 14 ახალგაზრდა ქუთაისში დაბრუნდა, ახალგაზრდობა შემოვიდა თეატრში და ამან გადაახალისა დასი. რაც მოვედი, თეატრიდან არცერთი მსახიობი არ გამიშვია. არ მაქვს დაფინანსება და საშტატო განრიგი, რომ ეს ახალგაზრდები შტატში მყავდნენ. ესენი მყავს გამოსვლებზე და მათ თუ არ ვუპატრონეთ, განსაკუთრებით იმ ათ ბავშვს, რომლებიც ქუთაისელები არ არიან, შესაძლოა გამექცნენ. გარდა ამ ათი მსახიობის შენარჩუნებისა, ხელფასების პრობლემაა. რაიონების თეატრებში დაბალი ხელფასებია. აქაც გვყავს მსახიობები, ვარსკვლავები რომ აქვთ გახსნილი და მათაც ეკუთვნით ისეთი ანაზღაურება, როგორიც დედაქალაქშია.
- **როგორ ადგენთ სარეპერტუარო პოლიტიკას?**
- სახელმწიფო თეატრი სახელმწიფო იდეოლოგიას უნდა ქადაგებდეს. რაც გვტკივა და გვაწუხებს, ვცდილობთ, ფიცარნაგზე გავიტანოთ და ვესაუბროთ მაყურებელს ამაზე. დაკვეთა არის კომედიაზე. ყველას ვეხვეწები, რომ იქნებ დავდგათ კომედია. ახალი სეზონიდან ვაპირებთ ამის განხორციელებას. საერთოდ, მაყურებლის პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში. შეიძლება, მაყურებელმა იკითხოს, რამდენ ხანს გრძელდება სპექტაკლი? არ არსებობს სალაროსთან ურთიერთობის კულტურაც. თუ შინ არ მიუტანე მოსაწვევი ან არ აყიდინე ბილეთი, არაფერი გამოდის. კატასტროფული მდგომარეობა იყო, როცა ჩამოვედი აქ. სალარო იყო ნულზე, არაფერი არ იყიდებოდა. ახლა მსახიობი სავსე დარბაზში თამაშობს, 400–500 კაცი მუდმივად ესწრება სპექტაკლს წარმოდგენაზე.
- **როგორ მოიზიდეთ მაყურებელი?**
- ქუთაისში კარგი მაყურებელია, მაგრამ ქალაქი დაცლილია, ყველა თბილისშია. ძირითადი მაყურებელი მაინც ახალგაზრდობაა, თუმცა ინტელიგენცია გვწყალობს, ექიმები დადიან, არაჩვეულებრივი მუსიკალური საზოგადოება მოდის პრემიერებზე. სკოლები ძირითადი მაყურებელია. ქალაქში შემორჩენილია ძველი ტრადიცია, საპრემიეროდ მაყურებელი კაბას რომ იკერავს, ოჯახი ოჯახს რომ ურეკავს: პრემიერაზე ხომ მოდიხარო. წინასწარ ვიცით, რომელ ლოჟაში უნდა დასხდნენ... ეს პეწი შერჩენილი აქვს ქალაქს. ქუთაისში არაა კონსერვატორიის დარბაზი, ლიტერატურული საღამოებიც ჩვენთან იმართება, აქაურობა კულტურის კერადაა ქცეული. საახალწლო კონცერტებსაც ვაკეთებთ, შესანიშნავი მუსიკალური შემსრულებლები და ინსტრუმენტალისტები ჰყავს ქუთაისს. გარდა თეატრალური წარმოდგენებისა, ბევრი რამ იმართება ჩვენს თეატრში.
- **თუ გაქვთ საბავშვო სპექტაკლები?**
- ოთარ ბაღათურიამ დადგა „სათაგური“, რომელსაც ბევრი მაყურებელი ჰყავს, ასევე, კოტე აბაშიძემ დადგა ირაკლი სამსონაძის პიესა „ინდიკო“. ამ სპექტაკლებს ძირითადად ვთამაშობთ საახალწლოდ. მათ არა მარტო ბავშვები, უფროსებიც სიამოვნებით უყურებენ.
- **საქველმოქმედო პროექტებზე რას გვეტყვით?**
- უამრავი საქველმოქმედო კონცერტი თუ სპექტაკლი გვითამაშია. დაწყებული ფონდი „იავნანადან“ თვე არ გავა, ვინმე გაჭირვებულ ადამიანს არ დავეხმაროთ.

- **რითი იყო გამორჩეული ეს პერიოდი?**
- ჩემი ყველაზე დიდი სატკივარია დამატებითი ხარჯების მოზიდვა. სამწუხაროდ, დასპონსორება აქ ცუდადაა. ყველა გვეუბნება, რომ დამოკიდებული ვართ სათავო ოფისზე. რეგიონების რეკლამა არ სჭირდებათ! ბილაინმა დაგვიფინანსა ერთი სპექტაკლის სადადგმო ხარჯები. ჩვენი თეატრის სპონსორი იყო „ვითიბი ბანკი“, რომელმაც რემონტი გაუკეთა თეატრს. შეიძლება, რომ ამხელა თეატრს თავისი ავტობუსი არ ჰყავდეს?! მთავარია თეატრი გავიყვანო საერთაშორისო სარბიელზე, ინტენსიურად ვმუშაობ გასტროლის მოწყობაზე.
- **რა პრობლემები გაქვთ?**
- ავტობუსის გარდა, მთლიანად ჩვენი ბიუჯეტი დამოკიდებულია ადგილობრივ ბიუჯეტზე. როცა ჩამოვედი 250 ათასი იყო, ახლა 800 ათასზე ავიყვანე, მაგრამ ამხელა შენობას, თანაც ამორტიზებულს, რამდენი რამ სჭირდება! დარწმუნებული ვარ, რომ, როცა დაწყნარდება ქვეყანა, დალაგდება ყველაფერი, ეს გაურკვევლობაც გადაივლის, პროფესიონალებიც მოვლენ კულტურის სფეროში. რადგან ყველა აღიარებდა, რომ თუკი რამ წარმატებული იყო ქუთაისში, ეს იყო თეატრი, ამიტომ მას ახლა სჭირდება ხელშეწყობა.
- **რა სამომავლო გეგმები გაქვთ?**
- საერთაშორისო ასპარეზე გასვლა, ბიუჯეტის გაზრდა, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შემლებისდაგვარადმოწესრიგება,პირველრიგში,სველიწერტილებისა.განათებაცგასაუმჯობესებელია. თუ გვინდა თანამედროვე კარგი ევროპული თეატრი, მაშინ მესხიშვილის თეატრის ტექნიკური ბაზა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. კაპელდინერები არა მყავს შტატში – ეს შეიძლება?!
- **დამატებითი ხარჯები საიდან მოგაქვთ?**
- პროექტებიკულტურისსამინისტროდანდამუნიციპალიტეტიდან,იშვიათადრომელიმეორგანიზაციის მინიმალური დაფინანსება. ხალხს ძალიან უჭირს. დარბაზის გაქირავებიდან 90 პროცენტი 1500 ლარი შემოდის და ეს ამხელა დარბაზის განათებისა და გათბობის ხარჯებს თუ დაფარავს მხოლოდ, არადა უფრო მეტს ვერ იხდიან.
- **რით შეიძლება ბიზნესკომპანიების ინტერესი გავაღვივოთ?**
- უპირველესად, სახელმწიფომ უნდა შეცვალოს მიდგომა თეატრების მიმართ. თუ დაბალი დონის სპორტულ თამაშებს ასპონსორებენ, პირდაპირი ეთერით გადასცემენ მატჩებს, სადაც ძალიან დაბალი დონეა, მაშინ თეატრმა რაღა დააშავა?! თეატრის მნიშვნელობა უნდა ესმოდეს სახელმწიფოსაც და ბიზნესსაც.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა ქუთაისში
ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
გამოიკითხა 86 მაყურებელი



ცნობილი ფაქტია, რომ ქუთაისი ერთ-ერთი ყველაზე ძველი და დიდი თეატრალური ტრადიციის ქალაქია. გამორჩეულია ქუთაისელი მაყურებელიც, რომელიც მუდმივად აქტიურია, გემოვნებიანი და მოაზროვნე. 86 გამოკითხულიდან 34 ამბობს, რომ მხოლოდ საინტერესო სპექტაკლებს ესწრება, ხოლო 21 ხშირად, თვეში 2-3 ჯერ სტუმრობს თეატრს. ეს მაჩვენებელი ადასტურებს ქუთაისელი მაყურებლის აქტიურობას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მხოლოდ 9 მაყურებელი ამბობს, რომ ნახულობს ყოველ ახალ დადგამს, რაც დაბალი მაჩვენებელია. ქუთაისში, როგორც ჩანს, მაყურებელი პრემიერასთან დაკავშირებით მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ სტუმრობს თეატრს.

ხშირად თუ არ ხართ თეატრში რატომ?



ქუთაისი არ არის გამონაკლისი, როცა მაყურებლის საკმაოდ დიდი პროცენტი აღნიშნავს, რომ თავისუფალი დროის არქონის გამო ვერ ახერხებს თეატრში ინტენსიურად მისვლას ახალ სპექტაკლებზე. 22 კი შორს ცხოვრებას უჩივის და 15 რესპოდენტი ბილეთის ფასს ასახელებს მიზეზად. თუ დავაკვირდებით, სხვა რეგიონული თეატრების ბილეთის ტარიფებს ქუთაისში ბილეთის ფასი, მართლაც, ყველაზე დიდია, ვიდრე სხვაგან. შესაძლოა მოსაზრება 15 რესპოდენტისა არ არის სიმართლეს მოკლებული.



ქუთაისელ მაყურებელს ძალიან უყვარს თავისი თეატრის მსახიობები და რეჟისორები. ამის დასტურია ის, რომ 86 - დან 39 თეატრში საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორის ახალი ნამუშევრის სანახავად მიდის, მათთვის მეორეხარისხოვანია თეატრში გართობისა და დასვენების მიზნით მისვლა, ხოლო 21 მაყურებელი ესთეტიკური სიამოვნებისთვის სტუმრობს თეატრს.



ჟანრებს შორის კომედიას ქუთაისში უპირატესობას 33 მაყურებელი ანიჭებს, ხოლო 27 მუსიკალურ კომედიას. თანაბრად არის მოთხოვნა ფსიქოლოგიურ დრამასა და ტრაგიკომედიაზე.



კითხვაზე, რომელი წყაროებიდან იგებს მაყურებელი სპექტაკლის გამართვის შესახებ, ყველაზე მეტი ხმა (42) აფიშამ დააგროვა, ხოლო მეორე ადგილზე 29 ხმით ინტერნეტ საშუალებები გავიდა. ეს მაჩვენებლი განსხვავდება სხვა თეატრებისაგან, რადგან, როგორც ჩანს, ქუთაისში აქტიურად მუშაობს თეატრის გვერდები სოციალურ ქსელებში, რადგანაც ფაქტია, რომ ყველაზე მეტი მაყურებელი ინფორმაციას სპექტაკლის გამართვის შესახებ სწორედ ინტერნეტის საშუალებით იგებს. მესამე ადგილზე სატელევიზიო რეკლამაა 20 ხმით.



86 გამოკითხულიდან 24 თვლის, რომ ქუთაისის თეატრის სცენაზე თანამედროვე ქართული დრამატურგიის ხილვა სურს, ხოლო თანაბარი მოთხოვნაა ისტორიულ ჟანრსა და ქართულ კლასიკურ რეპერტუარზე. მრავალფეროვანი და ჭრელი რეპერტუარის მომხრეა 14 გამოკითხული.



როგორც გამოკითხვამ აჩვენა, ქუთაისში მაყურებელი თეატრში მსახიობების სანახავად მიდის (17), ხოლო 15 ნაცნობების რეკომენდაციით. დაახლოებით ამდენივე რესპოდენტი ფიქრობს, რომ აინტერესებდა რეჟისორის ნამუშევარი, საკმაო პროცენტს აინტერესებს სპექტაკლის თემა. ქუთაისში, ფაქტობრივად, არ არსებობს შემთხვევითი მაყურებელი, რადგან გამოკითხულთაგან არც ერთს შემოუხაზვს პასუხი - სხვაგან არსად მქონდა წასასვლელი. როგორც ჩანს, ქუთაისში მაყურებელი გამიზნულად და მომზადებული მიდის თეატრში.



ქუთაისში მაყურებლისთვის მთავარი სპექტაკლში საინტერესო ამბავი და ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსია. ასევე, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სპექტაკლის პოლიტიკური მოტივიც. ეს შედეგი არ არის მოულოდნელი, რადგან მაყურებელი მთლიანად პოლიტიზებულია საქართველოში, ქუთაისიც ამ მხრივ არ არის გამონაკლისი.



მაყურებელი ფიქრობს, რომ აფიშა (47), ინტერნეტი (30) და სატელევიზიო რეკლამა (24 ხმა) ყველაზე ეფექტური საშუალებაა იმის გასაგებად, თუ როდის და რა სპექტაკლი იმართება თეატრში.



რაც შეეხება ქუთაისელი მაყურებლის სათეატრო კრიტიკასთან დამოკიდებულებას, აქ აზრი, ფაქტობრივად, ორად არის გაყოფილი: 40 რესპოდენტი ფიქრობს, რომ ნაწილობრივ სანდოა ქართული თეატრმცოდნეობა, ხოლო 38, საერთოდ, არ ენდობა მას, მხოლოდ 3 რესპოდენტი ენდობა მთლიანად.
კითხვაზე დაასახელებთ თუ არა რომელიმე თეატრმცოდნეს ან კრიტიკოსს, 86 გამოკითხულიდან

დასახელდა:
ნიკა წულუკიძე 4-ჯერ
ვასილ კიკნაძე 3-ჯერ
ნუნუ ხვიჩია 3-ჯერ



კითხვაზე რომელი რეჟისორი მოგწონთ ყველაზე მეტად ჩამოთვლილთაგან დასახელდა: გიორგი სიხარულიძე 13 - ჯერ, თემურ ჩხეიძე 4 -ჯერ, თორნიკე მარჯანიშვილი 3-ჯერ, ვანო ხუციშვილი 3-ჯერ. ხოლო ყველაზე მეტი ხმა (24) რობერტ სტურუამ დააგროვა, რომელსაც 16 ხმით მოსდევს ლევან წულაძე.

ვინ არის თქვენი საყვარელი მსახიობი? ადგილობრივებიდან დასახელდნენ გიორგი ზანგური, კახა შარტავა, ევა ხუტუნაშვილი, მარიკა სამანიშვილი, ენდი ძიძავა, ერემო სვანაძე, ანზორ ხერხაძე. ისინი რეიტინგის ათეულში მოხვდნენ, რეიტინგი კი ასე გამოიყურება:

1. გივი ბერიკაშვილი 9-ჯერ
2. კახი კავსაძე 7-ჯერ
3. **გიორგი ზანგური 6-ჯერ**
4. **კახა შარტავა 6-ჯერ**
5. მარინა კახიანი 5 -ჯერ
6. **ევა ხუტუნაშვილი 4-ჯერ**
7. **მარიკა სამანიშვილი 4-ჯერ**
8. **ენდი ძიძავა 3 -ჯერ**
9. **ერემო სვანაძე 3-ჯერ**
10. **ანზორ ხერხაძე 3-ჯერ**
11. გიორგი ვარდოსანიძე 3-ჯერ
12. გია ბურჯანაძე 3-ჯერ
13. ეკა კახიანი 3-ჯერ
14. ჟანრი ლოლაშვილი 2-ჯერ
15. თენგიზ არჩვაძე 2-ჯერ
16. ნინელი ჭანკვეტაძე 2-ჯერ
17. **ვანო ხუციშვილი 2-ჯერ**

მარინა ჯანაშია
ზაზა პაპუაშვილი
დავით ხურცილავა
გიორგი ყიფშიძე
ზურა ყიფშიძე
ეკა კახიანი
ზაზა პაპუაშვილი
გოგი ქავთარაძე
თათული ედიშერაშვილი
ზაზა კოლელიშვილი
რუსკა მაყაშვილი



86 გამოკითხულიდან 57 ფიქრობს, რომ თეატრში სხვა ტიპის გასართობი დაწესებულებაც უნდა არსებობდეს. მათ შორის კაფეს გახსნის მომხრეა 34, 9 კარაოკესი და დისკოთეკისა, ხოლო 8 ფიქრობს, რომ ღამის კლუბიც უნდა ფუნქციონირებდეს. გამოკითხულთაგან 21 სხვა ტიპის გასართობი დაწესებულების თეატრში გახსნის წინააღმდეგია.

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის
პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია
XIX საუკუნის ბოლოს ქართველი საზოგადო მოღვაწეების დიდი ძალისხმევითა და ინიციატივით საქართველოში ერთდროულად რამდენიმე თეატრი გაიხსნა. მათ შორის ერთ–ერთი ქალაქ ჭიათურის დრამატული თეატრი იყო, რომელიც 1894 წლის 11 დეკემბრიდან ამოქმედდა.

1901 წელს თეატრში ცნობილი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის თანდასწრებით მისი გახმაურებული პიესა „პატარა კახი" დაიდგა. 1910 წლიდან მოყოლებული თეატრს მუდმივმოქმედი დასი ჰყავდა.

თეატრის ,,ოქროს ხანად" არის მიჩნეული XX საუკუნის 20–30–იანი წლები, როდესაც პავლე ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით სცენაზე, ეროვნული დრამატურგიის პარალელურად, მსოფლიოში ცნობილი დრამატურგების, მაგალითად: უილიამ შექსპირის, მოლიერის, ლოპე დე ვეგას და სხვათა ნაწარმოებები გაცოცხლდა.

1949 წელს ჭიათურის თეატრმა ბინა დაიდო შენობაში, რომლის მშენებლობაც 1946 წელს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო. ნაგებობის მონაპოვარია დარბაზის პლაფონის მოხატულობა, რომელიც ქართველ მხატვარ რობერტ სტურუას ეკუთვნის. თეატრის ფასადს მოქანდაკე ვალერიან თოფურიძის მიერ შექმნილი აკაკი წერეთლის სკულპტურული გამოსახულება ამშვენებს. ჭიათურის თეატრს აკაკი წერეთლის სახელი 1949 წელს მიენიჭა. XX საუკუნის მეორე ნახევარში ჭიათურის თეატრმა საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა: ორჯერ გაიმარჯვა საკავშირო ფესტივალებზე, ხოლო უნგრული დრამატურგიის საერთაშორისო ფესტივალზე მთავარი პრიზი დაიმსახურა.

დასში ირიცხება 30 მსახიობი. თეატრის რეპერტუარშია 15 სპექტაკლი. ჭიათურის თეატრთან აქტიურად თანამშრომლობენ ქართველი რეჟისორები, მათ შორის ახალი თაობის წარმომადგენლები.

თეატრის შენობა
ჭიათურის თეატრი ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ ადგილას, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარეობს. შენობა ყვირილის მარცხენა მხარეს, ციცაბო ფერდობის დასაწყისშია და იგი წარმოადგენს ორიგინალურ პროექტს, თვითმყოფად ქმნილებას და ანალოგი არ აქვს საქართველოში. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრი დღესდღეობით ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი და არქიტექტურული ნაგებობაა არა მხოლოდ ჭიათურაში, არამედ საქართველოში.
თეატრი გამოირჩევა უნიკალური მხატვრობით, ჭერი და კედლები მოხატულია ცნობილი მხატვრის რობერტ სტურუას (უფროსი) მიერ. თეატრი დაარსებულია 1949 წელს და მას აკაკი წერეთელის სახელი მიენიჭა.. დაახლოებით 70-იანი წლების შემდეგ, შენობას კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია და, შესაბამისად, საჭიროებს რესტავრაციას. არქიტექტორები არიან: მ. ჩხიკვაძე და კ. ჩხეიძე.

თეატრის დასახელება სსიპ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრო
დაარსების წელი 1894 წელი
თეატრის იურიდიული ფორმა საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები
მმართველი ნანა წერეთელი
თეატრის ელ. ფოსტა - chiaturateatri@yahoo.com
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა - nana.tsereteli@mail.ru
ვებგვერდი - facebook.com/chiaturatheatre
თეატრის მისამართი - ჭიათურა, ილია ჭავჭავაძის ქ. № 15
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა - 62
ამათგან მსახიობთა რაოდენობა - 26
შემოქმედებითი პერსონალი - 1
ტექნიკური პერსონალი - 25
ადმინისტრაცია - 10

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	14 700		239 327	9 805
2011	7 000		245 468	7 307
2012	8 300		289 970	8 855

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით
2010 წელი - 4 780
2011 წელი - 5 130
2012 წელი - 5 775

2010-2012 წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი, წლების მიხედვით)
ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წელი - 45
2011 წელი - 47
2012 წელი - 46
დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელი - 2 390
2011 წელი - 3 420
2012 წელი - 2 310

ბილეთის ტარიფები - 2 - 5 ლარი
თეატრის შემოსავალი რაიმე სხვა საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა) შეადგინა 10 282 ლარი
რა უჯდება საშუალოდ თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა 10 000 – 12 000 ლარი
რა უჯდება საშუალოდ თეატრს სპექტაკლის აღდგენა 3 000 – 5 000 ლარი
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი - 3 000 ლარი
რამდენია მსახიობის საშუალო ხელფასი 400 ლარი
იყო თუ არა თეატრი გასტროლებზე (2010-2012)
საშუალოდ რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა:
ქვეყნის შიგნით - 3 000 – 3 500 ლარი
საზღვარგარეთ - არ ყოფილა
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი /დაასახელეთ/
ქვეყნის შიგნით - საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელი, თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი
ქვეყნის გარეთ - ITM (თეატრების არაფორმალური შეხვედრა)
ფესტივალებში მონაწილეობა - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი; თეატრალური იმერეთი- 2012
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) - რუსთაველის თეატრი, თავისუფალი თეატრი, მოზად მაყურებელთა თეატრი, მუსიკისა და დრამის თეატრი, ზუგდიდის თეატრი, ირანული ახალგაზრდული თეატრი, გარჯინიცას თეატრალური სკოლა.
კოპროდუქცია (2010-2011) - არ ჰქონია
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის ან პიარსამსახურის მენეჯერი - დიახ
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება - დიახ
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 23 წლის
ყველაზე ხანდაზმული - 75 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა - 2011 წელს
თეატრში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო - არ მიუღია

რეპერტუარი 2010-2012 წწ.

სპექტაკლის დასახელება - „გამზრდელი“
პიესის ავტორი - ა. წერეთელის პოემის მიხედვით
რეჟისორი - ანდრო ენუქიძე
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
მონაწილეობენ: შორენა პაპიძე, გიორგი ბრეგვაძე, არჩილ ხვედელიძე, ბესიკ მიქაბერიძე, სოფო ლეთოდიანი, თამუნა ჯაჯანაშვილი, გელა მოდებაძე.

სპექტაკლის დასახელება - „ჯერ დაიხოცნენ, შემდეგ იქორწინეს“
პიესის ავტორი - რ. ერისთავი
რეჟისორი - ნუგზარ ლორთქიფანიძე
მხატვარი - ჯეორნა ფაჩუაშვილი
მუსიკალური გაფორმება - კახა ცაბაძე
მონაწილეობენ: ქეთევან შარიქაძე, ამირან ნასყიდაშვილი, ლელა ქოჩიაშვილი, თათია ბაქრაძე, გაგა ჯიქიძე, ბესიკ მიქაბერიძე, სოფო ლეთოდიანი, არჩილ ხვედელიძე.

სპექტაკლის დასახელება - „როგორც გენებოთ“
პიესის ავტორი - უ. შექსპირი
რეჟისორი - ზურაბ სიხარულიძე
მუსიკალური გაფორმება - თამარ ხორავა
მონაწილეობენ: როდერ ჩაჩანიძე, ამირან ნასყიდაშვილი, გია კენჭოშვილი, ბესო მიქაბერიძე, თამაზ ფანჩულიძე, გურამ ბრეგვაძე, გიორგი ბრეგვაძე, გაგა ჯიქიძე, იური ბიწაძე, გელა მოდებაძე, თამარ ჯაჯანაშვილი, სოფო ლეთოდიანი, შორენა პაპიძე, ლელა ქოჩიაშვილი.

სპექტაკლის დასახელება - „სტუმარ-მასპინძელი“
პიესის ავტორი - ვაჟა-ფშაველას პოემის მიხედვით
რეჟისორი - ნუგზარ გაჩავა
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
მონაწილეობენ: იზა ჯიშკარიანი, ამირან ნასყიდაშვილი, ქეთევან შარიქაძე, გოჩა აბაშიძე, გაგა ჯიქიძე, თამარ ჯაჯანაშვილი, როდენ ჩაჩანიძე, გია კენჭოშვილი, გელა მოდებაძე, ბესო მიქაბერიძე

სპექტაკლის დასახელება - „ძვირფასო პამელა“
პიესის ავტორი - ჯონ პატრიკი
რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
მონაწილეობენ: ქეთევან შარიქაძე, ამირან ნასყიდაშვილი, გოჩა აბაშიძე, თამარ ჯაჯანაშვილი, სოფო მოდებაძე, სოფო ლეთოდიანი, არჩილ ხვედელიძე.

სპექტაკლის დასახელება - „მანსარდა“
პიესის ავტორი - თ. გოდერძიშვილი
რეჟისორი - ანდრო ენუქიძე
მხატვარი - მირიან შველიძე
მონაწილეობენ: თამუნა ჯაჯანაშვილი, გოჩა აბაშიძე, ზურაბ არუსია.

სპექტაკლის დასახელება - „გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი“
პიესის ავტორი - მატეი ვიშნეკი
რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი
მხატვარი - ბექა სადაღაშვილი, თამუნა ჭავჭანიძე
მონაწილეობენ: ამირან ნასყიდაშვილი, ანზორ ცაბაძე, ლილი თავაძე

სპექტაკლის დასახელება - „ვარსკვლავთბიჭუნა“
პიესის ავტორი - ო. უალდი
რეჟისორი - სოსო ნემსაძე და ლაშა შეროზია
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
მონაწილეობენ: გელა მოდებაძე, ქეთევან შარიქაძე, როდენ ჩაჩანიძე, შორენა პაპიძე, გია კენჭოშვილი, გოჩა აბაშიძე, თინიკო კუპატაძე, გოჩა აბაშიძე, გურამ ბრეგვაძე, არჩილ ხვედელიძე, შალვა ხვედელიძე.

სპექტაკლის დასახელება - „დავა გემოვნებაზე“
პიესის ავტორი - ანდრო ენუქიძე
რეჟისორი - ანდრო ენუქიძე

მხატვარი - აივენგო ჭელიძე
მუსიკალური გაფორმება - ანდრო ენუქიძე
მონაწილეობენ: გოჩა აბაშიძე, სოფო ლეთოდიანი, გაგა ჯიქიძე, არჩილ ხვედელიძე, თამუნა ჯაჯანაშვილი, ამირან ნასყიდაშვილი, გია კენჭოშვილი.

სპექტაკლის დასახელება - „ინდაურის ერთი კვერცხი“
პიესის ავტორი - ი. სამსონაძე
რეჟისორი - ანდრო ენუქიძე
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
მუსიკალური გაფორმება - ანდრო ენუქიძე
მონაწილეობენ: გია კენჭოშვილი, მაკა ცუცქირიძე, ქეთევან შარიქაძე, ამირან ნასყიდაშვილი, იური ბიწაძე, ბესიკ მიქაბერიძე, თინა კუპატაძე, გურამ ბრეგვაძე, სოფო ლეთოდიანი, თამარ ჯაჯანაშვილი, ბესო მიქაბერიძე, თამაზ ფანჩულიძე, გიორგი ბრეგვაძე, გოჩა აბაშიძე, არჩილ ხვედელიძე.

სპექტაკლის დასახელება - „ირინეს ბედნიერება“
პიესის ავტორი - დ. კლდიაშვილი
რეჟისორი - ჯაბა პაპუაშვილი
მხატვარი - მირიან შველიძე
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
მონაწილეობენ: როდენ ჩაჩანიძე, სოფო გოგოლაძე, გოჩა აბაშიძე, ამირან ნასყიდაშვილი,თამარ ჯაჯანაშვილი, გია კენჭოშვილი, გიორგი ბრეგვაძე, გელა მოდებაძე, სოფო მოდებაძე, შორენა პაპიძე, იური ბიწაძე, გურამ ბრეგვაძე, თამაზ ფანჩულიძე.

სპექტაკლის დასახელება - „თეატრი“
პიესის ავტორი - ლ. ბუღაძე
რეჟისორი - დავით მღებრიშვილი
მხატვარი - ლევან კვარაცხელია, თამარ ოხიკიანი
მუსიკალური გაფორმება - დავით მღებრიშვილი
მონაწილეობენ: ლელა ქოჩიაშვილი, მაკა ცუცქირიძე, ლილი თავაძე, თამარ ჯაჯანაშვილი, გოჩა აბაშიძე, გიორგი ბრეგვაძე, შორენა პაპიძე, სოფო ლეთოდიანი, ამირან ნასყიდაშვილი, გია კენჭოშვილი.

შენობის შესაძლებლობები

აქვს თუ არა ფოიე - საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო - არა
ბუფეტი - დიახ
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ

ტექნიკური აღჭურვა

განათება - პარი 22, პროფილი 2, პისტოლეტი 2, 1000 პრ. 5, კვამლის აპარატი, BOX 2, LEO - 6 მიქშერი
გახმოვანება - მიქშერი, მინიდისკის გამშვები, DVD გამშვები, დინამიკი 4, მიკროფონი 1, დისტანციური კაბელი
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა - 450 ადგილი
დარბაზში ადგილების გადანაწილება -პარტერი - 370 ადგილი, იარუსი - 80 ადგილი

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე - 15 მ.
სცენის სიგანე - 12 მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - 5,5 მ.
იატაკიდან გამოყენებამდე - 8,8 მ.
სარკის სიგანე - 8.8 მ.
სარკის სიმაღლე - 5,5 მ.
საორკესტრო ორმოს სიგანე 8,8 მ.
საორკესტრო ორმოს სიმაღლე 2,1 მ.
საორკესტრო ორმოს რკალი 8, 8 მ
სცენის წრის დიამეტრი 10 მ.
სცენის მარჯვენა ჯიბე 3X7 მ.
სცენის მარცხენა ჯიბე 3X7 მ.
შტანგეტების რაოდენობა 27
შტანგეტებს შორის ინტერვალი 40 სმ.
სოფიტების რაოდენობა 4

სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა 4
მოძრავი პორტალების სიმაღლე 6 მ.
მოძრავი პორტალების სიგანე 1, 2 მ.

საუბარი თეატრის მმართველ ნანა წერეთელთან

- **რას მიიჩნევთ თეატრის ბოლო წლების შემოქმედებით წარმატებად?**
- ჩვენი თეატრის შემოქმედებით პროცესს განვიხილავ უწყვეტ ჯაჭვად. თეატრის დღევანდელი ცხოვრება გაგრძელებაა წინა წლების პროგრამებისა. ჭიათურის თეატრის ახალი სიცოცხლე 21–ე საუკუნეში იმით დაიწყო, რომ ახალი ჯგუფი, ახალგაზრდა მსახიობები შეემატნენ დასს და ამან მისცა ახალი ძალა თეატრს, რომელშიც დღეს სამი თაობა თანამშრომლობს. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ სხვადასხვა რეჟისორი მოგვეწვია. ბევრი სპექტაკლი დადგეს სოსო ნემსაძემ, გიორგი შალუტაშვილმა, უფროსი თაობიდან – ნუგზარ ლორთქიფანიძემ და ნუგზარ გაჩავამ. სრულიად ახალი თაობაც მოდის თეატრში თავისი სათქმელითა და ინტერესებით, მათ შორის – ჯაბა პაპუაშვილი და ლაშა შეროზია. ეს მრავალფეროვნება, სხვადასხვა ასაკის რეჟისორთა მონაცვლეობა არის მნიშვნელოვანი მაყურებლისა და თეატრისათვის. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ რეპერტუარი გვქონდეს ქართული კლასიკიდან, ასევე, უცხოური, საუკეთესო დრამატურგიის ნიმუშები. გასულ წელს დავდგით ნობელიანტი ავტორის მ. ვიშნეკის პიესა და თავად ავტორისგანაც მივიღეთ თანხმობა მისი პიესის დადგმაზე, გარდა ამისა, ჯონ პატრიკიც დაიდგა ჩვენს თეატრში და დღემდე დიდი ინტერესით უყურებს მას მაყურებელი. ჭიათურის თეატრში დაარსების დღიდან უზარმაზარი ტრადიციაა დავით კლდიაშვილის დადგმისა. თითქმის არ დარჩენილა ამ გენიალური ავტორის არცერთი ნაწარმოები, ჩვენთან რომ არ დადგმულიყო. ჭიათურა ზემო იმერეთია და ძალიან კარგად ერგება დავით კლდიაშვილის პერსონაჟების ხასიათს. გასულ წელს ჯაბა პაპუაშვილმა "ირინეს ბედნიერება" შესთავაზა მაყურებელს და ძალიან საინტერესო სპექტაკლი გამოვიდა. მარჯანიშვილის თეატრში წარმოვადგინეთ ეს სპექტაკლი და გადაჭედილი იყო დარბაზი. ჩვენ შევძელით ის, რომ მატერიალურ–ტექნიკური ბაზა მოვაწესრიგეთ, შევქმენით სამუშაო პირობები, შემდეგი ეტაპი იყო პროფესიონალი რეჟისორების მოწვევა. 2005 წლიდან დღემდე ანდრო ენუქიძემ შექმნა რეპერტუარი, შემდეგი ეტაპი იყო მსახიობთა დაოსტატებაზე ზრუნვა. მოვიწვიეთ ახალი მსახიობები, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ჭიათურის ჯგუფი და ამან განაახლა ჩვენი დასი, შემდეგი ეტაპი, რომელიც განვახორციელეთ, იყო თეატრის გაყვანა საერთაშორისო ასპარეზზე, რადგან არ შეიძლება თეატრი ჩაკეტილი იყოს. ჩვენ შევეცადეთ და თეატრი ჩავრთეთ საერთაშორისო ქსელში. ვგეგმავთ ფესტივალებსა და მიწვევებზე გასვლას. ჭიათურის თეატრი იმითაა უნიკალური მსოფლიოში, რომ ქალაქი და თეატრი ერთად დაარსდა, თანატოლები არიან – ასეთ პრეცედენტს ვერსად იპოვით!
- **რა შემოქმედებითი პრობლემები გაქვთ?**
- დადგა დასის გადახალისების, ახალი სახეების გამოჩენის აუცილებლობა. გარდა ამისა, აუცილებელია გასვლითი სპექტაკლები ქალაქებს შორის. ამას სჭირდება სახელმწიფოს დონეზე მხარდაჭერა. თეატრის მნიშვნელობა გააზრებული უნდა იყოს სახელმწიფოს დონეზე!
- **როგორ ხდება ინფორმაციის შემოდინება?**
- გარდა იმისა, რომ გვაქვს კარგი ურთიერთობა თანამედროვე დრამატურგებთან, სამინისტრომაც დაბეჭდა დრამატურგიული კრებულები როგორც ქართველი, ისე – უცხოელი ავტორების პიესები და ასე ვარჩევთ პიესებს.
- **რა პრინციპით ხდება რეჟისორების მოწვევა?**
- არ გვყავს ბევრი ნიჭიერი ადამიანი, მაგრამ ვინც გვყავს, ისინი უნდა გამოვიყენოთ. ჩვენც, ძირითადად, ვიყენებთ იმ რეჟისორებს, რომლებიც წამყვანი ძალაა ქართულ თეატრში. მოწვევის დროს მთავარია მათი პროფესიონალიზმი, სიახლის მაძიებლობა და სრულყოფილება.
- **მენეჯმენტის საკითხებზე რას იტყვით, რამდენად საინტერესო სფეროა ბიზნესკომპანიებისათვის თეატრი?**
- პოლიტიკა და ბიზნესი ყოველთვის გვერდს უვლიდა თეატრს. ჩვენ უნდა დავაინტერესოთ ისინი და ერთად გავიაზროთ თეატრის აუცილებლობა. იყო პროექტები, რომლებიც დაგვიფინანსეს, მაგრამ სახელმწიფომ შეღავათები უნდა მისცეს მას, ვინც აფინანსებს წარმოდგენას, რათა მეტი სტიმული და მოტივაცია გაუჩნდეს სპონსორს ამ ტიპის თანამშრომლობისათვის. ჭიათურა სამრეწველო ქალაქია და ვცდილობთ ურთიერთობების გაღრმავებას ბიზნესკომპანიებთან, ისინიც გვერდით გვიდგანან. მთავარია, პროექტი სწორად შედგეს, მისმა შინაარსმა დააინტერესოს სპონსორი.
- **როგორ ხდება დამატებითი სახსრების მოძიება?**
- ეს არ არის განსაკუთრებულად დიდი თანხები, მაგრამ დარბაზის გაქირავება გვშველის და ვავსებთ ჩვენს ბიუჯეტს.
- **რა იყო თეატრის ყველაზე დიდი წარმატება მარკეტინგული თვალსაზრისით?**
- მარჯანიშვილის თეატრში ჩვენი გასტროლი დაგვისპონსორეს, ამასთანავე, 2010–11 წლებში მათი

დაფინანსებით ორჯერ მოხდა თეატრის ხელმძღვანელების მივლინება პოლონეთში და თეატრი რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდა.

- **რა სირთულეებს ხვდებით მენეჯმენტის კუთხით?**
- ძირითადი პრობლემა იყო ის, რომ 21–ე საუკუნის დასაწყისიდან თეატრი არ იყო განხილული, როგორც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ობიექტი და ასეთი დამოკიდებულება ბიზნესს უქრობდა ინტერესს ჩვენ მიმართ.
- **თუ გაქვთ საქველმოქმედო პროექტები?**
- ყველა სოციალურად დაუცველისათვის ჩვენ გვაქვს უფასო დასწრება. გარდა ამისა, დიდ სცენას უსასყიდლოდ ვუთმობთ სოციალურად დაუცველ ბავშვთა სკოლებს და, ამასთანავე, მათთვისაც ვმართავთ უფასო წარმოდგენებს
- **საბავშვო რეპერტუარი თუ გაქვთ?**
- ყოველ სეზონზე მინიმუმ ერთ ასეთ სპექტაკლს წარმოვადგენთ
- **როგორია მაყურებლის ასაკი?**
- ჭიათურა – ესაა ქალაქი ოდითგანვე ცნობილი თატრალური მაყურებლით. სამწუხაროდ, მიგრაციულმა პრობლემებმა პრაქტიკულად მოშალა თეატრალური კულტურა და თავიდან მოგვიხდა მაყურებლის აღზრდა. გვიხდება სერიოზული მუშაობა ბავშვებთან, პედაგოგებთან, სოფლის მოსახლეობასთან, რათა სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები ჩამოვიყვანოთ სპექტაკლებზე. სპექტაკლზე აქ მოდიან სხვა ადამიანები და აქედან გადიან სხვაგვარები – ესაა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი!
- **თეატრის განვითარების კუთხით უახლოეს მომავალში რაზე აპირებთ აქცენტის გაკეთებას?**
- ბევრი გეგმა გვაქვს, მაგრამ იმის გამო, რომ ქალაქში ჯერ არაა კომუნიკაციები კარგად მოწესრიგებული, ქალაქს მოშორებული უბნებიდან ვერ დადიან სპექტაკლზე, რადგან მერე ტრანსპორტი აღარ მუშაობს, ამიტომ გადავწყვიტეთ, თეატრი თავად მისულიყო ასეთ უბნებში. ამასთანავე, გვინდა გავხსნათ ალტერნატიული სივრცე, სცენა, რომ მაყურებელმა შეძლოს ეზიაროს თეატრალურ ხელოვნებას. ასევე, გვინდა ჩვენს თეატრში მცირე სცენა გვქონდეს, რათა რეჟისორებს შევთავაზოთ სხვადასხვა ფორმის სივრცე მათი იდეების ხორცშესხმისათვის. მნიშვნელოვანი მგონია საერთაშორისო ასპარეზზე კოპროდუქციებში ჩვენი ჩართვა, მოწვევა რეჟისორებისა, ალტერნატიული თეატრალური ფორმები რომ იქნეს შემოტანილი. ამაზე აქტიურად ვმუშაობთ და სახელმწიფოს დახმარების იმედიც გვაქვს!

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა
ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
გამოიკითხა 24 მაყურებელი



ჭიათურის თეატრში ჩატარებულმა მაყურებლის სოციოლოგიურმა გამოკითხვამ, ფაქტობრივად, ყველა თეატრისაგან გამორჩეული და განსხვავებული შედეგები წარმოაჩინა. სულ გამოიკითხა 24 მაყურებელი. რომელთაგან 13 ამბობს, რომ ნახულობს ყოველ ახალ დადგმას, ხოლო 11 მხოლოდ საინტერესო სპექტაკლებს. არც ერთი ხმა არ დააგროვა სხვა პასუხებმა.

ხშირად თუ არ ხართ თეატრში რატომ?



მაყურებლის დიდი ნაწილი ჭიათურაში თეატრში მიუსვლელობის მიზეზად თავისუფალი დროის არქონას ასახელებს. მეორე მიზეზი კი თეატრიდან მოშორებით ცხოვრებაა, რაც რეალობასთან მართლაც არის ახლოს, ხოლო ერთი მაყურებელი ამბობს, რომ საერთოდ არ იზიდავს თეატრი და ამიტომაც იშვიათად მოდის სპექტაკლზე დასასწრებად.

უმთავრესად რისთვის მიდიხართ თეატრში?



ჭიათურაში, ქუთაისის მსგავსად, მაყურებელი თეატრში საყვარელი მსახიობების და რეჟისორის ნამუშევრის სანახავად მიდის, 24 გამოკითხულიდან 14 ამ მიზეზს ასახელებს, ხოლო 9 რაიმე ახლის გასაგებად მიდის თეატრში.



როგორც მოსალოდნელი იყო, ჭიათურაში მაყურებლის უმრავლესობას კომედიების ნახვა სურს, ხოლო თანაბარი 3-3 ხმა დააგროვა ჟანრებმა - მელოდრამამ და ტრაგიკომედიამ, ხოლო 1 ხმა მუსიკალურმა კომედიამ მიიღო.



როგორც რეგიონთა უმრავლესობაში, ჭიათურაშიც სპექტაკლის წარმოდგენის შესახებ მაყურებელი სატელევიზო რეკლამითა და აფიშით იგებს ინფორმაციას. თითო-თითო მაყურებელი კი ინტერნეტითა და პრესით.



ყველაზე მეტი ინტერესი ჭიათურაში თანამედროვე ქართული დრამატურგიისადმი არის, ხოლო თანაბრად ინაწილებს პოზიციებს თანამედროვე უცხოური და უცხოური კლასიკური რეპერტუარი. ჭიათურაში არ გამოხატავენ ინტერესს ისტორიული ჟანრისა და ქართული კლასიკის მიმართ.



თეატრში მოსვლის მიზეზად 24 გამოკითხულიდან 10 რესპოდენტი ასახელებს - მინდოდა მენახა მსახიობები, ხოლო 8 ამბობს, რომ წაკითხული ჰქონდა ნაწარმოები და სურდა მისი სცენური ინტერპრეტაციის ხილვა, სამმა მაყურებელმა კი განაცხადა, რომ აინტერესებდა რეჟისორის ახალი ნამუშევარი.



ჭიათურელი მაყურებლისთვის მთავარი სპექტაკლში მსახიობის ნამუშევარია, ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოტივი და საინტერესო ამბავთან ერთად, სპექტაკლის ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსი.



თუ რა საშუალებით უნდა გაიგოს მაყურებელმა სპექტაკლის გამართვის შესახებ, ჭიათურაში მაყურებელი აცხადებს, რომ ყველაზე ეფექტური საშუალება სატელევიზიო რეკლამა და აფიშაა. სამწუხაროდ, ჭიათურაში აქტიურად არ სარგებლობენ ინტერნეტით.



ჭიათურაში მაყურებლის უმრავლესობა არ ენდობა თეატრმცოდნის შეფასებას, ხოლო მცირე ნაწილი ნაწილობრივ ენდობა. 24 გამოკითხულიდან მხოლოდ 5 ენდობა მათ მოსაზრებებს სპექტაკლის ავკარგიანობის შესახებ.

რაც შეეხება მაყურებლის სიმპათიებს რეჟისორების მიმართ, გამოკითხულთაგან მხოლოდ ექვსმა რესპოდენტმა დაასახელა ჭიათურის თეატრში მოღვაწე რეჟისორები. მათ შორის: ანდრო ენუქიძე დასახელდა 5-ჯერ, ხოლო გიორგი შალუტაშვილი 1-ჯერ. ყველაზე მეტი ხმა კი რეჟისორთაგან ჭიათურაში მიიღო სოსო ნემსაძემ (13 ხმა), 3 ხმა რობერტ სტურუამ, რომელსაც 2 ხმით ლევან წულაძე მოსდევს.



კითხვაზე, „ვინ არის თქვენი საყვარელი მსახიობი?“ რეიტინგში მხოლოდ ადგილობრივი მსახიობები მოხვდნენ, მაყურებელმა არ დაასახელა სხვა მსახიობი, რომელიც ჭიათურის თეატრში არ მოღვაწეობს.

1. **როდენ ჩაჩანიძე 12-ჯერ**
2. **ქეთევან შარიქაძე 11-ჯერ**
3. **გოჩა აბაშიძე 9-ჯერ**
4. **თამარ ჯაჯანაშვილი 7-ჯერ**

5. **თამაზ ფანჩულაძე 2-ჯერ**
6. **სოფო ლეთოდიანი 3-ჯერ**
7. **თინა მიქაუტაძე**
8. **ლილი თავაძე**
9. **არჩილ ხვედელიძე**
10. **ამირან ნასყიდაშვილი**

უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულება? შედეგები დიაგრამაში ასე გამოიყურება:



მაყურებლის სრულ უმრავლესობას მიაჩნია, რომ თეატრში სხვა რაიმე ტიპის გასართობი დაწესებულება არ უნდა ფუნქციონირებდეს, 24 გამოკითხულიდან მხოლოდ 3 ამბობს, რომ შესაძლებელია კაფეს არსებობა.

ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის
პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია
ზესტაფონში თეატრალური წარმოდგენებისადმი ინტერესი სათავეს 1875 წლიდან იღებს. გაზეთი „დროება" (1882 წ., აგვისტო) იუწყება: „სცენის მოყვარულებმა დაბა ყვირილას სასამართლოს დარბაზში ჩაატარეს ქართული სპექტაკლი ა. თუთაევის კომედია „ცოლი ვიტირო თუ ფული?". პირველი წარმოდგენა დადგა დ. ანთაძემ ვ. გაბისკირიას „მათი ამბავი". 1941 წლიდან, სამამულო ომის დაწყების გამო, ზესტაფონის თეატრალურ დასს მუშაობაში ხელი შეეშალა, რადგან მსახიობთა დიდი ნაწილი ფრონტზე გაიწვიეს. 1949 წელს მოხდა სახელმწიფო თეატრის ლიკვიდაცია. მსახიობებმა მუშაობა ცალკეულ დრამატულ წრეებში გააგრძელეს.

1964 წელს ზესტაფონის სახალხო თეატრს უშანგი ჩხეიძის სახელი მიენიჭა. 1965 წლიდან თეატრში მოღვაწეობდა მსახიობი რენე აბესაძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, უშანგი ჩხეიძის პრემიის ლაურეატი), რომლის ხელმძღვანელობითაც თეატრმა წარმატებებს მიაღწია. 1990 წელს ზესტაფონის სახალხო თეატრს სახელმწიფო თეატრის სტატუსი მიენიჭა. პირველი სპექტაკლი იყო ო. ჩხეიძის „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი, ანუ ამბავი სულით დავრდომილთა" (რეჟისორი ლ. პაქსაშვილი).

წლების განმავლობაში თეატრთან თანამშრომლობდნენ რეჟისორები: დოდო ანთაძე, მიხეილ ვაშაძე, ანზორ ქუთათელაძე, ლერი პაქსაშვილი, ვალერი გორგოშაძე, გულიკო ბუთხუზი, ზაზა წაქაძე (1996-98 წლებში თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), კახა კაპანაძე, მამუკა ცერცვაძე, მიშა მესტვირიშვილი, თემურ კუპრავა, გეგა ქურციკიძე, ბადრი წერედიანი, ლაშა ლომჯარია, მამუკა ტყემალაძე.

ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ნინო ლიპარტიანი, დირექტორი - თეა მაღლაკელიძე. დასში ირიცხებიან მსახიობები: ბადრი ტაბატაძე, ნინო აბესაძე, გიორგი გლოველი, თემურ კიკნაველიძე, თემურ ქველიაშვილი, გვანცა ფერაძე, მარეხ აბესაძე, ნანა წერეთელი, ზურაბ აბესაძე, ვახტანგ კვინიკაძე, კონსტანტინე ჭანკოტაძე, ნანა ისიანი.

თეატრის შენობა
ცნობილია, რომ 1898 წელს ალექსანდრე არაბიძემ საკუთარი შენობა დაუთმო თეატრს. ამავე წლის გაზეთ „კვალში" ვკითხულობთ: „აქაურ სცენისმოყვარე ახალგაზრდობამ დაარსა ბ-ნ ალ. არაბიძის შენობაში სამუდამო თეატრი, რომელიც სუყველაფრით კარგადაა მოწყობილი, როგორც სცენით, დეკორაციით და ფარდით, აგრეთვე საჯდომ ადგილებით და ბუფეტით". ზესტაფონის სახელმწიფო თეატრი 1939 წელს დაარსდა. თეატრალური დასი რკინიგზელთა კლუბში მუშაობდა. თეატრისადმი ინტერესმა შენობის აგების აუცილებლობა განაპირობა. ჩამოყალიბდა „ყვირილის თეატრის ამხანაგობა", რომლის ძალისხმევითაც 1904 წლის მაისში „ამხანაგობის თეატრი" ოფიციალურად გაიხსნა. წარმოდგენებში თბილისიდან ჩამოსული მსახიობებიც მონაწილეობდნენ. სამწუხაროდ, 1906 წელს „ამხანაგობის თეატრის" შენობა დაიწვა. ამის შემდეგ თეატრალური წარმოდგენები სხვადასხვა ადგილებში იმართებოდა.ზესტაფონის თეატრისთვის ახალი შენობის აშენება დაიწყო 1932 წელს და დასულდა 1962 წელს, ის აშენებულია არქიტექტორ შ. თავაძის პროექტით. მასვე ეკუთვნის ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრის პროექტიც. ზესტაფონის თეატრის ახლანდელი შენობა 1962 წელს გაიხსნა, რომელშიც ბინა სახალხო თეატრმა დაიდო. თეატრი დღემდე ამ შენობაში მოღვაწეობს.

თეატრის დასახელება სსიპ ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების წელი - 1939 წ.
თეატრის იურიდიული ფორმა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - მმართველი ვახტანგ კვინიკაძე
2010-2012 წლებში თეატრს, ასევე, ხელმძღვანელოდბნენ მმართველი ხათუნა ასათიანი, სამხატვრო ხელმძღვანელი მამუკა ცერცვაძე, მამუკა ტყემალაძე
თეატრის ელ. ფოსტა - zestafonitheatre@yahoo.com
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა - vaxtangi.kvinikadze@mail.ru
ვებგვერდის მისამართი - facebook.com/zestafoni theatre
თეატრის მისამართი - ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის №23
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 42
ამათგან მსახიობთა რაოდენობა - 11
შემოქმედებითი პერსონალი - 11
ტექნიკური პერსონალი - 13
ადმინისტრაცია - 7

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	14 444		155 300	
2011	7 000		198 900	
2012	9 875		201 830	

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით
2010 წელი - 5 433 ლარი
„საახალწლო ზღაპარი“ - 2 575 ლარი;
„მგზავრის წერილები“ – 1 758 ლარი;
„ოქროს წიწილა“ – 250 ლარი;
„ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ – 850 ლარი
2011 წელი - ინფორმაცია არ მოიპოვება
2012 წელი - ინფორმაცია არ მოიპოვება

2010-2012 წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი, წლების მიხედვით)

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წელი - 20 სპექტაკლი
„საახალწლო ზღაპარი“ - 9
„მგზავრის წერილები“ - 4
„ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ - 6
„ოქროს წიწილა“ - 1
2011 წელი - 35 სპექტაკლი
„საახალწლო ზღაპარი“ - 7
„ბოსტანი კონფლიქიტს ზონაში“ - 1
„იქამდე“ - 1
„იავნანამ რა ჰქმნა“ - 10
„მერი პოპინსი“ - 1
„სისხლი“ - 11
„ოპუსი“-115 – 1
„უტოპსია“ - 1
„ისევ ზღაპარი“ - 1
„ვოიცეკი“ - 1

2012 წელი - 23 სპექტაკლი
„საახალწლო ზღაპარი “- 9
„უსახელო ვარსკვლავი“ - 6
„სოლომან მორბელაძე“ - 1
„სიბრძნე-სიცრუისა“ - 7

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელი - 1 687
2011 წელი - 4 892
2012 წელი - 2 789
ბილეთის ტარიფები - 2-3 ლარი
რეპერტუარი - 2010-2012 წლებისა
1. გ. ბიუხნერი, „ვოიცეკი“
2. დ. კლდიაშვილი, „სოლომან მორბელაძე“
3. გ. ქურციკიძე, „ახალი წელი საზღაპრეთში“
4. ჯ. ბ. მოლიერი „ოპუსი 115“
5. მ. ცერცვაძე, „საახალწლო ზღაპარი“
6. ი. გოგებაშვილი, „იავნანამ რა ჰქმნა?“
7. თ. ფხაკაძე, „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“
8. პ.ლ. ტრავერსი, „მერი პოპინსი“
9. ნ. დუმბაძე, „სისხლი“
10. გ. დოჩანაშვილი, „იქამდე“
11. ს.ს. ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“
12. მ. სებასტიანუ, „უსახელო ვარსკვლავი“

რა უჯდება საშუალოდ თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა - 5 000 ლარი
რა უჯდება საშუალოდ თეატრს სპექტაკლის აღდგენა - 300-1 500 ლარი
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი - 1 500-3 000 ლარი
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი - თბილისიდან 300-350 ლარი, ქუთაისიდან 125-200 ლარი
მსახიობის ხელფასი
უმაღლესი - 355
უმდაბლესი - 180
იყო თუ არა თეატრი გასტროლებზე (2010-2012)
საშუალოდ რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა:
ქვეყნის შიგნით - თბილისში
საზღვარგარეთ - ლორი (სომხეთი)
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი /დაასახელეთ/
ქვეყნის შიგნით - საქართველოს თეატრალური საზოგადოება
ქვეყნის გარეთ - არა
ფესტივალებში მონაწილეობა
თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი; საერთაშორისო ფესტივალი „ლორი - 2010“
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) - თავისუფალი თეატრი, ახმეტელის თეატრი, რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, ცხინვალის თეატრი, სოხუმის თეატრი, ქუთაისის თეატრი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2010-2012 წწ) - არა
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - არა
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის ან პიარსამსახურის მენეჯერი - არა
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - არა
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება - დიახ
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა მსახიობი -23 წლის
ყველაზე ხანდაზმული მსახიობი - 65 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა - 2012 წელს
თეატრში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო - გიო გლოველი - მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი, ბადრი ტაბატაძე - მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის

შენობის შესაძლებლობები

აქვს თუ არა ფოიე - საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო - დიახ
ბუფეტი - არა
წიგნის მაღაზია -არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ
ტექნიკური აღჭურვა
განათება - 1000 P1. 31; 5 ლედი, კვამლის აპარატი,
გახმოვანება - დიმერ სისტემა, 3 დისტანციური მიკროფონი, დინამიკი 4, ორი მინი დისკის გამშვები, პროექტორი, ეკრანი, DVD გამშვები
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა 485 ადგილი
პარტერი - 316 ადგილი; პირველი იარუსი - რიგი პირველი 51 ადგილი, მეორე რიგი 39 ადგილი, მეორე იარუსი - რიგი პირველი 35 ადგილი, მეორე რიგი 24 ადგილი.

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე - 14, 5 მ.
სცენის სიგანე - 16 მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - 16 მ.
იატაკიდან გამოყენებამდე - 10 მ.
სარკის სიგანე - 9 მ.
სარკის სიმაღლე - 7 მ.
საორკესტრო ორმოს რკალი - 8 X 1, 8 მ.
სცენის წრის დიამეტრი - 11, 5 X 11, 5 მ.
სცენის მარჯვენა ჯიბე - 13 X 1,9 მ.

სცენის მარცხენა ჯიბე - 13 X 1,9 მ.
შტანგეტების რაოდენობა 50
შტანგეტებს შორის ინტერვალი - 17 სმ.
სოფიტების რაოდენობა - 4
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა - 10 ც.
მოძრავი პორტალების სიმაღლე - 7 მ.
მოძრავი პორტალების სიგანე - 2,5 მ.

რეპერტუარი 2010-2012

სპექტაკლის დასახელება - „უსახელო ვარსკვლავი"
პიესის ავტორი - მიხაი სებასტიანუ
რეჟისორი - მალხაზ ასლამაზიშვილი
მხატვარი - ნათია ბერაძე, დათო კამკამიძე
მუსიკალური გაფორმება - მალხაზ ასლამაზიშვილი
მონაწილეობენ: გვანცა დადიანიძე, გიო გლოველი, თემურ ქველიაშვილი, ნინო აბესაძე, თემურ კიკნაველიძე, მარეხ აბესაძე, ბადრი ტაბატაძე, ნუგზარ შიუკაშვილი, თეონა ხუსკივაძე, ნანა წერეთელი, მზია არევაძე

სპექტაკლის დასახელება - „სიბრძნე სიცრუისა"
პიესის ავტორი - სულხან-საბა ორბელიანი
რეჟისორი - კოტე მჟავია
მხატვარი - დავით კამკამიძე, ნათია ბერაძე
მუსიკალური გაფორმება - კოტე მჟავია
მონაწილეობენ: ნინო აბესაძე, თემურ კიკნაველიძე, ბადრი ტაბატაძე, გოჩა ნიკოლაძე.

სპექტაკლის დასახელება - „იქამდე"
პიესის ავტორი - გურამ დოჩანაშვილი
რეჟისორი - ზაზა წაქაძე
მხატვარი - ნათია ბერაძე, დათო კამკამიძე
მუსიკალური გაფორმება - ბექა მოლაშვილი
მონაწილეობენ: ზურა აბესაძე, ალექსანდრე გველესიანი.

სპექტაკლის დასახელება - „სისხლი"
პიესის ავტორი - ნოდარ დუმბაძე
რეჟისორი - გეგა ქურციკიძე
მხატვარი - ნათია ბერაძე, დათო კამკამიძე
მუსიკალური გაფორმება - ომარ გველესიანი
მონაწილეობენ: ნინო აბესაძე, ვახტანგ კვინიკაძე, გიო გლოველი, მურმან ალავიძე, ნუგზარ შიუკაშვილი, თემურ ქველიაშვილი.

სპექტაკლის დასახელება - „მერი პოპინსი"
პიესის ავტორი - პ.ლ. ტრავერსი
რეჟისორი - მამუკა ცერცვაძე
მხატვარი - ნათია ბერაძე, დათო კამკამიძე
მუსიკალური გაფორმება - ომარ გველესიანი
მონაწილეობენ: გვანცა დადიანიძე, თემურ კიკნაველიძე, ნინო აბესაძე, ნინო აბესაძე (უმცროსი), გიო გლოველი, თეონა ხუსკივაძე, თემურ ქველიაშვილი, ნუგზარ შიუკაშვილი, ზურა აბესაძე, ბადრი ტაბატაძე, თიკო კირკიტაძე, მურთაზ მაღლაკელიძე.

სპექტაკლის დასახელება - „ვოიცეკი"
პიესის ავტორი - გ. ბიუხნერი
რეჟისორი - ალექსი ჯაყელი
მხატვარი - ნათია ბერაძე, ალექსი ჯაყელი
მონაწილეობენ: გვანცა დადიანიძე, სალომე წურწუმია, თაკო აბაშიძე, ზურაბ აბესაძე, ვახტანგ ჩაჩანიძე, თემურ კიკნაველიძე, თემურ ქველიაშვილი.

სპექტაკლის დასახელება - „ოპუსი 115"
პიესის ავტორი - ჟ. ბ. მოლიერი
რეჟისორი - ალექსი ჯაყელი
მხატვარი - ნათია ბერაძე, ალექსი ჯაყელი

მუსიკალური გაფორმება - ალექსი ჯაყელი
მონაწილეობენ: გვანცა დადიანიძე, სალომე წურწუმია, თაკო აბაშიძე, ზურაბ აბესაძე, ვახტანგ ჩაჩანიძე, თემურ კიკნაველიძე, თემურ ქველიაშვილი.

სპექტაკლის დასახელება - „ოპუსი 115“
პიესის ავტორი - დავით კლდიაშვილი
რეჟისორი - ბადრი წერედიანი
მხატვარი - ნათია ბერაძე, დავით კამკამიძე
მუსიკალური გაფორმება - ბადრი წერედიანი
მონაწილეობენ: თემურ კიკნაველიძე, ზურა აბესაძე, ბადრი ტაბატაძე, ნინო აბესაძე, მარეხ აბესაძე, გვანცა ფერაძე, ვახტანგ კვინიკაძე, თემურ რქველიაშვილი, ავთანდილ სახამბერიძე, გოჩა ნიკოლაძე, მზია არევაძე, ნანა წერეთელი, დავით ბაქრაძე.

სპექტაკლის დასახელება - „ახალი წელი საზღაპრეთში“
პიესის ავტორი - გეგა ქურციკიძე
რეჟისორი - გეგა ქურციკიძე
მხატვარი - ნათია ბერაძე
მუსიკალური გაფორმება - ომარ გველესიანი
მონაწილეობენ: ნინო აბესაძე, ვახტანგ კვინიკაძე, ნუგზარ შიუკაშვილი, ბადრი ტაბატაძე, მარეხ აბესაძე, თეონა ხუსკივაძე, მურმან ალავიძე, ნინიკო აბესაძე, მურთაზ მაღლაკელიძე, პაატა ზირაქაძე, ნიკა ქარელი, ლადო გლოველი (თეატრალური სტუდიის აღსაზრდელები).

სპექტაკლის დასახელება - „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“
პიესის ავტორი - თამრი ფხაკაძე
რეჟისორი - მამუკა ცერცვაძე
მხატვარი - ნათია ბერაძე
მონაწილეობენ: გიორგი გლოველი, თემურ ქველიაშვლი, თემურ კიკნაველიძე, ზურაბ აბესაძე, ბადრი ტაბატაძე, მარეხ აბესაძე, გვანცა დადიანიძე, ნინო აბესაძე, ვახტანგ კვინიკაძე, თეონა ხუსკივაძე, ავთო ავალიშვილი.

სპექტაკლის დასახელება - „იავნანამ რა ჰქმნა?!“
იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის მიხედვით
რეჟისორი - გეგა ქურციკიძე
მხატვარი - ნათია ბერაძე, დავით კამკამიძე
მუსიკალური გაფორმება - ომარ გველესიანი
ქორეოგრაფი - გიორგი ქლიბაძე
მონაწილეობენ: ნინო აბესაძე, ვახტანგ კვინიკაძე, ბადრი ტაბატაძე, თემურ კიკნაველიძე, თემურ ქველიაშვილი, მარეხ აბესაძე, თეონა ხუსკივაძე, გვანცა გრიგოლაშვილი.

სპექტაკლის დასახელება - საახალწლო ზღაპარი
პიესის ავტორი - მამუკა ცერცვაძე
რეჟისორი - მამუკა ცერცვაძე
მხატვარი - ნათია ბერაძე, დავით კამკამიძე
მუსიკალური გაფორმება - მამუკა ცერცვაძე
მონაწილეობენ: ბაადურ ტაბატაძე, თემურ კიკნაველიძე, გიო გლოველი, ნინო აბესაძე, მზია არევაძე, თემურ ქველიაშვილი, ნინიკო აბესაძე, ვახტანგ კვინიკაძე, ნანა წერეთელი, მარეხ აბესაძე.

საუბარი თეატრის მმართველ ვახტანგ კვინიკაძესთან

- **რამდენად საინტერესო სფეროა თეატრი დღეს სპონსორებისათვის, ბიზნესკომპანიებისათვის და ამ მხრივ რამე ხელშემწყობი პირობები თუა ქვეყანაში?**
- სამწუხაროდ, რაიონებში გაცილებით მძიმე მდგომარეობაა. რაც კი ბიზნესწრეებია, ყველა თბილისზეა დამოკიდებული, სათავო ოფისი იქაა. როცა ჩვენ მივდივართ მათთან, ასე გვპასუხობენ: ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია, რადგან თბილისზე ვართ დამოკიდებული... თბილისი თბილისს ემსახურება, ჩვენ იქამდე ვერ ვაღწევთ. პერიფერიებში მათ ძალიან უჭირთ, იყვნენ დამოუკიდებლები, თავად მიიღონ გადაწყვეტილება ფილიალებმა.
- **თუ გახსენდებათ ბოლო 10–11 წლის განმავლობაში ისეთი პროექტი, რომელსაც ჰყავდა სპონსორი?**
- არა. ერთადერთი, ზესტაფონის ფეროა ჩვენი ერთჯერადი პრომოუშენი. მზა სპექტაკლს ყიდულობს

ხან მათი პროფკავშირი, ხან – ადმინისტრაცია იქ დასაქმებულთა შვილებისათვის. არავითარი ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა დღემდე არავისთან გვქონია – ესაა სამწუხარო რეალობა!

- **გარდა სახელმწიფოსგან მიღებული სუფსიდიებისა, საიდან ახერხებთ დამატებითი თანხების მოზიდვას?**
- იჯარით, დარბაზის გაქირავებით. 300 ლარზე მეტი ფასი რომ დაადო, ვერ გააქირავებ ამ დარბაზსაც კი. წელს მხოლოდ ერთმა სკოლამ დაიქირავა ჩვენი დარბაზი. ძირითადი მაინც ის ასიგნებანია, რომლებსაც სახელმწიფო გამოგვიყოფს ხოლმე სუფსიდიის სახით.
- **თეატრს თუ აქვს საქველმოქმედო პროექტები?**
- დიახ, ჩვენ ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის გავმართეთ სპექტაკლი, ასევე, მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის სიცოცხლის გადასარჩენად ვითამაშეთ, დარბაზს ვუთმობთ სხვებსაც. წელს გვქონდა ხუთი საქველმოქმედო საღამო: ერთი სპექტაკლი და ოთხი კონცერტი
- **ვინ არიან თქვენი მაყურებლები?**
- ძირითადად, ახალგაზრდები დადიან. ალბათ, ცხოვრების პირობების ბრალია, რომ უჭირს მაყურებელს თეატრში მოსვლა. არადა, ზესტაფონი ცნობილი იყო თავისი თეატრალური მაყურებლებით. დღევანდელი ახალგაზრდა მაყურებელი თავისუფალია ოჯახისა და სოციუმის მიმართ პასუხისმგებლობისაგან და ამიტომაც, ძირითადად, ისინი მოდიან თეატრში.
- **რამ შეიძლება შემოაბრუნოს მაყურებელი თეატრისაკენ, რა ხერხებს მიმართავთ მათ „შემოსატყუებლად“?**
- ჩვენ განვახორციელეთ პროექტი "თეატრი თეატრისათვის". ქალაქის ინტელიგენციაა უმეტესად ის კატეგორია, რომელიც შემოსავლიანია და გარანტირებული ხელფასი გააჩნია. მათ შევთავაზეთ 50–ლარიანი აბონემენტი. ამ ფასში ვთავაზობდით თბილისიდან საგასტროლოდ ჩამოსულთა წარმოდგენაზე დასწრებას და, ამასთანავე, გარდა ამ 5 სპექტაკლისა, რომელიც ფასში შედიოდა, მაყურებელს ვჩუქნიდით ჩვენს 2 პრემიერასაც. ეს იყო მათი თეატრში მოზიდვის ხერხი, თუმცა არც ამ ღონისძიებამ გაამართლა. შევეცადეთ, საჩუქრებიც გაგვეთამაშებინა, მაგრამ მაინც ერთჯერადი გამოდგა ეს ღონისძიება. 50–ლარიანი აბონემენტი 170 კაცმა შეიძინა, მაგრამ სპექტაკლებზე უფრო ახალგაზრდები მოდიოდნენ, თავად – იშვიათად, სხვას გადასცეს ეს აბონემენტები, ამიტომ მიჭირს ზუსტად იმ მიზეზის განსაზღვრა, თუ რა უშლის ხელს ზესტაფონელ მაყურებელს იმაში, რომ იაროს თეატრში.
- **როგორც მმართველს, რა გიშლით ხელს მუშაობაში?**
- ძალიან გაჭიანურდა თეატრის კანონის ძალაში შესვლის პროცესი და ყველა დაბნეული ვართ, ამიტომ ჯერჯერობით სამომავლო ჩამოყალიბებული სტრატეგია კი გვაქვს, მაგრამ მაინც მოვალეობის შემსრულებელი რომ გქვია, ვერ რისკავ ბოლომდე. კლდიაშვილის თემატიკა ჩვენი სატკივარია, ამიტომ გვინდა, რომ დავით კლდიაშვილის ფესტივალი ან საღამოები მოვაწყოთ. ამჟამად ორ ახალ სპექტაკლს ვამზადებთ, ორიც გვაქვს, უკვე ამ ბაზაზე შესაძლოა რაღაც ტიპის საღამოების გამართვა, კოლექტივების მოწვევაც. ჩვენ დაახლოებით ისეთი ფორმატით გვსურს, როგორიც რუსეთშია ჩეხოვის ფესტივალები.
- **როგორ აგებთ სარეპერტუარო პოლიტიკას, როგორ მუშაობთ, ერთპიროვნულად იღებთ გადაწყვეტილებებს ამ მხრივ თუ დასთან შეთანხმებით**?
- თეატრს ჰყავს სამხატვრო კონსულტანტი გ. კაპანაძე. გარდა ამისა, რეპერტუარს განსაზღვრავს თეატრთან არსებული სამხატვრო საბჭო და მასთან კონსულტაციებით ვწყვეტთ მსგავს საკითხებს.
- **რაზე ხართ ორიენტირებული რეპერტუარის განსაზღვრისას?**
- ძირითადი ბაზარი ჩვენთვის არის სკოლა. აქაა კონცენტრირებული ახალგაზრდობა,ჩვენი მომავალი. ამიტომ სკოლაზე ვაგებთ რეპერტუარსაც, რომ სასწავლო მასალას გავყვეთ და ასე დავეხმაროთ ახალგაზრდობას.
- **როგორ ხდება ინფორმაციის შემოდინება თეატრში... სიახლეებს როგორი წყაროებით ეცნობით?**
- ტელევიზიით, ჟურნალით "თეატრი და ცხოვრება" და ინტერნეტით. ნაკლები და მწირი ინფორმაცია გვაქვს თანამედროვე პიესებთან დაკავშირებით. მე ვერ ვხედავ ახალ დრამატურგიას, რომელიც ახალ სიტყვას ამბობს და ჩვენს პრობლემებზე საუბრობს. ამიტომ გვიხდება მოთხრობების გადაკეთება, ინსცენირება.
- **რა შემოქმედებითი პრობლემები აქვს ზესტაფონის თეატრს?**
- თაობათა მონაცვლეობა არ ხდებოდა თეატრში. ამ ბოლო პერიოდში მივიღეთ ორი ახალგაზრდა პროფესიონალი მსახიობი და ეს სასიამოვნო ფაქტია. ჩემთვის ბოლო წლებში აქ საინტერესო სპექტაკლები დაიდგა. კრიტიკა და თეატრმცოდნეობა შორს დგას ჩვენი თეატრისაგან. საჭიროა რაიონული თეატრების მიმართ ინტერესი გაიზარდოს და მეტი ყურადღება დაეთმოთ მათ. სხვანაირად ქვეყნის თეატრალური ცხოვრება, ზოგადად, უინტერესო იქნება.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი

გამოიკითხა 35 მაყურებელი

ხშირად ესწრებით თუ არა სპექტაკლებს?



35 გამოკითხული მაყურებლიდან მხოლოდ 8 ნახულობს ყოველ ახალ დადგმას, ხოლო მათგან 3 მხოლოდ საინტერესო სპექტაკლს. 4 მაყურებელი ამბობს, რომ იშვიათად დადის თეატრში. მაყურებლის აქტივობის თვალსაზრისით ეს მონაცემები არც ისე სახარბიელოა. მაყურებელი რომ არ ტყუის, ეს დასტურდება თეატრის მიერ ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციითაც, სადაც ახალი სპექტაკლი წელიწადში მხოლოდ ერთხელ არის ნაჩვენები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ თეატრი სტაბილურად არ ფუნქციონირებს, არ მართავს სპექტაკლებს, არ მუშაობს მაყურებლის მოზიდვაზე.

ხშირად თუ არ ხართ თეატრში რატომ?



ზესტაფონის თეატრში მიუსვლელობის მიზეზად თავისუფალი დროის უქონლობას ასახელებენ, ხოლო ამ კატეგორიაში მეორე ადგილი უჭირავს პასუხს: ვერ ვყიდულობ ბილეთს. არადა ბილეთის ფასი საკმაოდ დაბალია 2-3 ლარი, ხოლო 35 გამოკითხულიდან ორი ამბობს, რომ არ აკმაყოფილებს სპექტაკლების დონე.



კითხვას, უმთავრესად რისთვის მიდიხართ თეატრში, ზესტაფონელები უპასუხებენ, რომ ესთეტიკური სიამოვნებისთვის, ასევე, თანაბარი რეიტინგი აქვს ახალ ინფორმაციას და საყვარელ მსახიობებს.



ჟანრებს შორის ზესტაფონში უპირატესობას კომედიას ანიჭებენ, ხოლო თანაბრად სურთ ნახონ ფსიქოლოგიური დრამა და ტრაგიკომედია. ერთადერთი ჟანრი, რომელიც ზესტაფონში მოწონებას არ იმსახურებს, ვოდევილია.



ზესტაფონში სპექტაკლის გამართვის შესახებ აფიშითა და ინტერნეტით იგებენ. საერთოდ არ ვრცელდება ინფორმაცია რადიოთი და პრესით, ხოლო 35 გამოკითხულიდან 3 ამბობს, რომ ინფორმაციას სპექტაკლების გამართვის შესახებ სატელევიზიო რეკლამით იგებს.



ზესტაფონელი მაყურებელი მრავალფეროვანი რეპერტუარის მომხრეა, 6 მათგანი მიიჩნევს, რომ თეატრში ყველა ტიპის დრამატურგია უნდა იდგმებოდეს, თუმცა თანამედროვე ქართულ დრამატურგიას ისინი განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებენ.



კითხვაზე, თუ რატომ მივიდა მაყურებელი თეატრში, უმეტესი პასუხი აქვს კატეგორიას: მინდოდა მენახა მსახიობების თამაში, მომდევნო ეტაპზეა პასუხი - დამაინტერესა სპექტაკლის თემამ.



ზესტაფონელი მაყურებლისთვის ყველაზე მთავარი სპექტაკლის ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსია, ასევე საინტერესო ამბავი და პოლიტიკური მოტივი.



მაყურებლის უმრავლესობა ფიქრობს, რომ სპექტაკლის გამართვის შესახებ მაყურებელმა ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით უნდა მიიღოს. თუ დავაკვირდებით სოციალურ ქსელში თეატრის გვერდს, დავრწმუნდებით, რომ ინტერნეტგვერდზე ინფორმაცია თითქმის არ არის განახლებადი. არ არის განთავსებული ინფორმაცია აფიშის შესახებ. ინფორმაცია მხოლოდ პრემიერების შესახებ ქვეყნდება.



ზესტაფონში 20 გამოკითხულიდან 12 კრიტიკას ნაწილობრივ ენდობა, 4 საერთოდ არ ენდობა, ხოლო 1 მთლიანად ენდობა.



35 გამოკითხულიდან ზესტაფონში რეჟისორებიდან, რომლებიც მათ მოსწონთ, ასახელებენ რობერტ სტურუას (33 ხმა), ლევან წულაძეს (22 ხმა), დავით დოიაშვილს (14 ხმა), გიორგი თავაძეს (10 ხმა), ხოლო თანაბარი ხმები (6 -6) დააგროვეს ავთანდილ ვარსიმაშვილმა და გოჩა კაპანაძემ.

გამოკითხულთაგან საყვარელ მსახიობებად ზესტაფონში ადგილობრივები არ დაუსახელებიათ. ამ მხრივ ზესტაფონი ერთადერთი გამონაკლისი ქალაქია, სადაც მაყურებელი მშობლიური თეატრის მსახიობებს არ ასახელებენ.
მსახიობთა რეიტინგი კი ასე გამოიყურება:

1. კახი კავსაძე 3-ჯერ
2. ეკა კახიანი 3-ჯერ
3. თათული დოლიძე 2-ჯერ
4. დუტა სხირტლაძე 2-ჯერ
5. გიორგი ყიფშიძე 2-ჯერ
6. მარინა კახიანი 2-ჯერ

ია სუხიტაშვილი, ჟანრი ლოლაშვილი, ზურა ცინცქილაძე, რუსკა მაყაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, გოგა ბარბაქაძე, კახა კინწურაშვილი, ნიკა თავაძე, მარინა ჯანაშია, როლანდ ოქროპირიძე, მარიამ ჯოლოგუა, გია ბურჯანაძე, ნინელი ჭანკვეტაძე, ალეკო მახარობლიშვილი, გივი ბერიკაშვილი, მურმან ჯინორია, კოტე თოლორდავა, ვანიკო თარხნიშვილი, ნანკა კალატოზიშვილი, ლელა მებურიშვილი

კითხვაზე - უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულება? მაყურებელი უპასუხებს, რომ თეატრში არ არის სასურველი სხვა ტიპის გასართობი დაწესებულების გახსნა.



ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის
პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

სცენისმოყვარეთა სპექტაკლები XIX საუკუნის II ნახევრიდან იმართებოდა. პირველი სპექტაკლი მოლიერის "ძალად ექიმი" 1869 წლის 11 აპრილს დადგა ანტონ ფურცელაძემ. ,,ზუგდიდში იყო ქართული წარმოდგენა თერთმეტ აპრილს სასარგებლოდ ზუგდიდის სასწავლებლის ბიბლიოთეკისა. ხარჯის გარდა დარჩა ფული წარმოდგენის შემოსავლისას ოთხიოდე თუმანი. ძალიან სამწუხაროა, რომ წარმოდგენის ზალა არა იყო მეტი. წარმოსდგა ,,ძალად ექიმი'' – ქართულად გადმოკეთებული მოლიერის პიესაა. რაც შეეხება პროვინციულ სცენას, არ იყო ურიგოდ წარმოდგენილი. მეტადრე ქალებმა: უეზდის ნაჩალნიკის მეუღლემ ნატალია ვახრამოვისამ, გრაფინია ნინა დერაზმორდუკისამ და მარიამ ფურცელაძისამ ითამაშეს რიგიანათ'' – ეს არის ამონარიდი 1868 წელს გაზეთ ,,დროებაში'' დაბეჭდილი წერილიდან, რომელიც იუწყება ზუგდიდში პირველი სპექტაკლის გამართვის შესახებ. ასე იწყება პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარება ზუგდიდში და ეს იმ პროცესის ნაწილია, რომელიც მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს, სცენური ხელოვნების განვითარება ზოგად ეროვნულ სახეს იღებს.

არსებობს წყაროები თეატრალური სანახაობის უფრო ადრეული წარმოდგენების შესახებ, ამიტომაც ზემოთ დასახელებული თარიღი, 1868 წელი, არის მიჩნეული ზუგდიდში პროფესიული თეატრის შექმნის დასაწყისად. საგაზეთო კორესპონდენციიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი ინტერესით შეხვდა საზოგადოება პირველ წარმოდგენას, ეს არის პერიოდი, როდესაც რუსეთის იმპერიამ სიმბოლურადაც გაუქმა სამეგრელოს სამთავრო. ცნობილია ის ფაქტი, რომ დადიანთა საქმიანობის მნიშვნელოვანი წილი კულტურულ მოღვაწეობაზე მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ არსად არ არის მოხსენებული დადიანთა ღვაწლი ამ საქმეში, ის ფაქტი, რომ სპექტაკლს მართავს მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანტონ ფურცელაძე, რომელიც სამთავრობო კართან საკმაოდ ახლოს მყოფი პიროვნება იყო, ადვილად სავარაუდოა, აღნიშნულ კულტურულ საქმიანობაში პოლიტიკურად უფლებაჩამორთმეული, მაგრამ ჯერ კიდევ ადგილზე მყარად მდგომ მთავარ დადიანთა ხელი ერია.ამ მოვლენიდან რამდენიმე წელიწადში სამეგრელოს რეგიონის სხვადასხვა ადგილებში, კერძოდ ბანძასა და სუჯუნაში, იდგმება შექსპირის ,,ვენეციელი ვაჭარი'' და მოლიერის ,,სკაპენის ოინები'', აღნიშნულ ცნობებსაც გაზეთი ,,დროება'' (1875 წ. აპრილი) იძლევა.

საუკუნის ბოლოს ზუგდიდში აქტიური თეატრალური ცხოვრების დაწყების შესახებ ცნობები დაბეჭდილია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთსა და საინფორმაციო კრებულში, აგრეთვე გამოქვეყნებულია მეცნიერულ გამოკვლევებში.თეატრისარქივშიინახებაწერილებისპირველიპირები,რომლებიცეკუთვნითიმადამიანებს, ამ პერიოდში პირადად რომ მეთაურობდნენ თეატრალურ საქმიანობას. აღნიშნული წერილებიდან და 1968 წელს თეატრის 100 წლის აღსანიშნავად გამოცემული საიუბილეო ჟურნალიდან ირკვევა, რომ იმ დროს არსებობს უკვე ორი სხვადასხვა შემოქმედებითი წრე, ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დგამენ სპექტაკლებს. 1897 წელს ზუგდიდელი მოსწავლეების მიერ განხორციელებული სპექტაკლების შესახებ ინფორმაციას ,,ცნობის ფურცელი'' იძლევა, ესენია: ვ.გუნიას ვოდევილი ,,მონადირე'', ა. ცაგარელის ,,ბაიყუში'': ,,ზუგდიდის სკოლის მოზარდმა თაობამ გამართა ქართული წარმოდგენა... დიდი სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ თეატრის დარბაზს ხალხი ისე ბლომად მოაწყდა, ტევა არ იყო. მთელმა საღამომ ჩინებულად ჩაიარა, რადგან ახალგაზრდები თავგამოდებით და დაკვირვებულად თამაშობდნენ, საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. დიდი ხელოვნება და ნიჭი გამოიჩინეს ქ-ნ სონია ბასილაიამ და ჭატია დარჯანიამ'' (,,ცნობის ფურცელი'' 1897 წ. 16 ნოემბერი). აღნიშნულ წერილზე ყურადღებას ამახვილებს საიუბილეო ჟურნალის ავტორი (სამწუხაროდ, ავტორის გვარი არსად არ არის მითითებული. ის, სავარაუდოდ, თეატრის იმდროინდელ დირექტორს, ხელოვნებათმცოდნეს, იმდროინდელ ქართულ კულტურულ ელიტაში ცნობილ და პატივსაცემ პიროვნებას ალექსანდრე (საშა) ეგუტიას და ხაზს უსვამს, რომ ამ დროისათვის მაყურებელი საკმაოდ მომთხოვნი და თეატრალურ საკითხებში გარკვეულია. 1998 წლიდან კი ზუგდიდის სცენისმოყვარეებს ხელმძღვანელობს ნიკოლოზ ბუკია. ჟურნალის ავტორი მას მოიხსენიებს, როგორც კარგ მოქართულეს, თეატრალსა და საზოგადო მოღვაწეს. ნ. ბუკიას დაუდგამს გ. ერისთავის ,,გაყრა'': ,,კარგმა მოქართულემ ნიკოლოზ ბუკიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის (1898-99 წწ.) წლებში საქველმოქმედო მიზნით დადგა გ. ერისთავის კომედია ,,გაყრა''. წარმოდგენა გაუმართავთ კინტირია ლუკავას სადურგლო სახელოსნოს ფარდულში, სპექტაკლში მონაწილეობა მიუღიათ სონია ბასილაიას, ქრისტინე დარჯანიას, ვასო გეთიას, პეტრე კედიას, ფერშალ კაკაბაძეს და თვით ნიკოლოზ ბუკიას. წარმოდგენის შემოსავალი სამკითხველოს ასაშენებელი ფონდის გასაძლიერებლად მთლიანად გადაუციათ ზუგდიდის მშენებელთა კომისიისათვის. საყურადღებოა ერთი გარემოებაც, სპექტაკლის აფიშა ზუგდიდში დაუბეჭდავთ ტ. თოხაძის მიერ ერთი წლით ადრე შემოტანილ საბეჭდ მანქანაზე.'' გიორგი ერისთავის პიესების "გაყრა" და "დავა" მიხედვით დადგმული სპექტაკლი იყო ქ. ზუგდიდში პირველი ქართული წარმოდგენა ადგილობრივი სცენისმოყვარულების მიერ.'' ეტყობა, ნიკოლოზ ბუკიას არ ჰქონდა ინფორმაცია ადრე დადგმული სპექტაკლების შესახებ. ეს წარმოდგენა ხელმეორედ, როგორც წერილშია აღნიშნული, მაყურებელთა თხოვნით უთამაშიათ სადუქნე დარბაზში, შემოსული თანხა 350 მანეთამდე გადაუნაწილებიათ შემდეგნაირად - ,,შევიძინეთ ერთი მაგიდა, 6 ტაბურეტები, გამოვიწერეთ

ქართული ყველა გაზეთები და ჟურნალი კვალი, აგრეთვე რუსული გაზეთი ნევა და გავხსენით სამკითხველო თოხაძის ტიპოგრაფია-სტამბაში“. ვფიქრობ, რომ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ადგილი, რომელიც ავტორი ყვება, თუ როგორ მოახერხა მან ვაჭრების დათანხმება დეპუტატ აბესაძის დახმარებით, რომ მათ საწევროების გადახდით დაეფინანსებინათ სამკითხველოს ფუნქციონირება. წერილში კარგად იკითხება ვაჭართა განწყობა: ,,დიდი დავის შემდეგ ჩემის წინადადებით სამკითხველოს დაარქვეს აკაკი წერეთლის სახელობის სამკითხველო. სამწუხაროდ, ვაჭრები სამკითხველოს არ გაკარებია, ისინი უფრო ყავახანებში დადიოდნენ და ნარდი და დომინოს თამაშით ერთობოდნენ. სამკითხველოში მხოლოდ მოსწავლეები და ზოგიერთი ახალგაზრდები დადიოდნენ. წერილში დაწვრილებითაა აღწერილი სცენისმოყვარეთა მოღვაწეობა 1929 წლამდე. ნიკოლოზ ბუკია 1904 წლიდან ჩარიცხულია სოც.ფედერალისტთა პარტიაში და ამბობს, რომ წარმოდგენებს, ძირითადად, რევოლუციური მიზნით იყენებდნენ ,სააგტაციოდ და პატრიოტული გრძნობების ხალხში გასაღვიძებლად. სცენის მოყვარეთა წრის შემადგენლობა იცვლებოდა. არაადგილობრივი მცხოვრებნი, როცა საცხოვრებლად სხვაგან გადადიოდნენ, წრეს ვავსებდი ახალი წევრით, პიესის როლის შესაბამისი შემსრულებლით, ადგილობრივი მცხოვრები წრის წევრები კი სიხარულით და სიყვარულით იღებდნენ მონაწილეობას შესაბამის როლებში. ბოდიშს ვიხდი დიდი ხნის ამბავია და ყველა სცენის მოყვარეებს, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ჩემს წრეში, ვერ ვიგონებ, ჩამოვთვლი მხოლოდ ძირითად მთავრებს, რომელთა მუშაობაზე იყო დამოკიდებული თეატრალური მოღვაწეობა მთავრობის მიერ რეჟისორების მოწვევამდე და შემდეგაც: ქალები – სონია ბასილაია, ქ. დარჯანია, მ. გვიჩია, ნ. გეგელია, მ. ჩიქოვანი, ვ. კეკელიძე, ვ. ქარდავა, კ. კედია სუფლიორად, ლიდა ბოჯგუა და სხვანი. ვაჟები: ნ. ბუკია, ვასო გეთია, პეტრე კედია, ალექსანდრე კაკაბაძე, აპალონ ჯიქია, მექი კობახიძე, ლ. გუგუშვილი. ძუკუ ჩხოლარია, ლეო ჭედია. ჟორა გაბუნია, დომენტი კიტია, გ. ჭელიძე, ი. კალანდია, ან. კვიტაშვილი და სხვა.

არქივში დაცული კიდევ ერთი წერილი ეკუთვნის პ. არდიშვილს, რომელშიც წერს კიდევ ერთი სცენისმოყვარეთა ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, იმხანად ლადო გვიშიანი რომ ხელმძღვანელობდა. ეს ჯგუფიც სპექტაკლებს მართავს ოჯახებში, სახლის აივნებზე, სხელდახელოდ მოწყობილ სცენაზე და დუქნის დარბაზებში. ლადო გვიშიანის ჯგუფის პირველი სპექატკლი, როგორც ამ წერილშია მოცემული, გახლდათ ა. წერეთლის კინტო: ,,იმ ხანებში ქალები სცენაზე თამაშს ერიდებოდნენ, ამიტომაც ავირჩიეთ აკაკის პიესა ,,კინტო'', სადაც ერთი ქალი მონაწილეობს და ამ როლის შესასრულებლად მოვიწვიეთ ალ. დუნდუა, რომელიც კარგად ცეკვავდა და მღეროდა''. დანარჩენი როლების შემსრულებლებსაც ჩამოთვლის წერილის ავტორი: ალექსანდრე- ა. ერაძე, ილია - ე. კულულაშვილი, სამსონი – ს. გვიშიანი, მანუა – ს. შენგელია, გეო- ა. ხუციშვილი, თათუზა – გ. ანთელაძე, ალმასხანა - ლ.გვიშიანი. ,,პიესა კარგათ მიდიოდა და მაყურებელზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ამიტომაც იყო, ბევრჯერ დაიდგა. უკრავდა სამტრედიიდან ჩამოყვანილი ზურნა – თანიას მეთაურობით. შესანიშნავად თამაშობდა ალმასხანას როლს შემსრულებელი ლადო გვიშიანი, ის ხალხს ბევრს აცინებდა თავისი მოხდენილი თამაშით, მისი გამოჩენა სცენაზე და ხალხის სიცილ-ხარხარი ერთი იყო. იმ პერიოდში ამ წრის

წარმოდგენები 1905 წლამდე იდგმებოდა სადუქნე დარაბებში. 1905 წლიდან საზოგადო საკრებულო კლუბში სადაც გადატანილ იქმნა სამკითხველოც, ეს კლუბის შენობა დაიწვა 1913-1914 წელს მოეწყო სათეატრო დარბაზი. შემდეგ გაშენდა საზაფხულო თეატრი ინჟინერ გაბანის გეგმით, პირველი მაისის მოედანზე, შემდეგ კი დღევანდელი თეატრის შენობა. სულ ჩემის მონაწილოებით დადგმულია 150-მდე წარმოდგენა, ხოლო პიესების რაოდენობა 40-მდე სახელწოდების. პიესები უფრო ხშირად იყო პატრიოტული და რევოლუციონური: ,,პატარა კახი'', ,,თამარ ცბიერი'', ,,სულელი'', ,,ქოხში'', ,,რღვევა'', ,,პური'', ,,ეშმაკის მათრახი'', ,,სიგარეტი'' და სხვა. ,,და-ძმას'' ხშირად ვდგამდით. 1906 წლიდან პარალელურად მუშაობდა მეორე სცენის მოყვარეთა წრე სოც.დემოკრატი პარტიის, რომელსაც ხელმძღვაენლობდა პეტრე მეუნარგია. ეს წრე წარმოდგენებს მართავდა პარტიის ბიუროში, ა.პატარაიას სახლში, როგორც მახსოვს 2-3 წლის განმავლობაში. ამის გარდა, იყო კერძო გიმნაზიის მოსწავლეთა წრე, რომელიც წარმოდგენებს მართავდა კლუბის სათეატრო დარბაზში, აგრეთვე საგასტროლოდ ხშირად გადადიოდნენ სოფლად. წრის მონაწილენი იყვნენ გიმნაზიის მოსწავლეები: შ. ჯალაღონია, ჭიჭიკო კობახიძე, ან. კვიტაშვილი, სერგო ბუკია, ლეო ჭედია, კოლია ჩხეიძე და სხვა. წარმოდგენებს მართავდნენ საქველმოქმედოდ ღარიბი მოსწავლეთა სასარგებლოდ.''

1907-1908 წლებში ზუგდიდში შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის დრამატული წრე, ე. წ. “მუშური დრამწრე”, რომელიც 125 სცენისმოყვარეს აერთიანებდა. წრის წევრები 1915 წლიდან მართავდნენ ლიტერატურულ საღამოებს, დგამდნენ სპექტაკლებს. საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ ლ. მესხიშვილი, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, ელეფთერ ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, ვახტანგ ურუშაძე და სხვა.

1932 წლის 31 აგვისტოს თეატრმა დიდი წარმატებით პირველ დადგმად მაყურებელს უჩვენა პიესა ,,ლამარა''. ამის შემდეგ თეატრმა 1932 წლის 33 და 34 წლის თეატრალურ სეზონში დიდი გამარჯვებით უჩვენა მაყურებელს ისეთი ცნობილი პიესები, როგორებიცაა: ,,ანზორი'', ,,ცხვრის წყარო'', ,,პატარა კახი'', ,,გეგეჭკორი'', ,,და-ძმა'', ,,კრეისერი შმიდტი'', კომედიები: ,,ყვარყვარე თუთაბერი'', ,,ხოჭოების დოღი'' და

სხვა. ზუგდიდის თეატრი, პირველი დადგმის განხორციელების შემდეგ, თეატრალურ სამმართველოს მიერ აყვანილ იქნა აღრიცხვაზე და მას მიენიჭა, ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის ტიტული''.
1932 წელს ზუგდიდში დაარსდა პირველი პროფესიული დრამატული თეატრი, რომელსაც 1959 წელს შალვა დადიანის სახელი მიენიჭა. თეატრისათვის აგებულ ახალ შენობაში 1932 წლის 11 აგვისტოს პირველ სპექტაკლებად წარმოადგინეს ნიკოლოზ შიუკაშვილის "სამართალი" (რეჟისორი გიორგი ფრონისპირელი) და პეტრე სამსონიძის "სალტე" (რეჟისორები გ. ფრონისპირელი და ა. ციციაშვილი). სხვადასხვა დროს თეატრში მოღვაწეობდნენ: რ. ქართველიშვილი, ვ. დარასელი, ლ. ჭედია, ა. თარხან-მოურავი, პ. პატარაია, გ. იოსელიანი, გრიგოლ ლაღიძე, შ. მჟავანაძე, ვ. მჭედლიძე, ვახტანგ გარიკი, ვ. ყუშიტაშვილი, გ. გაბუნია და სხვები. წლების მანძილზე თეტრში მხატვრად მუშობდა ირაკლი გამრეკელი. დადგმებიდან აღსანიშნავია: სანდრო შანშიაშვილის "ანზორი" (1933), ლავრენიევის "რღვევა" (1934), აკაკი წერეთლის "პატარა კახი" (1941), ლოპე დე ვეგას "თივა და ავი ძაღლი" (ვ. ყუშიტაშვილის დადგმა), ივანე დარასელის "კიკვიძე" (1965), ა. გეწაძის "წმინდანები ჯოჯოხეთში", შალვა დადიანის "გვირგვილიანების ოჯახი" (1967), ლ. ქიაჩელის "ჰაკი აძბა" (1970), ნ. ჰიქმეთის "ყეყეჩი" (1972), ოტია იოსელიანის "ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი" (1973), რეზო თაბუკაშვილის "რაიკომის მდივანი" (1974), ალექსანდრე ჩხაიძის "შთამომავლობა" (1978) და სხვა. დასში მოღვაწეობდნენ (1978) საქართველოს დამსახურებული არტისტები: ანთიმოზ როგავა, გ. წერეთელი, შალვა მოსია, დავით გოგიჩაიშვილი, კ. წულაია და სხვა.

თეატრის დირექტორისა და რეჟისორის იროდ კალანდიას ხელმძღვანელობით 1941 წლის ზაფხულში, ომის პირველივე თვეებშივე, შექმნილა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელშიც მონაწილეობდნენ ა. დათებაშვილი, ქ. ესებუა, შ. მოსია, დ. ყუფარაძე, ვ. ჭედია, თ. ფარცვანია და სხვები. პროგრამაში შედიოდა პესები, სკეტჩები, სიმღერები სამამულო ომის თემაზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზუგდიდში ევროპაში თეატრალურ სამყაროში აღიარებული რეჟისორის ვასო ყუშიტაშვილის მოღვაწეობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პარიზის ცნობილ თეატრ-ატელიეს. ზუგდიდის თეატრის რეპერტუარი აკადემიური გახდა და იმთავითვე მაყურებლისა და ქვეყნის თეატრალური საზოგადოების ყურადღება მიიქცია. 1948 წლის 22 ივნისს ვ. ყუშიტაშვილმა დადგა ლოპე დე ვეგას ,,თივა და ძაღლი'', იმავე წლის ნოემბერში ბ. ლავრენევის ,,რღვევა''. ვასო ყუშიტაშვილის რეჟისორობით დაიდგა სპექტაკლები გ. ქელბაქიანის ,,შესაფერი ჯილდო'', ვ.გუნიას ,,და-ძმა'', ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები''.

1958 წელს ზუგდიდის თეატრი საგასტროლოდ პირველად თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრში იმყოფება, ეს არის პერიოდი, როდესაც თეატრის სათავეშია კულტუროლოგი, ხელოვნებათმცოდნე და ქართულ კულტურულ ელიტაში ცნობილი პიროვნება ალექსანდრე ეგუტია. ბატონმა საშამ თეატრს უხელმძღვანელა 27 წელი, ეს იყო ეგრეთ წოდებული ოქროს ხანა თეატრის ისტორიაში, პერიოდი, როდესაც ქალაქი ცხოვრობდა თეატრის ცხოვრებით, საგატროლოდ ზუგდიდში ჩამოდიოდნენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები. ბატონი საშას ინიციატივით ზუგდიდში სამუშაოდ ჩამოდიოდნენ დედაქალაქში ცნობილი რეჟისორები და მსახიობები, რომელთა მოღვაწეობა აკადემიურობას მატებდა თეატრის რეპერტუარს.

თეატრის შენობა
ზუგდიდში შესაფერი დარბაზი არსად არ იყო, მხოლოდ კინტირია ლუკავას ჰქონდა ახლად აგებული სადურგლო სახელოსნო, ფოტოგრაფ საბახტარაშვილის გვერდით სიგრძით 18-20 მეტრიან დარბაზს წარმოადგენდა აქ თამაშობდნენ სცენისმოყვარეები სპექტაკლებს. 1905 წლიდან კი საზოგადო საკრებულო კლუბში, სადაც გადატანილ იქმნა სამკითხველოც, ეს კლუბის შენობა დაიწვა 1913 წელს და კლუბი გადავიდა ჭედიას შენობა ქარვასლა ზედა სართულში, სადაც მოეწყო სათეატრო დარბაზი. შემდეგ გაშენდა საზაფხულო თეატრი ინჟინერი გაბანის გეგმით, პირველი მაისის მოედანზე. თეატრისათვის აგებულ ახალ შენობაში 1932 წლის 11 აგვისტოს პირველ სპექტაკლებად წარმოადგინეს ნიკოლოზ შიუკაშვილის "სამართალი" (რეჟისორი გიორგი ფრონისპირელი) და პეტრე სამსონიძის "სალტე" (რეჟისორი გ. ფრონისპირელი და ა. ციციაშვილი). ომის შემდგომ, 1947 წელს დამთავრდა თეატრის მშენებლობა, რომლის მშენებლობა დაიწყებული იყო ოცდაათიანი წლების დასაწყისში. 1947 წელს ახალი თეატრის შენობაში შედგა პრემიერები სპექტაკლებისა: გ.შატბერაშვილის ,,რკინის პერანგი'', გ.ქელბაქიანის ,,გამოცდები'', პ.კაკაბაძის ,,კოლმეურნეს ქორწინება'', კერესელიძის ,,მეგობრობა'', ი.მოსაშვილის ,,სადგურის უფროსი'', დ.ერისთავის ,,სამშობლო''.

თეატრის დასახელება - ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი
დაარსების წელი - 1868 წელი
თეატრის იურიდიული ფორმა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

თეატრის ხელმძღვანელი პირები - თეატრის მმართველი მაია კალანდია, თეატრის მთავარი რეჟისორი ბადრი წერედიანი.
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა - maiakalandia2012@gmail.com badritserediani@gmail.com
ვებგვერდის მისამართი - facebook.com/zigdiditheatre
თეატრის მისამართი - საქართველო, ზუგდიდი, თეატრის ქ. №2
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა - 41
ამათგან მსახიობთა რაოდენობა - 13
შემოქმედებითი პერსონალი - 3
ტექნიკური პერსონალი - 17
ადმინისტრაცია - 8

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	7000 ლარი		130 000 ლარი	
2011	15 000 ლარი		150 000 ლარი	
2012	-		180 000 ლარი	

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით
2010 წელი - 18 729 ლარი
2011 წელი - 14 871 ლარი
2012 წელი - 14 088 ლარი

2010-2012 წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი, წლების მიხედვით)

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წ. —— ,,იადონას თეატრი“ – 7–ჯერ
,,სტუმარ–მასპინძელი“ – 25–ჯერ
,,როგორ ატყუებდა ის მის ქმარს“ – 3-ჯერ
,,ენგურსგაღმა, სამშობლოში“ – 6-ჯერ
,,ყვარყვარე“ – 4–ჯერ
საახალწლო სპექტაკლი – 10–ჯერ
2011 – ,,სტუმარ–მასპინძელი“ – 10–ჯერ
,,ყვარყვარე“ – 8–ჯერ
,,ბაკულას ღორები“ – 2–ჯერ
,,მაგიის საიდუმლოებანი“ – 5–ჯერ
,,აღსარება“ – 4–ჯერ
„საახალწლო სპექტაკლი“ – 12 –ჯერ
2012 – ,,მაგიის საიდუმლოებანი“ – 3–ჯერ
,,თავისუფლების შუაღამე“ – 10–ჯერ
,,აღსარება“ – 2 ჯერ; ,,Enter“ – 1-ჯერ
„საახალწლო სპექტაკლი“ – 6 –ჯერ
,,სათამაშო ჭრილობები“ – 2 ჯერ

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელი – 10 100
2011 წელი – 9 000
2012 წელი – 9 500

ბილეთის ტარიფები - საპრემიერო – 3 ლარი; ჩვეულებრივი – 2 ლარი; საბავშვო – 1 ლარი.
რა უჯდება თეატრს საშუალოდ ახალი სპექტაკლის დადგმა – 9 000 – 10 000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა – 2010 დან დღემდე სპექტაკლი არ აღგვიდგენია

რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი – მაქსიმუმი 6 000 ლარი, მინიმუმი 3 000 ლარი.
მოწვეული მსახიობის ჰონორარი – 500 ლარი

მსახიობის ხელფასი
უმაღლესი - 500 ლარი,
უმდაბლესი –190 ლარი.

იყო თუ არა თეატრი გასტროლებზე (2010-2012 წწ) - დიახ
საშუალოდ რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა:
ქვეყნის შიგნით – თბილისი – 2011 და 2012 წწ.
ქვეყნის გარეთ - არ გასულა
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი /დაასახელეთ/
ქვეყნის შიგნით - არა
ქვეყნის გარეთ - არა
ფესტივალებში მონაწილეობა – თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობა – 2011 და 2012 წწ.
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2010-2012 წწ) – დიახ
2011 წ. ,,შიშველ თეატრთან" – რეჟისორი ნანა კვასხვაძე
რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ – 12 000 ლარი
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა – სასურველია
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში – დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში – დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში – დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის ან პიარსამსახურის მენეჯერი –დიახ
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება –დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება –დიახ
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 25 წლის
ყველაზე ხანდაზმული - 69 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა – 2013 წელს

რეპერტუარი 2010-2012 წწ.

სპექტაკლის დასახელება - ,,ჩემი თეატრი"
პიესის ავტორი – რეზო კლდიაშვილი
რეჟისორი - ირაკლი გოგია
მხატვარი – მარიკა კორკელია
ქორეოგრაფი – ირა კუპრავა
მონაწილეობდნენ: ზურაბ ლაშხია, ირაკლი სამუშია, მარინე დარასელია, მზეკო ჩარგაზია, გოგი გუგუჩია, მალხაზ მესხია.

სპექტაკლის დასახელება - ,,სტუმარ–მასპინძელი"
პიესის ავტორი - ვაჟა–ფშაველას პოემის მიხედვით
რეჟისორი - სოსო ნემსაძე
მხატვარი - მარიკა კორკელია
ქორეოგრაფი - ირა კუპრავა
კომპოზიტორი - გიორგი მაისურაძე.
მონაწილეობდნენ: ზურაბ ლაშხია, ირაკლი სამუშია, მარინე დარასელია, მზეკო ჩარგაზია, გოგი გუგუჩია, მერაბ კაკალია, მალხაზ მესხია, გიორგი ფოჩხუა, რეზო ჯოჯუა, თიკო შელეგია, სესე მიქავა, ლაშა ხიზანეიშვილი.

სპექტაკლის დასახელება - ,,როგორ ატყუებდა ის მის ქმარს"
პიესის ავტორი – ბერნარდ შოუ
რეჟისორი - გიორგი ფოჩხუა
მხატვარი - მარიკა კორკელია
მონაწილეობდნენ: ზურაბ ლაშხია, ირაკლი სამუშია, ლანა ფიფია, მზეკო ჩარგაზია, გოგი გუგუჩია

სპექტაკლის დასახელება - ,,ენგურსგაღმა, სამშობლოში"
პიესის ავტორი - ზაურ კალანდია
რეჟისორი - ლევან ქობლიანიძე
მხატვარი - მარიკა კორკელია
ქორეოგრაფი - ბაქარ ხინთიბიძე
მონაწილეობდნენ: ირაკლი სამუშია, მარინე დარასელია, გოგი გუგუჩია, გიორგი ფოჩხუა, სესე მიქავა

სპექტაკლის დასახელება - ,,ყვარყვარე"
პიესის ავტორი - პოლიკარპე კაკაბაძე
რეჟისორი - სოსო ნემსაძე

მხატვარი - მარიკა კორკელია
ქორეოგრაფი - ლიკა კაპანაძე
მონაწილეობდნენ: ლევან შენგელია, ზურაბ ლაშხია, ირაკლი სამუშია, მარინე დარასელია, მზეკო ჩარგაზია, გოგი გუგუჩია, მალხაზ მესხია, გიორგი ფოჩხუა, რეზო ჯოჯუა, თიკო შელეგია, სესე მიქავა, ლაშა ხიზანეიშვილი, ანდრო შამუგია.

სპექტაკლის დასახელება - ,,ბაკულას ღორები“
პიესის ავტორი - დავით კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით
რეჟისორი - ნანა კვასხვაძე
მხატვარი - მარიკა კორკელია
მონაწილეობდნენ: ირაკლი სამუშია, მარინე დარასელია, მზეკო ჩარგაზია, გიორგი ფოჩხუა, ანდრო შამუგია, ნანა ბუკია, გივი ჯაფარიძე (მოწვეული). არჩილ გველესიანი (მოწვეული).
სპექტაკლის დასახელება - ,,მაგიის საიდუმლოებანი“
პიესის ავტორი - რიუნოსკე აკუტაგავა
რეჟისორი - გოგა თავაძე
მხატვარი - მარიკა კორკელია
ქორეოგრაფ–კონსულტანტი ონისე წყაროზია
მონაწილეობდნენ: ირაკლი სამუშია, მზეკო ჩარგაზია, სესე მიქავა, გიორგი ფოჩხუა.

სპექტაკლის დასახელება - ,,აღსარება“
რეჟისორი და პიესის - გიორგი ფოჩხუა
მხატვარი - მარიკა კორკელია
მონაწილეობდნენ: გოგი გუგუჩია, ლანა ფიფია, ბაჩო ფიფია.

სპექტაკლის დასახელება -,,თავისუფლების შუაღამე“
პიესის ავტორი - ლიკა მორალიშვილი
რეჟისორი - ბადრი წერედიანი
მხატვარი - მარიკა კორკელია
ქორეოგრაფი - გიორგი ქობალია
მონაწილეობდნენ: ლევან შენგელია , კესო შედანია (მოწვეული).

სპექტაკლის დასახელება - ,,Enter“
ერთჯერადი საქველმოქმედო აქცია სპექტაკლი
რეჟისორი გიორგი ფოჩხუა
მონაწილეობდა ზემფირა გუნია და ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები.

სპექტაკლის დასახელება - ,,სათამაშო ჭრილობები“
პიესის ავტორი – რაჯიფ ჯოზეფი
რეჟისორი - ნინი ჩაკვეტაძე
მხატვარი - მარიკა კორკელია
ქორეოგრაფი - გიორგი ქობალია
მონაწილეობდნენ: ლევან შენგელია, გვანცა ლაღიძე (მოწვეული).

შენობის შესაძლებლობები

აქვს თუ არა ფოიე - დიახ
საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო - დიახ (არ ფუქნციონირებს)
ბუფეტი - არა აქვს
წიგნის მაღაზია- არა აქვს
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ (სარემონტოა)
ტექნიკური აღჭურვა
განათება - დამონტაჟებულია 1957 წელს
გახმოვანება- გასაახლებელია
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა - 375 ადგილი

სცენის პარამეტრები

- მბრუნავი სცენა
- ავანსცენა 1.5 მეტრი
- სარკე 9/6 მ.
- სცენა 16/12 მ.
- სამუშაო სცენა 9/10 მ.

- სცენის სიმაღლე ტექ/პერანგი 20 მ, ზედა ფერმა 5 მეტრი
- სამუშაო – 9 მეტრი კულისის სიმაღლე
- 10 – ცალი მუშა გარეთა პროჟექტორი
- 12 – ცალი აღსადგენი
- შიდა 10 ცალი ბიბიკი
- 3 ცალი საფიტი და შიდა 9 ცალი პროჟექტორი
- გახმოვანება ჩამონტაჟებული 700 + 3 კილოვატი ჩასადგმელი
- დარბაზის პარამეტრი - 24/12 მ.

საუბარი ზუგდიდის თეატრის მმართველ მაია კალანდიასთან

- **როგორ აფასებთ კულტურისა და ხელოვნების დასპონსორების შესაძლებლობას?**
- რამდენიმე შემთხვევა მქონდა, როცა სპონსორს მივმართე, თანაც მივმართე როგორც პირადი ნაცნობობით, ასევე – თეატრის სახელით. თავიდან ყველა კარგად მიგიღებს, ღიმილით, ეტიკეტის დაცვით, მაგრამ მერე... ვიღაც სხვამ უნდა დააინტერესოს, ანუ თეატრის პიარი მისთვის საკმარისი არ არის. ჩვენი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა ნორმალური რომ იყოს და სახელმწიფო მეტს ზრუნავდეს, ალბათ სპონსორებიც გამოიხედავდნენ ჩვენსკენ, წამოვიდოდნენ თანამშრომლობაზე. რაც შეეხება სხვა მხარეს, ქვეყანაში კანონი ქველმოქმედების შესახებ არ არსებობს, ანუ ვალდებულება არ გააჩნია სპონსორს. ზუგდიდის თეატრის პიარი კი დიდად არაფერს შესძენს და არც თავად უსკდებათ გული თეატრისა და ზუგდიდის სიყვარულით და ვართ ასეთ დღეში. ისე, სპონსორები მაინც გვყავს, ზოგი აფიშას, ზოგიც ბანერს გვიკეთებს, ზოგი ბილეთებს ყიდულობს. საკრედიტო ორგანიზაციები და ბანკები მუდმივად გვერდით გვიდგანან, მაგრამ მათგან ბილეთების შეძენა წელიწადში ადის 5–დან 10 ათას ლარამდე და ეს არაა დიდი და მნიშვნელოვანი თანხა. ერთ–ერთ ბანკს შევთავაზეთ პროექტი, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ მიიღო, თავი შეიკავა. რეალურად დიდ თანხებს არ დებენ სათეატრო საქმეში.
- **თეატრს რამდენად განიხილავთ საიმედო პარტნიორად?**
- ჩვენი თეატრი რომ იყოს ტექნიკურად გამართული, მაშინ გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება თეატრის როლიც. ჩვენს თეატრს გვერდს რომ გაუვლის ადამიანი, ხედავს, რომ დგას გაუბედურებული შენობა, რომელიც მეოცე საუკუნის 60–იანი წლების სოფლის კლუბს უფრო ჰგავს, ვიდრე 21–ე საუკუნის თეატრალურ ნაგებობას. ძნელია აუხსნა სპონსორს, რომ შემოქმედებითად კარგად ხარ, რომ მაყურებელიც გყავს...
- **სტრატეგიის შეცვლას ხომ არ აპირებთ სპონსორთა მოძიების კუთხით, თუ იმის იმედი გაქვთ, რომ შენობა იქნება რეაბილიტირებული?**
- ამ რეჟიმის მოლოდინში ვარ, მაგრამ, თუ სასწაული მოხდა და შენობა გარემონტდება, მერე მაინც წამოვლენ სპონსორები უფრო მეტ და მნიშვნელოვან თანამშრომლობაზე.
- **საკმარისია სახელმწიფოსაგან გამოყოფილი თანხები შემოქმედებითი მუშაობისათვის?**
- საკმარისი არაა, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ეს თანხები გაგვეზარდა და მაინც ვმუშაობთ და ვარსებობთ, იკვეთება უკეთესი პერსპექტივაც. საგასტროლო თანხები ჩაგვერიცხა, შარშანდელთან შედარებით 70 ათასი ლარით მეტი მოგვცეს. ზუგდიდს არა აქვს უზარმაზარი ბიუჯეტი, ბუნებრივია, ვერც იმას ვიტყვი, რომ არავის ვახსოვართ და არ გვეხმარებიან! მუნიციპალიტეტი გვეხმარება კიდეც და გვერდითაც გვიდგანან. სხვა რამეს თქმა დიდი უმადურობა იქნებოდა ჩემი მხრიდან, პირიქით, მადლობელი ვართ ასეთი თანამშრომლობისათვის!
- **დამატებით კიდევ რა გზას ხედავთ თანხების მოსაზიდად?**
- როცა შენობა იქნება, გავხსნი არტკაფეს, წიგნების მაღაზიას, საღამოებს ჩავატარებ, მეორე სცენაც გვექნება. არის იმის შესაძლებლობა, რომ სასტუმრო ჰქონდეს თეატრს. როცა მატერიალურ–ტექნიკური ბაზა გამართული იქნება, შესაძლოა, იქით დავეხმარო და სპონსორობა გავუწიო ჩემზე უფრო გაჭირვებულს!
- **რას მიიჩნევთ მარკეტინგული თვალსაზრისით თქვენი მმართველობის პერიოდში ყველაზე დიდ წარმატებად, როგორ დააბრუნეთ მაყურებელი თეატრში?**
- ძალიან დიდი გავლენა მოახდინა მსახიობ გიორგი ფოჩხუას სახელმა. მას შეეძლო მსახიობებთან ერთად ბინებში გასვლა დევიზით: ორი ბილეთი იყიდეთ, ერთს გჩუქნით! გიორგი ცნობადი სახე იყო და ამ ფაქტორმა კარგად ითამაშა. მის სანახავად მოდიოდა ზუგდიდელი მაყურებელი. ზაურ კალანდიას პიესა რომ დავდგით, ყველა მოვიდა წარმოდგენის სანახავად, რადგან თავად ზაურს ჰყავს უამრავი ნაცნობი და ახლობელი. არ დამავიწყდება, როცა გურამ დოჩანაშვილი დავდგით, ისეთი ხალხი მოვიდა სპექტაკლზე, თეატრში, საერთოდ, ფეხი რომ არ შემოუდგამს. თეატრში 375 ადგილია და მაშინ 500 ბილეთი გაიყიდა.
- **რა გადაუდებელი პრობლემის წინაშე დგას თეატრი?**
- უმთავრესია შენობა. თეატრში ინახება საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს 1971 წლის ტექნიკური დათვალიერების ოქმი, რომელშიც წერია, რომ მოძველებულია განათების აპარატურა და საჭიროებს განახლებას. დღესაც იმავე განათების აპარატით ვმუშაობთ. 1947 წელსაა გაყვანილი

ელექტროობა. ხანდახან მეშინია კიდეც, თეატრში რამე ხომ არ იწვის–მეთქი, იმდენად საგანგაშო მდგომარეობაა.

- **თუ გაქვთ საქველმოქმედო პროექტები?**
- გვქონდა. გიორგი ფოჩხუა ორ დევნილ ოჯახს დაეხმარა: დავუმონტაჟეთ წყალგაყვანილობა, ვუყიდეთ სარეცხი მანქანა, ორი სპექტაკლიდან შემოსული თანხით დავეხმარეთ გიორგი ყორღანაშვილს.
- **საბავშვო სპექტაკლები თუ გაქვთ?**
- რეპერტუარში არა, ისე საახალწლოდ ვთამაშობთ მათთვის
- **მაყურებლებზე რას გვეტყვით, როგორ აპირებთ მათ მოზიდვას?**
- თეატრში ახალგაზრდები დადიან, სტუდენტები და სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეები. ყველა კატეგორია გვსტუმრობს, თუმცა ახალგაზრდები სჭარბობენ. ქუჩაში გავსულვართ, რომ ისინი მოგვეყვანა თეატრამდე. ამას გარდა, თეატრს აქვს კომერციული რეკლამა ადგილობრივ ტელევიზიასა და ორ რადიოში.
- **როგორია თქვენი სარეპერტუარო პოლიტიკა?**
- ზოგადად, რასაც ვხედავ მაყურებლის დამოკიდებულებას, ზუგდიდში ურჩევნიათ ქართული პიესები, რომ საკუთარი თავი უკეთ დაინახონ სცენაზე. სადადგმო ხარჯები მოჭრით არ მაქვს. მე ხელი უნდა შევუწყო თეატრის შემოქმედებით მუშაობას, რომ დაიდგას ხარისხიანი სპექტაკლი. რეჟისორებიც ითვალისწინებენ თეატრის სპეციფიკას. დასის განახლება შეუძლებელია, ახალგაზრდა მსახიობი ქალიც კი არ გვყავს, რომ ჩამოიყვანო, თანხებია საჭირო. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში გახსნილია ზუგდიდის ჯგუფი და ეს გვაძლევს იმედს, რომ ქალი მსახიობი მაინც გვეყოლება.
- **რა შეიძლება ჩაითვალოს ბოლო წლების ზუგდიდის თეატრის შემოქმედებით გამარჯვებად?**
- "სტუმარ–მასპინძელი" და გიორგი ფოჩხუას მიერ შესრულებული ტიტე ნატუტარის როლი "ყვარყვარე თუთაბერში". ახლა დიდი წარმატება აქვს გურამ დოჩანაშვილის "ხორუმი ქართული ცეკვაა".

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა
ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
გამოიკითხა 86 მაყურებელი

ხშირად ესწრებით თუ არა სპექტაკლებს?



86 გამოკითხული რესპოდენტიდან 18 ნახულობს ყოველ ახალ დადგმას, 21 მხოლოდ საინტერესო სპექტაკლებს ესწრება, ხოლო 19 თეატრს ხშირად 2-3 თვეში სტუმრობს. ამ გამოკითხვით ნათლად ჩანს, რომ მაყურებელი ზუგდიდში აქტიურია და ის ხშირად დადის თეატრში.



საწინააღმდეგო კითხვაზე, თუ რატომ არ მიდიან თეატრში სპექტაკლზე დასასწრებად, 30 პასუხობს, რომ არა აქვს თავისუფალი დრო, ხოლო 12 რესპოდენტი ამბობს, რომ მას არ იზიდავს თეატრი, 10 რესპოდენტის აზრით კი, თეატრში არაფერი ხდება. 86 გამოკითხულიდან 10 ამბობს, რომ თეატრში არაფერი ხდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მაყურებელს არა აქვს ინფორმაცია სპექტაკლების გამართვის განრიგის შესახებ.



უმთავრესად, თეატრში წასვლის მიზეზად ზუგდიდში მაყურებელი საყვარელი მსახიობების სანახავად წასვლის მიზეზს ასახელებს, ხოლო საკმაოდ დიდი პროცენტი, 24 რესპოდენტი ამბობს, რომ თეატრში ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად მიდის, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი (18 ხმა) აქვს პასუხს: გავიგო რაიმე ახალი.



რაც შეეხება ჟანრებს, ზუგდიდში ყველაზე პოპულარული კომედიის ჟანრია, ხოლო მეორე ადგილზე ფსიქოლოგიური დრამაა. ფაქტობრივად, თანაბარი ხმები დააგროვა ტრაგიკომედიამ და მუსიკალურმა კომედიამ. სხვათა შორის, სხვა რეგიონის მაყურებლისგან განსხვავებით, ზუგდიდში საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს ტრაგედიის ჟანრსაც.



რა საშუალებით იგებს მაყურებელი ზუგდიდში სპექტაკლის გამართვის შესახებ: მაყურებლის ნახევარზე მეტი ინფორმაციას აფიშიდან იგებს, ასევე, საკმაოდ დიდი პროცენტი ინტერნეტით და სატელევიზიო რეკლამით, ძალიან მცირე პროცენტი კი პრესითა და რადიოთი. კარგია, რომ აფიშასთან ერთად ზუგდიდში ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაცია „მუშაობს“.



ზუგდიდელი მაყურებელი რომ მრავალფეროვნების მოყვარულია, ეს ამ გამოკითხვამაც დაადასტურა: 86 გამოკითხულიდან 34-ს სურს, რომ ყველა ტიპის დრამატურგია იხილოს სცენაზე, თუმცა ისინი უპირატესობას მაინც თანამედროვე ქართულ და ისტორიული ჟანრის პიესებს ანიჭებენ.



კითხვაზე, თუ რატომ მოვიდა მაყურებელი დღეს თეატრში, 27 რესპოდენტი პასუხობს, რომ დაინტერესა სპექტაკლის თემამ, ხოლო 20-ს სურდა საყვარელი მსახიობების ხილვა სცენაზე. პროცენტულად მომდევნო მიზეზად დასახელებულია რეჟისორის ახალი ნამუშევრის ნახვის სურვილი.



ზუგდიდელი მაყურებლისთვის სპექტაკლში მთავარი ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსია, ხოლო თანაბრად აქტუალურია საინტერესო ამბავი სპექტაკლში და რეჟისორის ნამუშევარი. ასევე, საკმაო რაოდენობის ხმები დააგროვა პასუხმა - მსახიობის ნამუშევარი.



ზუგდიდში მაყურებელი ფიქრობს, რომ ყველაზე ეფექტური საშუალებები არის აფიშა, ინტერნეტი და სატელევიზიო რეკლამა, თუმცა მაყურებელის მცირე, მაგრამ გარკვეული ნაწილი, პრესის და რადიოს ჩართულობასაც მიიჩნევს აუცილებლად.



რაც შეეხება ნდობას კრიტიკოსების მიმართ, 86 მაყურებლიდან 39 ფიქრობს, რომ საერთოდ არ ენდობა, ხოლო 31 მხოლოდ ნაწილობრივ. 13 კი ენდობა. ზუგდიდის მაგალითზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართული სათეატრო კრიტიკა ნაკლებად პოპულარულია, არ არის ეფექტური და ხელმისაწვდომი.

კითხვაზე, რომელი რეჟისორი მოგწონთ ყველაზე მეტად, ჩამოთვლილთაგან დასახელდა:
ბადრი წერედიანი 13-ჯერ
თემურ ჩხეიძე - ერთხელ
ასევე 24 ხმა მიიღო რობერტ სტურუამ, ხოლო 20 ხმა - ლევან წულაძემ.



სასიხარულოა, რომ ზუგდიდში ცნობენ, უყვართ და აფასებენ ადგილობრივი თეატრის მსახიობებს, რადგან რეიტინგში მათ შორის საპატიო ადგილებზე მოხვდნენ ირაკლი სამუშია, მერაბ კაკალია, მარინა დარსალია, გოგი გუგუჩია, ცირუ შონია. ასევე ერთხელ, მაინც დასახელდნენ: ლევან შენგელია, რეზო ჯოჯუა, ზემფირა გუნია, მზევინარ ჩარგაზია.

რეიტინგები კითხვაზე - ვინ არის თქვენი საყვარელი მსახიობი? - ასე გამოიყურება:

1. **ირაკლი სამუშია 8-ჯერ**
2. ზურაბ ყიფშიძე 6-ჯერ
3. **მერაბ კაკალია 5-ჯერ**
4. გიორგი ყიფშიძე 4-ჯერ
5. ნინელი ჭანკვეტაძე 4-ჯერ
6. **მარინა დარსალია 3-ჯერ**
7. ლევან ხურცია 3-ჯერ
8. ჟანრი ლოლაშვილი 3-ჯერ
9. **გოგი გუგუჩია 3-ჯერ**
10. ია სუხიტაშვილი 3-ჯერ
11. მიშა მესხი 3-ჯერ
12. რუსკა მაყაშვილი 3-ჯერ
13. მარინა კახიანი 2-ჯერ
14. მურმან ჯინორია 2-ჯერ
15. გურანდა გაბუნია 2-ჯერ
16. **ცირუ შონია 2-ჯერ**
17. ნანკა კალატოზიშვილი 2-ჯერ

ლევან შენგელია , რეზო ჯოჯუა, ზემფირა გუნია, მზევინარ ჩარგაზია, ჯანო იზორია, არჩილ სოლოღაშვილი, ნანა შონია, კოტე თოლორაია, დუტა სხირტლაძე, ჯაბა კილაძე, ლევან უჩანეიშვილი, ზაზა პაპუაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ნინო ბურდული, ნატო მურვანიძე, ანკა ალექსიშვილი.

უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულება? მაყურებელთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ არ უნდა ფუქნციონირებდეს, ხოლო 38 ფიქრობს, რომ უნდა ფუნქციონირებდეს: მათგან 11-ს მიაჩნია, რომ კარაოკე კლუბის არსებობა მიზანშეწონილია, 10 დისკოთეკის მომხრეა, ხოლო 7-7 ხმა გადანაწილდა ღამის კლუბსა და კაფეზე.



ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის
პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია და თეატრის შენობა
პირველი თეატრალური წარმოდგენები ფოთში 1882 წელს გაიმართა. ინიციატორი იყო სასულიერო პირი, მღვდელი კირილე მაჭარაშვილი. თეატრი სწორედ ამ დროიდან ფუნქციონირებს.1919 წელს შეიქმნა პროფესიული დასი, რომელიც მოწოდებული იყო დაეწყო სრულიად ახალი შემოქმედებითი ცხოვრება ფოთის თეატრის ისტორიაში. ოფიციალურად ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრი გაიხსნა 1925 წლის ოქტომბერში. იმ დროს მას სათავეში ედგა განთქმული თეატრალური მოღვაწე იუზა ზარდალიშვილი. 1925 წელს ი.ზარდალიშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა ფოთის დრამატული თეატრი. 1928 წელს გადაკეთდა მუშათა სახელმწიფო თეატრად, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბ. გამრეკელი. 1963 წელს თეატრს მიენიჭა ვალერიან გუნიას სახელი.

თეატრის შენობა საქართველოს გასაბჭოებამდე წარმოადგენდა ფოთის საკათედრო ტაძარს. ტაძრის მშენებლობა 1908 წელს დასრულებულა. საკათედრო ტაძარს სამი ტრაპეზი ჰქონია, კანკელის ხატების ავტორია რუსეთის საიმპერატორო აკადემიის მხატვარი დუმიტრაშკო, რომელიც დასრულებულია 1908 წელს. კანკელის ჩრდილოეთის მხარის ხატები შესრულებული იყო ბერძნულ-ბიზანტიურ, სამხრეთ – ქართულ-ბიზანტიურ, ხოლო საშუალო რუსულ-ბიზანტიურ სტილში. 1932 წელს ქალაქ ფოთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ საკათედრო ტაძრის თეატრად გადაკეთების გადაწყვეტილება მიიღო. დროთა განმავლობაში რამდენჯერმე მოხდა შენობის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც მისი იერსახე საკმაოდ შეილახა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ეკლესიასა და თეატრის დასს შორის დავა დიდხანს გრძელდებოდა, საბოლოოდ კი, ფოთის საკრებულოს გადაწყვეტილებით, შენობა ეკლესიას გადასცეს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ფოთის საკათედრო ტაძარი დახურულ იქნა და შემდეგ მისი შენობა ფოთის თეატრს გადაეცა. წლების განმავლობაში თეატრი საკათედრო ტაძრის შენობაში იმყოფებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, შენობის ირგვლივ დიდი ხანი გრძელდებოდა დავა საქართველოს საპატრიარქოსა და ფოთის თეატრის დასს შორის. 2005 წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ტაძრის გასაღები სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს გადასცა . დღეს ფოთის დრამატული თეატრი დროებით ფოთის კულტურის სახლს აფარებს თავს.

2008 წლიდან ფოთის თეატრი ევროპის რეგიონული თეატრების ქსელის (IETM) წევრია. ამჟამად თეატრისათვის შენდება ახალი შენობა, რომელიც გაიხსნება 2013 წელს (შენობის მოცულობა 2000 კვ. მეტრია), რამდენიმე სცენით. თეატრი საერთაშორისო ფესტივალების ხშირი სტუმარია და აქტიურად თანამშრომლობს მოწვეულ რეჟსორებთან.

თეატრის დასახელება - სსიპ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების წელი - 1882 წელი
თეატრის იურიდიული ფორმა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - მმართველი თენგიზ ხუხია
თეატრის ელ. ფოსტა - potisteati@gmail.com
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა - tkhukhia@yandex.rt
ვებგვერდის მისამართი - Facebook.com/Potis teatri
თეატრის მისამართი - ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი N1

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა - 53
ამათგან მსახიობთა რაოდენობა - 20
შემოქმედებითი პერსონალი - 3
ტექნიკური პერსონალი - 22
ადმინისტრაცია - 8

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	14 700	232 500		
2011	7 000	251 000		
2012		250 000		

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით
2010 წელი - 2 531 ლარი
2011 წელი - 5 230 ლარი
2012 წელი - 7 508 ლარი
2010-2012 წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი, წლების მიხედვით)

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წელი - 29
2011 წელი- 54
2012 წელი- 62

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელი – 2 211
2011 წელი – 3 167
2012 წელი – 4 178

ბილეთის ტარიფები - 2 - 5 ლარი.

თეატრის შემოსავალი რაიმე სხვა საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა) – 2 830 ლარი
რა უჯდება საშუალოდ თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა - 6 000 ლარი
რა უჯდება საშუალოდ თეატრს სპექტაკლის აღდგენა - 2 500 ლარი
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი - 3 500 ლარი
მოწვეული მსახიობის ჰონორარი - 500 ლარი
მსახიობის საშუალო ხელფასი
უმაღლესი- 500 ლარი
უმდაბლესი - 200 ლარი

თეატრი გასტროლებზე (2010-2012 წწ.)
საშუალოდ რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა:
ქვეყნის შიგნით - 800 ლარი
საზღვარგარეთ - 3 000 ლარი

არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით - საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელი (GRTN)
ქვეყნის გარეთ - ევროპის თეატრების ქსელი (IETM)
თეატრის მონაწილეობს ფესტივალებში: HIGH FEST (ერევანი, სომხეთი), თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი (თბილისი, საქართველო), თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი (ITI)

ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) - თეატრი ათონელზე, ნიღბების თეატრი, ნორვეგიული თეატრი, ირანული თეატრი, გორის თეატრი, პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - არა
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის ან პიარსამსახურის მენეჯერი - არა
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება - დიახ
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა -26
ყველაზე ხანდაზმული - 80 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა - 2005 წელს

რეპერტუარი 2010-2012 წწ.

სპექტაკლის დასახელება - „აღსარება“
პიესის ავტორი - გულნარა წიკლაური
რეჟისორი - დავით მღებრიშვილი
მხატვარი - თამარ ოხიკიანი
მონაწილეობენ: გიორგი სურმავა, შორენა მამრიკიშვილი

სპექტაკლის დასახელება - „ყვითელი დღეები“
პიესის ავტორი - დანიელა ჯანჯიჩი
რეჟისორი - დავით მღებრიშვილი
მხატვარი - თამარ ოხიკიანი
ქორეოგრაფი - ირინა კუპრავა
მონაწილეობენ: მარიკა ბუკია, ჯანო იზორია, გიორგი სურმავა

სპექტაკლის დასახელება - „ქვრივთა ნუგეშისმცემელი“
პიესის ავტორი - მაროტო ჯუზეპე, ბელზარიო რანდონე
რეჟისორი - რამაზ იოსელიანი
მხატვარი - ჯანიკო დანელია
მუსიკალური გაფორმება - კახაბერ ხოჭოლავა
ქორეოგრაფი - ირინა კუპრავა
მონაწილეობენ: გიორგი სურმავა, გიორგი ჭანტურია, ჯანო იზორია, ჩიტო პატარიძე, რამინ კილასონია, შორენა მამრიკიშვილი, სანდრო გუჯაბიძე, მარტინ ღამბარაშვილი, მარიკა ბუკია, ნინო პაჭკორია

სპექტაკლის დასახელება - „ფარდის დაშვებამდე“
პიესის ავტორი - თამაზ ბაძაღუა
რეჟისორი - ლია მირცხულავა
მხატვარი - ჯანიკო დანელია
მუსიკალური გაფორმება - კახაბერ ხოჭოლავა
მონაწილეობენ: ლილი ბოდაველი, ნაირა ჭიჭინაძე, მაია კულუა, ნოდარ ბჟალავა

სპექტაკლის დასახელება - „სხვისი შვილების მამა“
პიესის ავტორი - მეიოსა და ენკენის ვოდევილი
რეჟისორი - რამაზ იოსელიანი
მუსიკალური გაფორმება - კახაბერ ხოჭოლავა
მონაწილეობენ: გიორგი სურმავა, შორენა მამრიკიშვილი, მაია კულუა, სანდრო გუჯაბიძე, გიორგი ჭანტურია, გუჯა ქარაია, რამინ კილასონია, ფატიმა აბრახამია, ნინო პაჭკორია.

სპექტაკლის დასახელება - „ვიდრე მთავარ გმირს ეძინა“
პიესის ავტორი - ლაშა ბუღაძე
რეჟისორი - ირაკლი გოგია
მხატვარი - ლევან ტუღუში
მონაწილეობენ: რამაზ იოსელიანი, მარიკა ბუკია, რამინ კილასონია

სპექტაკლის დასახელება - „დრაკონი“
პიესის ავტორი - ე. შვარცი
რეჟისორი - ზურაბ ბეგლარიშვილი
მხატვარი - ზურაბ ბეგლარიშვილი
მუსიკალური გაფორმება - მირიან ჯეჯელავა
ქორეოგრაფი - ირინა კუპრავა
მონაწილეობენ: გიორგი სურმავა, ჯანო იზორია, სანდრო გუჯაბიძე, რამინ კილასონია, ნანა ვასაძე, გუჯა ქარაია, ნაირა ჭიჭინაძე, მარიკა ბუკია, ნათია კუპრავა, მარტინ ღამბარაშვილი, გოგიტა ჭანტურია, გიორგი ჯანყარაშვილი, გიორგი ლიპარტელიანი, დათო დიასამიძე

შენობის შესაძლებლობები

აქვს თუ არა ფოიე - საგამოფენო სივრცე - არა
საკონფერენციო - არა
ბუფეტი - არა
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - არა
ტექნიკური აღჭურვა
განათება - 16 KB, 16 პროჟექტორი, კვამლის აპარატი
გახმოვანება - 1800 VT, დინამიკი 3, პულტი 1
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა - 110 ადგილი (ამფითეატრის ტიპის პარტერი)

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე - 7,5 მ.
სცენის სიგანე - 6,7 მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - 4 მ.
იატაკიდან გამოყენებამდე - 3, 8 მ.
სარკის სიგანე - 6,7 მ.
სარკის სიმაღლე - 3,8 მ.

საუბარი თეატრის მმართველ თენგიზ ხუხიასთან

- **როგორ აფასებთ კულტურისა და ხელოვნების დასპონსორების შესაძლებლობებს? რა პერსპექტივაა აქვს საქართველოში და რა რესურსი გვაქვს დღეს?**
- საქართველოში არასდროს არ ექნება სპონსორობას პერსპექტივა, თუკი ეს წახალისება არ ჩაიდო ბიზნესმენებისთვის თვითონ კანონში. დღეს ჯგუფს ბიზნესმენებისას აბსოლუტურად არ აინტერესებს ქართული კულტურის ბედ-იღბალი. მათ კი არა, კულტურის სამინისტროსაც არ აინტერესებს, უფრო მარტივად,ამას წინათ, წავიკითხე აბრა, რომ ქართული კულტურის პოპულარიზაცია ევროპაში დროებით შეჩერებულია, იმიტომ რომ გაგვიცნეს უკვე და არაფერი აღარაა საჭირო. დაახლოებით ეს შინაარსი დევს. ბიზნესსექტორმა რატომ უნდა დააფინანსოს კულტურა, ვიღაც ენთუზიასტი თუ გამოჩნდება, რომელსაც უყვარს კულტურა ან რაღაც შორს მიმავალი გეგმები აქვს, როგორც ხდებოდა წლების განმავლობაში საქართველოში, რაღაცა ჯგუფს ადამიანებისას, თეატრებისა და ანსამბლებისას ვიღაც აიყვანდა კონკრეტული პატრონაჟის ქვეშ და შემდეგ იყენებდა საკუთარი ინტერესებისთვის, ყველაზე ცოტა, დაბადების დღეზე უმღერებდა ცნობილი მომღერალი ან ლექსს წაუკითხავდა რომელიმე თეატრის ცნობილი მსახიობი.
- **ანუ ის კომერციული ურთიერთობა, რომელიც არსებობს ევროპასა და ამერიკაში, საქართველოში ჯერჯერობით არ შემდგარა და ვერ შედგება?**
- სამწუხაროდ, ვერ შედგა და ნამდვილად ვერ შედგება, თუკი კანონში არ ჩაიწერება კონკრეტული პუნქტები, რომელიც ამ ადამიანებს დამატებით სტიმულს მისცემს, რომ დააფინანსონ კულტურა: თეატრი, ანსამბლი თუ კავშირი, თუნდაც არტ ჯგუფი. სახელმწიფო უნდა მიხვდეს ერთ მარტივ რაღაცას, რომ ბევრი ბიძინა არ იქნება საქართველოში, რომელიც აფინანსებდ და არემონტებდა თეატრებს. აუცილებელია, ქვეყანამ შეიმუშაოს კულტურის პოლიტიკა და, შესაბამისად, ამ კულტურის პოლიტიკაში უნდა ჩაიდოს პუნქტი, რომ ბიზნესსექტორს და ცალკეულ ქველმოქმედებს მოუნდეთ ვიღაცის დაფინანსება, ხელშეწყობა და პატრონაჟი. უნდა შეიქმნას გარკვეული საკანონმდებლო ბაზა რომელიც ბიზმესმენებს მიანიჭებს გარკვეულ შეღავათებს, გაუჩენს სურვილს, ჩადონ ფული კულტურის განვითარებაში და, რომ ადამიანს ჰქონდეს არჩევანი პირდაპირ საგადასახადოს უხადოს ფული თუ ალტერნატიულად პირდაპირ კულტურაში ჩადოს თანხა და უფრო მეტი და უკეთესი საქმე გაკეთდეს.
- **თქვენს თეატრს თუ აქვს ჩამოყალიბებული გარკვეული სასპონსორო შეთავაზებები?**
- იქიდან გმომდინარე, რომ ახლა ჩვენ ვართ ახალი თეატრის შენების მოლოდინში და ყველაფერი იქნება განახლებული, შესაბამისად, ამ შენობაში, სადაც ამჟამად ვიმყოფებით, არც ერთ ადამიანს არ აქვს ფულის ჩადების სურვილი, აქ რეალურად ბანერის განსათავსებელი ადგილიც კი არ არის. შესაბამისად, როდესაც იქნება ნორმალური სივრცე, დიდი თეატრი, - არის საუბარი იმაზე, რომ გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა დაინტერესდნენ.
- **თუ ყოფილა რაიმე ტიპის თანამშრომლობა სპონსორებთან ან ორგანიზაციებთან?**
- დიახ, იყო სხვადასხვა ინსტიტუტთან და ბიზნეს ჯგუფთან თანამშრომლის, თუმცა ეს არის ერთჯერადი პროექტები და კოპროდუქციები, მაგრამ ის, რომ განსაზღვრო რამდენიმეწლიანი გეგმა და კონკრეტული ბიზნეს ჯგუფები მოიაზრო პარტნიორებად, ასეთი დამოკიდებულება ჯერჯერობით არ არის საქართველოში.
- **ისეთი ტიპის თანამშრომლობა თუ ყოფილა, როდესაც რომელიმე ორგანიზაციამ ფულადი სახსრები ჩადო?**
- დიახ, იყო თანამშრომლობა გოეთეს ინსტიტუტთან, სახელმწიფო გრანტი კულტურის სამინისტროდან, იყო საელჩოებთან თანამშრომლობა, მაგალითად, შვეიცარიის საელჩო, რომელიც ერთი კონკრეტული პროექტის პარტნიორი გახდა. შემდეგ ძალიან ბევრი ორგანიზაცია იყო, რომელიც ერთჯერად პროექტში იღებდა მონაწილეობას, თუმცა მე ვსაუბრობ იმაზე, რომ ეს ერთჯერადი პროექტები არის საინტერესო რაღაც კონკრეტული ჯგუფისთვის, ორგანიზაციისთვის, მაგრამ აუცილებელია, მე როგორც ბიზნესმენმა, ჩავდო ფული კულტურის განვითარებაში.
- **რამდენად საქმიან და ძლიერ პარტნიორად მიგაჩნიათ თქვენი თეატრი?**
- 2006-1013 წლამდე თუ გადავხედავთ განხორციელებულ პროექტებს, ამ თეატრმა და მისმა სპექტაკლებმა რამდენიმე ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, შეიქმნა კოპროდუქცია, ჰყავდა რამდენიმე პარტნიორი, საუბარია ამ შენობაზე, ამ რესურსზე, რაც ახლა არის და იყო. რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენ გვექნება უფრო მეტი შესაძლებლობა, ჩვენი პარტნიორები გახდებიან უფრო მსხვილი ორგანიზაციები, იმიტომ რომ,

მათი ინტერესიც იქნება ეს. შესაბამისად, ის სივრცე მოემსახურება უფრო მეტ პროექტს, ვიდრე დღეს გვაძლევს ამის საშუალებას. მიუხედავად ამისა, ფოთის თეატრი არის ერთ-ერთი წამყვანი თეატრი იმ კუთხით, რომ აქვს გასტროლები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე- საზღვარგარეთ. მიუხედავად ჩვენი პატარა სივრცისა, ჩვენ ვცდილობთ მივიღოთ ქართული, ასევე, უცხოური დასები, ამის გამოცდილებაც გვაქვს და გვქონდა. მაგალითად, ჩვენ ვუმასპინძლეთ ზუგდიდის, სენაკის, ჭიათურის, გორის თეატრებს, თბილისიდან - თუმანიშვილის, სარდაფის, რუსთაველის, სოხუმის თეატრებს, ასევე, სოხუმის ახალგაზრდულ თეატრს. უცხოური თეატრებიდან ჩვენთან იყვნენ - ლიტვის, ნორვეგიის, ირანის თეატრები. 2009 უნდა დასრულებულიყო ეს მშენებლობა, ჩვენ დავიწყეთ იმაზე ფიქრი, რომ აქ ჩატარებულიყო ფესტივალი, სადაც, ქართულ თეატრებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებდნენ უცხოური თეატრებიც და, შესაბამისად, ეს თეატრის გახსნის თარიღს დაემთხვეოდა. 12 სხვადასხვა ევროპულმა თეატრმა გამოთქვა ფესტივალში მონაწილოებოს სურვილი. 2008 წელს ფოთის თეატრი უკვე ITEM-ის წევრი გახდა, ამიტომ მოგვეცა საშუალება, რომ მარტო წერილობითი სახით კი არა, არამედ ამ ადამიანებთან, ჯგუფებთან და თეატრებთან პირადი კონტაქტიც გვქონოდა, რამაც ძალიან კარგი შედეგი გამოიღო და ზუსტად ამის შემდეგ დაიწყო ინტენსიური ურთიერთობა. შესაბამისად, 2008 წელს განხორციელდა ამ თეატრისთვის პირველი ქართულ-გერმანული კოპროდუქცია, ვფიქრობ, საკმაოდ წარმატებული სპექტაკლი გაკეთდა „ვირთხებზე ნადირობა“, რომელმაც სხვადასხვა ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა. თბილისის მაყურებელმაც ნახა და მათ შორის რეგიონის თეატრებმაც. ჩვენ ერთი კონკრეტული ხაზი მართლა არა გვაქვს, რომ შევინარჩუნოთ რაღაც, დავდგათ სპექტაკლი... ვაკეთებთ, ვუვლით, ვინარჩუნებთ, ვაჩვენებთ სხვაგანაც და ვიღებთ სხვა თეატრებს, რომ ჩვენს მაყურებელს ჰქონდეს საშუალება შეადაროს, როგორი დონე არის ამ თეატრში და რა პროდუქცია კეთდება სხვა თეატრებში. ძალიან ბევრისთვის ეს არის წამგებიანი პოზიცია, იმიტომ რომ, მე, რიგითი მაყურებელი, ვნახავ, რომ ჩემი თეატრი, რომელიც მიმაჩნია ყველაზე უკეთესად და არ მაქვს საშუალება სხვა თეატრების სპექტაკლები ვნახო, ვხედავ, რომ ჩამოსული თეატრი უფრო უკეთესია და უფრო წინ არის წასული, რა თქმა უნდა, მიჩნდება პრეტენზია. იყო ეს სარისკო, მაგრამ დარწმუნებული რომ ვიყავით, ნორმალური და კარგი პროდუქტი გვქონდა, ამიტომაც ჩვენ მივიღეთ ძალიან ბევრი თეატრი და ძალიან ბევრ თეატრსაც ვესტუმრეთ.

- **თქვენს თეატრს არ ჰყავს სამხატვრო ხელმძღვანელი და ამ შემთხვევაში მმართველი ითავსებს ამ პოზიციასაც. თქვენი აზრით, რა იყო თეატრის ყველაზე დიდი წარმატება - შემოქმედებითი თვალსაზრისით ბოლო წლებში?**
- ყველაზე დიდ წარმატებად მიმაჩნია ის, რომ თეატრი გადარჩა და თეატრი არ მოკვდა ფოთში იმ ცნობილი მოვლენების ფონზე, როდესაც თეატრსა და ეკლესიას შორის მოხდა დაპირისპირება. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, სულ ცოტა ხნის წინ 17 მაისის კადრებს რომ შევხედე, კიდევ ერთხელ დამიტრიალდა თვალწინ წარსული და მინიმუმ ამას გადარჩა ფოთის თეატრი, ამ დამოკიდებულებას, მიუხედავად იმისა რომ, იყო კონფლიქტები და ხელჩართული ბრძოლა მრევლსა და თეატრს შორის შენობასთან დაკავშირებით, მაგრამ 2005 წელს როდესაც ყველაფერი დამთავრებული მეგონა და ვფიქრობდი, ამას არაფერი ეშველებოდა, ნელ-ნელა სწორმა მუშაობამ შედეგი გამოიღო.
- **ყველაზე წარმატებული პროდუქცია 2010 - 2012 წლებში?**
- ასე კონკრეტულად ვერ ვიტყვი, ვინაიდან ჩემთვის ყველა ჩვენი პროდუქტი არის ძალიან ძვირფასი, თუმცა შეიძლება დავასახელო სპექტაკლ, რომელმაც გაამართლა ყველაზე მეტად ან მაყურებლის თვალსაზრისით, ან საერთაშორისო წარმატება მოიპოვა, ან კრიტიკოსების მოწონება დაიმსახურა. თუ დავიწყებთ სულ თავიდან, პირველი სპექტაკლი იყო „როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი“, ეს იყო სპექტაკლი, რომელმაც მაყურებელი მოიყვანა თეატრში. იმ მრავლწლიანი რეგრესიის შემდეგ, თეატრში დაიდგა სპექტაკლი და მაყურებელი მოვიდა. ამის შემდეგ განხორციელდა ძალიან ბევრი საინტერესო პროექტი. პატარა ქალაქებში სპექტაკლს ვერ აცოცხლებ, თუ ის მაყურებელს არ მოსწონს. თუ მას მაყურებელი არ ჰყავს, ნებისმიერი სპექტაკლი კვდება და იძულებული ხდები, რომ მოხსნა. აქედან გამომდინარე, ჩვენ 2006 - 2010 წლებში გაკეთებული სპექტაკლები დღემდე, რეპერტუარში გვაქვს და ცოცხლობს, ესე იგი, ეს სპექტაკლები მოსწონს მაყურებელს, მოსწონს ვიღაცა კრიტიკოსს. რა სპექტაკლები გვქონდა ჩვენ გატანილი საზღვარგარეთ?! ერთ პატარა გადხვევას გავაკეთებ, მაგალითად, როდესაც გაკეთდა სპექტაკლი „ყვითელი დღეები“ (რეჟისორი დავით მღებრიშვილი) და ვაჩვენეთ თბილისელ მაყურებელს, მეორე დღესვე წავედით ერევანში, ფესტივალზე “HIGH FEST”, გამოხმაურება ამ სპექტაკლს ფესტივალის ფარგლებში უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე თბილისში. ამ ფესტივალზე, ასევე, გვქონდა წაღებული სპექტაკლი „ვირთხებზე ნადირობა“ (რეჟისორი რალფ ზიბელტი), ეს იყო პირველი კოპროდუქცია და მას ჰქონდა აღიარება როგორც თბილისში, ასევე ფესტივალზეც. ამ სპექტაკლმა ფოთის თეატრი უცხოელ მაყურებელს და პარტნიორებს გააცნო თავისი პროდუქტით და არა როგორც თენგო ხუხია ან რომელიმე თეატრის წამყვანი მსახიობი. კონკრეტული პროდუქტით და კონკრეტული პროექტით გაგვიცნეს ჩვენმა პარტნიორებმა სხვადასხვა ქალაქსა და ქვეყნებში.
- **ამ გარკვეული წარმატებების ფონზე, რა თქმა უნდა, არის გარკვეული პრობლემები. ფოთის თეატრი დღეს რა შემოქმედებითი პრობლემების წინაშე დგას?**
- ჩვენ შევეცადეთ უმტკივნეულოდ მოგვეხდინა თაობათა ცვლა. მაქსიმალურად ვეცადე შემენარჩუნებინა ყველა, ვინც დამხვდა თეატრში, თუმცა, ასევე, დავიწყე ახალი სისხლის შემოდინება. შესაბამისად, ფოთის თეატრის 130-წლიანი ისტორიის მანძილზე პირველად შეიქმნა მიზნობრივი ჯგუფი ბათუმის

ხელოვნების უნივერსიტეტსა და თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტში. ამ ადამიანების ჯგუფები ჩვენ, რა თქმა უნდა, დაგვიბრუნდება. უკვე გვაქვს შედეგი, სულ ბოლო სპექტაკლში მონაწილეობა მიიღო ამ სტუდენტებიდან ერთ-ერთმა და ვფიქრობ, საკმაოდ წარმატებულად. ჩვენს ახალბედა მსახიობს ძალიან გაუმართლა და ვფიქრობ, ჩვენი ბოლო სპექტაკლი „Holland, Holland"-ი ძალიან საინტერესო პროექტი გამოვიდა. საინტერესო ტანდემი შედგა ის, რომ დათო გაბუნიამ ფოთის თეატრისთვის დაწერა პიესა და ფოთის თემა აიღო, ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი წარმატების საწინდარი. პაატა ციკოლიამ ძალიან საინტერესოდ გადაწყვიტა ამ სპექტაკლის კონცეფცია და, შესაბამისად, გაამართლეს მსახიობებმაც. ჩვენ დავიწყეთ იმაზე ზრუნვა, რომ თეატრში უნდა მოვიდეს ახალგაზრდა თაობა.

რა სიხშირით ხდება დასის განახლება?

- განახლება არ ნიშნავს იმას, რომ ვიღაცა უნდა გავუშვათ და ვიღაცა მოვიყვანოთ. მე ვეცადე შემენარჩუნებინა ყველა ის მსახიობი, ვინც დამხვდა თეატრში და ყველა ახალ პროექტში ვცდილობთ ჩავრთოთ ახალგაზრდა, პროფესიონალი მსახიობები და ხელი შევუწყოთ მათ პროფესიულ წინსვლას და ფოთის თეატრში დამკვიდრებას.

- რა შეხედულებები გაქვთ სარეპერტუარო პოლიტიკაზე? როგორ, რა პრინციპებზე აგებთ სარეპერტუარო პოლიტიკას?

- როცა საუბარია იმაზე, თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს თეატრმა, აუცილებელია გამოიკვეთოს რა მიზნებს ემსახურება თეატრი. ეს არის თეატრი, რომელიც უნდა ემსახუროს ქალაქს და მის ლოკალურ შემოგარენს, თუ ეს არის რეგიონული თეატრი, რომელმაც რეგიონები უნდა მოამარაგოს სპექტაკლებით?! თუ ამ თეატრს შეუძლია იმუშაოს საქართველოს ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა ფესტივალზე. იყო ძიება, რა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ და ამ სიტუაციაში ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ცოტ-ცოტა უნდა ვიმუშავოთ ყველა მიმართულებით, ანუ შეგვექმნა მრავალფეროვანი რეპერტუარი და ამან გაამრათლა კიდეც. ჩვენ თოჯინური სპექტაკლიც კი გვაქვს რეპერტუარში, ამ მიმართულებითაც ვიმუშავეთ. თუ ამ ბავშვთა სეგმენტს არ გაზრდი და არ მოამზადებ, როგორც მაყურებელს, მაშინ მომავალში თეატრს ეყოლება ძალიან ცუდი მაყურებელი და შეიძლება ჩათვალო, რომ მაყურებელი, ფაქტობრივად, არც გყავს. როდესაც ამ სეგმენტზე ვიმუშავეთ გამოჩნდა მეორე სეგმენტი, ეს არის ყმაწვილების თაობა და ვფიქრობდით, როგორ მოგვეხდინა თეატრის პოპულარიზაცია ამ ჯგუფთან და როგორ ჩაგვერთო ეს სეგმენტი თეატრალურ ცხოვრებაში, მათ უკვე აღარ აინტერესებთ თოჯინები და ასევე მათი ინტერესის წყაროს არ წარმოადგენს რაღაც ფსიქოლოგიური დრამა. ამიტომ ჩვენ გავაკეთეთ ფოთის სასკოლო თეატრალური ფესტივალი, სადაც სხვადასხვა სკოლამ მიიღო მონაწილეობა და ჩვენ ყველა რესურსი დავხარჯეთ იმისათვის, რომ ყველა სკოლას თვითონ აერჩია პიესა. შევარჩიეთ ისეთი თემები, რომლებიც ბავშვისათვის უფრო გასაგები და საინტერესო იქნებოდა. სკოლებმა დადგეს და ითამაშეს თეატრში სპექტაკლი. შეიქმნა სპეციალური ჟიური და ჟიურის გადაწყვეტილებით შეირჩა ყველაზე საუკეთესო სპექტაკლი. ეს სპექტაკლი შემდეგ დავაფინანსეთ და გავუშვით მცხეთის საბავშვო თეატრალურ ფესტივალზე, რა თქმა უნდა, ეს იყო დიდი სტიმული იმ ბავშვებისათვის და სხვა ბავშვებისთვის, რომლებიც უკვე ემზადებიან წლევანდელი კონკურსისთვის.

- როგორ არჩევთ პიესას სამხატვრო ხელმძღვანელის გარეშე?

- მე მყავს ძალიან ბევრი კონსულტანტი ამ სფეროში მომუშავე ჩემი მეგობრების სახით. ვცდილობთ, შევარჩიოთ აქტუალური თემატიკის თანამედროვე პიესები. ჩვენი სპექტაკლი აუცილებლად უნდა პასუხობდეს დროს. რაც შეეხება სამხატვრო ხელმძღვანელის არყოლას, ყველაზე მეტად, ვისაც აწუხებს ეს თემა, ვარ მე. ძალიან რთულია სამხატვრო ხელმძღვანელის გარეშე მუშაობა, თუმცა ამ დამოკიდებულებამ შემაძლებინა ის, რომ შემენარჩუნებინა ის კონტიგენტი, რომელიც დღეს მყავს და სამხატვრო ხელმძღვანელს შეიძლება ეთქვა, რომ ეს ჯგუფი არ იყო მისთვის საინტერესო და შეუძლია წავიდეს სახლში ან პირიქით, სხვა ჯგუფი უნდა ჩამოვიყვანოო. ვფიქრობ, როდესაც სხვადასხვა პროექტზე სხვადასხვა რეჟისორი ჩამოდის, არჩევს მსახიობებს, ამ მსახიობებისთვის ეს არის ძალიან კარგი, ვინაიდან საქმე გაქვს სხვადასხვა რეჟისორთან, სკოლასთან, ხედვასთან, დამოკიდებულებასთან, მიდგომასთან. ეს პროფესიული გაზრდისათვის ძალიან კარგია და ერთი კონკრეტული სახელის და გვარის ხელწერაზე არ არის ჩამოკიდებული და არ იშტამპება მსახიობი, მსახიობების ჯგუფი. ეს არა მარტო ქართულ თეატრში, არამედ ყველგან ხდება. მაქსიმალურად ვეცადე, რომ თითქმის ყველა სპექტაკლი, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ და შედარებით წარმატებული გამოვიდა, ჩაგვეტანა თბილისში და შეგვეთავაზებინა თბილისელი მაყურებლისათვის. ამ მაყურებელში შედის, რა თქმა უნდა, რეჟისორებიც, თეატრმცოდნეებიც, კრიტიკოსებიც, ანუ ინფორმაცია ფოთის თეატრზე ამ სეგმენტს ნამდვილად აქვს. პროფესიული წრეებისთვის ფოთის თეატრი უცხო ნამდვილად არ არის. მეორე ფაქტორი, სამხატვრო ხელმძღვანელის ინსტიტუტის შემთხვევაში, მსახიობებს ასე უფრო მეტი საშუალება აქვთ განვითარებისა და სხვადასხვა რეჟისორთან მუშაობისა. ჩემი დამოკიდებულება იმთავითვე იყო ისეთი, რომ ამ ადამიანებს მიცემოდათ საშუალება, ემუშავათ სხვადასხვა რეჟისორთან, სხვადასხვა სკოლასთან და მიმდუინარეობდეს მათი პროფესიული გაზრდა.

- ინფორმაციის შემოდინება როგორ ხდება თეატრში? ვგულისხმობ, ხელმისაწვდომობას ნებისმიერ ინფორმაციაზე - მიმდინარე მოვლენები, თეატრალური პროცესები, ახალი პიესები, სიახლეები და ა.შ?

- პირველი ის, რომ ჩვენ გვაქვს და საქართველოში, საბედნიეროდ, უკვე არსებობს რამდენიმე სოლიდური ორგანიზაცია, როგორებიცაა კრიტიკოსთა ასოციაცია, თუმანიშვილის ფონდი, სადაც საკმაოდ

საინტერესო პიესების განხილვა ხდება. არსებობს საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელი და ამ ქსელმა მოგვცა საშუალება, რომ ყველას გაგვეცნო ერთმანეთი და ერთმანეთისთვის გაგვეცვალა ინფორმაცია. არსებობს ინტერნეტი, არსებობს ბიბლიოთეკა და ა.შ. რითაც ძალიან მარტივად შეიძლება ყოველი სიახლის გაგება და მოძიება. რაც შეეხება ყველაზე მთავარს, დღეს უკვე ვფიქრობ, რომ ამ რეგიონულ თეატრებს რაღაცა თავისი სამარკო ნიშანი ჰქონდეს, რითაც ისინი იქნებიან გამორჩეულები და განსხვავებულები. როდესაც ნახავ სპექტაკლს, მიხვდე, რომ ეს არის ფოთის თეატრისა. ბოლო სპექტაკლმა გამიღვივა იმისი სურვილი, რაც ადრეც მქონდა, რომ ჭიათურამ უნდა მომიყვეს ჭიათურის ამბავი, ქუთაისმა ქუთაისის და თბილისმა თბილისური. ეს, რა თქმა უნდა, არ ზღუდავს კლასიკას, მაგრამ რაღაცა ერთი პროდუქტი უნდა გქონდეს, რომელშიც იქნება ის ადგილობრივი ხალხი წარმოჩენილი თვისი ბუნებით, ხასიათით, პრობლემებით. ჩვენი ბოლო სპექტაკლი, სწორედ, ამ ფორმის მიხედვით გაკეთდა, რომ ვიღაც, ვისაც საერთოდ არ აქვს შეხება ფოთთან, მოსულიყო და ამ ხალხის ხასიათი გაეგო, რა სოციო-ფსიქოლოგიური პრობლემებია ამ კუთხეში. მე მგონი, ამ მიმართულებით წასვლა ურიგო არ იქნება, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ თეატრი მარტო ასეთ რეპერტუარზე გადავიდეს, მაგრამ მას ესეც უნდა ჰქონდეს.

- **სპონსორობა თქვენთვის არის კომპანიებთან ხანგრძლივი, პარტნიორული ურთიერთობა თუ ფულის შოვნის საშუალება?**
- ჩემთვის ფულის შოვნის საშუალება ნამდვილად არ არის იმიტომ რომ, დღეს რეალურად ფულს ტყუილად არავინ არ იხდის. მით უმეტს ჯგუფი, რომელსაც სულ სხვა ინტერესი აქვს, რომ ფული აკეთოს. შესაბამისად, ჩემთვის არის ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა, რომელიც მერე მისთვისაც და ჩემთვისაც იქნება ხვალინდელი წარმატების საწინდარი, რაც ნიშნავს იმას, რომ იქნება შემოსავალიც.
- **სასპონსორო თანამშრომლობის შეთავაზება მხოლოდ თქვენი თეატრის მხრიდან ხდება თუ საპირისპირო მხრიდანაც არის გარკვეული შემოთავაზებები?**
- დიახ, რა თქმა უნდა, საპირისპირო მხრიდანაც არის თანამშრომლობის სურვილი. 2008 წელს, როდესაც ფოთის თეატრი გახდა IETM-ის წევრი, სადაც დაახლოებით 600 ევროპული თეატრია გაწევრიანებული, ამ ადამიანებთან ურთიერთობამ მოგვცა საშუალება გვეფიქრა ახალ გაცვლით პროექტებზე და კოპროდუქციებზე და ამ მიმართულებით იყო კიდეც გარკვეული შემოთავაზებები, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ 2005 წლიდან მოყოლებული ჩვენ ველოდებით ახალი შენობის გახსნას, გარდა შეთავაზებისა, კონკრეტულ ნაბიჯებს ვერ ვდგამდით, იმიტომ რომ, იმ ჯგუფს და იმ თეატრებს სჭირდებათ შესაბამისი სივრცე. ის იქ გააკეთებს ძალიან დიდ სპექტაკლს, რომელსაც ამ სივრცეში ვერ ვათამაშებთ. ამიტომ 2013 წლის ბოლოს, როდესაც დასრულდება ამ თეატრის მშენებლობა, ყველა იმ კონკრეტულ შეთავაზებას კიდევ ერთხელ გადავხედავთ, რომელიც გვქონია და გვქონდა ჩვენი მხრიდან და ასევე ჩვენი უცხოელი კოლეგებისაგან და 2014 წელში ვნახავთ რამდენად რეალური იყო ეს შემოთავაზებები და რა ნაყოფი გამოიღო ჩვენმა თანამშრომლობამ.
- **ფიქრობთ თუ არა, რომ სახელმწიფოდან გამოყოფილი თანხები სრულიად საკმარისია თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების წარმართვისათვის და, თუ ასე არ არის, მაშინ საიდან შეიძლება დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვა თეატრში?**
- სულ საქართველოში არის 57 თეატრი, აქედან რეგიონებში არის სადღაც 22 თეატრი, შესაბამისად, რეგიონული თეატრების ქსელში გაწევრიანებული გვყავს ყველა ეს თეატრი და ვფლობთ აბსოლუტურად ყველა ინფორმაციას მათ შესახებ, ფინანსურს, სარეპერტუაროს, ტექნიკურს, ადამიანურს. რეგიონული თეატრების დაფინანსების წყარო ყველგან არის ადგილობრივი ხელისუფლება ანუ რეგიონალურ დონეზე ფინანსდება. აბსოლუტურად ყველა თეატრის დაფინანსება განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჩვენი თეატრიც ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, წელს არის 300000 ლარი, გასულ წელს იყო 250 000, ხოლო იმის წინ 220 000. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვცდილობთ მინიმუმ 4 ახალი სპექტაკლის გამოშვებას. გვქონდა გასტროლები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ, ვცდილობდით აქეთაც მოგვეწვია თეატრები და ჩამოგვეტანა სპექტაკლები, თუმცა ეს ყველაფერი ვერ ხერხდებოდა იმ დაფინანსებით, რომელიც გამოყოფილი იყო ბიუჯეტიდან და ამისთვის ვიძიებდით ჩვენ პარტნიორებს და თეატრის მეგობრებს, რომლებიც კონკრეტულ პროექტში დებდნენ გარკვეულ თანხას. ვცდილობთ, თეატრის პირობები ყოველწლიურად ყველა გაგებით გაუმჯობესდეს. ფოთის თეატრის დაფინანსების წყაროს ისევ და ისევ წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლება, ერთი კონკრეტული სპექტაკლის თანადაფინანსებას აკეთებდა კულტურის სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზაციები და თეატრის მეგობრები. არ არსებობს გარკვეული ბიზნესჯგუფი, რომელიც დააფინანსებს თეატრის სხვადასხვა პროექტს.
- **მარკეტინგული თვალსაზრისით, რას მიიჩნევთ ფოთის თეატრის ყველაზე დიდ წარმატებად 2010-2012 წლებში?**
- წლების განმავლობაში ფოთის თეატრს ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, შენობასთან დაკავშირებული დაპირისპირების გამო, მოაკლდა მაყურებელი, გაჩნდა გარკვეული უარყოფითი მუხტიც საზოგადოებაში, თეატრის სწორი მენეჯმენტის დამსახურებაა ის, რომ ფოთის თეატრს ჰყავს მაყურებელი. ის რომ ყოველ პარასკევს, ხშირ შემთხვევაში, კვირაში ორი დღე ფოთის თეატრში რეგულარულად იმართება სპექტაკლები. ის, რომ ჩვენი თეატრი ფიქრობს და აკეთებს წელიწადში ოთხ სპექტაკლს.

- **რა არის თქვენი მაყურებლის ასაკობრივი ზღვარი?**
- ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ გვყავდეს სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მაყურებელი. სწორედ ამიტომ გავაკეთეთ, საბავშვო-თოჯინური სპექტაკლი, რომ მოგვეზიდა პატარა მაყურებელი, გავმართეთ საბავშვო თეატრალური ფესტივალი, რომ თავად ბავშვები ჩართულიყვნენ შემოქმედებით პროცესში და მათთვის უფრო საინტერესო გამხდარიყო თეატრი და, შესაბამისად, შემდეგ უკვე მოდის ყველა თაობის მაყურებელი, ანუ საბოლოო ჯამში თეატრს ჰყავს ყველა ასაკობრივი ჯგუფის მაყურებელი და ჩვენი თეატრი კონცენტრირებულია სწორედ იმაზე, რომ შექმნას ისეთი სპექტაკლები ანუ პროდუქცია, რომელიც დააინტერესებს და მოიზიდავს ყველა ასაკის მაყურებელს.
- **როგორ ახერხებს თეატრი ერთგული მაყურებლების წახალისებას და რა სახის მომსახურებას სთავაზობს თავის მაყურებელს, როგორ ხდება ინფორმაციის მიწოდება, ანუ მაყურებლის მოსაზიდად დამატებით რას აკეთებს თეატრი?**
- მაყურებლის მოსაზიდად მოვსინჯეთ უამრავი ხერხი და პირველი ეს არის დღესდღეობით ყველაზე პოპულარული და ხალხმრავალი სოციალური ქსელი - ფეისბუქი, რომელზეც თეატრს აქვს თავისი გვერდი. აქ მუდმივად ხდება ინფორმაციის განახლება და პოტენციური მაყურებლისათვის სპექტაკლის შეთავაზება და თეატრის აფიშის გაცნობა. მეორე საშუალება არის პირადი სატელეფონო კონტაქტი და ინფორმაციის მიწოდება სპექტაკლის გამართვასთან დაკავშირებით. ბევრი ადამიანი იყო განცვიფრებული ჩვენი ასეთი ჟესტით, თუმცა ბევრი ადამიანისთვის, რომელსაც არ ჰქონდა ინტერნეტი, ვერც აფიშის ნახვა მოახერხა და ვერც რადიოს მოუსმინა, ეს იყო ძალიან სასარგებლო ინფორმაცია და ისინი მოდიოდნენ თეატრში. ჩვენ ბევრი რამ მოვსინჯეთ, იმისათვის რომ დაგვედგინა, რა გაამართლებდა ამ ქალაქში და ასე მივედით თუნდაც იქამდე, რომელი დღეა ყველაზე ოპტიმალური სპექტაკლის ჩვენებისათვის. დაახლოებით სამი თვის განმავლობაში, როდესაც დაგვიგროვდა რეპერტუარში სადღაც 12, 14 სპექტაკლი, ორშაბათის გარდა ყოველდღე დავიწყეთ სხვადასხვა სპექტაკლის თამაში. ამ კონკრეტულმა სიტუაციამ დაგვანახა, რომელი ჟანრი უფრო მოსწონდა მაყურებელს და რომელ დღეს იცლიდა. აღმოჩნდა, რომ შაბათ-კვირა იყო ბევრად უფრო პასიური, ვიდრე ხუთშაბათი და პარასკევი. ამიტომ გავაკეთეთ პარასკევი, ვინაიდან არის სამუშაო კვირის ბოლო დღე და ყველას უნდა გარკვეული განტვირთვის მიღება. ასე რომ, სამთვიანი კვლევის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ყოველ პარასკევს დაგვენიშნა სპექტაკლების ჩვენება. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ფოთი არის ძალიან პატარა ქალაქი და მხოლოდ 40 000 ადამიანი ცხოვრობს აქ და ამ 40 000 -ში ყველა არ არის თეატრის მაყურებელი, საერთოდ სტატისტიკურად მოსახლეობის მხოლოდ 1% ითვლება თეატრის მაყურებლად ანუ ეს ჩვენს შემთხვევაში არის 400 კაცი, ამიტომ დავიწყეთ ყოველი მომდევნო სპექტაკლის დატრიალება, ამან მოგვცა საშუალება, რეპერტუარი შეგვენარჩუნებინა და მაყურებელსაც სხვადასხვა დროს სპექტაკლის ნახვის შესაძლებლობა ექნებოდა.
- **რა პრობლემები დგას თეატრის წინაშე ისევ და ისევ თეატრის მართვასთან და მარკეტინგთან დაკავშირებით?**
- თეატრი ყველა ქალაქში არის ბარომეტრი იმ ქალაქში არსებული სოციალური ფონისა. როდესაც ხედავ, რომ თეატრში მაყურებელი მოდის, მაგრამ მას არ აქვს მსყიდველობითი უნარიანობა, ეს, რა თქმა უნდა, ქმნის გარკვეულ პრობლემებს მარკეტინგის თვალსაზრისით. თეატრში ბილეთის ფასი არის 5 ლარი, თუმცა, როდესაც გვექნება შენობა, იქ უკვე ადგილის მიხედვით იქნება განსხვავებული ფასები. ამ ქალაქში ბილეთის მაქსიმალური ფასი შეიძლება იყოს 10 ლარი.
- **რა არის თეატრის სამომავლო გეგმები?**
- ახალი თეატრის შენახვას წელიწადში ყველაზე ცოტა 200 000 ლარი უნდა. ამ შენობის შენახვაზე თუ არ იზრუნა სახელმწიფომ, ვერც დარბაზის გაქირავებიდან და ვერც გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა ვერ დაფარავს იმ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ახალი თეატრის შენახვასთან. რა თქმა უნდა, ახალ შენობაში გათვალისწინებულია გარკვეული კომერციული ფართებიც, ასევე ბარი, რაც თეატრში მოსულ მაყურებელს მეტ კომფორტს შეუქმნის, იმოქმედებს სპეციალური ბუფეტი თავად თეატრის თანამშრომლებისათვის, ახალ თეატრში იქნება როგორც დიდი სცენა, რომელიც გათვლილია 600 მაყურებელზე, ასევე, მბრუნავი სცენა და საორკესტრო ორმო, რათა ამ სივრცეში იყოს შესაძლებელი როგორც დრამატული სპექტაკლების, ასევე ბალეტის ნახვა და ოპერის მოსმენა. რაც ყველაზე მთავარია, ნებსმიერ ჩვენს მაყურებელს სულ უნდა შევთავაზოთ სიახლე და მრავალფეროვნება.
- **თუ ახორციელებთ საქველმოქმედო პროექტებს?**
- სოციალურად დაუცველი ფენების, უნარშეზღუდული ბავშვებისა და პენსიონერებისათვის უფასოდ ვთამაშობთ სპექტაკლებს, ვითამაშეთ ასევე საქველმოქმედო სპექტაკლი ჩვენი კოლეგის, გიორგი ყორღანაშვილის, დასახმარებლად. სხვადასხვა პერიოდულობით თეატრი ახორციელებს ბევრ საქველმოქმედო პროექტს.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები
ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
გამოიკითხა 92 მაყურებელი



ფოთში გამოიკითხა 91 რესპოდენტი, რომელთაგან 32 ნახულობს ყოველ ახალ დადგმას, ხოლო 16 მხოლოდ საინტერესო სპექტაკლების სანახავად მიდის თეატრში. თუ ამ ციფრებს დავეყრდნობით, ფოთშიც მაყურებელი საკმაოდ აქტიურია და ხშირად სტუმრობს თეატრს.



ხშირად თუ არ ხართ თეატრში, რატომ? ამ კითხვაზე პასუხის ნახევარი (49 რესპოდენტი) თავისუფალი დროის უქონლობას ასახელებს, 8 მაყურებელს არ აკმაყოფილებს სპექტაკლების დონე, ხოლო თანაბრად გადანაწილდა ხმები მიზეზებზე: შორს ვცხოვრობ, ვერ ვყიდულობ ბილეთს, თეატრში არაფერი ხდება.



ფოთში მაყურებლის უმრავლესობა თეატრში საყვარელი მსახიობების და რეჟისორის ახალი ნამუშევრის სანახავად მიდის, ხოლო, ასევე, გარკვეული ნაწილი გართობისა და დასვენების მიზნით. 23 მაყურებელი კი ესთეტიკური სიამოვნებისთვის სტუმრობს თეატრს.



ფოთში ყველაზე პოპულარული ჟანრი კომედიაა, თანაბარი ხმები დააგროვა ფსიქოლოგიურმა დრამამ, მელოდრამამ, ტრაგიკომედიამ და ტრაგედიამ.



თუ რომელი წყაროებიდან იგებს მაყურებელი ფოთში სპექტაკლის გამართვის შესახებ, შედეგები ასეთი გვაქვს: 67 მაყურებელი ამბობს, რომ აფიშით, 24 - ინტერნეტის საშუალებით, ხოლო 13 - სატელევიზიო რეკლამით.



მაყურებელი ფოთში მრავალფეროვანი რეპერტუარის მომხრეა. 91 გამოკითხულიდან 34 ისურვებდა მრავალფეროვან დრამატურგიას. განსაკუთრებულ ინტერესს კი 25 ხმით თანამედროვე ქართული დრამატურგია იწვევს, ასევე საკმაო ინტერესია თანამედროვე უცხოური და უცხოური კლასიკის მიმართაც.



91 მაყურებლიდან 43 სპექტაკლის თემის ინტერესის გამო მივიდა თეატრში, ხოლო 16 მსახიობების თამაშის ინტერესის გამო, ბევრს ნაცნობებმა ურჩიეს, ენახა სპექტაკლი. როგორც ჩანს, ფოთის მსგავს პატარა ქალაქებში სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია სპექტაკლის ავკარგიანობის შესახებ.



ფოთელი მაყურებლისთვის თანაბრად არის მთავარი სპექტაკლში რეჟისორის ნამუშევარი და საინტერესო ამბავი.



მაყურებლის დიდი უმრავლესობა ფიქრობს, რომ ინფორმაციის გავრცელება სპექტაკლის შესახებ ინტერნეტითა და სატელევიზიო რეკლამის საშუალებით უნდა მოხდეს, მესამე ადგილზეა ხმების მიხედვით აფიშა, ხოლო პრესა და რადიო ბოლო ადგილზე.



ნაწილობრივ ნდობას უცხადებს ფოთელი მაყურებლის დიდი ნაწილი თანამედროვე სათეატრო კრიტიკას, 91 რესპოდენტიდან 46 ამბობს რომ კრიტიკა ნაწილობრივ არის საიმედო და სანდო, 24 მათგანი საერთოდ არ ენდობა კრიტიკოსის შეფასებას, ხოლო 10 მთლიანად ენდობა.



ფოთში ყველაზე პოპულარული რეჟისორი რობერტ სტურუაა, მას რეიტინგში მოსდევს ლევან წულაძე, ხოლო მესამე და მეოთხე ადგილებს დავით დოიაშვილი და გოჩა კაპანაძე ინაწილებენ.
კითხვაზე, რომელი რეჟისორი მოგწონთ ყველაზე მეტად, ჩამოთვლილთაგან დასახელდა:
რამაზ იოსელიანი, გაგა გოშაძე, პაატა ციკოლია, გუჯა ქარაია

ვინ არის თქვენი საყვარელი მსახიობი? - რეიტინგი შემდეგნაირად დალაგდა:

1. **ჯანო იზორია** 15
2. **გუჯა ქარაია** 11
3. **სანდრო გუჯაბიძე** 10
4. **გია სურმავა** 7
5. **მარიკა ბუკია** 7
6. რუსკა მაყაშვილი 7
7. მარინა კახიანი 6
8. **ნინო პაჭკორია** 6
9. გიორგი ყიფშიძე 4
10. ჟანრი ლოლაშვილი 4
11. **შორენა მამრიკიშვილი** 3
12. **მაიკო კულუა** 3
13. კახი კავსაძე 3
14. კოტე თოლორდავა 2
15. ნინო გაჩეჩილაძე 2
16. მაკა ძაგანია 2
17. ზურაბ ყიფშიძე 2
18. მურმან ჯინორია 2

მარტინ ღამბარაშვილი , გოგიტა ჭანტურია, ნინო დანელია, ჩიტო პატარიძე, შალვა ლიპარტელიანი, ეკა კახიანი, ტრისტან სალარიძე, ნიკა თავაძე, ჯემალ ღაღანიძე, რუსუდან ბოლქვაძე, ნინელი ჭანკვეტაძე, ნანა ფაჩუაშვილი, ეკა ნიჟარაძე, ნანკა კალატოზიშვილი, გივი ბერიკაშვილი, ლევან უჩანეიშვილი, კახა კინწირაშვილი, ია სუხიტაშვილი, დუტა სხირტლაძე.

სასიხარულოა, რომ რეიტინგში მოხვდნენ ადგილობრივი მსახიობები და ისინი წამყვან პოზიციებზე მოგვევლინენ. ეს ადასტურებს იმას, რომ მაყურებელი იცნობს და პატივს სცემს მათ პროფესიონალიზმს.



ფოთში მაყურებლის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ თეატრში უნდა არსებობდეს სხვა გასართობი საშუალებაც. კონკრეტულად კი ისინი კაფეს აუცილებლობას ხედავენ, ხოლო უმნიშვნელო ნაწილი სასურველად მიიჩნევს თეატრში ღამის კლუბისა და დისკოთეკის გახსნას.

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია

XIX საუკუნის 80-იან წლებში დაბა ახალსენაკში თეატრალური ხელოვნების ჩასახვას და მის განვითარებას ხელი შეუწყო 1879 წელს ქართული თეატრის დაარსებამ. ორიოდე წლის შემდეგ, 1881 წლის თებერვალში, დაბაში ადგილობრივი ძალებით გაიმართა პირველი წარმოდგენა. ნაჩვენები იქნა მოლიერის ,,ძალად ექიმი". 1895 წელს იმ დროისთვის ცნობილი დრამარტურგი ავქსენტი ცაგარელი ახალსენაკის რკინიგზის უფროსად ინიშნება. მან მეუღლე ნატო გაბუნია-ცაგარელთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა დაბის თეატრალურ ცხოვრებაში. 90- იან წლებში დაბის სცენისმოყვარეთა კოლექტივს უძღვებოდა ი. მიქელაძე, რომელიც პროფესიით მასწავლებელი იყო. წარმოდგენები იმართებოდა თავადების: ფარნაოზის, ბესარიონისა და დიმიკო მხეიძეების ოჯახებში.

1902 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ დასისთვის გამოყო შენობა, რომლის რეკონსტრუქციის შემდეგ შესაძლებელი შეიქმნა დასის ნორმალური მუშაობა. ამასთანავე, შესაძლებელი გახდა საქართველოს სხვა ქალაქებიდან ჩამოსული თეატრალური დასების გასტროლების გამართვა. ახალსენაკს ბევრჯერ წვევია იმ დროის გამოჩენილი მსახიობები: ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა -აბაშიძე, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, ნუცა ჩხეიძე და სხვა.
1912 წლიდან ადგილობრივ დრამატულ დასში გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები: აკ. ხორავა, ჯ. ღვამბეჩია, გ. ჯაკობიანი და სხვა. მათი მონაწილეობით სენაკელმა მაყურებელმა ნახა გ. ერისთავის პიესა ,,სამშობლო" და ალ. სუმბათაშვილის ,,ღალატი". 1918 წელს დაბა ახალსენაკის ცენტრში (იქ,. სადაც ახლა სასტუმრო ,,ეგრისია", ძმებმა სანიკიძეებმა ააშენეს სამსართულიანი სასტუმრო, რომელსაც ჰქონდა თეატრალური სცენა და დარბაზი. ამავე წელს იქ დაიდგა პიესა ,,ღალატი", რომელშიც ოთარ-ბეგის როლი პირველად განასახიერა აკაკი ხორავამ. ახალგაზრდა სცენისმოყვარემ აღფრთოვანებაში მოიყვანა მაყურებელი. გადიოდა წლები, იცვლებოდა დრამატული დასის შემადგენლობა, მოდიოდა ნიჭიერი ახალგაზრდობა. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან დაბა ახალსენაკში ქალაქისა და რკინიგზის მუშათა კლუბებთან მოქმედებდა დრამატული დასი. ორივე დასი თავიანთ მაყურებელს სისტემატურად უჩვენებდა ახალ დადგმებს.

1938 წელს ორივე გაერთიანების ბაზაზე მუშათა კლუბის შენობაში (იქ, სადაც დღეს აკ. ხორავას სახ. თეატრია), შეიქმნა საკოლმეურნეო თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა რეჟისორი გივი ინჯგია. 1938 წლიდან ამ თეატრს მიენიჭა სახელმწიფო-საკოლმეურნეო თეატრის წოდება, 1940 წლიდან - სახელმწიფო თეატრის წოდება, ხოლო 1940 წლიდან სახელმწიფო თეატრის სტატუსი. 1938-45 წლებში ქ. ცხაკაიას (ახალსენაკი) თეატრს ხელმძღვანელობდა ნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შალვა მჟავანაძე. 1945 წლიდან 1949 წლის ჩათვლით თეატრს ხელმძღვანელობდა მსახიობი და რეჟისორი გოგი ლომაია. 1947 წელს ჩატარდა თეატრის ერთკვირიანი გასტროლები ქ. ქუთაისში, რაც თვალსაჩინო მოვლენა იყო თეატრის ისტორიაში. 1949 წელს სენაკის სახელმწიფო თეატრი ლიკვიდირებულ იქნა. სახელმწიფო თეატრის გაუქმების შემდეგ რაიონის კულტურის სახლთან შეიქმნა ძლიერი დრამატული კოლექტივი, რომელიც არსებობდა 1959 წლამდე, ხოლო 1959 წლიდან 1990 წლამდე ფუნქციონირებდა სახალხო თეატრი, რომელსაც 1959 წლიდან 1978 წლამდე ხელმძღვანელობდა ნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კარლო კალანდაძე. ამ პერიოდის ყველაზე თვასაჩინო მოვლენა იყო სახალხო თეატრის მიერ დადგმული პიესა მ. ხუნწარიას ,,ტეხურის პირას". სახალხო საკავშირო ფესტივალის დასკვნით ტურში ქ. მოსკოვში, კრემლის თეატრში სენაკის თეატრი გახდა საკავშირო ფესტივალის ლაურეატი. ამ დადგმას კრემლის თეატრში ემსახურებოდა მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ დანჩენკოს სახელობის სახელმწიფო აკადემიური მუსიკალური თეატრის ორკესტრი 60 მუსიკოსის შემადგენლობით. ორკესტრს დირიჟორობდა ლეონტი ჩიხლაძე. ლეონტი ჩიხლაძეს მუსიკალურად გაფორმებული აქვს 26 დადგმა. 1968-69 წლების სეზონში პირველად რესპუბლიკაში სენაკის სახალხო თეატრმა განახორციელა დადგმა ს. მილორავას მუსიკალური კომედიისა ,,ქორწილი ტეხურის პირას". სენაკის სახალხო თეატრი მონაწილეა ყველა რესპუბლიკური ფესტივალისა, სადაც ყოველთვის იმსახურებდა მაღალ შეფასებას და ლაურეატობას.1990 წელს სენაკში, 40 წლის შემდეგ კვლავ აღდგა სახელმწიფო თეატრი, რომლის პირველი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო დავით ხინიკიძე, პირველი დირექტორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. სალაყაია. განახლებული თეატრის პირველი სეზონი გაიხსნა 1991 წლის 10 ივლისს დრამატურგ ვ. კანდელაკის პიესის ,,დრო 24 საათი" დადგმით. განახლებულ თეატრში ამ ხნის განმავლობაში მაყურებელმა ნახა 21 ახალი დადგმა. რეჟისორები: დ. ხინიკიძე, გელა ბაბუჩიძე, მზია ქირია.

თეატრის შენობა

თეატრი აგებულია 1959 წელს არქიტექტორ ვახტანგ (ხუტა) გოგოლაძის მიერ. შენობა გამოირჩევა ნეოკლასიკური სტილის არქიტექტურით, რომელთანაც შერწყმულია ბაროკოს ელემენტები. თეატრი შეტანილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში.სენაკის თეატრის უმშვენიერესი შენობის კედლების მხატვრობა ეკუთვნის მხატვარსა და წლების განმავლობაში თეატრის დირექტორს დიმიტრი (ბიჭუნა) ბარქაიას.

თეატრის დასახელება - სსიპ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების წელი - 1990 წელი
თეატრის იურიდიული ფორმა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები
მმართველი - თენგიზ თოფურიძე
სამხატვრო ხელმძღვანელი - ირაკლი ადამია
თეატრის ელ. ფოსტა - არ აქვს
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა - tengiz1952@mail.ru; adamia19@mail.ru
ვებგვერდის მისამართი - არ აქვს
თეატრის მისამართი - ჭავჭავაძის N101

თანამშრომელთა საერთო რაოდენობა: 47
ამათგან მსახიობთა რაოდენობა - 16
შემოქმედებითი პერსონალი - 22
ტექნიკური პერსონალი - 18
ადმინისტრაცია - 7

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	14 698		100 000	22 332
2011	7 000		103 500	21 520
2012			110 000	18 487

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით
2010 წელი - 1 000
2011 წელი - 1 500
2012 წელი - 1 400

2010-2012 წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი, წლების მიხედვით)

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წელი - 40
2011 წელი - 35
2012 წელი - 40

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელი– 8 000
2011 წელი– 6 000
2012 წელი– 6 000

ბილეთის ტარიფები - 2 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა - 2 000-3 000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა - 800 ლარი
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი - 2 000 ლარი
მოწვეული მსახიობის ჰონორარი - 1 500 ლარი
მსახიობის საშუალო ხელფასი
უმაღლესი - 430 ლარი
უმდაბლესი - 190 ლარი

თეატრი გასტროლებზე (2010-2012 წწ.)
თეატრს გასტროლებზე გასვლა საშუალოდ უჯდება - გასტროლზე არ ყოფილა

არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით - საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელი (GRTN)
ქვეყნის გარეთ - არა
მონაწილეობა ფესტივალებში - არ მიუღია

ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) - სოხუმის დრამატული თეატრი, სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რუსთაველის თეატრი (2-ჯერ), ზუგდიდის თეატრი, ნორვეგიული „სამოვარ თეატრი“, ეროვნული სიმფონიური ორკესტრი.

ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2010-2012 წწ.) - არა
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის ან პიარსამსახურის მენეჯერი - არა
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება - დიახ

თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ახალგაზრდა - 24
ხანდაზმული - 80

ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში - 2011წელს
თეატრში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო - არ აქვს

რეპერტუარი 2010-2012 წწ.

სპექტაკლის დასახელება - „ნახვის დღე“
პიესის ავტორი - თამაზ ჭილაძე
რეჟისორი - მზია ქირია
მხატვარი - ემილ გეგენავა
მუსიკალური გაფორმება - მზია ქირია
მონაწილეობენ - ზვიად ზურაბაშვილი, ლაურა ქოჯური, ზაალ ალანია, ცირა ადამია, ჯამბულ ჭანტურია, ელგუჯა ნოდარიძე, ეკა კოღუა, ინგა ცირამუა, გოჩა დამენია, ნაზი ჯაიანი, მათე მიქაძე, თაკო ადამია

სპექტაკლის დასახელება - „მუდამ ერთად“
პიესის ავტორი - ანკა ვისეი
რეჟისორი - მზია ქირია
მხატვარი - ემილ გეგენავა
მუსიკალური გაფორმება - მზია ქირია
მონაწილეობენ - ცირა ადამია, ლალი გაბელაია

სპექტაკლის დასახელება - „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“
პიესის ავტორი - მზია ქირია
რეჟისორი - მზია ქირია
მხატვარი - ემილ გეგენავა
მუსიკალური გაფორმება - მზია ქირია
მონაწილეობენ - გულო ლოხიშვილი, ირაკლი ადამია, ტარიელ ზურაბაშვილი, ეკა კოღუა, ელგუჯა ნოდირაძე, ლერი ჯალაღნია, ნაზი ჯაიანი, ზურაბ ზურაბაშვილი, ლაურა ქოჯური, ცირა ადამია, რამაზ ლოლუა, ზვიად ზურაბაშვილი, ჯამბულ ჭანტურია, ლალი გაბელაია, ინგა ცირამუა, გოჩა დამენია, თენგიზ თოფურიძე, ჟორა დამენია

სპექტაკლის დასახელება - „მე გუშინ გარდავიცვალე“
პიესის ავტორი - გურამ ბათიაშვილი
რეჟისორი - მზია ქირია
მხატვარი - ემილ გეგენავა
მუსიკალური გაფორმება - მზია ქირია
მონაწილეობენ - ზვიად ზურაბაშვილი, ზურაბ ზურაბაშვილი, ლერი ჯალაღნია, ირაკლი ადამია, ტარიელ ზურაბაშვილი, ლადო ნარსია, თეა ლომია, ლადო კოკაია, რომა კუპრეიშვილი, ჟორა დამენია, ლაშა გოროზია, ცირა ადამია, ზაალ ალანია, რობერტ ნადარაია, ელგუჯა ნოდარიძე, გულნარა ლოხიშვილი, ლაურა ქოჯური

სპექტაკლის დასახელება - „ურჩი ბაჭია“
პიესის ავტორი - დავით კეჟერაძე
რეჟისორი - ირაკლი ადამია

მხატვარი - მალხაზ კორთხონჯია
მუსიკალური გაფორმება - ირაკლი ადამია
მონაწილეობენ - ზვიად ზურაბაშვილი, ცირა ადამია, ზურაბ ზურაბაშვილი, ლალი გაბელაია, ტარიელ ზურაბაშვილი

სპექტაკლის დასახელება - „Ai, Kaci!!! „
პიესის ავტორი - თამაზ მეტრეველი
რეჟისორი - ირაკლი ადამია
მხატვარი - ემილ გეგენავა
მუსიკალური გაფორმება - ირაკლი ადამია
მონაწილეობენ - ინგა ცირამუა, ცირა ადამია, ზურაბ ზურაბაშვილი, ელგუჯა ნოდარიძე, თენგიზ თოფურიძე, ჯამბულ ჭანტურია

სპექტაკლის დასახელება - „ჭრილობა“
პიესის ავტორი - ლაშა თაბუკაშვილი
რეჟისორი - ირაკლი ადამია
მხატვარი - მამუკა ბარქაია
მუსიკალური გაფორმება - ირაკლი ადამია
ქორეოგრაფი - ირინა კუპრავა
მონაწილეობენ - ლადო კოკაია, ცირა ადამია, ზურაბ ზურაბაშვილი, ზვიად ზურაბაშვილი, ლაშა გოროზია, ქრისტინე ხაინდრავა, ლევან ვეკუა, ლორენა სიჭინავა, სოფიო ლომაია, რომან კუპრეიშვილი

სპექტაკლის დასახელება - „იუბილე“
პიესის ავტორი - ანტონ ჩეხოვი
რეჟისორი - ირაკლი ადამია
მუსიკალური გაფორმება - ირაკლი ადამია
მონაწილეობენ - გოჩა დამენია, ეკა კოღუა, ზაალ ალანია, ლალი გაბელაია, ზურაბ ზურაბაშვილი, ჯამბულ ჭანტურია, ბორია ეჯიბია

შენობის შესაძლებლობები

აქვს თუ არა ფოიე - საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო - არა
ბუფეტი - დიახ
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ
ტექნიკური აღჭურვა
განათება - 12 პროჟექტორი, 1 პულტი
გახმოვანება - დინამიკი 4, მიკროფონი 4, პულტი
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა - 500/460
დარბაზი (რამდენი ადგილი, რამდენი იარუსი, სპეციფიკა, გეგმა)
პარტერში - 300
იარუსი - 160

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე - 6მ.
სცენის სიგანე - 9 მ.
სარკის სიგანე - 9 მ.
სარკის სიმაღლე - 5 მ.
საორკესტრო ორმოს სიგანე - 1,9 მ.
საორკესტრო ორმოს სიმაღლე - 2,5 მ.
საორკესტრო ორმოს რკალი - 2,9 მ.
სცენის წრის დიამეტრი - 9 მ.
სცენის მარჯვენა ჯიბე - 2 მ.
სცენის მარცხენა ჯიბე - 1,5 მ.
შტანგეტების რაოდენობა - 14/6
შტანგეტებს შორის ინტერვალი - 1,5 მ.
სოფიტების რაოდენობა - 4 მ.

საუბარი თეატრის მმართველ თენგიზ თოფურიძესა და სამხატვრო ხელმძღვანელ ირაკლი ადამიასთან

თენგიზ თოფურიძე:

- **როგორ აფასებთ კულტურისა და ხელოვნების დასპონსორების შესაძლებლობებს?**
- აუცილებლობას წარმოადგენს ხელოვნებისა და კულტურის დასპონსორება და სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი სპონსორთა წახალისებას საკანონმდებლო ბაზის შექმნით. თავისი შემოსავლით თეატრი ვერ იარსებებს, ერთი სპექტაკლი 3–4 ათასი ლარი გვიჯდება და მაქსიმუმ აქედან 1000 ლარი ამოვიღოთ, ამიტომ სულ წაგებაში ვართ და დახმარების, ქველმოქმედების გარეშე ძნელია არსებობა. ისეთი მდგომარეობაა ირგვლივ, რომ ხელმოკლედაა ხალხი და ჩვენს 2–ლარიან ბილეთებსაც ვერ ყიდულობს. სენაკელ მაყურებელს შესაძლებლობა არა აქვს და ვერ მოდის თეატრში, არადა სენაკი ყოველთვის განთქმული იყო თეატრალური მაყურებლით.
- **თუ გაქვთ საქველმოქმედო პროექტები?**
- სულ გადასული ვარ მოსაწვევებზე, ვეტერანებს უფასოდ ვაჩვენებთ სპექტაკლებს, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების სახლსაც ვეპატიჟებით, ჯარისკაცები ყოველთვის დადიან ჩვენს პრემიერებზე.
- **რა არის თქვენთვის სპონსორობა...**
- ორივე ერთადაა სპონსორობა – ფულის შოვნის საშუალებაც და კომპანიებთან ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობაც. ისე, ჩვენ მზად ვართ ყოველთვის მათთან თანამშრომლობისათვის. სახელმწიფოსაგან გამოყოფილი თანხები არაა საკმარისი თეატრის არსებობისათვის
- **რითი შეიძლება მოიზიდოთ დამატებითი თანხები?**
- შემოსავალი, ძირითადად, გვაქვს დარბაზის გაქირავების შედეგად, დამტკიცებული პროგრამით 500 ლარი ღირს, მაგრამ ხანდახან შეღავათებითაც ვაქირავებთ - 200 ლარად. გვაქვს კაფე–ბარი, ჩვენს თეატრში არის დეპუტატის ოთახიც და იქიდანაც შემოგვდის მცირე თანხა, გაქირავებული გვაქვს ოთახი ერთი–ერთი პარტიისათვის და ეს მოზიდული თანხები გვეხმარება არსებობაში. ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები სახელფასო ფონდშია გადანაწილებული
- **რა მარკეტინგული გამარჯვება გქონდათ 2010 წლიდან დღემდე?**
- როცა იუბილეს ვუხდით მსახიობს, მაშინ ბევრი ხალხი მოდის, ინტელიგენცია იკრიბება და ეს, ერთგვარად, თეატრის პოპულარიზაციაცაა. ჩემი ბენეფისი რომ გაიმართა, დიდი გამოხმაურება ჰქონდა, თეატრი მთლიანობაში აღიქვეს და დაინახეს. ამის შემდეგ გამგეობამ 40 ათასი ლარი დაგვიმატა ბიუჯეტზე.
- **რა პრობლემები გაქვთ?**
- 2005 წელს პრეზიდენტმა თანხა გამოგვიყო თეატრის გადასახურავად, ტენდერში გაიმარჯვა ზუგდიდის რომელიღაც სამშენებლო კომპანიამ. მოვიდნენ, გადახურეს თეატრი უხარისხოდ. ქარი რომ ამოვარდება, სცენაზე ვერ დადგები, ისეთი ხმაურია, ქარი აგდებს და არახუნებს სახურავს. გარდა ამისა, 2008 წელს ჩვენს თეატრს მოხვდა ჭურვი, განათების სიტემა მწყობრიდან გამოვიდა, ზუგდიდის თეატრი დაგვეხმარა და აღვადგინეთ. სცენაზე გვაწვიმს, ტექნიკურად გაუმართავია, არც გათბობა გვაქვს, არც საგრიმიოროები გვივარგა... 130 წლისაა სენაკის თეატრი და, უსახსრობის გამო, იუბილეც ვერ გადავიხადეთ .
- **ვინაა ძირითადი მაყურებელი?**
- საშუალო ფენა. ბიზნესმენები და ფულიანი ხალხი მე თეატრში არ მინახავს, უფრო ინტელიგენცია დადის – ექიმები, მასწავლებლები. ძირითადად, ახალგაზრდები დადიან და უფროსი თაობაცაა წარმოდგენილი.
- **თუ გაქვთ საბავშვო სპექტაკლები?**
- გვაქვს თოჯინების ოთხი სპექტაკლი, დიდ სცენაზე ვთამაშობთ. ბავშვებისთვის ეს დიდი სიხარულია. ისეთი რეპერტუარია, რომ მისაღები იყოს პატარა თაობისათვის. თეატრი რომ გამოცოცხლდეს, უნდა მივაღწიოთ აბონემენტების სისტემის აღდგენას. სოფლის სკოლები უფრო დაინტერესებული არიან, ვიდრე – ქალაქისა. ისინი შორიდან მოდიან ჩვენს სპექტაკლებზე.
- **რა გეგმები გაქვთ?**
- ყველამ უნდა შეიგნოს, რომ თეატრს ჰქონდეს თავისი შემოსავალი, აღადგინონ აბონემენტების სისტემა. ჩემი ოცნებაა, გამივრცელონ აბონემენტები!
- **როგორი სარეპერტუარო პოლიტიკა გაქვთ შემუშავებული, პიესებს როგორ არჩევთ?**
- ჩვენ გვყავს სამხატვრო საბჭო, რომელიც განსაზღვრავს რეპერტუარს. დავდგით თამაზ ჭილაძის „ნახვის დღე“, კარგი სპექტაკლი გამოვიდა, მაგრამ მაყურებლისთვის მძიმე აღსაქმელი იყო. ვითვალისწინებთ მათ გემოვნებასა და მოთხოვნილებას, მაგრამ ჩვენი მხრივ ვთავაზობთ თანამედროვე ქართულ და უცხოურ დრამატურგიასაც.
- **რეჟისორებს როგორ იწვევთ?**
- ფაქტობრივად, ვერ ვიწვევთ უსახსრობის გამო. პირველი სპექტაკლი ჩვენს თეატრში დაიდგა მოლიერის „ძალად ექიმი“. ანზორ გვაძაბიას სურს ჰონორარის გარეშე დადგას ეს სპექტაკლი, გვსურს ირაკლი გოგიას მოწვევაც, თუმცა გვყავს ორი მუდმივი რეჟისორი და ეს დიდი საქმეა ამ თეატრისთვის

ირაკლი ადამია:

- **რა შემოქმედებითი პრობლემები გაქვთ?**
- არაპროფესიონალიზმი. მსახიობების დაოსტატებისა და განათლების საქმე მძიმე თემაა, სამი–ოთხი დიპლომიანი მსახიობი გვყავს, დანარჩენები არაპროფესიონალები არიან. საშუალება არა გვაქვს, მოვიწვიოთ მსახიობები, ახალგაზრდები ხომ უნდა მოვიდნენ თეატრში, ჯერ არ ჩანან, რადგან არაა სათანადო პირობები.
- **რა იყო ყველაზე დიდი შემოქმედებითი გამარჯვება?**
- გამოკვეთილად, სიამაყის გრძნობით აღვნიშნავ თ. მეტრეველის პიესას, რომელსაც არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად.

გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად გავმართეთ საქველმოქმედო სპექტაკლი, 1500 ლარი ჩავრიცხეთ ფონდში და სადაც მივდიოდით, მადლობას გვიხდიდა ყველა, რომ სიკეთეს გვაკეთებინებთო.

- **როგორ ხდება ინფორმაციის შემოდინება?**
- მჭიდრო კავშირი გვაქვს ბატონ გურამ ბათიაშვილთან, მისი პიესებიც დაგვიდგამს, გვიგზავნის ჟურნალს "თეატრი და ცხოვრება"...

თეატრმცოდნეები არ ჩამოდიან ჩვენთან, არც ერთ სპექტაკლზე რეცენზია არ დაწერილა, – ეს საკმაოდ მძიმეა თეატრისათვის. სიახლეა ის, რომ ჩვენთან ჩამოყალიბდა მოზარდმაყურებელთა თეატრი, მე ვარ რეჟისორ–კონსულტანტი. მათ დადგეს „ჰელადოსი", ეს სენაკისთვის დიდი მოვლენაა.

მაყურებელის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები
სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
გამოიკითხა 98 მაყურებელი



98-მაყურებლიდან 23 ნახულობს ყოველ ახალ დადგმას, ხოლო 19 მხოლოდ საინტერესო სპექტაკლების სანახავად სტუმრობს თეატრს, 30 მაყურებელი ამბობს, რომ არ ყოფილა თეატრში 3 წელია. აღსანიშნავია, რომ სენაკში მაყურებელი თანაბრად არის აქტიური და პასიური, რადგან 42 მაყურებელი 98 გამოკითხულიდან ამბობს, რომ სტუმრობს თეატრს.



მაყურებლის დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ თეატრში თავისუფალი დროის უქონლობის გამო არ დადის, 19 მათგანი ამბობს, რომ შორს ცხოვრობს და ვერ ახერხებს თეატრში მისვლას, ხოლო 12 თეატრში არმისვლის მიზეზად ასახელებს სოციალურ პრობლემას, რომ მათ არ შეუძლიათ იყიდონ ბილეთი.



სენაკელ მაყურებელთა უმრავლესობას თეატრში მსახიობის ხელოვნება ხიბლავს, ხოლო მეორე მიზეზად, თუ რისთვისაც მიდიან ისინი თეატრში, ასახელებენ: გავიგო რაიმე ახალი; ასევე, დიდი რაოდენობა დასვენებისა და გართობის მიზნით სტუმრობს თეატრს. 13 მათგანი ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად მიდის თეატრში.



ყველაზე პოპულარული ჟანრი სენაკში კომედიაა, ამ ჟანრმა 98-დან 68 ხმა მიიღო; თანაბარი მოთხოვნაა მუსიკალურ კომედიასა და ფსიქოლოგიურ დრამაზე.



სპექტაკლის შესახებ ინფორმაციას სენაკში აფიშიდან იგებენ, 22 რესპოდენტი სატელევიზიო რეკლამას ასახელებს, ხოლო 10 ინტერნეტ საშუალებას.



ყველაზე მეტი, 28 მაყურებელი თეატრში მსახიობების სანახავად მიდის, ასევე, მათთვის საინტერესოა სპექტაკლის თემა, ზუსტად თანაბარი რაოდენობა დააგროვა მიზეზებმა: წაკითხული მქონდა ნაწარმოები, მაინტერესებდა რეჟისორის ახალი ნამუშევარი და სხვაგან არსად მქონდა წასასვლელი.



სენაკელ მაყურებელს ენატრება ისტორიული ჟანრის პიესების ხილვა სცენაზე, ასეთი 32 რესპოდენტია, 29 მაყურებელი ქართულ კლასიკას ითხოვს, ხოლო 20 მაყურებელი თანამედროვე ქართულ დრამატურგიას. მხოლოდ 12 მაყურებელია მომხრე რეპერტუარის მრავალფეროვნებისა.



98 გამოკითხულიდან 55-ისთვის ყველაზე მთავარი სპექტაკლში ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსია, ასევე, მნიშვნელოვანია სენაკელებისთვის სპექტაკლში პოლიტიკური მოტივი, ხოლო მესამე პოზიციაზე დგას - საინტერესო ამბავი.



ყველაზე ეფექტურ სარეკლამო საშუალებად სენაკელი მაყურებელი აფიშას მიიჩნევს (51 რესპოდენტის აზრით), ხოლო 49 სატელევიზიო რეკლამას ასახელებს, 26 ინტერნეტ საშუალებებს ასახელებს ყველაზე ეფექტურ რეკლამად.



ორად გაიყო აზრი სენაკელ მაყურებლებს შორის კრიტიკისადმი ნდობის გამოცხადების თაობაზე. 39 მათგანი აცხადებს, რომ კრიტიკას არ ენდობა, ხოლო 38 მხოლოდ ნაწილობრივ ენდობა.

კითხვაზე - რომელი რეჟისორი მოგწონთ ყველაზე მეტად? - სენაკელმა მაყურებელმა არცერთი ადგილობრივი რეჟისორი არ დაასახელა მიუხედავად იმისა, რომ თეატრში ორი რეჟისორი მზია ქირია და ირაკლი ადამია მოღვაწეობენ.



ქართველი რეჟისორებიდან სენაკში ყველაზე მეტი ხმა - 30 რობერტ სტურუამ მიიღო, ხოლო მეორე ადგილზე 25 ხმით ლევან წულაძეა, სენაკში, ასევე, მოსწონთ ავთანდილ ვარსიმაშვილი, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა.

სამწუხაროა, რომ სენაკელმა მაყურებელმა სენაკის თეატრში მოღვაწე მხოლოდ სამი მსახიობი: რაულ გოგოტიშვილი, ცირა ადამია და ელგუჯა ნადირაძე დაასახელა. რაულ გოგოტიშვილმა 98 გამოკითხულიდან მხოლოდ ორი ხმა მიიღო, ხოლო დანარჩენმა ორმა მსახიობმა თითო-თითო ხმა. მსახიობთა რეიტინგმა სენაკის მაგალითზე კი ასეთი სახე მიიღო:

1. რუსკა მაყაშვილი 19-ჯერ
2. გივი ბერიკაშვილი 16-ჯერ
3. გიორგი ვარდოსანიძე 14-ჯერ
4. კახი კავსაძე 13-ჯერ
5. მურმან ჯინორია 13-ჯერ
6. ნინელი ჭანკვეტაძე 8-ჯერ
7. ლელა მებურიშვილი 7-ჯერ
8. გურანდა გაბუნია 5-ჯერ
9. ვანიკო თარხნიშვილი 5-ჯერ
10. ბაჩო ქაჯაია 4-ჯერ
11. თენგიზ არჩვაძე 3-ჯერ
12. ჟანრი ლოლაშვილი 3-ჯერ
13. ნანკა კალატოზიშვილი 3-ჯერ
14. ზურაბ ყიფშიძე 3-ჯერ
15. გოგა ბარბაქაძე 2-ჯერ
16. გიორგი ყიფშიძე 2-ჯერ
17. თათული დოლიძე 2-ჯერ
18. მარინა კახიანი 2-ჯერ
19. მიშა გომიაშვილი 2-ჯერ
20. ლევან ყოჩიაშვილი 2-ჯერ
21. **რაულ გოგოტიშვილი 2-ჯერ**
22. ნიკა თავაძე 2-ჯერ
23. ნინო გაჩეჩილაძე 2-ჯერ

ცირა ადამია, ელგუჯა ნოდარიძე, ეკა კახიანი, ლევან უჩანეიშვილი, ლეო ანთაძე, ნანა ფაჩუაშვილი, ქეთი კანტიძე, ანა ტყებუჩავა, გურამ ჯაში, თათული ედიშერაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, სოსო ჯაჭვლიანი.



45 მაყურებელი მიიჩნევს, რომ თეატრში სხვა ტიპის გასართობი საშუალებაც უნდა ფუნქციონირებდეს, ხოლო 35 მიიჩნევს, რომ არ უნდა არსებობდეს თეატრში სხვა რომელიმე დაწესებულება, გარდა თავად თეატრისა.

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
მოკლე ისტორია და თეატრის შენობა

თელავის თეატრი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. პირველი წარმოდგენები თელავში მეფე ერეკლე მეორის დროს იმართებოდა. სპექტაკლების ჩვენება განახლდა XIX საუკუნის II ნახევარში. 1866 პირველ სპექტკლად უჩვენეს გ. ერისთავის "გაყრა". იმავე წელს დაიდგა ზ. ანტონოვის "მზის დაბნელება საქართველოში". რევოლუციამდე თელაავის თეატრში გამოდიოდნენ ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატები ნ. გაბუნია-ცაგარელი, მ. საფაროვა-აბაშიძე, ნ. ჩხეიძე, ლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი და სხვა. პროფესიული თეატრი თელავში გაიხსნა 1931-1932 სეზონში. ხელმძღვანელად დაინიშნა რეჟისორი ვ. გარიკი (ვაჩნაძე).1986 წელს ზეიმით აღინიშნა თელავის თეატრის დაარსების 200 წლისთავი. თელავის თეატრი სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეა და მრავალი ჯილდო და პრემია აქვს მიღებული. დღეს თეატრს ჰყავს ნიჭიერი დასი, რომელიც ღირსეულად აგრძელებს თეატრის ტრადიციებს.

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ერთ-ერთი ავტორი და არქიტექტორია კონსტანტინე მემანიშვილი.

თეატრის დასახელება - სსიპ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების წელი - 18-ე საუკუნის ბოლოს თელავში ერეკლე მეფის კარზე დაიწყო მოღვაწეობა პროფესიულმა დასმა
თეატრის იურიდიული ფორმა - ს.ს.ი.პ. ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები
სამხატვრო ხელმძღვანელი - პაატა გულიაშვილი
მთავარი რეჟისორი - გიორგი ჩაკვეტაძე
თეატრის ელ. ფოსტა - telavisteatri@gmail.com
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა - paata.guliashvili@gmail.com
ვებგვერდის მისამართი - facebook.com/TelaviTeatre
თეატრის მისამართი - ერეკლე მეორის მოედანი №7
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 56
ამათგან მსახიობთა რაოდენობა - 18
შემოქმედებითი პერსონალი - 21
ტექნიკური პერსონალი - 35
ადმინისტრაცია - 6

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	13099		765 000	
2011	7000		184 372	
2012	22000		197 448	

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით
2010 წელი - 14 260 ლარი
2011 წელი - 16 606 ლარი
2012 წელი - 4 835 ლარი

2010-2012 **წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი, წლების მიხედვით)**

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წელი – 7 სპექტაკლი
2011 წელი – 19 სპექტაკლი
2012 წელი - 17 სპექტაკლი
დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელი – 4 278
2011 წელი– 5 355
2012 წელი – 1 612
ბილეთის ტარიფები - 3 ლარი

თეატრის შემოსავალი რაიმე სხვა საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა)
2010 წელი – 14 700
2011 წელი – 30 900
2012 წელი – 34 750
საშუალოდ რა უჯდება თეატრს ახალი სპექტაკლის დადგმა - 7 000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა - 3 000 ლარი
დაახლოებით რამდენია რეჟისორის ჰონორარი - 3 800 ლარი
რამდენია მოწვეული მსახიობის ჰონორარი - 350 ლარი
მსახიობის საშუალო ხელფასი
უმდაბლესი - 210 ლარი,
უმაღლესი – 500 ლარი
თეატრი გასტროლებზე (2010-2012 წწ.)
საშუალოდ რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა:
ქვეყნის შიგნით - 10 000 ლარი
საზღვარგარეთ - არ ყოფილა
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი - არ არის
ქვეყნის შიგნით - არა
ქვეყნის გარეთ - არა
რომელ ფესტივალში მონაწილეობდა თეატრი - 2010 წელს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტ ივალი.
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას)
რუსთაველის თეატრი, მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი.
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2010-2012 წწ) - არა
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - გვსურს
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - გვყავს
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - გვსურს
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - გვსურს
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარსამსახურის მენეჯერი - ჰყავს
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრianება - გვსურს
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება - გვსურს
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ახალგაზრდა – 27 წლის
ხანდაზმული - 80 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა - 2000 წელს.

რეპერტუარი 2010-2012 წწ.

სპექტაკლის დასახელება - ,,სამოთხის კვარტეტი”
პიესის ავტორი - თ. ჭილაძე
რეჟისორი – გ. ჩაკვეტაძე.
მხატვარი – მაია სხირტლაძე

სპექტაკლის დასახელება - ,,თეთრი ბაირაღები”
პიესის ავტორი - ნ. დუმბაძე
რეჟისორი - გ. ჩაკვეტაძე,
მხატვარი – მ. სხირტლაძე

სპექტაკლის დასახელება - ,,ეზოში ავი ძაღლია”
პიესის ავტორი - კ. ბუაჩიძე
რეჟისორი - გ. ჩაკვეტაძე,
მხატვარი – მ. სხირტლაძე

სპექტაკლის დასახელება - ,,მშვიდობით, ლომებო”
პიესის ავტორი - თ. ჭილაძე
რეჟისორი - გ. ჩაკვეტაძე,
მხატვარი – თ. როსტომაშვილი

სპექტაკლის დასახელება - ,,მშვიდობით ლომებო”
პიესის ავტორი - რაფიელ ერისთავი
რეჟისორი - ნუგზარ ლორთქიფანიძე
მხატვარი – ჯეირან ფაჩუაშვილი

სპექტაკლის დასახელება - ,,სათაგური”
პიესის ავტორი - ვაჟა - ფშაველას მოთხრობის მოხედვით
რეჟისორი - ოთარ ბაღათურია
მხატვარი – მაია სხირტლაძე

სპექტაკლის დასახელება - ,,რკინის ბიჭები”
პიესის ავტორი - ალდო ნიკოლაი
რეჟისორი - კოტე აბაშიძე
მხატვარი – მაია სხირტლაძე

სპექტაკლის დასახელება - ,,სადილი ექვსისთვის”
პიესის ავტორი - მარკ. კამოლეტე
რეჟისორი - იოსებ ბაკურაძე
მხატვარი – ავთო მოდებაძე

სპექტაკლის დასახელება - ,,ესპრესსო”
პიესის ავტორი - რ. სმოროდინოვი
რეჟისორი - ლევან ხვიჩია
მხატვარი – ლ. როსტომაშვილი

სპექტაკლის დასახელება - ,,მგზნებარე შეყვარებულები”
პიესის ავტორი - ნილ საიმონი
რეჟისორი - თ. პოპიაშვილი
მხატვარი – ბ. ასლამაზიშვილი

სპექტაკლის დასახელება - ,,მოგვთა საჩუქარი”
პიესის ავტორი -თ. ხუხაშვილი
რეჟისორი - თ. ხუხაშვილი
მხატვარი – მ. სხირტლაძე

სპექტაკლის დასახელება - ,,თეთრი ბაირაღები”
პიესის ავტორი - ნ. დუმბაძე
რეჟისორი - გ. ჩაკვეტაძე
მხატვარი – მ. სხირტლაძე

საუბარი თელავის თეატრის მმართველ პაატა გულიაშვილთან

- **როგორ გეგმავთ რეპერტუარს?**
- დავიწყოთ იმით, რომ მე 2012 წლის 1 ივლისს დავინიშნე და აქ დამხვდა მთავარი რეჟისორი გოგი ჩაკვეტაძე. სამხატვრო საბჭო არ არსებობდა, შევქმენით. ერთპიროვნული გადაწყვეტილებები არასოდეს მიმიღია. ყველა თეატრს თავისი მაყურებელი ჰყავს და კლასიკა აუცილებლად უნდა გქონდეს რეპერტუარში და ასეა ჩვენთანაც. ჩემთვის გაუგებარია რას ნიშნავს “საკასო სპექტაკლი“, ბილეთი უნდა გაიყიდოს, აუცილებელია ეს. თუმცა პიესის შერჩევისას, ძირითადად, გამოვდივარ ბიუჯეტიდან, რისი საშუალება მაქვს მოცემულ მომენტში. თეატრში ვალები დამხვდა, უმძიმესი მდგომარეობა, არაფერი არ გააჩნდა, არც მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, ბლანკიც კი არ იყო, მინისტრის სახელზე წერილი რომ დამეწერა. რაც მოვედი, 5 ახალი სპექტაკლი დავდგით. მართალია, ეს არ იყო მაღალი ხარისხის წარმოდგენები, თუმცა დაიძრა შემოქმედებითი პროცესი და ამ წვალებასა და შრომაში მიიღებ ხარისხს. ჩვენი თეატრის ყველაზე დიდ წარმატებად მიმაჩნია ის, რომ რობერტ სტურუა დავითანხმეთ და ის ჩვენი თეატრის სამხატვრო კონსულტანტია. მან თავისი შენიშვნები მისცა და ჩაიბარა ბოლო სპექტაკლი, ამიტომ ყველა შემოთავაზება სტურუასთან გადის კონსულტაციას: რა დაიდგას და როგორ განხორციელდეს. აქაურმა 15–მდე ბიზნესმენმა გამოთქვა შეხვედრის სურვილი და შევთანხმდით, რომ თვეში თითო ბიზნესმენი 150 ლარზე ნაკლებ ბილეთს არ იყიდის. მთავარია ის, რომ ამ ბილეთს მაყურებელი მოჰყვება. სასიამოვნოა ისიც, რომ ჩვენი მეუფეც ჩაერთო ამ საქმეში. არიან ახალგაზრდები, რომლებიც თეატრში საერთოდ არ არიან ნამყოფები. ბიზნესმენები დაგვპირდნენ, რომ ავტობუსით სოფლებიდან დაპატიჟებდნენ სპექტაკლებზე ახალგაზრდებს.
- **რა ტიპის დრამატურგია მოსწონთ თელავში?**
- ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ თანამედროვე დრამატურგიას ეტანებიან მაყურებლები. რთულია უპასუხო იმას, რა აინტერესებს თანამედროვე მაყურებელს, ასე ზღვარის გავლება ჭირს. ალბათ ყველაფერი უნდა შესთავაზო და მერე გაირკვევა.
- **რა შემოქმედებითი პრობლემების წინაშე დგას თეატრი**
- ახალგაზრდა მსახიობების პრობლემა გვაქვს. არადა, შტატები არაა, რომ ჩასვა და ხელფასი უხადო. ამიტომ

გამოსვლისას ვუხდი მსახიობებს. ვიფიქრე მიზნობრივი ჯგუფის გახსნა, მაგრამ ესეც ფინანსებთანაა დაკავშირებული. უმჯობესი იქნება, გავხსნა თელავის თეატრთან არსებული ორწლიანი სტუდია, რომელიც თეატრის ბაზაც გახდება, მიებმება თეატრს, მასიურ სცენებში დააკავებ ახალგაზრდებს და რაღაც პერსპექტივას შექმნის. გმირი არ მყავს თეატრში, რუსთაველის თეატრიდან ჩამომყავს მსახიობი, როცა ტიპაჟი ადგილზე არაა. დასის განახლება, ფაქტობრივად, ვერ ხერხდება.

- **რა შემოქმედებითი წარმატებები გქონდათ?**
- სამხატვრო კონსულტანტად რ. სტურუას დანიშვნა და 6 სპექტაკლის გამოშვება, ასევე, რუსთაველის თეატრი თვეში ერთხელ გვითმობს დარბაზს და წარმოდგენას ვმართავთ, ფოთში ვიყავით გასტროლზე, ქობულეთში, ბათუმში. მცირე სცენა გავაკეთეთ - ეს ყველაფერი ღირს შემოქმედებით მიღწევად!
- **რას იტყვით კულტურისა და ხელოვნების დასპონსორების შესახებ?**
- სპონსორებმა იციან, რომ ჩვენთან, თეატრთან ურთიერთობა პრესტიჟულია ბიზნესმენისთვის. როცა ბიზნესმენი გეტყვის: ბედნიერი ვარ იმით, ჩემი შვილი შემოვიდეს თეატრში, ჩემი თანამშრომელი მოვიდეს აქამდეო... ეს დიდი იშვიათობა და სასიამოვნო ფაქტია. მათ გაუჩნდათ სურვილი, რომ ყოფილიყვნენ თეატრის მეგობრები, ყველას სახელი დაწერილიყო აქ, დარბაზში, თუნდაც სავარძლებზე. თელავი პატარა ქალაქია და მერე სხვებსაც მოტივაცია და სურვილი გაუჩნდებათ თეატრთან მეგობრობისა. მათ არ სურთ რაღაც განსაკუთრებული რეკლამა, ისინი ჩემი მეგობრები არიან და, ამდენად, დაგვიდგნენ გვერდით.
- **რაიმე შეთავაზება თუ გაქვთ სპონსორთათვის?**
- როცა გადავწყვიტეთ, რომ შეგვეძინა კონდიციონერები, მივედი მაღაზიაში. იქ დამხვდა ადამიანი, რომელიც გამომელაპარაკა, შემოგვთავაზა, რომ ყოველ თვეში 300 ლარის ბილეთებს შეიძენდა, კარგი ფასდაკლებაც გაგვიკეთა. ჩვენ რა შეგვიძლია შევთავაზოთ სპონსორს?! - აფიშაზე, მოსაწვევზე, ბილეთზე რეკლამა... ჩვენი სპონსორები არიან: ბეკო, ნიკორა, ბანკი კონსტანტა, თელავის ნაყინი, ხაკურის ღვინის ქარხანა, თარჯიმანთა ბიურო, რომელიც უსასყიდლოდ გვიბეჭდავს აფიშებს, თელავის ღვინის მარანი, სასტუმროების ქსელი თელავი; სამარშრუტი ტაქსი არ გვყავს და ვეუბნები, შეფუთეთ თქვენი პროდუქციით და თელავის თეატრიც ეწეროს–მეთქი. ერთობლივი პროექტი მქონდა მხოლოდ კულტურის სამინისტროსთან „მგზნებარე შეყვარებულები“, სადიპლომო სპექტაკლი დადგა ჩვენთან დიპლომანტმა. პიარში მეხმარება რუსთაველის თეატრი, ჩვენ შტატები არ გvაქვს და ყველაფრის გაკეთება თითქმის მე მიხდება. „ბილაინთან“ მაქვს მოლაპარაკება: კახეთის მასშტაბით SMS მიუვიდეს მომხმარებელს, რომ დღეს სპექტაკლია თელავის თეატრში და ეწვიეთ. ბიზნესმენებმა მითხრეს, მაგ ფულს ჩვენ გადავიხდითო.
- **რა არის თქვენთვის სპონსორობა?**
- ფულის შოვის საშუალებაცაა და თანამშრომლობაც. გერმანიაში არსებობს ბევრი თეატრი, რომელსაც თავად ქალაქის მოსახლეობა ინახავს. თელავის თეატრი უდიდესი ისტორიისაა (252 წლისაა), მაგრამ სოციალური ფონია მძიმე ქვეყანაში და აქ ვერავის მოსთხოვ, ხელფასიდან რაღაც თანხა თეატრისთვის გადარიცხე-თქო.
- **რისთვისაა საკმარისი სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები?**
- წელიწადში 180 ათასი ლარი გვაქვს გამოყოფილი და ის მხოლოდ სახელფასო ფონდში მიდის. ფინანსთა მინისტრი დაგვპირდა ბიუჯეტის გაზრდას. ჩვენთან უმაღლესი ხელფასი მსახიობისთვის არის 500 ლარი, ამის გაზრდას ვაპირებთ 700–მდე.
- **რა იყო თეატრის ყველაზე დიდი წარმატება მარკეტინგულად?**
- ის, რაც გესაუბრეთ
- **რა პრობლემები გაქვთ?**
- ჩვენ არ ვითხოვთ რამე განსაკუთრებულს, მაგრამ საშტატო ერთეულები უნდა დაგვემატოს. იყო შემოთავაზება, რომ კაფეს გავაკეთებთ ფოიეშიო, მაგრამ არ მსურს თეატრი სალოთაო ადგილი გახდეს. რეალურად, ქალაქში არ არსებობს სხვა სივრცე, სხვა დარბაზი. მეტალურგიულ ქარხანას ჰგავს თეატრის ფასადი, საშინელი ხედია და ეს უნდა გადაწყდეს ასე თუ ისე. თუკი ყოველთვიური შემოსავალი გაგვიჩნდება, თეატრი ფეხზე დადგება. სპონსორებთან გაფორმებული 1–წლიანი კონტრაქტი დიდი ნუგეშია თეატრისთვის. ჩვენი მცირე დასის გამო ერთდროულად ორ სპექტაკლზე ვერ დაიწყებ რეპეტიციას, სადადგმო ხარჯი მაინც ცოტაა, არადა 6 თვეში ჩვენი თეატრი მეორე ადგილზე გავიდა რესპუბლიკაში სპექტაკლების დადგმის მიxედვით.
- **მაყურებლის ასაკზე რას გვეტყვით?**
- ყველა ასაკის მაყურებელი დადის
- **საბავშვო რეპერტუარი თუ გაქვთ?**
- თოჯინების წარმოდგენები გვაქვს და საახალწლოდაც ვაკეთებთ სპექტაკლებს.
- **რა სამომავლო გეგმები გაქვთ?**
- ძირითადი არის ცვლილებები თეატრის კანონთან დაკავშირებით, რომ გარკვეული იყოს ფუნქციები. ძალიან მინდა, ახალგაზრდებს მოვუყარო თავი და სტუდია ავამუშავოთ.
- **თუ გაქვთ საქველმოქმედო პროექტები?**
- ყველა წარმოდგენაზე გვესწრებიან ლტოლვილები, არასრულწლოვანი პრობაციონერები, გიორგი ყორღანაშვილსაც დავეხმარეთ, ლეიკემიით დაავადებულებს, რამდენიმე ადამიანს სახლი დაეწვა, მოკლედ, თუ ვინმეს უჭირს, შეძლებისდაგვარად, ყველას ხელს ვუწვდით.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვა
თელავის ვაჟა-ფშაველას პროფესიული სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
გამოიკითხა 56 მაყურებელი

თელავში მაყურებელი ამ გამოკითხვის შედეგების მიხედვით საკმაოდ აქტიურია. 56 გამოკითხულიდან 9 ყოველ ახალ დადგმას ნახულობს, 14 მხოლოდ საინტერესო სპექტაკლებს ესწრება, ხოლო 11 ხშირად დადის თეატრში. მხოლოდ 13 რესპოდენტი ამბობს, რომ წელიწადში 1-2 ჯერ სტუმრობს თეატრს.



თეატრში მიუსვლელობის მიზეზად თელაველი მაყურებელი თავისუფალი დროის უქონლობას ასახელებს, 12 ამბობს, რომ სპექტაკლების დონე არ აკმაყოფილებს.



თელავში მაყურებელი თეატრში დასვენებისა და გართობის მიზნით დადის, - ასეთი პასუხი გაგვცა 27 რესპოდენტმა, 19 მათგანი კი საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორის ახალი ნამუშევრის სანახავად სტუმრობს თეატრს.



ისე, როგორც ყველა რეგიონში, ჟანრებს შორის ყველაზე დიდი მოთხოვნა თელავშიც კომედიურ ჟანრზეა, მეორე ადგილზე კი მელოდრამაა, 9 რესპოდენტს ფსიქოლოგიური დრამა მოსწონს, ხოლო 7 -ს - მუსიკალური კომედია.



მაყურებელი სპექტაკლის გამართვის შესახებ თელავში ინფორმირებულია აფიშით, მცირე პროცენტი სატელევიზიო რეკლამითა და კიდევ უფრო მცირე - ინტერნეტით. როგორც ჩანს, თელავში რადიოთი თეატრის შესახებ ინფორმაცია არ ან თითქმის არასდროს გადაიცემა.



დრამატურგიის ტიპის არჩევანისას კი 24 მაყურებელს თანამედროვე ქართული პიესის ინტერპრეტაციის ხილვა სურს, ხოლო თანაბარი მოთხოვნაა ისტორიულ ჟანრსა და კლასიკურ ქართულ რეპერტუარზე. ასევე, 14 გამოკითხული ასახელებს, რომ თეატრში აუცილებელია ყველა ტიპის დრამატურგია იდგმებოდეს.



ყველაზე მეტად მთავარი მიზეზი თელავში მაყურებლის თეატრში მისვლისა არის სპექტაკლის საინტერესო თემა, ასევე, ნაწარმოების ცნობადობა და საყვარელ მასხიობებთან შეხვედრა.



თელაველი მაყურებლისთვის მთავარი სპექტაკლში საინტერესო ამბავია, ასევე, მნიშვნელოვანია ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსი და მსახიობის ნამუშევარი.



როგორც ჩანს, ინფორმაციას მაყურებელი სპექტაკლის შესახებ აფიშით იგებს, ასევე, სატელევიზიო რეკლამითა და ინტერნეტის საშუალებით. აქ გაჩნდა რადიო (9 ხმა) და პრესა (6 ხმა), რაც იმას ნიშნავს, რომ მაყურებელი თეატრში რადიოს მიერ გადაცემული ინფორმაციის საშუალებით მოხვდა.



თელავში მეტ-ნაკლები სერიოზულობით ეკიდებიან სათეატრო კრიტიკას. 30 მაყურებელი მას ნაწილობრივ ენდობა, 18 არ ენდობა, ხოლო 3 მთლიანად ენდობა. სხვათა შორის, თელავში 56 გამოკითხულიდან მხოლოდ ორმა შეძლო დაესახელებინა მისთვის ნაცნობი კრიტიკოსი. ასეთები აღმოჩნდნენ: თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე და კინომცოდნე თეო ხატიაშვილი

კითხვაზე რომელი რეჟისორი მოგწონთ ყველაზე მეტად, ჩამოთვლილთაგან დასახელდა:
გოგი ჩაკვეტაძე 3 - ჯერ
თემურ ჩხეიძე 2 -ჯერ
შალვა გაწერელია 1 -ჯერ, თუმცა მათზე მეტი ხმა რობერტ სტურუამ (24) და ლევან წულაძემ (16) დააგროვეს



თელავში მსახიობთა რეიტინგის სათავეში ადგილობრივი ვანო იანტბელიძე მოექცა, ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა ადგილობრივ თეატრში მოღვაწე მსახიობს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე დედაქალაქის რომელიმე თეატრში მოღვაწე მსახიობს. ეს შედეგი პირდაპირ მიუთითებს ვანო იანტბელიძის პოპულარობის ხარისხზე თელავში. აღსანიშნავია, რომ რეიტინგში მოხვდნენ ნონა ხუმარაშვილი (ათეულში) და ლალი გულიაშვილი (ოცეულში). საბოლოოდ, რეიტინგმა ასეთი სახე მიიღო:

1. **ვანო იანტბელიძე 9-ჯერ**
2. კახი კავსაძე 7-ჯერ
3. გივი ბერიკაშვილი 6-ჯერ
4. რუსკა მაყაშვილი 6-ჯერ
5. დუტა სხრიტლაძე 4-ჯერ
6. ზურა ყიფშიძე 4-ჯერ
7. კოტე თოლორდავა 3 -ჯერ
8. პაატა გულიაშვილი 3-ჯერ
9. **ნონა ხუმარაშვილი 3-ჯერ**
10. გიორგი ვარდოსანიძე 3-ჯერ
11. გია ბურჯანაძე 3-ჯერ
12. ეკა კახიანი 3-ჯერ
13. ჟანრი ლოლაშვილი 2-ჯერ
14. თენგიზ არჩვაძე 2-ჯერ
15. ნინელი ჭანკვეტაძე 2-ჯერ
16. **ლალი გულიაშვილი 2-ჯერ**

მარინა ჯანაშია, ზაზა პაპუაშვილი, დავით ხურცილავა, გიორგი ყიფშიძე, მარინა კახიანი, თათული ედიშერაშვილი, ზაზა კოლელიშვილი, მაკა გრემელაშვილი, გიო ბოლაშვილი, თემო ხუხაშვილი, ვენერა ფეიქრიშვილი, გიორგი გურგულია, ზაზა სალია



უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულება? - მაყურებლის დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ თეატრში სასურველია იყოს კაფე, 37-დან 4 ღამის კლუბის მომხრეც არის. 56 გამოკითხულიდან კი მხოლოდ 11 რესპოდენტია წინააღმდეგი თეატრში რაიმე ტიპის გასართობი დაწესებულების გახსნისა.

გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია
გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი ერთადერთი მოქმედი თეატრია მთელ შიდა ქართლში, რომელიც 167 წლისაა და ქართული თეატრალური ტრადიციების ღირსეული მატარებელია. პირველი საჯარო წარმოდგენა ქ. გორში 1845 წლის 26 ივლისს გაიმართა. ამ დროიდან იწყება გორში სცენის მოყვარეთა წარმოდგენების გამართვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროფესიული თეატრი სათავეს იღებს გიორგი ერისთავის პიესით ,,გაყრა". 1939 წელს გორის თეატრს გიორგი ერისთავის სახელი მიენიჭა. შენობა 1939 წელს მიიღო და 1940 წლის იანვარს ნაჩვენები იქნა პირველი წარმოდგენა იოსებ გედევანიშვილის დრამა ,, გადასასვლელზე", რომელმაც მაყურებლის ფართო გამოხმაურება ჰპოვა. აქ მოღვაწეობდნენ ისეთი სახელგანთქმული რეჟისორები და მსახიობები, როგორებიც არიან: პ. ფრანგიშვილი, ვ. ყუშიტაშვილი, ს. ვაჩაძე, ლ. იოსელიანი, გ. აბრამიშვილი, თ. აბაშიძე, თ. ერისთავი, შ. ხერხეულიძე, ქ. ბოჭორიშვილი და სხვა. დაიდგა უამრავი საინტერესო სპექტაკლი, რომლებმაც სახელი გაუთქვეს გორის თეატრს და რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც ქართული თეატრის ,,ოქროს ფონდში" არის შესული. გორის თეატრის სცენაზე მრავალი მსახიობი დაოსტატდა. დღესაც თეატრი ღირსეულად განაგრძობს მდიდარ ტრადიციებს და ეწევა შემოქმედებით საქმიანობას.

თეატრის შენობა
გორის დრამატული თეატრის შენობა 1939 წლის 21 დეკემბერს გაიხსნა, 1947 წლის 15 ნოემბერს კი თეატრს მიენიჭა ქართველი დრამატურგის, გიორგი ერისთავის სახელი. თანამედროვე შენობა, რომლის პროექტიც ეკუთვნის არქიტექტორ მ. თავაძეს მიხეილ ჩხიკვაძესთან ერთად, აიგო 1939 წელს, თუმცა პირველი საჯარო წარმოდგენა გორში ჯერ კიდევ 1865 წლის 26 ივლისს გაიმართა და სწორედ ამ თარიღს მიიჩნევენ გორის თეატრის დასაბამად. გორის დრამატული თეატრი წლების განმავლობაში ცუდ მდგომარეობაში იყო. მსახიობებს ძალიან რთულ პირობებში უწევდათ მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ შენობაში დამონტაჟებული იყო გათბობა, მთლიანად მაინც ვერ ხერხდებოდა მცირე სცენის გათბობა, რაც ხელს უშლიდა მსახიობებს მუშაობაში. გარდა ამისა, დისკომფორტს უქმნიდა მაყურებელსაც, რადგან ისინი იძულებულნი იყვნენ, ქურთუკით მსხდარიყვნენ და ასე გაეთბოთ გაყინული ტყავის სავარძლები. სპექტაკლის მსვლელობას, ასევე, ხელს უშლიდა ტექნიკური პრობლემები. ყველაზე დიდ პრობლემას, ალბათ, მაინც ნორმალური განათების არქონა წარმოადგენდა. შეუძლებელია, დაახლოებით ოცდაერთი მოძველებული „პროჟექტორით" დადებითი ეფექტის მოხდენა.

თეატრში დაახლოებით რვა წლის განმავლობაში ვერ ხერხდება დიდ სცენაზე სპექტაკლების დადგმა და ამ დროის განმავლობაში მხოლოდ თეატრის მცირე სცენაზე დგამენ სპექტაკლებს. მცირე სცენა გორის თეატრში მაშინდელი მმართველის, რამაზ იოსელიანის, ხელმძღვანელობის დროს გაიხსნა. საბედნიეროდ, 2013 წლის იანვრიდან დაიწყო თეატრის რეაბილიტაცია, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

თეატრის დასახელება - სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების წელი - 1845 წელი
თეატრის იურიდიული ფორმა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - გორის მუნიციპალიტეტი
თეატრის ხელმძღვანელი პირები - მმართველი სოსო ნემსაძე
თეატრის ელ. ფოსტა eristavitheatre@gmail.com
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა ioseb.nemsadze@yahoo.com
ვებგვერდის მისამართი - არა აქვს
თეატრის მისამართი გორი, ჭავჭავაძის 24
თანამშრომელთა რაოდენობა - 84
ამათგან მსახიობთა რაოდენობა - 37
შემოქმედებითი პერსონალი - 5
ტექნიკური პერსონალი - 27
ადმინისტრაცია - 13

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	7 000		315 000	
2011	7 000		315 000	
2012			475 000	

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით
2010 - წელი 7762
2011 - წელი 1646
2012 - წელი 8945
2010-2011 წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი)
თეატრი სპექტაკლებს თამაშობდა მონაცვლეობით, თანაბრად
ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წელი - 52
2011 წელი - 75
2012 წელი - 119
დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელი - 1497
2011 წელი - 3105
2012 წელი - 2007
ბილეთის ფასი 2-10 ლარი

თეატრის შემოსავალი რაიმე სხვა საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა)
2010 - 14 662 ლარი
2011 - 20 474 ლარი
რა უჯდება თეატრს საშუალოდ ახალი სპექტაკლის დადგმა - 8 000-12 000 ლარი
რა უჯდება თეატრს საშუალოდ სპექტაკლის აღდგენა - 1 000 ლარი
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი - 4 375 ლარი
მოწვეული მსახიობის ჰონორარი - სარეპეტიციო 187.50ლ. გამოსვლა 62,50ლ
მსახიობის საშუალო ხელფასი
უმაღლესი - 500 ლარი
უმდაბლესი - 200 ლარი
თეატრი გასტროლებზე (2010-2012) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა:
ქვეყნის შიგნით - 2000 ლარამდე
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით - არა
ქვეყნის გარეთ - არა
ფესტივალებში მონაწილეობა - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას)
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2010-2012 წწ.) - არა
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - არა
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის ან პიარსამსახურის მენეჯერი მარკეტინგის- დიახ
პიარსამსახურის -არა
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - არა
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება - დიახ
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 22
ყველაზე ხანდაზმული - 85
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში - 2006 წელს
თეატრში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო - გიორგი ერისთავის სახელობის პრემია - ანზორ ქუთათელაძემ, ილია ქორქაშვილი-საუკეთესო დებიუტი, 2010 წ.

რეპერტუარი 2010-2012 წწ.

სპექტაკლის დასახელება – "რანგუნელი სტუმარი"
პიესის ავტორი - გი აბეკასისი
რეჟისორი - მერაბ ჭანკოტაძე

სპექტაკლის დასახელება - "ბოშები"
პიესის ავტორი - ნოდარ დუმბაძე
რეჟისორი - კობა სხილაძე

სპექტაკლის დასახელება - „ტოპაზის სისტემა"
პიესის ავტორი- მარსელ პანიოლი
რეჟისორი - სოსო ნემსაძე

სპექტაკლის დასახელება - „საახალწლო ზღაპარი, ანუ 3 D LIVE - ში"
პიესის ავტორი - ნიკა საბაშვილი
რეჟისორი - ნიკა საბაშვილი

სპექტაკლის დასახელება - „ახლები"
პიესის ავტორი - ალექსანდრე ოსტროვსკი
რეჟისორი - კობა სხილაძე

სპექტაკლის დასახელება - „ყოფილების სარეცელი"
პიესის ავტორი - ირაკლი სამსანაძე
რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი

სპექტაკლის დასახელება - „ბაბაჯანას ქოშები"
თოჯინური სპექტაკლი
რეჟისორი - იური ფოფხაძე

სპექტაკლის დასახელება - „წითელკანიანთა ბელადი"
პიესის ავტორი - ო. ჰენრი
რეჟისორები: გია კიტია, გიორგი აფხაზავა

სპექტაკლის დასახელება - „მსხვერპლი"
პიესის ავტორი - დავით კლდიაშვილი
რეჟისორი- სოსო ნემსაძე

სპექტაკლის დასახელება -"დავა, გაყრა, ძუნწი, ანუ როგორც გენებოთ"
პიესის ავტორი - თამაზ გოდერძიშვილი (გიორგი ერისთავის პიესების მიხედვით)
რეჟისორი - სოსო ნემსაძე

სპექტაკლის დასახელება - "მოპარული ახალიწლის ზღაპარი"
პიესის ავტორი - მიხო მოსულიშვილი
რეჟისორი - სოსო ნემსაძე
მხატვარი - ბექა სადაღაშვილი,
კოსტიუმების მხატვარი - თამარ ჭავჭანიძე
ქორეოგრაფია - ბოჟენა ტიტოვა
კომპოზიტორი - ნინო ჯანჯღავა
ლოტბარი - გიორგი საძაგლიშვილი
ვიდეო რგოლი - საბა ამირეჯიბი
მონაწილეობენ: ლევან როსტომაული, ანა ჩოგოვაძე, მზია ტურაშვილი, თამარ თეთრაძე, ნათია მელაძე, ზაზა თედელური, მერაბ მეზურნიშვილი, ნათია ტატულაშვილი

სპექაკლის დასახელება - " საქსოფონი "
იდეის ავტორი სოსო ნემსაძე
რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი - სოსო ნემსაძე
კოსტუმების მხატვარი - თამარ ჭავჭანიძე
საქსოფონი - იოსებ ნადაშვილი
მონაწილეობენ: ქიშვარდ მანველიშვილი, მანანა თევდორაშვილი, იოსებ ნადაშვილი, კონსტანტინე კახიშვილი, ნათია მელაძე, ლიკა კევლიშვილი, ზაზა ცარულაშვილი, ლევან ჯამბრიშვილი, კობა კოპაძე.

ახალგაზრდების ჯგუფი - ამირან ქაჩიბია, ზვიად მაღალაშვილი, ანი ჩოგოვაძე, არჩილ მაკალათია, მაია ტურაშვილი, მზიკო ტურაშვილი, ნათია ტატულაშვილი, ლევან შენგელია,ზაზა თედელური, ვახტანგ წულუკიძე, მარიკა გეგელაშვილი, სოფია მაიერი

სპექტაკლის დასახელება - "სექტემბრის თოვლი"
პიესის ავტორი - ნილ საიმონი
ავტორიზებული თარგმანი - ირაკლი სამსონაძე
რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი
მხატვრები- ბექა სადაღაშვილი, თამარ ჭავჭანიძე
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძისა
ტექნიკური რეჟისორი -მარეხ ვანიშვილი
მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, ნათია მელაძე, კახა ბერიძე, ლიკა კევლიშვილი, თამარ თეთრაძე, ნათია ტატულაშვილი, ანა ჩოგოვაძე

სპექტაკლის დასახელება - "ქურდი"
პიესის ავტორი - ვანო ჩხიკვაძე
რეჟისორი - კობა სხილაძე
მუსიკალური გამფორმებელი - ჯემალ თავაძე
ქორეოგრაფი - ვერა პირმისაშვილი
მონაწილეობენ: დარეჯან ჭამაური, მანანა თევდორაშვილი, ლიკა კევლიშვილი, დალი ნათელაშვილი, თურბენდ რევაზაშვილი,

სპექტაკლის დასახელება - "კომბლე"
პიესის ავტორი - გიორგი ნახუცრიშვილი
დადგმა და მუსიკალური გაფორმება-ლაშა შეროზია
მხატვარი - ირიშკა ყველიაშვილი
ქორეოგრაფი - ბექა ხინთიბიძე
დადგმის ხელმძღვანელი - გია კიტია
მონაწილეობენ: კონსტანტინე კახიშვილი, ზაზა ცარულაშვილი, ნათია ტატულაშვილი, შაკო მარტიაშვილი, მზია ტურაშვილი, მერაბ მეზურნიშვილი, ზურაბ პავლიაშვილი, ქიშვარდ მანველიშვილი, კობა კოპაძე, მარინე გეგელაშვილი, ომარ გრიგალაშვილი, ზვიად მაღალაშვილი, გიორგი ჩოჩნიძე, ია სალუქაშვილი

სპექტაკლის დასახელება - "ბლეფი"
პიესის ავტორი -კლოდ მანიე
პიესის ადაპტაცია - ვანო ჩხიკვაძე
რეჟისორი - სოსო ნემსაძე
მხატვარი - თამარ ჭავჭანიძე
მუსიკის ავტორი - გაგა ჩიხლაძე
რადიო ინსტალაცია - ლექსო ბანეთიშვილი
მონაწილეობენ: ამირან ქაჩიბაია, ანა ჩოგოვაძე, ნათია მელაძე, ოთარ კოვზირიძე, დალი ნათელაშვილი, სოფი მაიერი, ლია კევლიშვილი, ზაზა თედელური

სპექტაკლის დასახელება - "გვერდს ვერ ავუვლი შენ ძველ სადგურებს"
პიესის ავტორი - ლელა არაბული
რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი - სოსო ნემსაძე
ვიდეო ინსტალაცია - ნოდარ ყველაშვილი
მონაწილეობენ: გვანცა კანდელაკი, ზურაბ ხინჩიკაშვილი, ლევან შენგელია, ვახტანგ წულუკიძე

შენობის შესაძლებლობები

აქვს თუ არა ფოიე - საგამოფენო სივრცე - აქვს
საკონფერენციო -არ აქვს
ბუფეტი - არ აქვს
წიგნის მაღაზია - არ აქვს
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - აქვს
ტექნიკური აღჭურვა
განათება - ორდიმერიანი 24 ნათურა, 8 ლედი, განათების პულტი 1, ბოლის აპარატი 2, თოვლის აპარატი, 1, ლაზერული განათება, 1, კანფეტების აპარატი (ქაღალდების თოვლი).

გახმოვანება - სტანდარტული,"europower"-ის გამაძლიერებელი 2500-იანი, 2 დინამიკი, 2 მიკროფონი.
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა - 255 ადგილი
დარბაზი - ადგილი 130
ამფითეატრი 125
ლოჟა 8, 8 რიგი

სცენის პარამეტრები

ცენის სიღრმე 8.60 მ.
სცენის სიგანე 9 მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 5,90 მ.
იატაკიდან გამოყენებამდე 5 მ.
სარკის სიგანე 9 მ.
სარკის სიმაღლე 5 მ.
საორკესტრო ორმოს სიგანე - არა აქვს
საორკესტრო ორმოს სიმაღლე - არა აქვს
საორკესტრო ორმოს რკალი - არა აქვს
სცენის წრის დიამეტრი - არა აქვს
სცენის მარჯვენა ჯიბე - არა აქვს
სცენის მარცხენა ჯიბე - არა აქვს
შტანგეტების რაოდენობა - არა აქვს
შტანგეტებს შორის ინტერვალი - არა აქვს
სოფიტების რაოდენობა - 3
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა - არა აქვს
მოძრავი პორტალების სიმაღლე - არა აქვს
მოძრავი პორტალების სიგანე - არა აქვს

საუბარი თეატრის მმართველ სოსო ნემსაძესთან

- **როგორც სამხატვრო ხელმძღვანელს რა მიგაჩნიათ 2010- 2012 წლების ყველაზე დიდ წარმატებად?**
- ყველაზე დიდი წამრატება არის ის, რომ მაყურებელი დაუბრუნდა თეატრს. პირველი პრემიერა როცა გავაკეთეთ, პრაქტიკულად, სადადგმო თანხა არ არსებობდა თეატრში და იძულებული გავხდი, მემორანდუმი გამეკეთებინა თეატრალურ უნივერსიტეტთან და იქ დადგმული სპექტაკლი „ტოპაზის სისტემა" თავისი დეკორაციით, თავისი კოსტიუმებით მთლიანად წამომეღო გორში. პრემიერაზე ზუსტად 3 ბილეთი გაიყიდა და მაშინ უკვე აღარც უკან დახევა ღირდა, ცოტა კი შემეშინდა, თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, უკვე აზრი არ ექნება გორში საქმის კეთებას-მეთქი. შემდეგ მოხდა ისე, რომ ხშირად იხსნებოდა სპექტაკლები მაყურებლის არყოფნის გამო. შემდეგ დაუბრუნდა თეატრს მაყურებელი და თითქმის სავსე დარბაზში გვიწევს თამაში. ეს შემოსავალზეც აისახა: რომ მოვედი დაახლოებით 6 200 იყო წლიური შემოსავალი, შემდეგ გაიზარდა და ავედით 16 000-ზე, ხოლო შარშან უკვე გახდა 52 000. ასეთი პატარა ქალაქისთვის და, საერთოდ, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე უკვე ერთგვარ წარმატებად ვთვლი. ეს რაც შეეხება ფინანსურ მხარეს და მაყურებელთან ურთიერთობას. შემდეგ ახალგაზრდა მსახიობები მოვიყვანეთ თეატრში, რადგან მათ გარეშე თეატრი მკვდარია. მოწვეული მსახიობებიდან უპირატესობა მივანიჭე გორში დაბადებულსა და გაზრდილს, რომელმაც მიიღო თეატრალური განათლება და რამდენიმე ასეთი ჩამოვიყვანეთ, შემდეგ, უბრალოდ, არ იყო ის პირობები, ამიტომ ვინც შეძლო, ისინი დარჩნენ, ზოგი დაბრუნდა უკან, ვეღარ გააგრძელეს შემდეგ სეზონში საქმიანობა. კიდევ ერთ-ერთი უმთავრესი, რაც მე მოვითხოვე იყო ის, რომ სცენაზე მდგარიყო პროფესიონალი მსახიობი, ანუ ვისაც ჰქონდა თეატრალური განათლება მიღებული, ვინც ისწავლა და პირველად მოვითხოვე დიპლომი. მსახიობები, რომლებიც მოდიოდნენ სამუშაოდ და მათ სთხოვდნენ დიპლომს, აღნიშნავდნენ, რომ მათ პირველად სთხოვდნენ დიპლომს. ეს შეიძლება ბევრს არაფერს განაპირობებს, მაგრამ მოთხოვნები უნდა გვქონდეს პროფესიონალიზმსა და ყველაფერზე, აბსოლუტურად, და ასე საკუთარ თავსაც მეტი მოთხოვნები უნდა წაუყენო. ვფიქრობ, ეს პერიოდი იყო ძალიან რთული, საინტერესო და გარკვეულწილად რაღაც თავისი შედეგი გამოიღო. ამ ეტაპზე საეტაპო სპექტაკლად არც ერთს არ მივიჩნევ. არ მინდა. რომ ეს თვითკრიტიკაში ჩამითვალოთ. რაღაცა ეტაპი აქვს თეატრს გასავლელი, ამისთვის ჯერ არ იყო ნიადაგი მზად, რომ უცებ ასე გაგვეკეთებინა საეტაპო სპექტაკლი, მაგრამ ამის ბიუჯეტიც კი არ არსებობდა. ახლა თითქმის ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ მართლა შეიქმნას რაღაც განსაკუთრებული მხატვრული ღირებულების სპექტაკლი, რისთვისაც დასიც მზადაა, მაგრამ რა შეიქმნა? რეპერტუარში არის აბსოლუტურად ყველა ჟანრი, დაწყებული კომედიიდან, ტრაგედია, დრამა და პერფორმანსიც.

- **როგორ იწვევთ რეჟისორებს?**
- დავიწყე რეჟისორების მოწვევა, ძალიან აქტიურად ვიყავი მე მიწვეული სხვადასხვა თეატრში და ზოგჯერ ეს მაძლევდა კარგი სპექტაკლების დადგმის საშუალებასაც და ზოგჯერ ვერ ვახერხებდი ამას. მე არ მინდოდა ეს ისეთი თემა ყოფილიყო, რომ ეთქვათ: ნემსაძე თავის თეატრში დგამს ძალიან ბევრ სპექტაკლსო და დავიწყე რეჟისორებთან მოლაპარაკება. ჩვენი წლიური ბიუჯეტი შარშან იყო 12 000 ლარი ანუ მთელი წლის განმავლობაში ეს სადადგმო თანხა უნდა გამოგვეყენებინა. მოვიწვიე გიორგი შალუტაშვილი, ძალიან კარგი რეჟისორია და მე მომწონს მისი საქმიანობა, კიდევ სხვა მიზეზი იყო მოწვევისა, ძალიან ახალგაზრდები არიან ჩემს თეატრში და მათ უკვე გოირგის პედაგოგიური გამოცდილება ხელს შეუწყობდა განვითარებისთვის და არც ძველი თაობის მსახიობებს აწყენდა. გიორგის სპექტაკლი სადღაც დაჯდა 10 000 ლარი, დამრჩა 2000 ლარი და ამ თანხით ვერაფერს ვერ გავაკეთებდი. დავუძახე ამ ახალგაზრდა ჯგუფს და ვუთხარი: ხვალ ჩვენ გავაკეთებთ სპექტაკლს, ზეგ მაყურებელი მოვა, უკვე გავავრცელეთ ბილეთები. ერთ დღეში უნდა დავდგათ სპექტაკლი, ამას ექნება რაღაც პერფორმანსის სახე, ეტიუდები და ეს მეორე დღეს უნდა ვაჩვენოთ მაყურებელს. ყველა შეწუხდა. პირველ რიგში, მე ვიყავი რაღაც არამყარ სიტუაციაში. დილის 10 სთ-ზე დაიწყო რეპეტიცია და დამთავრდა ზუსტად ღამის 10 სთ-ზე. გვინდოდა პირობითად სპექტაკლისთვისაც დაგვერქმია 10-დან 10-მდე, რაც იმ დღეს დაიბადა. შემდეგ სპეციალურად არ ვაკეთებთ რეპეტიციებს, იმიტომ რომ იმ დღევანდელი ემოცია დარჩეს მუდმივად და შედგა ეს სპექტაკლი, მოვიდა მაყურებელი, იხილა და ახალგაზრდობისთვის ყველაზე საყვარელი სპექტაკლი გამოვიდა. დღემდე ჰყავს მაყურებელი და ერთი თეთრიც არ დაგვიჯდა ეს სპექტაკლი. ამ სპექტაკლმა შემოიტანა თანხა, რომელიც შემდეგ სხვა სპექტაკლის დადგმას მოხმარდა.
- **რა თქმა უნდა,თუ თეატრი არ არის თანამედროვე და მარტო ტრადიციის მიმდევარია, ის მკვდარია. ყველაზე მეტად რა პრობლემების წინაშე დგას გორის თეატრი?**
- სცენის, სივრცის პრობლემა არის. ეს არის რაღაც კონკრეტული და ძალიან შეზღუდული პატარა სივრცე, მით უმეტეს, ტექნიკური თვალსაზრისით. ამიტომ, ველოდებით დიდი სცენის გაკეთებას. დღეს ჩვენ თანხა გვაქვს იმისთვის, რომ თეატრს რემონტი ჩავუტაროთ. წინა წლების აქტიურმა მუშაობამ მე გამიხსნა ხელ-ფეხი ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისა და მოვითხოვე დიდი სცენა და დაახლოებით მაისში მიიღეს ეს გადაწყვეტილება დაიწყეს სარემონტო სამუშაოები.
- **ეს მთლიან რეაბილიტაციას გულისხმობს თუ ეტაპობრივს?**
- ეტაპობრივია, მაგრამ ეს რემონტი გვაძლევს საშუალებას, რომ აღდგეს დიდი სცენა და შიდა ინფრასტრუქტურა. გარე პერიმეტრს უკვე არ ვეხებით, ეს კიდევ ცალკე თემაა. თქვენ იცით, რომ ერისთავის ეს შენობა წარმოადგენს ისტორიულ ძეგლს და ამ მხრივ ცოტა რთულია, ასე მარტივად ვერ შეეხები ფასადებს. ძირითადი პრობლემა ეს გვაქვს ამ ეტაპზე. დანარჩენი, ტრანსპორტის პრობლემა გვაქვს. ჩემთვის უმთავრეს მისიად ჩავთვლიდი იმას, რომ ერთ-ერთ სპექტაკლზე მოვახერხო და ჩამოვიყვანო სოფლიდან ახალგაზრდები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ თეატრში მოქცევის კულტურა აბსოლუტურად არა აქვთ და თეატრში ისეთი დაძაბულები შემოვიდნენ, ეგონათ, სადღაც დასახვრეტად მიჰყავდათ. ყველაფრის მიმართ იყვნენ ნიჰილისტურად განწყობილი. მაინც მინდა, რომ ჩამოვიყვანო და დავასწრო სპექტაკლებს, ამისათვის მჭირდება ტრანსპორტი, აი ყველაზე დიდი პრობლემა. ეს იქნება ყველაზე დიდი საქმე, რასაც მე გავაკეთებ, რომ მათ შევაყვარო თეატრი. ტყუილად არ არის ის, რომ ქართული პროფესიული თეატრის საფუძველი აქედან მოდის, აქ, გორში, ძალიან უყვართ თეატრი. ამ ეტაპზე ჩემთვის ყველაზე დიდი პრობლემაა ურთიერთობა იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც ცხოვრობენ სოფლებში და რომლებიც მინდა რომ მოვიყვანო თეატრში. იმედია, ეს პრობლემაც მალე გადაწყდება.
- **რა ინტენსივობით ხდება დასის განახლება, თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ახალგაზრდა მსახიობი მოსულა, მოუსინჯავს საკუთარი ძალები, არაფერი გამოსვლია, წასულა და მას ჩანაცვლებია სხვა?**
- არა, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, ვინც ჩამოვიდა დღემდე აქტიურად აგრძელებს აქ საქმიანობას. ვინც ჩამოდის ზოგი ჩემი სტუდენტია, ზოგი გიორგი მარგველაშვილის, ზოგი გიროგი შალუტაშვილისა, ახლა ა. ქანთარიას სტუდენტი მივიღეთ, მათ აქ მოსწონთ და უხარიათ მუშაობა.
- **ანუ სულ განახლება ხდება ხომ?**
- დიახ და თანაც მუდმივად ვცდილობ, რომ ხელი შევუწყო. მაგალითად, მსახიობი დაკავებულია 5 სპექტაკლში, ის აქტიურია, მაგრამ მას ექმნება რაღაც პრობლემა. მე არ ვცდილობ, რომ ის დავაბა აქ. თუ კი ის ვეღარ ახერხებს გორში სიარულს, მე მზად ვარ ვიღაცით ჩავანაცვლო. არ ვაფერხებ მის მუშაობას. მეც მაინტერესებს ახალი სახეები, მსახიობები და ეს აფიქრებთ მათ, ეს კაცი ასე მარტივად როგორ მელევაო. შემდეგ ხან აგრძელებენ ჩვენთან თანამშრომლობას და ხან - ვეღარ.
- **რატომ**?
- მუდმივად უნდა ხდებოდეს შევსება, მიუხედავად იმისა, გზა თითქოს შემცირდა, მაგრამ მაინც რთულია თბილისიდან გორში სიარული. ანაზღაურება არ არის იმდენი, რომ ადამიანი მოდიოდეს მთელი ენთუზიაზმით და შემართებით. აქ არის დიდი ენთუზიაზმი და ჩემს მიმართ გარკვეული პატივისცემა საკუთარი სტუდენტების მხრიდან. ასეთი სიტუაციით დიდხანს ვერ „გავქაჩავთ“. აქ უნდა არსებობდეს მყარი ბაზა, რომ მსახიობმა კომფორტულად იგრძნოს თავი. კომფორტულად, ალბათ, მალე იგრძნობს თავს, როცა დიდი სცენა გაკეთდება. ამას აქვს თავისი დადებითი მხარეები, მოხდება გაქირავება, ანუ შემოსავლები გაიზრდება და ეს აისახება მსახიობების ბიუჯეტზეც.

- **იქნებ მაინც გაგვიმხილოთ, რა პრინციპით ხდება რეჟისორების მოწვევა?**
- საქართველო არის პატარა ქვეყანა, ყველამ ყველაფერი კარგად იცის, ვინ არის წარმატებული რეჟისორი, ვინ საშუალო დონის, ვინ ახლა იწყებს სცენაზე ფეხის მოკიდებას. მე ეს 3 ეტაპი მაქვს გათვლილი. 1. წარმატებული რეჟისორი - ვისთანაც ჩვენ მიგვიწვდება ხელი. 2. დამწყები რეჟისორი, აუცილებლად, იმიტომ რომ, თუ მას არ შეექმნა რაღაცა ბაზა, სადაც მან შეიძლება თავისი შემოქმედების რეალიზაცია მოახდინოს, ძალიან ცუდი დამოკიდებულება იქნება ამ ადამიანების მიმართ. 3. საინტერესო იდეა, შეიძლება საშუალო დონის რეჟისორი იყოს, მაგრამ იდეა ჰქონდეს ძალიან საინტერესო და კარგი. ამიტომ პატივს ვცემთ პროფესიონალიზმს და ამავე დროს გზას ვუკვალავთ დამწყებ რეჟისორებსა და საინტერესო იდეების ავტორებს.
- **2012 წლის კვლევის შედეგად თქვენ აღმოჩნდით ყველაზე პროდუქტიული რეჟისორი სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში, რითია ეს განპირობებული?**
- აბსოლუტურად გულწრფელად ვიტყვი, მე როდესაც გორის თეატრში მოვდიოდი, მაინტერესებდა, რამდენად გავართმევდი თავს სამხატვრო ხელმძღვნელის მოვალეობებს, რამდენად შევძლებდი ამას, რამდენად წარმატებული ვიქნებოდი ამ მხრივ. ახლა მამოძრავებს ის მიზანი, რომ გორი არ არის თბილისისგან შორს, ძალიან ახლოს არის და ის შეიძლება იქცეს თეატრალურ ქალაქად. პოლონეთში რატომ განვითარდა თეატრალური ხელოვნება, იმიტომ რომ რეჟისორებმა დატოვეს მთავარი ქალაქები, ვარშავა და ეს მაგარი რეჟისორები წავიდნენ რეგიონებში. მე ვფიქრობ, აქ შეიძლება ძალიან საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება გაჩაღდეს. მაქვს იდეა, გორში ჩატარდეს გიორგი ერისთავის სახელობის კომედიის თეატრის ფესტივალი, ვინაიდან ის კომედიების ავტორი იყო. მე სხვანაირად ვერ ვხედავ, როგორ უნდა განვითრდეს ქალაქი. ძალიან კულტურული ხალხი ცხოვრობს, არის რამდენიმე უნივერსიტეტი, არის კოლეჯები... გორის თეატრი ძალიან დიდ პერიმეტრს იკავებს, ზესტაფონამდე, ახალციხემდე. ნახეთ, რამხელა სივრცეა. შეიძლება, რომ აქ იყოს ყველაზე წარმატებული თეატრი. აი, ახლა რეპერტუარში ჩავუშვით ჟორჟ დანტონის „საქმე და მკვლელობა“ - ეს არის ურთულესი არქიტექტონიკის პიესა, ძალიან მძაფრი პოლიტიკური პიესაა და დღევანდელ სიტუაციას ძალიან შეესაბამება. მისი სცენიური ვერსია გააკეთა თამაზ გოდერძიშვლმა, ეს პიესა შევიძინეთ კონკრეტულად გორის თეატრისთვის და ვემზადებით ძალიან მასშტაბური სპექტაკლისთვის, საინტერესო გადაწყვეტა გვაქვს და დიდი სცენა რომ გაიხსნება, ვითამაშებთ. მთავარ როლზე მოწვეული გვყავს კაკო ხიდაშელი. პრინციპი ავირჩიეთ ასეთი, ადგილობრივი ძალები და ერთი ყოველთვის მაღალი რანგის მოწვეული მსახიობი. მინდა, რომ გორი იყოს თეატრალური ქალაქი და მგონი, ამას რაღაცნაირად მივაღწევთ.
- **როგორ აფასებთ კულტურისა და ხელოვნების დასპონსორების შესაძლებლობებს?**
- ერთხელ მარჯანიშვილის თეატრში ვიყავი და სპექტაკლამდე ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა იმ კომპანიების ჩამონათვალმა, რომლებიც ასპონსორებენ სპექტაკლს და ვიფიქრე, როდის დადგება დრო, რომ ჩვენს თეატრშიც იმავე რაოდენობის სპონსორები გვეყოლება. ეს არის კულტურა, რასაც თქვენ მეუბნებით, და ეს კულტურა ჯერჯერობით ჩვენს პრაქტიკაში, ჩემს პრაქტიკაში არ არსებობს და ჩვენს სიტუაციაში შეზღუდულია. თუ ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კომპანიები, მე ვფიქრობ, რომ ეს მათ ავტორიტეტზე უსათუოდ აისახება, ეს მათი რეკლამაცაა: გამოგაცხადონ თეატრში, ბილეთზე ეწეროს შენი კომპანიის სახელი, პროგრამებზე იყო მითითებული, გერქვას თეატრის გენერალური სპონსორი.
- **თქვენს თეატრს თუ აქვს კონკრეტული შეთავაზებები ჩამოყალიბებული? თუ არის გამიჯნული სასპონსორო კატეგორიები?**
- რა თქმა უნდა, არსებობს უმაღლესი კატეგორია ეს არის გენერალური სპონსორი. კომპანიის სახელწოდება იბეჭდება ბილეთებზე, პროგრამებზე, თავისთავად აფიშაზე, ცხადდება სპექტაკლის დაწყებამდე და, აგრეთვე, თეატრის წინ იქნება სპეციალური სარეკლამო ვიდეორგოლი, სადაც ყოველი რგოლის შემდეგ, რომელიც შეეხება სპექტაკლს, ჩამოიშლება სპონსორი კომპანიის სახელწოდება და ინფორმაცია. ახლა ჩვენ ძალიან კარგ კომპანიასთან გვიწევს თანამშრომლობა, რომელიც გვიმზადებს აფიშებს და პროგრამებს და პოლიგრაფიაზე, ძირითადად, მასთან ვმუშაობთ. ეს არის „ედვაის ჯგუფი“, ეს არის სარეკლამო კომპანია, რედისონს უწევს რეკლამირებას და, ასე ვთქვათ, გამოცდილი კომპანიაა. ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ ამ კომპანიის ლოგოა აღბეჭდილი ჩვენს აფიშაზე. ეს კომპანია წარმოდგენილია არა როგორც სპონსორი, არამედ უფრო მხარდამჭერი. მასთან უკვე ორი წელია ვთანამშრომლობთ
- **როგორ ფიქრობთ, თქვენი თეატრი არის თუ არა საქმიანი, ძლიერი პარტნიორი სასპონსორო ურთიერთობებში?**
- დიახ, ყოველ შემთხვევაში ცოტა ხანში იქნება, ვინაიდან ჩვენ ვგეგმათ საზღვარგარეთ გასვლას და, აქედან გამომდინარე, ჩვენი თეატრი დღითიდღე დაფასებული იქნება.
- **თქვენთვის რას ნიშნავს სპონსორობა?**
- ჩვენ ვდგამდით ასეთ პიესას „ბლეფი“, კომედიაა და შევთავაზეთ წყლის კომპანია „სნოს“, თუკი ისინი იქნებოდნენ სპექტაკლის მხარდამჭერები, მათი პროდუქტის სახელი იქნებოდა გამოყენებული სპექტაკლშიც კი. ჯერ დაფიქრდნენ, შემდეგ ბევრი იბაასეს და მოგვივიდა ასეთი წერილი: ჩვენ გავეცანით პიესას, ძალიან მოგვეწონა, გვიხარია, რომ ამ პიესის კომპოზიტორი არის გაგა ჩიხრაძე, მაგრამ წელს ბიუჯეტში არ გვქონდა გათვლილი სპონსორობა და ამიტომ გეუბნებით უარსო. ეს მხოლოდ მათ იმიჯზე მოქმედებს. ის რომ, თეატრის სპონსორი ხარ - ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.

- **ამდენად, თქვენთვის სპონსორობა ფასდება როგორც კომპანიებთან ხანგრძლივი, პარტნიორული ურთიერთობა თუ მხოლოდ ფულის შოვნის საშუალება?**
- ამ ეტაპზე იმიჯის თვალსაზრისით, ეტაპს კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, მომგებიანია იმ კომპანიებისთვისაც და ჩვენთვისაც. როდესაც ჩვენს აფიშაზე რამდენიმე კომპანია გაჩნდება, თანხა ნაკლებად მაინტერესებს, მე უფრო ავტორიტეტი მაინტერესებს, პარტნიორობა უფრო მაინტერესებს, თორემ ჩვენ ახლა გვაქვს მოცემული წლიური ბიუჯეტი, რომელიც ასე თუ ისე თამამი შემოქმედებითი ცხოვრების საშუალებას იძლევა.
- **ალბათ,ძირითადად, თქვენი მხრიდან ხდება ხოლმე კომპანიებთან სასპონსორო შეთავაზება და არა პირიქით?**
- დიახ, ჯერჯერობით არცერთ კომპანიას არ გასჩენია სურვილი, თავად ეთანამშრომლა თეატრთან.
- **საკმარისია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა თეატრისთვის?**
- თანამედროვე თეატრისთვის ეს თანხა, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი, მაგრამ ნუ გვავიწყდება, რომ ჩვენ ვართ განვითარებადი ქვეყანა. რთულად, მაგრამ მაინც ვვითარდებით და ამიტომ ეს ბიუჯეტი ამ ეტაპზე იძლევა საშუალებას განვითარებისთვის, გაძლევს შესაძლებლობას, მოიწვიო რეჟისორი, კომპოზიტორი, მხატვარი ან ცნობილი მსახიობი და ითანამშრომლო მასთან. თუმცა თანამედროვე ევროპული სტანდარტის ახალი ტექნოლოგიებით გამართულ თეატრს ეს ბიუჯეტი არ ეყოფა.
- **ახალი ტექნოლოგიებით რომ დადგათ სპექტაკლი, ამ შემთხვევაში როგორ აპირებთ პარტნიორობის მოძებნას?**
- მოწადინებული კი ვართ, რომ მოვიპოვოთ გრანტები, მაგრამ ეს ძალიან რთულია, მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ჩავერთოთ ამ პროცესებში. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობაა, რომ ვნახოთ, რა ხდება, გავეცნოთ სხვების ნამუშევრებს. აქ, ადგილობრივ დონეზე, იყო შემოთავაზება გრანტის სახით ომის თემაზე სპექტაკლი დაგვედგა, ეს იყო საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნა. გაიცა არაერთი გრანტი, მართალია ძალიან მცირე თანხა იყო, რომელიც სპექტაკლის დადგმის საშუალებას არ იძლეოდა, მაგრამ თანადამფინანსებლების მოძიებით პროექტი მაინც განხორციელდა. ეს იყო მაინც სახელმწიფო შეკვეთა. მეორე საკითხია, როგორ და რა რესურსით ვაპირებთ ახალ ტექნოლოგიებთან მიახლოებას და უცხოური გრანტების მოძიებას.
- **თეატრში არის კადრები, რომლებსაც ექნებათ იმის რესურსი, რომ განახორციელონ საერთაშორისო პროექტები?**
- ამ ეტაპზე სამთვიანი ხელშეკრულებები გვაქვს გაფორმებული თანამშრომლებთან, შემდეგ დავაკვირდებით და შესაძლოა, ის გახდეს ექვსთვიანიც. ვინც ვერ გაართმევს თავს დაკისრებულ ფუნქციას, მოუწევს პოსტიდან წასვლა, ამიტომ თავად თანამშრომელი იქნება დაინტერესებული, განვითარდეს და გაიგოს რაც შეიძლება მეტი სიახლე, მოიპოვოს მეტი ინფორმაცია. ეჭვგარეშეა, რომ ამ მიმართულებით ახალი კადრების მოძიება დაგვჭირდება. ჩვენ ახლა ვცდილობთ, აქცენტი პროფესიონალებზე გადმოვიტანოთ.
- **აქამდე თეატრი რაიმე პოლიტიკას ატარებდა მაყურებლის მოსაზიდად? რა მარკეტინგული გათვლა იყო, რომ თეატრში მოიმატა სპექტაკლზე დამსწრე მაყურებელთა რაოდენობამ?**
- ჩვენ დავიწყეთ თანამშრომლობა გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებთან, ე.წ. თინეიჯერებთან ურთიერთობა, ვითანამშრომლეთ რამდენიმე სკოლასთან, მე ისინი ვერ მცნობდნენ, მაგრამ იცნეს რამდენიმე ცნობილი მსახიობი, რომლებიც სკოლაში შეხვედრებზე მიმყვნენ და გავაცანი ინფორმაცია, რომ ისინი ჩვენს ქალაქში ჩვენს თეატრში წარდგებოდნენ მათ წინაშე, დაინტერესება მათი მხრიდან დიდი იყო, ამის შემდეგ სულ ვეპატიჟებოდით თეატრში და ბევრი დაინტერესდა, გაუჩნდა სურვილიც და მოთხოვნილებაც, მოსულიყვნენ სპექტაკლებზე. დამეგობრებამ კარგი შედეგი გამოიღო. შევცვალეთ თეატრის რებრენდინგიც, უფრო თანამედროვე გავხადეთ. დავბეჭდეთ მაისურები, გამოვცვალეთ ლოგო, ვაწყობდით აქციებს ქუჩებში და ასე ვეპატიჟებოდით მაყურებელს თეატრში. ჩვენი ორგანიზებით და საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით უფლისციხეში ჩავატარეთ დიდი კონფერენცია, რომელსაც ადგილობრივებიც ესწრებოდნენ, თეატრით ბევრი დაინტერესდა რეგიონში და ასე აღდგა კავშირი მაყურებელთან. ჩვენ არ დავიჭირეთ გარკვეული პოზა და თავად მივედით მაყურებელთან. შესაბამისად, გაიზარდა მაყურებლის ასაკობრივი კატეგორია, 17 წლიდან იწყება და საშუალო ასაკამდე მთავრდება.
- **მომავალ წელს რას გეგმავთ მარკეტინგული თვალსაზრისით?**
- აუცილებლად გვინდა დავუკავშირდეთ ადგილობრივ კომპანიას „კულას“, ასევე, რომელიმე ბანკს, რომლებიც იქნებიან ჩვენი სეზონის სპონსორები, გვინდა გავაკეთოთ საფესტივალო სპექტაკლები.
- **ყველაზე მეტად რა პრობლემის წინაშე დგას გორის თეატრი?**
- აზროვნების დეფიციტია, სტერეოტიპების დაურღვევლობა. უნდა გვახსოვდეს, რომ აღარ ვართ საბჭოთა პერიოდის თეატრი, ეს უნდა ახსოვდეს მსახიობებს განსაკუთრებით, რომ ისინი მუდმივ ტრენაჟში იყვნენ და მხოლოდ სპექტაკლების სათამაშოდ არ უნდა მოდიოდნენ თეატრში, მუდმივი შრომა და თავდადება სჭირდება თეატრს. მთავარია, დავამარცხოთ ზერელე და ყოვლად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. არ უნდა ისმებოდეს კითხვები: დღეს ბევრია მაყურებელი? გავიკეთო გრიმი? და ა.შ. დანარჩენს ყველაფერს ეშველება. მაყურებელშიც არის მენტალობის პრობლემა, მაინც რეგიონია და რთულად ეგუებიან შიშველ მსახიობს, ნახვერადეროტიკულ სცენებს. თუმცა ეს ეტაპიც გადალახვის პროცესშია, უკვე მომწიფდა მაყურებლის დიდი ნაწილი.

საუბრისას დიალოგში ჩაერთო მმართველის მოადგილე ზაზა ზაზაშვილი

- **მომსახურების თვალსაზრისით რას სთავაზობთ მაყურებელს თეატრში?**
- თავიდანვე შევთანხმდეთ იმაზე, რომ ჩვენ დაგეგმვის პროცესში ვართ, მე სულ ახლახან დავინიშნე თეატრში ფინანსური დირექტორის პოზიციაზე, აქამდე ბიუჯეტი ბევრის საშუალებას არ იძლეოდა. ახლა გაჩნდა შანსი, ბევრი რამ შევცვალოთ თეატრში, იწყება სარემონტო სამუშაოები, რეაბილიტირებულ იქნება დიდი სცენა, ახალგაზრდა ოჯახებს გვინდა შევთავაზოთ ისეთი სერვისი, რომელიც საშუალებას მისცემს მათ ბავშვი მოიყვანონ თეატრში და დატოვონ სპექტაკლის მიმდინარეობის დროს სპეციალურ საბავშვო ოთახში, რომელიც კომფორტულად იქნება მოწყობილი. ჯერ ვგეგმავთ, ანალიზი გავაკეთოთ და შევისწავლოთ სიტუაცია. ზუსტად დავადგინოთ, რა კატეგორიის და მოთხოვნილების მაყურებელი მოდის თეატრში, წინასწარ ვიცი, რომ ეს სეგმენტი ახალგაზრდობაა, ამიტომ მათთვის აქტუალური თემატიკის სპექტაკლები უნდა გვქონდეს რეპერტუარში, მაგალითად: სპექტაკლი „ქურდი“, რომელშიც ხანდაზმული მასწავლებელის პრობლემაა დასმული, ამ სპექტაკლს დღემდე დიდი ინტერესით ადევნებს თვალს მაყურებელთა დიდი უმეტესობა. გვინდა არ დავკარგოთ ხანშიშესული მაყურებელი, ის ვინც თეატრის ერთგულია და ბონუსის სახით დავპატიჟოთ პრემიერებზე ან რიგ წარმოდგენებზე. გვინდა, რომ დავუფასოთ ასეთ მაყურებელს თეატრისადმი ერთგულება. ჩვენი მთავარი პრინციპი იქნება თანამშრომლობა სამხატვრო ხელმძღვანელთან და კოორდინირებული მუშაობა შემოქმედებითი პროცესის უკეთ წარმართვისათვის.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები
გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
გამოიკითხა 81 მაყურებელი



ამ გამოკითხვის შედეგად გორში მაყურებელი საკმაოდ აქტიურია, რადგან 81 გამოკითხული მაყურებლიდან 35 ნახულობს ყოველ ახალ დადგმას, 10 - მხოლოდ საინტერესო სპექტაკლებს, 18 საკმაოდ ხშირად სტუმრობს თეატრს. გამოდის, რომ 81 რესპოდენტიდან 63 თეატრის ხშირი მომხმარებელია.



გორში მაყურებელი თეატრში თავისუფალი დრრის არქონის გამო ვერ მიდის, ასეთი მიზეზი გამოკითხული რესპოდენტების ზუსტად ნახევარმა დაასახელა. ხოლო 7-მა ადამიანმა მიზეზად ბილეთის შეძენის სირთულე მოიყვანა, ხოლო ასევე შვიდმა რადიკალურად განსხვავებული მიზეზი დაასახელა: რომ თეატრში არაფერი ხდება.



გორში თეატრში მაყურებლის უმრავლესობა ესთეტიკური სიამოვნებისთვის მიდის, 81 გამოკითხულიდან 19 რაიმე ახლის გაგებას ასახელებს, ხოლო მეორე 19 საყვარელი მსახიობების სანახავად მიდის თეატრში.



უცნაურია, რომ გორში ჟანრებს შორის კომედია კი არ ლიდერობს, არამედ ფსიქოლოგიური დრამა. 81 რესპოდენტიდან 32-ს ფსიქოლოგიური დრამა ურჩევნია, 22-ს - კომედია, 18-ს - ტრაგიკომედია, ხოლო 12-ს მუსიკალური კომედია მოსწონს.



რაც შეეხება სარეკლამო საშუალებებს, გორის თეატრი გამორჩეულია იმითაც, რომ აქ მაყურებელი სპექტაკლის გამართვის შესახებ (35 ხმა) ინტერნეტით იგებს, ხოლო 33 გამოკითხული - აფიშით. რეგიონული თეატრებიდან გორი ერთადერთია, რომელიც ეფექტურად იყენებს თანამედროვე ყველაზე მარტივ და იაფ სარეკლამო საშუალებას.



გორელი მაყურებელი რეპერტუარის მრავალფეროვნებას ანიჭებს უპირატესობას, მას ურჩევნია ყველა ტიპის დრამატურგია იდგმებოდეს გორის თეატრის სცენაზე, თუმცა პრიორიტეტს მაინც თანამედროვე ქართულ დრამატურგიას ანიჭებენ. თანაბარი ადგილი დაიკავა (12 ხმა) თანამედროვე უცხოურმა დრამატურგიამ და ისტორიული ჟანრის პიესებმა.



მიზეზად, თუ რატომ მოვიდა მაყურებელი დღეს თეატრში, კითხვის ადრესატები პასუხობენ: 22 ხმით- დამაინტერესა სპექტაკლის თემამ, 21ხმით - მინდოდა მენახა მსახიობების თამაში, 15 ხმით - ნაცნობებმა მირჩიეს მენახა სპექტაკლი. გორში როგორც ჩანს, ეფექტურად მუშაობს ინფორმაციის ზეპირი გავრცელების ეფექტური ხერხი.

ამ გამოკითხვით ჩანს, რომ გორში მაყურებელიც მრავალფეროვანია, რადგან არც ერთი კითხვა არ დარჩენილა უპასუხოდ. ამ გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა ისეთი მაყურებელიც, რომელიც შემთხვევით მოხვდა თეატრში სპექტაკლზე და ისეთიც, რომელსაც პრესამ და ტელევიზიამ დააინტერესა სპექტაკლი.



სპექტაკლში მთავარი, გორელი მაყურებლის უმრავლესობის აზრით, ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსია, ხოლო, ასევე, დიდი პროცენტის რესპოდენტთა აზრით, საინტერესო ამბავი, გორში საკმაო მნიშვნელობას ანიჭებენ რეჟისორისა და მსახიობის ნამუშევარს.
გორში მაყურებლის რეკომენდაცია არის - ინფორმაცია სპექტაკლების გამართვის შესახებ უნდა ვრცელდებოდეს: 37 გამოკითხულის აზრით ინტერნეტით, 31 ამბობს, რომ, სასურველია, - აფიშით, ხოლო 17 - სატელევიზიო რეკლამით. შემდეგ პოზიციას რადიო იკავებს 13 ხმით, ხოლო სულ ბოლო პოზიციაზეა პრესა - 8 ხმით.

კითხვაზე დაასახელებთ თუ არა რომელიმე თეატრმცოდნეს ან კრიტიკოსს, 86 გამოკითხულიდან დასახელდა: ნიკა წულუკიძე 2-ჯერ, ვასილ კიკნაძე, ნათელა არველაძე, ლელა ოჩიაური, ლაშა ჩხარტიშვილი, სოფო კილასონია, ზურა ბალანჩივაძე

გორელი მაყურებლის უმრავლესობა კრიტიკას ნაწილობრივ ნდობას უცხადებს, ხოლო 6 სრულ უნდობლობას, 13 რესპოდენტი კი სრულ ნდობას.

კითხვაზე, რომელი რეჟისორი მოგწონთ ყველაზე მეტად, ჩამოთვლილთაგან დასახელდა:
გიორგი შალუტაშვილი 1-ჯერ, ასევე, გიორგი თავაძე 1-ჯერ. პირველი ადგილი სოსო ნემსაძემ დიდი უპირატესობით 43 ხმით დაიკავა, მეორე ადგილზეა ლევან წულაძე 20 ხმით, ხოლო მესამეზე რობერტ სტურუა 15 ხმით, რომელსაც 7 ხმით მოსდევს ავთანდილ ვარსიმაშვილი.

გორელი მაყურებლისთვის საყვარელი მსახიობი აღმოჩნდა კახი კავსაძე, ყველაზე მეტი ხმა მან დააგროვა, თუმცა მეორე ადგილს გორის თეატრის მსახიობი ლიკა კევლიშვილი იკავებს, მსახიობთა რეიტინგში ბლომად მოხვდნენ გორის თეატრის მსახიობები, რაც იმას ნიშნავს, რომ მაყურებელი მათ იცნობს და პატივს სცემს. რეიტინგი კი საბოლოოდ ასე გამოიყურება:

1. კახი კავსაძე 12-ჯერ
2. **ლიკა კევლიშვილი 8-ჯერ**
3. მარინა კახიანი 7-ჯერ
4. ბაჩო ქაჯაია 7-ჯერ
5. **ანა ჩოგოვაძე 6-ჯერ**
6. **ნათია მელაძე 6-ჯერ**
7. **გვანცა კანდელაკი 5-ჯერ**
8. ზურა ყიფშიძე 5-ჯერ
9. **ამირან ქაჩიბაია 5-ჯერ**
10. **დარეჯან ჭამაური 4-ჯერ**
11. ნინელი ჭანკვეტაძე 4-ჯერ
12. მურმან ჯინორია 4-ჯერ
13. **კახა ბერიძე 4 -ჯერ**

14. ლევან ჯამბრიშვილი 4-ჯერ
15. ნანა ფაჩუაშვილი 3-ჯერ
16. ალეკო მახარობლიშვილი
17. რუსკა მაყაშვილი 3-ჯერ
18. ლევან შენგელია 3-ჯერ
19. სოფო მაიერი 3-ჯერ
20. ოთო კოვზირიძე 3-ჯერ
21. კობა კოპაძე 2-ჯერ
22. თურნაბედ რევაზიშვილი 2-ჯერ
23. ნანუკა ხუსკივაძე 2-ჯერ
24. გიორგი ვარდოსანიძე 2-ჯერ
25. გურანდა გაბუნია 2-ჯერ
26. ია სუხიტაშვილი 2-ჯერ
27. გივი ბერიკაშვილი 2-ჯერ
28. ლეო ოზგებაშვილი 2-ჯერ
29. ეკა კახიანი 2-ჯერ
30. ქიშვარდ მანველაშვილი 2-ჯერ
31. ჯაბა კილაძე 2-ჯერ
32. ლევან როსტომაული 2-ჯერ
33. რუსკა მაყაშვილი 2-ჯერ
34. აპოლონ კუბლაშვილი 2-ჯერ
35. ლეო ანთაძე 2-ჯერ

გიორგი ბერილაშვილი, მარიამ თევდორაშვილი, ანზორ გვაძაბია, ნუკა კაციტაძე, მაია ტურაშვილი, ოთარ ქუთათელაძე, ჩეკო ტატიშვილი, ჟანრი ლოლაშვილი, ნანკა კალატოზიშვილი, მიშა გომიაშვილი, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ყიფშიძე, ბუბა გოგორიშვილი, ქეთი ცხაკაია, ნინო ბურდული, რამაზ იოსელიანი, დუტა სხირტლაძე, ჯემალ ღაღანიძე, რუსუდან ბოლქვაძე, თათული დოლიძე.

უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში გასართობი დაწესებულება? გამოკითხვის შედეგები ასეთია:

გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ თეატრში უნდა ფუნქციონირებდეს სხვა გასართობი დაწესებულებაც, მათ შორის, კაფეს გახსნას სასურველად მიიჩნევს 16 მაყურებლი, 5 კარაოკე კლუბის გახსნას მიესალმება, ხოლო 31 მაყურებელი ფიქრობს, რომ არ არის სასურველი თეატრში რაიმე ტიპის გასართობი დაწესებულების გახსნა.

მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მოკლე ისტორია
XIX საუკუნის 60-იან წლებში მესხეთის სოფლებში იმართებოდა საქველმოქმედო სპექტაკლები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მსახიობები. 1878 წელს ქ. ახალციხეში ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ზურაბ ანტონოვის პიესა „მე მინდა კნეინა გავხდე“. იმავე წელს აქ ჩამოყალიბდა დასი, რომელშიც შედიოდნენ ს. მესხიშვილი, ე. ყორღანაშვილი, ნ. გამრეკელი, ს. ღოღობერიძე, მ. ალავერდაშვილი, ე. სავანელი, ა. მესხიძე და სხვები. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ მოწვეული მსახიობები: ვასო აბაშიძე, კონსტანტინე ყიფიანი, ზ. მაჩაბელი, ნატო გაბუნია-ცაგარელი და სხვები.

ახალციხეში პროფესიულ თეატრს საფუძველი ჩაეყარა 1936 წელს. ე. წ. სამამულო ომის პერიოდში (1941 წლიდან) თეატრმა დროებით შეწყვიტა მუშაობა 1942 წელს კი განაახლა. თეატრს სათავეში ჩაუდგა გ. აბრამიშვილი. 1945 წელს ახალციხეში გაიხსნა სახელმწიფო თეატრი (დირექტორი და მთავარი რეჟისორი მ. მეძმარიაშვილი). დაიდგა პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, გ. ქელბაქიანის „სევდიანი რომანი“, ი. გედევანიშვილის „სინათლე“, ავქსენტი ცაგარელის „ციმბირელი“ და სხვა სპექტაკლები.
1950 წელს თეატრი დაიხურა, ხოლო 1967 წლის იანვარში კვლავ აღდგა და მესხეთის სახელმწიფო თეატრის სახელწოდება მიიღო (დირექტორი მ. მეძმარიაშვილი, მთავარი რეჟისორი ნ. დემეტრაშვილი, მთავარი მხატვარი ა. გოგოლაძე). დასი დაკომპლექტდა, ძირითადად, რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის და ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებით. სეზონი გაიხსნა ოთარ ჩხეიძის პიესით „თედორე“. თეატრის რეპერტუარში იყო: პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ალექსანდრე ჩხაიძის „სიბრძნე სიკვდილისა“, გ. ბერიაშვილის „მეხდაცემული კაკალი“, ნ. დუმბაძის „მზიანი რამე“, ა. გეწაძის „პაემანი ცაში“, ნ. კიკვიძის „ იდუმალა“, ო. იოსელიანის „მოჯადოებული მწვერვალი“, მ. შამხალოვის „დედამთილი“, ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, 1982 წელს დასში ირიცხებიან ო. აწყურელი, თ. მაისურაძე, ლ. სულუშვილი, თ. რეხვიაშვილი, ტ. ალავიძე, ჯ. ოშხერელი, მ. თევზაძე, რ. ხატიძე, დ. ბერიძე, გ. მინდიკაური, გ. ხვიჩია, ზ. ბერძენიშვილი, ა. ქადაგიშვილი, ს. მელაძე, ო. წიტაიშვილი, თ. ნემსაძე, გ. გოგიძე და სხვა.

თეატრი საქართველოს სამხრეთ კარიბჭის ერთ-ერთი კულტურის კერაა, რომელიც მთლიანად რეგიონის მრავალეროვან მოსახლეობას ემსახურება. მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, თეატრი მაინც ახერხებს ყველა სეზონზე 6-7 სპექტაკლი შესთავაზოს მაყურებელს. მოწვეულ რეჟისორებთან თანამშრომლობენ გამოჩენილი ქართველი სცენოგრაფები. მესხეთის თეატრს უმაღლესი ჯილდოები აქვს მიღებული საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებზე. თეატრი მთელი თავისი არსებობის განმავლობაში წარმატებით მართავდა გასტროლებს საქართველოს დედაქალაქსა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

თეატრის დასახელება - სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
დაარსების წელი **- 1864 წელი**
თეატრის იურიდიული ფორმა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაქვემდებარება - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თეატრის ხელმძღვანელი პირები - ლია სულუაშვილი
თეატრის ელ. ფოსტა - mesxetis.teatri@mail.ru
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა - mesxetis.teatri@mail.ru
ვებგვერდის მისამართი - facebook/მესხეთის თეატრი
თეატრის მისამართი - ქ. ახალციხე, თამარ მეფის ქ.N6
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა - 60
ამათგან მსახიობთა რაოდენობა - 25
შემოქმედებითი პერსონალი - 8
ტექნიკური პერსონალი - 21
ადმინისტრაცია - 6

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	100 000	50 000		
2011	150 000	60 000		
2012	200 000	60 000		

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით

2010 წელი - 11157.5
2011 წელი - 13 530
2012 წელი - 12 594.5

2010-2012 წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი, წლების მიხედვით)
ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წელი - 67
2011 წელი- 53
2012 წელი- 53

დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელი– 5 320
2011 წელი – 5 742
2012 წელი– 5 511

ბილეთის ტარიფები - 1.20 - 3 ლარი

თეატრის შემოსავალი რაიმე სხვა საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა)

2010 წელი
1. ბილეთებისა და აბონემენტების გაყიდვიდან - 35 437 ლარი, მათ შორის ფესტივალის ბილეთებიდან 10 754.80
2. იჯარა - 12 131.40
3. საქველმოქმედო - 500
4. სხვადასხვა - 30

2011 წელი
1. ბილეთებისა და აბონემენტების გაყიდვიდან - 22 180
2. იჯარა - 14 888.98
3. ჯართის გაყიდვიდან - 2 927
4. საბილეთო წიგნის გაყიდვიდან - 140
5. საქველმოქმედო - 250

2012 წელი
1. ბილეთებისა და აბონემენტების გაყიდვიდან - 14 790.70
2. იჯარა - 12 456.91
3. საბილეთო წიგნის გაყიდვიდან - 140
4. საქველმოქმედო - 311
5. ფესტივალის (აჭარიდან) – 500

რეპერტუარი - 2010-2012 წლები

სპექტაკლის დასახელება - „აივანი“
პიესის ავტორი - ოთარ ქათამაძე
რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი
მხატვარი - ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - გიორგი შალუტაშვილი
მონაწილეობენ - ლია სულუაშვილი, მანუჩარ გოგოლაური, მანანა ბერიძე, ჯუნა თუმანიშვილი, ქეთევან შუბითიძე, ლექსო ჩემია, ბაქარ ალავიძე, რაულ ბარბაქაძე, იური სუდაძე, ვაჟა ნიკოლაშვილი, ხათუნა ღუღუნიშვილი, ნიკოლოზ გოგიძე, თენგიზ კოჭლამაზაშვილი

სპექტაკლის დასახელება - „ძვირფასი პამელა“
პიესის ავტორი - ჯონ პატრიკი
რეჟისორი - კოტე აბაშიძე
მხატვარი - ლელა ფერაძე
მუსიკალური გაფორმება - დავით აბაშიძე, კოტე აბაშიძე
მონაწილეობენ - ლია სულუაშვილი, ვაჟა ნიკოლაშვილი, ჯუნა თუმანიშვილი, ლევან გოგოლაძე, მანუჩარ გოგოლაური, ხათუნა ლომიძე

სპექტაკლის დასახელება - „ტოკიოს სასტუმროს ბარში“
პიესის ავტორი - ტენესი უილიამსი
რეჟისორი - სოსო ნემსაძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - გვანცა ბუბუტეიშვილი
მონაწილეობენ - ჯუნა თუმანიშვილი, მანუჩარ გოგოლაური, მანანა ბერიძე, ბაქარ ალავიძე, ნიკოლოზ გოგოიძე, ქეთევან შუბითიძე

სპექტაკლის დასახელება - „ნაფტალინი“
პიესის ავტორი - ლაშა ბუღაძე
რეჟისორი - ირაკლი გოგია
მხატვარი - ლევან ტუღუში, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - ირაკლი გოგია
მონაწილეობენ - ლია სულუაშვილი, ბაქარ ალავიძე, ხათუნა ლომიძე, ლევან გოგოლაძე, მანუჩარ გოგოლაური, ჯუნა თუმანიშვილი, გვანცა წივილაიშვილი, მანანა ბერიძე, მარინა ჯინჭველაძე, ცირა ტაბატაძე, სიმონ მესხიძე, ნინო კაჭკაჭაშვილი, ქეთევან შუბითიძე

სპექტაკლის დასახელება - „გაყრა“
პიესის ავტორი - გიორგი ერისთავი
რეჟისორი - კახა გოგიძე
მხატვარი - ლელა ფერაძე
მუსიკალური გაფორმება - არტურ დავლაშერიძე
ქორეოგრაფი - ხათუნა ლომიძე
მონაწილეობენ - იური სუდაძე, ტარიელ ალავიძე, თენგიზ კოჭლამაზაშვილი, ხათუნა ღუღუნიშვილი, მარინა ჯინჭველაძე, მანუჩარ გოგოლაური, მანანა ბერიძე, ნინო კაჭკაჭაშვილი, სიმონ მესხიძე, ლევან გოგოლაძე, ბაქარ ალავიძე, ხათუნა ლომიძე, დავით კვერნაძე

სპექტაკლის დასახელება - „ეპისტოლარული მსვლელობა სანტამარიანელამდე“
პიესის ავტორი - ირაკლი სამოსონაძე
რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი
მხატვარი - ბექა სადაღაშვილი, თამარ ჭავჭანიძე
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
მონაწილეობენ - მალხაზ შაყულაშვილი, ლია სულუაშვილი, ვაჟა ნიკოლაშვილი, მანუჩარ გოგოლაური, ლევან გოგოლაძე, იური სუდაძე, ბაქარ ალავიძე, მანანა ბერიძე, ჯუნა თუმანიშვილი, ხათუნა ლომიძე, ნიკოლოზ გოგიძე, ქეთევან შუბითიძე, სიმონ მესხიძე

სპექტაკლის დასახელება - „ბუტიაობა“
პიესის ავტორი - აკაკი წერეთელი
რეჟისორი - სოსო ნემსაძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - გვანცა ბუბუტეიშვილი
ქორეოგრაფი - ჯუნა თუმანიშვილი
მონაწილეობენ - ვაჟა ნიკოლაშვილი, მანანა ბერიძე, იური სუდაძე, ხათუნა ღუღუნიშვილი, მარინა ჯინჭველაძე, მანუჩარ გოგოლაური, ნინო კაჭკაჭაშვილი

სპექტაკლის დასახელება - „გველის-მჭამელი“
პიესის ავტორი - ვაჟა-ფშაველას პოემის მიხედვით
რეჟისორი - სოსო ნემსაძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - სოსო ნემსაძე
მონაწილეობენ - ლია სულუაშვილი, კონსტანტინე კახიშვილი, რაულ ბარბაქაძე, ლია გოგიძე, მანუჩარ გოგოლაური, ნიკა გოგიძე, მიხეილ ბერიძე, მანანა ბერიძე, მარინა ჯინჭველაძე, ჯუნა თუმანიშვილი

სპექტაკლის დასახელება - „მე მინდა კნეინა გავხდე“
პიესის ავტორი - ზ.ანტონოვი
რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება -არტურ დავლაშერიძე
მონაწილეობენ - მანუჩარ გოგოლაური, მანანა ბერიძე, ბაქარ ალავიძე, ლია გოგიძე, კახა გოგიძე, იური სუდაძე, ხათუნა ლომიძე, ცირა ტაბატაძე, ვარლამ წიკლაური, ნიკა გოგიძე, ნინო კაჭკაჭაშვილი

სპექტაკლის დასახელება - „ვარდი და გვირგვინი“
პიესის ავტორი - ჯონ ბ. პრისტლი
რეჟისორი - თამაზ იმნაძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - თამაზ იმნაძე
ქორეოგრაფი - მალხაზ შაყულაშვილი
მონაწილეობენ - ლია სულუაშვილი, გალენა ხვიჩია, გვანცა წივილაიშვილი, ქეთევან შუბითიძე, მალხაზ შაყულაშვილი, ტარიელ ალავიძე, მანანა ბერიძე, ბაქარ ალავიძე, ხათუნა ლომიძე, მიხეილ ბერიძე, ჯუნა თუმანიშვილი, ნიკოლოზ გოგიძე, რაულ ბარბაქაძე, ვარლამ წიკლაური

სპექტაკლის დასახელება - „მიუხედავად ყველაფრისა“
პიესის ავტორი - ნაზიმ ჰიქმეთი
რეჟისორი - ზურაბ სიხარულიძე
მხატვარი - ზურაბ სიხარულიძე
მუსიკალური გაფორმება - თამარ ხორავა
მონაწილეობენ - ვაჟა ნიკოლაშვილი, მანუჩარ გოგოლაური, რაულ ბარბაქაძე, ბადრი თამაზაშვილი, იური სუდაძე, ტარიელ ალავიძე, მარინა ჯინჭველაძე, მანანა ბერიძე, ცირა ტაბატაძე, ჯუნა თუმანიშვილი, გვანცა წივილაიშვილი, ხათუნა ლომიძე, ნინო კაჭკაჭაშვილი, ქეთევან შუბითიძე

სპექტაკლის დასახელება - „სიყვარულის ანთოლოგია“
პიესის ავტორი - ა. პუშკინი, რ. ერისთავი, ა. ეიკბორნი
რეჟისორი - კოტე აბაშიძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - კოტე აბაშიძე
მონაწილეობენ - მანუჩარ გოგოლაური, ლევან გოგოლაძე, ჯუნა თუმანიშვილი, ბაქარ ალავიძე, ტასო ლომიძე, ნინო კაჭკაჭაშვილი, ბადრი მურვანიძე, თორნიკე მაღრაძე, შალვა სუდაძე, ლია სულუაშვილი, ვაჟა ნიკოლაშვილი

სპექტაკლის დასახელება - „ჯაყოს ხიზნები“
პიესის ავტორი - მიხეილ ჯავახიშვილი
რეჟისორი - კახა გოგიძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - კახა გოგიძე
მონაწილეობენ - ლექსო ჩემია, ქეთევან შუბითიძე, ლაშა ბუტულაშვილი, გელა ხახანაშვილი, ჯუნა თუმანიშვილი, მანუჩარ გოგოლაური, ცირა ტაბატაძე, ნიკოლოზ გოგიძე, ბაქარ ალავიძე, ვარლამ წიკლაური, პავლე თამაზაშვილი, ვაჟა ნიკოლაშვილი, მიხეილ ბერიძე, ხათუნა ღუღუნიშვილი, რაულ ბარბაქაძე, იორგი ონსუზიანი

სპექტაკლის დასახელება - „შენკენ სავალი გზები“
პიესის ავტორი - ლაშა თაბუკაშვილი
რეჟისორი - კახა გოგიძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - კახა გოგიძე
მონაწილეობენ - მანანა ბერიძე, მალხაზ შაყულაშვილი, მანუჩარ გოგოლაური, ჯუნა თუმანიშვილი, თამაზ იმნაძე

სპექტაკლის დასახელება - „ხეები ზეზეურად კვდებიან“
პიესის ავტორი - ალეჰანდრო კასონა
რეჟისორი - ნუგზარ ლორთქიფანიძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - ნუგზარ ლორთქიფანიძე
ქორეოგრაფი - სვეტლანა ეგანიანი
მონაწილეობენ - ლია სულუაშვილი, ვაჟა ნიკოლაშვილი, მანანა ბერიძე, მარინა ჯინჭველაძე, ბაქარ ალავიძე, ლექსო ჩემია, ხათუნა ღუღუნიშვილი, ლია გოგიძე, ანა ხუბუტია, იური სუდაძე, ბადრი თამაზაშვილი, ცირა ტაბატაძე, ბაქარ ალავიძე

სპექტაკლის დასახელება - „ქეთევანი“
პიესის ავტორი - ოთარ ჩხეიძე
რეჟისორი - კახა გოგიძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - კახა გოგიძე
მონაწილეობენ - ლია გოგიძე, გელა ხახანაშვილი, ქეთევან შუბითიძე, ნიკა გოგიძე, გალინა ხვიჩია,

ცირა ტაბატაძე, მანანა ბერიძე, ვაჟა ნიკოლაშვილი, პავლე თამაზაშვილი, იური სუდაძე, ბაქარ ალავიძე, რაულ ბარბაქაძე, ლაშა ბუტულაშვილი, გრიგორი გვარამაძე, ავთანდილ ლომიძე, ვარლამ წიკლაური, ნინო კაჭკაჭაშვილი, ანა ხუბუტია, იზოლდა ოქრომელიძე, ხათუნა ღუღუნიშვილი, მარინე ჯინჭველაძე-გოგოლაძე

სპექტაკლის დასახელება - „ქაღალდის წვიმა“
პიესის ავტორი - ნიკა საბაშვილი
რეჟისორი - ნიკა საბაშვილი
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - თამაზ იმნაძე
მონაწილეობენ - ლექსო ჩემია, ლაშა ბუტულაშვილი, თამაზ იმნაძე, მანანა ბერიძე

სპექტაკლის დასახელება - „ირინეს ბედნიერება“
პიესის ავტორი - დავით კლდიაშვილი
რეჟისორი - ირაკლი ძნელაძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
ქორეოგრაფი - ანა ხუბუტია
მუსიკალური გაფორმება - თამაზ იმნაძე
მონაწილეობენ - გიორგი რევაზიშვილი, მარინა ჯინჭველაძე, ლექსო ჩემია, რაულ ბარბაქაძე, ქეთევან შუბითიძე, ბაქარ ალავიძე, ნიკა გოგიძე

სპექტაკლის დასახელება - „ვინ? “
პიესის ავტორი - გურამ ბათიაშვილი
რეჟისორი - კახა გოგიძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - კახა გოგიძე
მონაწილეობენ - ლექსო ჩემია, გიორგი რევაზიშვილი, რაულ ბარბაქაძე, ქეთევან შუბითიძე, ვაჟა ნიკოლაშვილი, მანანა ბერიძე, ცირა ტაბატაძე, ლაშა ბუტულაშვილი, გიორგი რევაზიშვილი, ნიკა გოგიძე, ლია სულუაშვილი, იური სუდაძე, გალინა ხვიჩია, ბაქარ ალავიძე, თამაზ იმნაძე, გიორგი რევაზიშვილი, ვარლამ წიკლაური, ავთანდილ ლომიძე, გრიგორ გვარამაძე, ანა ხუბუტია

სპექტაკლის დასახელება - „ქალები და ქალიშვილები“
პიესის ავტორი - ნილ საიმონი
რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - ნინო ალავიძე
მონაწილეობენ - ლაშა ბუტულაშვილი, მანანა ბერიძე, ცირა ტაბატაძე, ლია სულუაშვილი, ქეთევან შუბითიძე, მარინა ჯინჭველაძე, ხათუნა ღუღუნიშვილი

სპექტაკლის დასახელება - „ნატაძრალზე“
პიესის ავტორი - ლაშა თაბუკაშვილი
რეჟისორი - მამუკა ცერცვაძე
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - მამუკა ცერცვაძე
მონაწილეობენ - ლია სულუაშვილი, მანანა ბერიძე, ხათუნა ღუღუნიშვილი, ქეთევან შუბითიძე, ნიკოლოზ გოგიძე, კახა გოგიძე, ვაჟა ნიკოლაშვილი, მანუჩარ გოგოლაური, ლაშა ბუტულაშვილი, ლექსო ჩემია, რაულ ბარბაქაძე, თამაზ იმნაძე, გოგიტა გვარამაძე, მიხეილ ბერიძე, ვარლამ წიკლაური, ავთანდილ ლომიძე, გოგიტა გვარამაძე

სპექტაკლის დასახელება - „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“
პიესის ავტორი - თამრი ფხაკაძე
რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი
მხატვარი - ლელა ფერაძე, ნანა ყორანაშვილი
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
მონაწილეობენ - გიორგი რევაზიშვილი, ლაშა ბუტულაშვილი, მანანა ბერიძე, მანუჩარ გოგოლაური, ცირა ტაბატაძე, ვაჟა ნიკოლაშვილი, ხათუნა ღუღუნიშვილი, იური ხუდაძე, ბადრი თამაზაშვილი, რაულ ბარბაქაძე, დავით ჩილინგარიშვილი, თორნიკე მაღრაძე

რა უჯდება თეატრს საშუალოდ ახალი სპექტაკლის დადგმა - 10 000 ლარი
რა უჯდება თეატრს საშუალოდ სპექტაკლის აღდგენა - 1 000 ლარი
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი - 3 500 ლარი

მოწვეული მსახიობის ჰონორარი - 400ლარი
მსახიობის საშუალო ხელფასი
უმაღლესი- 650 ლარი
უმდაბლესი - 100 ლარი

თეატრი გასტროლებზე (2010-2012)
თეატრს გასტროლებზე გასვლა საშუალოდ უჯდება - 2 900
ქვეყნის შიგნით - 2 900
საზღვარგარეთ
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი
ქვეყნის შიგნით - საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელი (GRTN)
ქვეყნის გარეთ - თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი (ITI-Georgia), საერთაშორისო არაფორმალური თეატრალური შეხვედრები (ITEM)
მონაწილეობა ფესტივალებში - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) - ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2010 - 2012 წწ.) - არა
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი - არა
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის, ან პიარსამსახურის მენეჯერი - არა
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - დიახ
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება - დიახ
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ყველაზე ახალგაზრდა - 16
ყველაზე ხანდაზმული მსახიობი - 70
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში - 2013
თეატრში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო - დიახ
ლ. სულუაშვილი - ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია - 2010 წელი
მარინა ბერიძე - მე-2 ხარისხის როლის შესრულებისთვის - 2013 წელი

შენობის შესაძლებლობები

აქვს თუ არა ფოიე - საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო - დიახ
ბუფეტი - არა
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ
ტექნიკური აღჭურვა
განათება - 60 პროჟექტორი (ძველი), 2-პროგრამიანი მიქშერი(1980 წ), პარი 22, თოვლის აპარატი, კვამლის აპარატი
გახმოვანება - 4 დინამიკი, 4 მიკროფონი, 2 დეკა, მინიდისკი, კომპაქტდისკი, მიქშერი, გამამღერებელი
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა - 530
ამფითეატრის პრინციპის პარტერი 20-25, რიგი 21

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე - 15 მ.
სცენის სიგანე - 15 მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - 18 მ.
იატაკიდან გამოყენებამდე - 8 მ.
სარკის სიგანე - 13 მ.
სარკის სიმაღლე - 7 მ.
საორკესტრო ორმოს სიგანე - 4,5 მ.
საორკესტრო ორმოს სიმაღლე - 2.20 მ.
საორკესტრო ორმოს რკალი - 2 მ.
სცენის წრის დიამეტრი - 10X10 მ.
სცენის მარჯვენა ჯიბე - არ აქვს
სცენის მარცხენა ჯიბე - არ აქვს
შტანგეტების რაოდენობა - 27
შტანგეტებს შორის ინტერვალი - 30 სმ.

სოფიტების რაოდენობა - 5
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა - 8 ც.
მოძრავი პორტალების სიმაღლე - 9 მ.
მოძრავი პორტალების სიგანე - 2 მ.

საუბარი ახალციხის თეატრის მმართველ ლია სულუაშვილთან

- **რაიმე ტიპის შეთავაზებები გაქვთ ჩამოყალიბებული, რომ ძლიერ კომპანიასთან მიხვიდეთ?**
- თუ გავიზიარებთ ამერიკის გამოცდილებას, ჩვენ გვაქვს ასეთი მიდგომა: მის პროდუქციას გავუწიო რეკლამა, ძირითადად, დავკავდები მისი პროდუქციის პროპაგანდით. შესაძლებელია, შუამდგომლობა გავუწიოთ ადგილობრივ ხელისუფალთან და ასე შემდეგ. მთავარია, ასეთი კომპანია გამოჩნდეს.
- **თუ გითანამშრომლიათ რომელიმე ორგანიზაციასთან?**
- დიახ, ასეთი გამონათება იყო: ეროვნულმა მუსიკალურმა ცენტრმა ფესტივალი ჩაატარა და მთელი შემოსავალი დაუტოვა თეატრს. ჩვენთვის ეს იყო უზარმაზარი ბედნიერება. ამას გარდა, გვყავდა ერთი სპონსორი, ის ახლა დეპუტატია, რომლის დახმარებით დაგვიმონტაჟეს გათბობის სისტემა. არის ასეთი ფრაგმენტული ხასიათის გამონათებებიც.
- **არის თქვენი თეატრი ამ ეტაპზე ძლიერი და საქმიანი პარტნიორი?**
- არ არის, რადგან ჩვენ არა გვაქვს დიდი სამოქმედო არეალი და სივრცე, ვგულისხმობ დიდ ქალაქს, გასტროლებს, რომ დავწეროთ აფიშებზე ჩვენი სპონსორის სახელი და გავუწიოთ რეკლამა
- **რას ნიშნავს თქვენთვის სპონსორობა?**
- პირველ რიგში, სპონსორი ნიშნავს, რომ ის უკვე თეატრის მეგობარია. რამდენ მეგობარსაც შევიძენთ, ეს კიდევ ერთი აღიარებაა თატრისა და, ამასთანავე, მაყურებლის გაზრდის საშუალებაცაა, რადგან იმ სპონსორს ჰყავს ახლობელი, მეგობარი, კომპანიონები და, რა თქმა უნდა, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მივესალმები მუდმივ პარტნიორობას.
- **საკმარისია თუ არა სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები?**
- არა, რა თქმა უნდა. თუ სპონსორს სახელმწიფოსაგან შეღავათები არა აქვს, ის თავს აგარიდებს. ჩვენ ვცდილობთ, რომ მოვიძიოთ რაღაც თანხები: ვაქირავებთ დარბაზს და შემოსული თანხით რაღაც ხარჯებს ვფარავთ.
- **რა იყო ყველაზე დიდი მარკეტინგული წარმატება?**
- 2010 წელს ჩავატარეთ ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი, დავბეჭდეთ აბონემენტები, გავავრცელეთ ხუთივე რაიონში. ამან გამოაცოცხლა თეატრალური ცხოვრება, მეორე ფესტივალი ნამდვილ ზეიმად იქცა მაყურებლისთვისაც და თავად კოლექტივებისთვისაც. დიდი სურვილი მქონდა საბავშვო თეატრების ფესტივალის ჩატარებისა. 13 სკოლა დგამდა წარმოდგენებს და აქ უდიდესი ზეიმი მოვაწყვეთ. 2012 წელს რვა პრემიერა ვითამაშეთ. მე დავდგი ფ. შილერის "ვერაგობა და სიყვარული". მუშაობისას რომ დაინახეს დასში, რომ ეს არის კლასიკა... ვიღაცას აინტერესებს, როგორია სარეპერტუარო პოლიტიკა, როცა, მაგალითად, შილერი გაქვს და ჩეხოვი, მაშინ ისინი სათანადო დასკვნას აკეთებენ, რომე ეს თეატრია და არა კლუბი.
- **რას გვეტყვით საქველმოქმედო პროექტების შესახებ?**
- ხშირად ვთამაშობთ ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველებისთვის, უნარშეზღუდულებსაც ვეპატიჟებით, ვიწვევთ პენსიონერებს. ჩვენ ორი სპექტაკლი ვითამაშეთ გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად.
- **თუ გაქვთ საბავშო სპექტაკლები?**
- დიახ, "ნაცარქექია" დავდგით, სოფლის სკოლებიდან ხშირად ჩამოდიან და ეზიარებიან თეატრალურ კულტურას.
- **რას იტყვით მაყურებელზე?**
- ძირითადად, ახალგაზრდები დადიან, მათ მოსაზიდად თეატრის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე დავდეთ კითხვარი: მომავალ სეზონში რა ჟანრის ნაწარმოების ნახვას ისურვებდი? ჩემდა გასაოცრად, კომედია და ვოდევილი კი არ მოითხოვეს, არამედ უფრო ფსიქოლოგიური დრამა. ჩვენ დავდგით "ჯაყოს ხიზნები", "ნატაძრალზე". გულწასული იყო მაყურებელი, ისე განიცდიდა და ისე მოსწონდა ეს სპექტაკლები. ახალციხის მაყურებელი გამორჩეულია ყველასაგან თავისი დახვეწილი და რაფირინებული გემოვნებით. სადაც თეატრი არაა, იქ ძალიან მძიმე შედეგებია სოციუმის მხრივ.
- **რა პრობლემები გაქვთ მმართველობის თვალსაზრისით?**
- ყველაზე დიდი პრობლემაა მსახიობის უწყვეტი დენადობა. მცირე ანაზღაურება, უბინაობა, წყვეტილი მუშაობა (ზამთარში არ გვაქვს ის ფუფუნება, რომ გავათბოთ დარბაზი) – ეს ყველაფერი ხელს უშლის მსახიობის შემოქმედებით ზრდას. ამ სეზონში 7–8 სპექტაკლი დავდგით. მსახიობს სჭირდება გასტროლი, გაყვანა, კრიტიკოსის შეფასება. ზაფხულში მძიმე მუშაობა გვაქვს, მაგრამ დეკემბრიდან მარტის ჩათვლით, ფაქტობრივად, თეატრი გაჩერებულია. მსახიობთა სტაბილურობა არის გარანტი თეატრის მუდმივი სიცოცხლისუნარიანობისა. ტრანსპორტის უქონლობა ხელს

გვიშლის, რომ გასტროლებზე გავიდეთ თუნდაც ჩვენს რეგიონში. თეატრი არ გარემონტებულა, საგრიმიოროები გასაკეთებელია, წყალგაყვანილობა გამოსაცვლელია. თეატრის დასის შესანარჩუნებლად საჭიროა გასტროლები და ამისთვის აუცილებელია თანხების მოძიება.

- **როგორი სამომავლო გეგმები გაქვთ?**
- თეატრს აქვს პატარა ტერიტორია და მინდა საცხოვრებელი ოროთახიანი კაპიტალური შენობა ავაშენოთ, სადაც მოწვეული მსახიობი ან რეჟისორი იცხოვრებს. მსახიობების მოწვევა გამოიწვია იმან, რომ თაობა დაბერდა, ახალი ძალა თეატრში არ მოდის, არადა, აუცილებელია დასის განახლება.
- **რა პრინციპით იწვევთ რეჟისორებს?**
- ძირითადია მათი ნიჭიერება და პროფესიონალიზმი. თუკი არ ითაღლითა რეჟისორმა, მასთან კონტრაქტს არ გავწყვეტ. ახალგაზრდა რეჟისორებს ვიწვევ, რადგანაც მათ საკუთარი სათქმელი აქვთ და შესაძლებლობის მაქსიმუმი მინდა გამოამჟღავნონ.
- **როგორ არჩევთ რეპერტუარს?**
- ვცდილობთ გვქონდეს საზღვარგარეთის დრამატურგია, მაგრამ ვითვალისწინებ ჩვენი მაყურებლის მოთხოვნას, რომელსაც ასე ძალიან უყვარს ქართული დრამატურგია.
- **როგორ ხდება რეგიონში ინფორმაციის შემოდინება თეატრში მიმდინარე პროცესებზე?**
- ვახერხებთ, გვაქვს კონტაქტები სხვა თეატრებთან, სამინისტროსთან.
- **როგორ ხერხდება ეთნიკური უმცირესობების ჩართვა თეატრალურ ცხოვრებაში?**
- "ნაცარქექიაში" 50 ბილეთი გაიყიდა სომხურ სკოლაში. ჩავატარე ასეთი ექსპერიმენტიც: არაქართველი დავაკავე სპექტაკლში და 5 თვეში წმინდა ქართულით ავალაპარაკეთ. მას მოჰყვნენ მეგობრები, ოჯახის წევრები და მათი ინტეგრირება ადვილად მოხდა. გარდა ამისა, სომეხი დრამატურგის პიესა დავდგით, სომეხი რეჟისორიც მოვიწვიეთ და ასე ვთანამშრომლობთ. დიდი სურვილი მქონდა, სომხეთში ჩაგვეტანა ჩვენი წარმოდგენა, მაგრამ ჯერ ვერ შევძელით.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები
მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
გამოიკითხა 69 მაყურებელი

ახალციხეში გამოკითხული 69 მაყურებლიდან ყოველ ახალ დადგმას 19 ესწრება,ხოლო 20 მხოლოდ საინტერსო სპექტაკლებს ნახულობს, 10 მათგანი 2-3 თვეში ერთხელ სტუმრობს თეატრს.



მესხეთში მაყურებელი თეატრში მიუსვლელობის მიზეზად თავისუფალი დროის უქონლობას ასახელებს, 14 გამოკითხული ამბობს, რომ ვერ ყიდულობს ბილეთს, ხოლო 11 შორს ცხოვრებას ასახელებს მთავარ მიზეზად.



ახალციხეში მაყურებლის დიდი უმრავლესობა თეატრში დასვენებისა და გართობის მიზნით დადის, 69 გამოკითხულიდან 28 სწორედ ამ მიზეზს ასახელებს, 14 ხმით მეორე ადგილზე ესთეტიკური სიამოვნებაა.



ჟანრებს შორის მესხეთში ყველაზე მეტი მოთხოვნა კომედიაზე, მელოდრამასა და ფსიქოლოგიურ დრამაზეა. ხმები ასე გადანაწილდა: კომედია - 33, მელოდრამა - 22, ხოლო ფსიქოლოგიური დრამა -14. ძალიან დაბალი მოთხოვნაა ვოდევილზე, მუსიკალურ კომედიასა და ტრაგიკომედიაზე.



როგორც ამ გამოკითხვამ აჩვენა, მაყურებელი ახალციხეში სპექტაკლის გამართვის შესახებ აფიშიდან იგებს, ძალიან მცირე ნაწილი - სატელევიზიო რეკლამითა და ინტერნეტით.



ახალციხელი მაყურებლის მესამედი ფიქრობს, რომ თეატრის რეპერტუარი მრავალფეროვანი დრამატურგიით უნდა იყოს გაჯერებული, თუმცა 18 მათგანი პირველ ადგილზე აყენებს თანამედროვე ქართულ დრამატურგიას, რომელსაც მოსდევს ისტორიული ჟანრის პიესები.



მაყურებელი თეატრში მისვლის ერთ-ერთ მიზეზად ნაწარმოების პოპულარობას ასახელებს, რადგან 18 რესპოდენტი ამბობს, რომ თეატრში კონკრეტულ სპექტაკლზე იმიტომ მივიდა, რომ წაკითხული ჰქონდა ნაწარმოები. 15-ს კი სპექტაკლის თემამ დააინტერესა, ხოლო 10 მათგანს სურდა ენახა საყვარელი მსახიობები.



ახალციხელი მაყურებლისთვის ყველაზე მთავარი სპექტაკლში საინტერესო ამბავი (25 ხმა) და ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსია (24 ხმა), 13 მათგანისთვის კი მთავარი რეჟისორის ახალი ნამუშევარია.



როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია? ამ კითხვაზე პასუხმა ასეთი შედეგები აჩვენა: გამოკითხულთა 46 ერთეული აფიშას ასახელებს, ხოლო 14 სატელევიზიო რეკლამას, 10 ხმით მას ინტერნეტსაშუალებები მოსდევს.

კითხვაზე, დაასახელებთ თუ არა რომელიმე თეატრმცოდნეს ან კრიტიკოსს, 69 გამოკითხულიდან მხოლოდ ერთხელ დასახელდნენ ვასილ კიკნაძე და ლაშა ჩხარტიშვილი.



69 რესპოდენტიდან 34 ნაწილობრივ ენდობა კრიტიკას, 26 მათგანი საერთოდ არ ენდობა და 4 მილიანად ენდობა.

კითხვაზე, რომელი რეჟისორი მოგწონთ ყველაზე მეტად, ჩამოთვლილთაგან დასახელდა:
ლია სულუაშვილი 7 - ჯერ, გიორგი შალუტაშვილი 3 -ჯერ, კახა გოგიძე 2-ჯერ, კოტე აბაშიძე 1-ჯერ, თამაზ იმნაძე 1-ჯერ.



ფაქტობრივად, თანაბრად ინაწილებენ ადგილებს რობერტ სტურუა და ლევან წულაძე, ხოლო მათ ახალციხეში ავთანდილ ვარსიმაშვილი და სოსო ნემსაძე მოსდევთ.
ახალციხელი მაყურებლის გამოკითხვაში უხვად დასახელდნენ ადგილობრივი მსახიობები, უფრო მეტიც, სწორედ მანუჩარ გოგოლაურს უჭირავს გამოკითხვის რეიტინგში პირველი ადგილი, რომელსაც კახი კავსაძე სწორედ ერთი ხმით ჩამორჩება. საკმაოდ პოპულარული მსახიობია მანანა ბერიძე, მას რეიტინგში მესამე ადგილი უჭირავს და წინ უსწრებს თენგიზ არჩვაძის პოპულარობას. უფრო დაწვრილებით რეიტინგს ქვემოთ შეგიძლიათ გაეცნოთ:

1. **მანუჩარ გოგოლაური 8-ჯერ**
2. კახი კავსაძე 7-ჯერ
3. **მანანა ბერიძე 6-ჯერ**
4. თენგიზ არჩვაძე 6-ჯერ
5. გივი ბერიკაშვილი 5-ჯერ
6. **რაულ ბარბაქაძე 4-ჯერ**
7. **ვაჟა ნიკოლაიშვილი 3-ჯერ**
8. მარინა კახიანი 3-ჯერ
9. მურმან ჯინორია 3-ჯერ
10. **ცირა ტაბატაძე 2-ჯერ**
11. **ჯუნა თუმანიშვილი 2-ჯერ**
12. **ლაშა ბუტულაშვილი 2-ჯერ**
13. **გელა ხახანიშვილი 2-ჯერ**
14. **კახა გოგიძე 2-ჯერ**
15. ნანკა კალატოზიშვილი 2-ჯერ
16. რუსკა მაყაშვილი 2-ჯერ
17. ზურაბ ყიფშიძე 2-ჯერ

ბექა ბარბაქაძე, ნიკა მაისურაძე, თენგო ვარდიძე, ლია გოგიძე, შოთა ათოშვილი, მამუკა ხითარიშვილი, მარინა ჯანაშია, ლელა მებურიშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, ჟანრი ლოლაშვილი, გურანდა გაბუნია, ჯემალ ღაღანიძე, ეკა კახიანი, დუტა სხირტლაძე.



მაყურებლის უმრავლესობა ახალციხეში წინააღმდეგია სხვა ტიპის გასართობი დაწესებულების გახსნისა. გამოკითხულთაგან 36 მოწინააღმდეგეა, ხოლო 29 მომხრე. თუ რა ტიპის გასართობი დაწესებულება უნდა გაიხსნას თეატრში 12 მაყურებელი ამბობს, რომ კაფეა სასურველი, 3 ღამის კლუბის მომხრეა, ხოლო 2 დისკოთეკისა.

რუსთავის მუნიციპალური თეატრი

მოკლე ისტორია:

1967 წელს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის, ძირითადად, ახალგაზრდა მსახიობთა ერთმა ჯგუფმა, მთავარი რეჟისორის, გიგა ლორთქიფანიძის, მეთაურობით, სიახლის ძიების სურვილით დატოვა თეატრი და გადაწყვიტა საკუთარი, განსხვავებული სიტყვა ეთქვა თეატრალურ ხელოვნებაში. ესენი იყვნენ: ოთარ მეღვინეთუხუცესი, ქეთევან კიკნაძე, ლეილა შოთაძე, თამარ სხირტლაძე, გურანდა გაბუნია, ზაზა ლებანიძე, ია ხობუა, მედეა ბიბილეიშვილი, თენგიზ არჩვაძე, ნოდარ მგალობლიშვილი, რეზო ხობუა, მალხაზ გორგილაძე, გივი ბერიკაშვილი, თენგიზ მაისურაძე, ირაკლი უჩანეიშვილი, ჯემალ გაგნიძე, ლეო ანთაძე, კოტე თოლორაია, გიზო სიხარულიძე, სოსო გოგიჩაიშვილი, შოთა სხირტლაძე, ჯემალ მაზიაშვილი. მათ შეუერთდნენ მსახიობები: ეთერ სიხარულიძე, ოთარ სეთურიძე, მანანა მაჩაბელი, გივი ხახიძე, ოთარ ქუთათელაძე, ლერი მიშველიძე, თენგიზ დაუშვილი, ნანა დათუნაშვილი, შოთა ქრისტესაშვილი, თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები: ნათელა მუხულიშვილი, ზეინაბ გზირიშვილი, ირაკლი ბექაია, თაზო თოლორაია და დიდი მსახიობი აკაკი ვასაძე. დირექტორის პოსტზე ანდრო კიკალეიშვილი შეირჩა, შემდეგ იგი შეცვალა ვახტანგ ლოლაძემ. 1967 წლის 30 ნოემბერს რუსთავის თეატრი გიგა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით ოფიციალურად გაიხსნა ე. როსტანის რომანტიკული დრამით "სირანო დე ბერჟერაკი"

მხატვრად მოწვეული იყო მამია მალაზონია, მუსიკა ეკუთვნოდა ბიძინა კვერნაძეს. დიდი წარმატება ხვდა რუსთავის თეატრს 1969 წელს მოსკოვში გასტროლებზე - იმ პერიოდის თეატრალურ მოვლენად მიიჩნიეს (ხშირად ადარებდნენ თეატრ "სოვრემენნიკსა", რომელიც მოსკოვის სამხატვრო თეატრიდან დაიბადა, და იოზას მილტინისის პანევეჟესის თეატრს). გასტროლები გაიმართა მოსკოვის სამხატვრო თეატრის ფილიალში. რეპერტუარში იყო: "კახაბერის ხმალი", "სირანო დე ბერჟერაკი", "ასი წლის შემდეგ", "კოლხეთის ცისკარი", "კომედიის ხელოვნება" და "ფსკერზე". გამოჩენილი თეატრალური მოღვაწენი – მარია კნებელი, პაველ მარკოვი, ოლეგ ეფრემოვი, მარლენ ხუციევი, ბორის ლვოვ–ალიოხინი – მოიხიბლნენ თეატრის მიერ კლასიკური ნაწარმოების ორიგინალურობითა და ახალგაზრდა დასის შემოქმედებითი თვალთახედვით.

მეტად ზუსტი და ნიშანდობლივია კ. სტანისლავსკის მოწაფის, გ. ლორთქიფანიძის პედაგოგის მ. კნებელის ეს აზრი: "სპექტაკლის ანსამბლურობა, მსახიობთა ინდივიდუალურობის რელიეფურობა, სიტყვის, ჟესტის, მოძრაობის ჰარმონიულობა. მაყურებელი გრძნობს, რომ სცენაზე მსახიობები ფიქრს კი არ თამაშობენ, არამედ ფიქრობენ". წლების განმავლობაში რუსთავის თეატრის სცენაზე სპექტაკლებს დგამდნენ ცნობილი რეჟისორები: ლილი იოსელიანი, გოგი ქავთარაძე, მედეა კუჭუხიძე, მიხეილ ბუკია, ლევან წულაძე, ანდრო ენუქიძე დაა სხვები.

თეატრის რეპერტუარში ასობით სხვადასხვა ჟანრის სპექტაკლი მოხვდა. 2004 წელს რუსთავის თეატრი მუნიციპალური სტატუსით ჩამოყალიბდა და შეუერთდა რუსთავის საბავშვო ახალგაზრდული თეატრი ლომგულ მურუსიძის ხელმძღვანელობით. რუსთავის თეატრის გენერალურ დირექტორად დაინიშნა ლალი თაბაგარი, სამხატვრო კონსულტანტად რობერტ სტურუა. 2009 წლიდან 2010 წლის დეკემბრამდე რუსთავის მუნიციპალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო გოჩა კაპანაძე, 2010 წლიდან „რუსთავის მუნიციპალური თეატრის" დირექტორად დაინიშნა თეა ჟვანია, ამავე წლიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია კლუბური თეატრ "ბრავოს" დამფუძნებელი ლაშა ნოზაძე. 2012 წლიდან თეატრის ხელმძღვანელი გეგი ლიპარტელიანია.

თეატრის შენობა

რუსთავის თეატრის შენობა გასული საუკუნის მეორე ნახევარში აშენდა... რუსთავის თეატრის რეაბილიტაციის პროექტი ქალაქის თვითმმართველობამ 2011 წელს დაიწყო. პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე დასრულდა, გარემონტდა თეატრის დარბაზი, მოწესრიგდა სველი წერტილები და საგრიმიოროები, მოპირკეთდა იატაკი, განახლდა სცენა და თეატრალური დარბაზის ჭაღი, დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათებისა და გახმოვანების აპარატურა, ახალი, გაცილებით რბილი და კომფორტული სკამები, როგორც პარტერში, ასევე აივანზე. დარბაზში დაიგო ხალიჩები, გამოიცვალა სასცენო ფარდა. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა შენობის ფასადს, გარემონტდა და სრულიად გამოიცვალა თეატრის ფოიე, ჰოლშივე დამონტაჟდა თანამედროვე ხიდი, რომელიც შენობის 2 ნაწილს ერთმანეთთან აკავშირებს. განახლებული ფოიე ე.წ. ივენთჰოლის დატვირთვას შეიძენს და გამოფენებისთვის, ოფიციალური შეხვედრებისთვის, პრეზენტაციებისა და სხვა კულტურული ღონისძიებებისთვის იქნება განკუთვნილი.

თეატრის დასახელება - ააიპ რუსთავის მუნიციპალური თეატრი
დაარსების წელი - 1967 წელი
თეატრის იურიდიული ფორმა - არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი
დაქვემდებარება - რუსთავის მუნიციპალიტეტი
თეატრის ხელმძღვანელი პირები მმართველი - გეგი ლიპარტელიანი
თეატრის ელ. ფოსტა - theatrerustavi@gmail.com
ხელმძღვანელი პირების ელ. ფოსტა - g.liparteliani@yahoo.com
ვებგვერდის მისამართი - facebook.com/rustavis teaatri
თეატრის მისამართი - ქ. რუსთავი, ფიროსმანის №7
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 87
ამათგან მსახიობთა რაოდენობა 27
შემოქმედებითი პერსონალი 8
ტექნიკური პერსონალი 28
ადმინისტრაცია 12

თეატრის ბიუჯეტი

წლები	სამინისტრო	რეგიონული	მუნიციპალური	სხვა
2010	-	-	-	
2011	-	-	-	
2012	-	-	288 000	

თეატრის საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან სპექტაკლების მიხედვით
2010 წელი - ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ
2011 წელი - ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ
2012 წელი - 3 416

2010-2012 წლებში დადგმული სპექტაკლების მიხედვით მათი წარმოდგენის რაოდენობა (რამდენჯერ ითამაშა თეატრმა კონკრეტული სპექტაკლი წლების მიხედვით)

ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა
2010 წელი - ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ
2011 წელი - ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ
2012 წელი - 7 ჯერ
დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა
2010 წელი - ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ
2011 წელი - ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ
2012 წელი -1613
ბილეთის ტარიფები 3-7 ლარი

თეატრის შემოსავალი რაიმე სხვა საქმიანობიდან (არენდა, ფოიეს გაქირავება, გარდერობის გაქირავება და სხვა) 2012 წელს შემოსავალმა შეადგინა 39 000 ლარი
რა უჯდება თეატრს საშუალოდ ახალი სპექტაკლის დადგმა 3 000 - 7 000 ლარი
საშუალოდ რა უჯდება თეატრს სპექტაკლის აღდგენა - არ ყოფილა სპექტაკლის აღდგენის შემთხვევა
რეჟისორის დაახლოებითი ჰონორარი - 2 000 ლარი
მოწვეული მსახიობის ჰონორარი - სარეპეტიციო 350 ლარი, გამოსვლა 60 ლარი
მსახიობის საშუალო ხელფასი
უმაღლესი- 400 ლარი
უმდაბლესი - 250 ლარი
იყო თუ არა თეატრი გასტროლებზე (2010-2012) - ბაქოში 2010 წელს
საშუალოდ რა უჯდება თეატრს გასტროლებზე გასვლა:
ქვეყნის შიგნით
საზღვარგარეთ - 7 000 ლარი
არის თუ არა თეატრი რაიმე გაერთიანების წევრი /დაასახელეთ/
ქვეყნის შიგნით - საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელი (GRTN)
ქვეყნის გარეთ - არა
რომელ ფესტივალში მონაწილეობდა თეატრი - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
ვის მასპინძლობდა (რომელ თეატრს, რომელ ფესტივალს, რომელ ღონისძიებას) - მარჯანიშვილის თეატრს, თავისუფალ თეატრს, თუმანიშვილის თეატრს
ჰქონდა თუ არა კოპროდუქცია (2010-2012 წწ.) - არა

რა უჯდება თეატრს კოპროდუქცია საშუალოდ - არ ჰქონია
გსურთ თუ არა უცხოელი რეჟისორის მოწვევა - დიახ
გყავთ თუ არა მუდმივი რეჟისორი თეატრში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები საერთაშორისო თანამშრომლობაში - დიახ
გსურთ თუ არა კონსულტაციები მენეჯმენტის საკითხებში - დიახ
ჰყავს თუ არა თეატრს მარკეტინგის ან პიარსამსახურის მენეჯერი - დიახ, პიარ სამსახურის მენეჯერი
გსურთ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება - არა
გსურთ თუ არა თქვენი მსახიობების გადამზადების პროგრამების მომზადება - დიახ
თეატრის დასის წევრთა ასაკობრივი ზღვარი
ახალგაზრდა - 28 წლის
ხანდაზმული - 70 წლის
ყველაზე ხანდაზმულმა მსახიობმა ბოლოს როდის ითამაშა სპექტაკლში - 2012 წელს
თეატრში მიღებული სახელობითი პრემია ან ჯილდო - არა

შენობის შესაძლებლობები

აქვს თუ არა ფოიე - საგამოფენო სივრცე - დიახ
საკონფერენციო - არა
ბუფეტი -არა
წიგნის მაღაზია - არა
ადგილი წიგნის მაღაზიისათვის - დიახ
ტექნიკური აღჭურვა
განათება - 16 პარი, 12 პროფილი, 12 ლედი, 5 სკანერი, 1 კვამლის აპარატი, 1 ბუშტების აპარატი
გახმოვანება - დინამიკი 8 ც., მინიდისკის პულტი 2, DVD გამშვები 2, მიკროფონი 4, დისტანციური კაბელი 2.
დარბაზში მაყურებლის რაოდენობა 500 ადგილი
დარბაზი
დიდი დარბაზი 400 ადგილი პარტერში, 100 ადგილი იარუსზე
მცირე დარბაზი 70 ადგილი პარტერი, 10 ადგილი აივანი

სცენის პარამეტრები

სცენის სიღრმე - 19 მ.
სცენის სიგანე - 19, 3 მ.
სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე - 7 მ.
იატაკიდან გამოყენებამდე - 24 მ.
სარკის სიგანე - 12,8 მ.
სარკის სიმაღლე - 6,5 მ.
საორკესტრო ორმოს სიგანე - 12 მ.
საორკესტრო ორმოს სიმაღლე - 1,85 მ.
საორკესტრო ორმოს რკალი - 12 მ.
სცენის წრის დიამეტრი - 12 მ.
სცენის მარჯვენა ჯიბე - 3,6 მ.
სცენის მარცხენა ჯიბე - 2,5 მ.
შტანგეტების რაოდენობა - 24
შტანგეტებს შორის ინტერვალი - 20-25 სმ.
სოფიტების რაოდენობა - 3
სოფიტებში მოთავსებული შტანგეტების რაოდენობა - 5
მოძრავი პორტალების სიმაღლე - 7 მ.
მოძრავი პორტალების სიგანე - 1,5 მ.

რეპერტუარი 2010-2012 წწ.

სპექტაკლის დასახელება - „კლინიკური ქორწინება“
პიესის ავტორი - ირაკლი სამსონაძე
დამდგმელი რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
მუსიკალური გაფორმება - ია საკანდელიძე
ტექ. რეჟისორი - ლეილა ჯელაძე
მონაწილეობენ: კუკური (ირაკლი) ბექაია, ხათუნა ბოკუჩავა, ნინო მესხი, გიორგი ბუაძე, კახა გოგიძე-ახალციხელი, ნათია მელაძე, ბაჩო ქაჯაია, ლეონტი შიოშვილი, ანა შარვაძე

სპექტაკლის დასახელება - „კრიტი“
პიესის ავტორები: დიმიტრი მალიაგინი, მარიამ აბაიშვილი
დამდგმელი რეჟისორი - ლაშა ნოზაძე
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
მუსიკალური გაფორმება - ლაშა ნოზაძე
ტექ. რეჟისორი - ლეილა ჯელაძე
მონაწილეობენ: სოსო ელიზბარაშვილი, მალხაზ ბეშიძე, ლეონტი შიოშვილი, დავით ხახიძე, ზურაბ ჯინჭარაძე

სპექტაკლის დასახელება - „ბატი კომშით“
მიხო მოსულიშვილის პიესის “საშობაო ბატი კომშის“ მიხედვით
რეჟისორი - გურამ ბრეგაძე
ქორეოგრაფი - გიორგი მარღანია
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
მონაწილეობენ: დავით ხახიძე, იოსებ ელიზბარაშვილი, ნათია არბოლიშვილი, გიორგი ბუაძე, ნათია მელაძე

ასევე რუსთავის თეატრში 2010-2012 წლებში დაიდგა:
ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“, რეჟისორი ლაშა ნოზაძე;
ლაშა ბუღაძის „ნაფტალინი“, რეჟისორი ლაშა ნოზაძე;
ჯაბა იოსელიანის „დედოფალი მარიამი“, რეჟისორი გოჩა კაპანაძე;
ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“, რეჟისორი გოჩა კაპანაძე;
ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“, რეჟისორი გოჩა კაპანაძე;
დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, რეჟისორი გოჩა კაპანაძე;
ედუარდო დე ფილიპოს „ნეაპოლი - მილიონერთა ქალაქი“, რეჟისორი გოჩა კაპანაძე.

საუბარი რუსთავის თეატრის მმართველ გეგი ლიპარტელიანთან

- **2012 წლიდან რას მიიჩნევთ თეატრის ყველაზე დიდი წარმატებად შემოქმედებითი თვალსაზრისით?**
- ყველაზე დიდი წარმატება ამ შემთხვევაში უფრო პრაგმატული ნაწილი არის, ვგულისხმობ, ზოგადად, რეპერტუარის შექმნას, იმიტომ რომ ჩემი მოსვლის ჟამს თეატრს რეალურად ჰქონდა ერთი სპექტაკლი, რომელიც იყო დაწყებული და არ იყო დამთავრებული. მე დავინიშნე 2012 წლის ივლისში, აპრილში დაწყებული იყო გიორგი შალუტაშვილის სპექტაკლი ირაკლი სამსონაძის პიესის მიხედვით „კლინიკური ქორწინება“ , დავამთავრეთ ოქტომბერში და ნოემბერში მოგვიწია სეზონის გახსნა. ეს გამოწვეული იყო ობიექტურად მხოლოდ ფინანსების გამო, რომელიც თეატრს არ გააჩნდა, რატომ და რისთვის?! - ეს კიდევ ცალკე თემაა. ამის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რომ თეატრში მოგვეწვია რეჟისორები. დავიწყეთ ზრუნვა თეატრის რეპერტუარზე. ამ დროისათვის ჩვენი მთავარი მიზანია შევქმნათ სტაბილური რეპერტუარი, რომ მომხმარებლის, მაყურებლის განცდა იყოს სტაბილური. იცოდნენ, რომ კვირის განმავლობაში, ამა და ამ დღეს, სტაბილურად არის სპექტაკლი, რომელიც შეუძლიათ ნახონ.
- **როგორ იქმნება თეატრში რეპერტუარი და როგორ ხდება რეჟისორების შერჩევა?**
- პრინციპში ორი რამ აბალანსებს ერთმანეთს, ორი პოსტულატი: პირველი - იმის გამო, რომ თეატრს დაკარგული ჰყავს მაყურებელი, აქცენტი გვინდა გავაკეთოთ ისეთ სპექტაკლებზე, რომლებიც მაყურებელს მიიზიდავს, ამას თუ გინდა დაარქვით საკასო სპექტაკლი, ანუ უფრო მსუბუქი ჟანრის სპექტაკლები, რომლებიც რთული გასაკეთებელია, ვგულისხმობ კომედიურ ჟანრს. რაც შეეხება რეჟისორების არჩევას, ამოვდივართ, პირველ რიგში, ფინანსებიდან, ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს იმის საშუალება, რომ გავწვდეთ დიდბიუჯეტიან სპექტაკლებს და მაღალანაზღაურებად რეჟისორებს. ჩვენი კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება ფინანსებით, მაგრამ მოვახერხეთ ის, რომ შტატში გვყავს ორი რეჟისორი, მოწვეული გვყავდა ორი რეჟისორი და კიდევ გვქონდა სამხატვრო ხელმძღვანელის შტატი, რომლის დანიშვნაც მიზეზთა და მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. წლის დასაწყისში, ანუ იანვარში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ თეატრში მოსულიყო რამდენიმე რეჟისორი. შტატიანმა რეჟისორებმა იკისრეს ვალდებულება, რომ დაედგათ წელიწადში ორ-ორი სპექტაკლი: ერთი დიდ სცენაზე და მეორე მცირე სცენაზე, ხოლო მოწვეულმა რეჟისორებმა გააკეთეს თითო-თითო, თუ არ ჩავთვლით გურამ ბრეგაძის შემთხვევას, რომელმაც მეორე სპექტაკლი „ბატი კომშით“, მოსულიშვილის პიესის მიხედვით, გააკეთა აბსოლუტურად უსასყიდლოდ. ესე იგი, გამოვიდა ის, რომ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარი იყო რაოდენობა და შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მაინცდამაინც ვერ ვიამაყებთ იმით, რომ არის ის ხარისხი, რომელსაც თუნდაც მაყურებელი ელოდება ან ჩვენი მოლოდინი იყო წინასწარ ასეთი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ, თუ იარსებებს რაღაც რაოდენობა სპექტაკლებისა და

თეატრში იქნება სიმშვიდე რეპერტუარის კუთხით, ამის შემდეგ უკვე გაიზრდება მოთხოვნა ხარისხზე და არა რაოდენობაზე.

- **გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, იღებთ ერთპიროვნულად, რა სპექტაკლი უნდა დაიდგას და ვინ უნდა დადგას, მაგრამ კონსულტაციებს თუ გადიხართ ვინმესთან?**
- პრინციპში, როცა რეჟისორებს ვიწვევთ, კიდევ ერთხელ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მე მომიწია თითქმის ყველა არტისტთან კონსულტაციის გავლა. პრობლემური იყო აქ რეჟისორებთან ურთიერთობა, იმიტომ რომ, ორი წლის განმავლობაში თეატრი არა თუ ორ ან სამბანაკად იყო გაყოფილი, არამედ გათითოკაცებული იყო, ყველას თავისი აზრი ჰქონდა ყველაფერზე და, პირველ რიგში, დამჭირდა ამ ადამიანების კონსოლიდირება რაღაცა ერთი მიმართულებით. ვფიქრობ, ეს რაღაცნაირად მოვახერხე, ამ წუთას კი ორბანაკად არის თეატრი გაყოფილი, კარგი უმრავლესობა და კარგი უმცირესობა არის ანუ 27 არტისტიდან 22 კაცი ერთნაირად ფიქრობს, 5 ცოტა განსხვავებულად, რაც ბუნებრივი და ნორმალურია. შესაბამისად, ამ ადამიანებთან კონსულტაციების შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, თუ რომელი რეჟისორი უნდა მომეყვანა თეატრში, რა პიესა უნდა გაეკეთებინათ და როგორ. რა თქმა უნდა, ამაზე ცოტა საუბარი იყო, მაგრამ პრინციპში თავისუფალი იყვნენ პიესის არჩევაში, თუმცა რბილი თხოვნა, რომ აქცენტი გაკეთებულიყო კომედიაზე, ნამდვილად იყო.
- **რამდენად ხშირად ხდება დასის განახლება, ვგულისხმობ ახალი თაობის მოსვლას და როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით?**
- დასში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა დაახლოებით ათი - თხუთმეტი წელია. რა თქმა უნდა, იყო პერიოდულად გამონათებები, რომ ღებულობდნენ არტისტს, მაგრამ, ვინმე რომ დაყრდნობოდა მას და აქცენტი გაკეთებულიყო ამ ახალგაზრდებზე, ასეთი რამ არ მინახავს. ახლა კი ჩვენ დავიწყეთ ამაზე ზრუნვა, რამეთუ ეს ძალიან დიდი პრობლემაა თეატრისათვის. ჩვენი დასის ყველაზე ახალგაზრდა წევრი არის 28 წლის. შესაბამისად, უკვე პიესის არჩევაში გვექმნება ძალიან დიდი პრობლემა, იმიტომ რომ შემდეგ გვიწევს სხვა არტისტის მოწვევა თეატრში და ეს, რა თქმა უნდა, სუფთა ფინანსური თვალსაზრისით წამგებიანია. აქედან გამომდინარე, მერე უკვე წარმოიშობა სხვა პრობლემები, რომლებიც შეიძლება ყველა თეატრში წარმოიშობოდეს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ განახლდება დასი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად ვინმეს ხარჯზე. ძალიან გვინდა, რომ დაახლოებით ექვსი - შვიდი კაცით გავამდიდროთ ჩვენი თეატრი, ოღონდ აუცილებელია, რომ ეს ადამიანები იყვნენ ახალგაზრდები, ვინც ახლა დაამთავარა თეატრალური უნივერსიტეტი და გეგმავს, რომ თეატრში თავისი ადგილი იპოვოს.
- **რა არის რუსთავის თეატრის ყველაზე დიდი შემოქმედებითი პრობლემა დღეს?**
- შემოქმედებითად ყველაზე დიდი პრობლემა იწყება ტექნიკური კუთხიდან და მთავრდება იმით, არჩევანი დასში როგორ და რანაირად გაკეთდეს - ეს ჯამში ქმნის იმას, რომ არის პრობლემა შემოქმედებითი კუთხით. ამას გარდა, შეზღუდული რაოდენობით გვაქვს განათება, სცენა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. სპექტაკლისა და რეპეტიციის დროს გარეთ თუ წვიმს, ორჯერ უკეთესად ჩვენთან წვიმს. ნებისმიერ დროს შეიძლება ფიცარნაგი ჩატყდეს, გვაქვს ერთადერთი ტექნიკური მიღწევა, რომ სცენა ტრიალებს, მაგრამ ვერ ტრიალებს, იმიტომ რომ გაჭედილია და ა.შ. დასში კიდევ პრობლემაა არტისტების შერჩევის კუთხით, ანუ ვინ, როგორ და რანაირად. თუ სტანისლავსკის დავუჯერებთ, ყველაზე კარგი განაწილება „რომეო და ჯულიეტაა“. ჩვენთან არ ნაწილდება ასე და, შესაბამისად, არ გვყავს ოპტიმალური დასი. ეს ქმნის, რა თქმა უნდა, შემოქმედებით პრობლემას. იმის იქით, რამდენად მაღალი თუ დაბალი დონის არტისტები არიან, ვფიქრობ, მე ამის შემფასებლად ვერ გამოვდგები, ამიტომაც მინდოდა, რომ თეატრში ყოფილიყო სამხატვრო ხელმძღვანელი.
- **რა არის რუსთავის თეატრის შემოქმედებითი გეგმები?**
- პირველ რიგში, უნდა იყოს რეპერტუარი, დასის განახლების შემდეგ და ახალი კადრების მიღების შემდეგ. არ ვგულისხმობ იმას, რომ მარტო ახალგაზრდები უნდა მივიღოთ. გვინდა გვქონდეს პრეტენზია ტილოების შექმნისა, ანუ ცოტა კლასიკასაც შევეჭიდოთ. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თეატრში იყოს თავისუფალი შემოქმედებითი გარემო და ამ თავისუფალი გარემოს შექმნისათვის გავაკეთეთ მცირე სცენა. გვინდა, რომ თეატრმა რაღაცნაირად მიიღოს შემოქმედებითი გამტარის იმიჯი, ანუ ჩვენ გვინდა მივცეთ ახალგაზრდა, დამწყებ რეჟისორებს იმის საშუალება, რომ თავიანთი თავი დაიმკვიდრონ სცენაზე და სწორედ ამისათვის გაკეთდა მცირე სცენა, სადაც რეჟისორებს მიეცემათ საშუალება, დადგან მცირებიუჯეტიანი სპექტაკლები, დაეყრდნონ ჩვენი თეატრის დასს ან მოიყვანონ თავიანთი მეგობარი მსახიობები. ასევე, ძალიან გვინდა, და მოლაპარაკებებიც გვაქვს ბატონ გოგი მარგველაშვილთან, რომ ფესტივალი „დებიუტი“, რომელიც იყო თეატრალურ უნივერსიტეტში, გადმოვიდეს ქალაქ რუსთავში. გარდა ამისა, ვინაიდან ქალაქში არ არის საბავშვო თეატრი, ჩვენ ასევე გვიწევს საბავშვო რეპერტუარზეც მუშაობა და სექტემბრიდან თეატრში უკვე გვექნება ოთხი თოჯინური სპექტაკლი. ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს მაყურებლის კონტიგენტი. თუ თეატრში, ზოგადად, დადიან როგორც ახალგაზრდები, ასევე ზრდასრულები, ჩვენს შემთხვევაში ასე არ არის, ფაქტიურად, ქალაქში ჩვენ არ გვყავს ახალგაზრდობა, იმიტომ რომ, სტუდენტობა დღის მთლიან ნაწილს ატარებს თბილისში, ვინაიდან სწავლობენ დედაქალაქის უნივერსიტეტებში. ჩვენი დასაყრდენი ამ შემთხვევაში არის სკოლები და ყოველთვის ვდგავართ ზღვარზე, გავაკეთოთ მოზარდ მაყურებელთა თეატრი, თუ ვიყოთ აკადემიური, დრამატული თეატრი. ეს, რა თქმა უნდა, რეპერტუარის დაგეგმვაში გვიშლის ხელს.

- **ხომ არ ჩაგიტარებიათ მაყურებლის კვლევა იმის გასარკვევად, თუ რა ტიპის სპექტაკლები მოსწონს მას და რისი ნახვა სურს?**
- შემიძლია პირდაპირ მოგცეთ ჩემს მიერ ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგები. დავიწყეთ იქიდან, თუ რას ანიჭებდა მაყურებელი უპირატესობას, პირველი კითხვა, რომელიც ჩვენ დავსვით იყო ასეთი - დადიხართ თუ არა რუსთავის თეატრში? 80% - მა გვიპასუხა - არა! 20% - მა გვიპასუხა კი, თუმცა მაკონტროლებელი კითხვით აღმოჩნდა, რომ არც ის არ დადიოდა, იმიტომ რომ ვერც ერთმა ვერ გვიპასუხა, ბოლოს რა სპექტაკლი ნახა. მეორე შეკითხვა იყო - იცით თუ არა რაიმე რუსთავის თეატრის შესახებ, ანუ ფლობთ თუ არა რაიმე ინფორმაციას? ერთმა გამოკითხულმა ასიდან გვიპასუხა, რომ იცნობდა სოსო ელიზბარაშვილს, რომელიც არის ჩვენი თეატრის არტისტი, იმიტომ რომ მისი მეზობელია. ამის იქით ინფორმაციას არავინ არ ფლობდა რუსთავის თეატრზე. შემდეგ გვაინტერესებდა, რატომ არ დადიოდნენ რუსთავის თეატრში, არ მოსწონდათ რეპერტუარი, თუ სხვა თეატრებს სტუმრობდნენ? დავსვით კითხვა, მაგალითად, რომელ თეატრში დადიხართ? და ვიღებდით სტანდარტულ პასუხს რუსთაველი და მარჯანიშვილი, თუმცა ისევ მაკონტროლირებელი კითხვით გამოვლინდა, რომ ვერ ნახეს, არ იციან. იყო, ასევე, ასეთი შეკითხვა, როგორი ჟანრის სპექტაკლებია თქვენთვის სასაიმოვნო? აქცენტი იყო გაკეთებული კომედიაზე, ტრაგედიაზე, თუმცა გვქონდა ნული პასუხი,ტრაგიკომედიამ, იმის გამო, იქაც კომედია ერია, აიღო გარკვეული პროცენტი.
- **როგორ აპირებთ ამ პრობლემის გადაჭრას?**
- ჯერ უნდა შევქმნათ საფუძვლები. სულ ისმისკითხვა, ჩვენ რატომ არ გვაქვს მარკეტინგში გადასროლილი რაღაც თანხები, რატომ არ ვეწევით სერიოზულ პიარ - კამპანიას, მაგრამ ამის თანმდევი კითხვაა - რა გავარეკლამოთ და რა გავაპიაროთ. მე მივაღწიე იმას, რომ წლის დასაწყისში თეატრს 80 000 ლარამდე გაეზარდა ბიუჯეტი. ამ 80 000 ლარის მიღების შემდეგ მქონდა ორი არჩევანი, ერთი - გადამედგა ძალიან პოპულარული ნაბიჯი, გამეზარდა ხელფასები, მაგრამ ეს არ გავაკეთე და გავაკეთე ორგანიზაციისთვის უფრო მნიშვნელოვანი რამ, ანუ ეს 80 000 ლარი გავუშვი სადადგმო ხარჯებში, რითაც მივიღეთ ის, რომ იდგმება სპექტაკლები ანუ ჩემთვის 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის დასასრულამდე არის რეპერტუარის შექმნის პერიოდი. თეატრის შიგნით როგორც ტექნიკური, ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლების, ასევე დასის, მოკლედ, მთლიანად თეატრის მომზადება იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ თავიანთი პროდუქტის გაყიდვა. თეატრის შიგნით არ არსებობდა, როგორც ასეთი, სტრუქტურა. თეატრში რომ მოვედი, დამხვდა ასეთი ადმინისტრაცია - მმართველი, მმართველის პირველი მოადგილე, მმართველის მეორე მოადგილე, პიარმენეჯერი, მაყურებელთან ურთიერთობის მენეჯერი, მაყურებელთან ურთიერთობის კოორდინატორი, მთავარი ბუღალტერი, ბუღალტერის თანაშემწე, მუსიკალური მიმართულების მენეჯერი, ტექნიკური მენეჯერი, მოკლედ ძალიან ბევრი მენეჯერი და ამ მენეჯმენტს მიჰქონდა მთლიანი სახელფასო ბიუჯეტის 35 თუ 40%, მაგრამ თეატრში არ გვყავდა კოსტიუმების მხატვარი, არ იყო არცერთი რეჟისორის შტატი, მათ შორის - არც სამხატვრო ხელმძღვანელის, არც დამდგმელი რეჟისორის, მოკლედ არსად არ ფიგურირებდა რეჟისორი. საოცარი იყო ის, რომ მოწვეული რეჟისორების ბიუჯეტი იყო დაახლოებით 3 000 ლარი წლის განმავლობაში, დასში იყო 26 მსახიობი, ჩვენ ერთი დავამატეთ. არ გვყავდა დურგალი, საკმარისი რაოდენობის სცენის მუშები, დაახლოებით 3 000 კვ.მ. თეატრს ემსახურებოდა ძალიან ცოტა დამლაგებელი, არ გვყავდა 24- საათიანი დარაჯი, რომელიც ამ ყველაფერს მეთვალყურეობას გაუწევდა, მაგრამ გვყავდა ბევრი მენეჯერი, ანუ ეს იყო ზუსტად ის ვარიანტი, სადაც გვყავს 25 ძაღლი და ერთი ცხვარი. დღეის მონაცემებით არ გვყავს მმართველის არც ერთი მოადგილე, ბუღალტერი მარტოც მშვენივრად უმკლავდება თავის საქმეს, არ გვყავს მაყურებელთან ურთიერთობის კოორდინატორი და მაყურებელთან ურთიერთობის მენეჯერი, ჩვენთან პრობლემაა ის რომ ვერა და ვერ ჩამოყალიბდნენ და შეჯერდნენ იმაზე, თეატრი არის მსახიობის თუ მაყურებლისა. ჩემი აზრით, თეატრი არის ყველასი და ყველაზე უნდა ზრუნავდეს. მნიშვნელოვანი არის ის, რომ თბილისის შემთხვევაში თეატრებს აქვთ თავისი სპეციფიკა და ჰყავთ თავისი სეგმენტი, ანუ მომხმარებელმა იცის, რისთვის მიდის, ვთქვათ, მარჯანიშვილის თეატრში, მაგრამ რუსთავის თეატრი ეს არ არის თეატრი, ეს არის რუსთავის თეატრი ანუ აქვს პასუხისმგებლობა, რომ უმასპინძლოს ყველას, ყველა სეგმენტს, პატარით დაწყებული დიდით დამთავრებული. რუსთავში დაიხურა კინოთეატრი რუსთაველი, სადაც ბილეთი ღირდა 3 ლარი, პრემიერა როგორც თბილისის კინოთეატრ „რუსთაველში“ გადიოდა, ისე გადიოდა აქაც, მაგრამ მაყურებელი მაინც არ დადიოდა. გაუქმდა ჩემი თეატრი „ბრავო“, რომელსაც მე ახლა ყურადღებას ვეღარ ვაქცევ, იქ ვყიდდი თვის განმავლობაში დაახლოებით 5 000-დან -7 000 ლარამდე ბილეთს, იმიტომ რომ, ყველა სპექტაკლის წინ ვატარებდი კასტინგს, მომყავდა მოყვარულები და იმათი სადედმამიშვილო და საბიძაშვილო ავსებდა დარბაზს, ეს სულ სხვა რამეა და ამით ხელოვნებაზე ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ რაღაცის კეთება. ჩემი აზრით, პრობლემა არის ის, რომ ყოველთვის ჩვენი თეატრი და სახელოვნებო სივრცეები გამოყენებული არის ტრამპლინად, ანუ ძალიან ადვილია, რომ მიმზიდველი გახდეს თბილისის მოედნები რუსთაველი ხელოვანისათვის. ალბათ ეს ყველა რეგიონული თეატრის პრობლემაა, ვინაიდან ყველას აქვს სურვილი და დაინტერესება, რომ მეტი ხელფასი ჰქონდეს და მეტი ადამიანისათვის გახდეს თვალსაჩინო. ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, რაც რეგიონულ თეატრებში უნდა მოხდეს არის ის, რომ ფინანსები უნდა იყოს საკმარისი, იმისათვის, რათა მოახდინონ ხელოვანი ადამიანების დაინტერესება და თეატრში შენარჩუნება. რა თქმა უნდა,

არტისტს ვერასოდეს დაუმტკიცებ, რომ რუსთავის თეატრში ჯობია ყოფნა რუსთაველის თეატრში ყოფნას, მაგრამ რაღაცნაირად მაინც შესაძლებელი გახდება მათი მოტივირება ან პირიქით, თეატრებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება. რომ იქიდან აქეთ მოიყვანონ არტისტები. სანამ მსახიობის ყველაზე მაღალი ხელფასი იქნება 400 ლარი, ჩვენი თეატრი ამისი მაგალითია, სასწაულების მოხდენაზე საუბარი ზედმეტია.

- **რამდენად ძლიერი და საქმიანი პარტნიორია თეატრი და ზოგადად კულტურა და ხელოვნება რამდენად მიმზიდველი სფეროა სპონსორებისათვის და ბიზნეს კომპანიებისათვის?**
- პირველ რიგში, უნდა ითქვას ის, რომ ბიზნესინტერესები ამ ქალაქში არ არსებობს, ანუ არცერთ დიდ და სერიოზულ ბიზნესკომპანიას არანაირი მარკეტინგული ინტერესი იმისი, რომ ბრენდი დააწინაუროს და მომხმარებელში რაღაც ნდობა გააღრმავოს, არ არსებობს, არ არის ამის სურვილი. რაც შეეხება დიდ და სერიოზულ კომპანიას, რომელიც შეიძლება იყოს ჩვენი პარტნიორი, ანუ ვისაც იმდენი ფული აქვს, რომ პრობლემა არ ექნება თეატრს რაღაცნაირად დაეხმაროს, ეს მხოლოდ იქნება მეცენატობა მათი მხრიდან, ვინაიდან უკუგება ამ მარკეტინგში ჩადებული თანხისა არანაირი არ ექნება, ეს არის - მეტალურგია, აზოტი და რუსთავცემენტი, მაგრამ არცერთი არ ფიქრობს იმას, რომ ჩემი მომხმარებელი გახდება მათი მომხმარებელიც, ანუ მათი მხრიდან ეს იქნება მხოლოდ ქველმოქმედება და მეტი არაფერი. მე მაქვს ამ ადამიანებთან ურთიერთობა და ველოდები იმას, რომ შევქმნა რაღაც პაკეტი, რისი გაკეთება შეუძლია რუსთავის თეატრს მათთვის. იძულებული ვარ, ეს ადამიანები დავაინტერესო, რათა მათთვის რუსთავის თეატრისთვის გაწეული ხარჯი იყოს უფრო თანამშრომლებისთვის გაწეული სამოტივაციო ხარჯი, ვიდრე მეცენატობა.მინდა გადავიდე ბილეთების კორპორატიულ გაყიდვაზე და მივყიდო მათ აბონემენტები, რა თქმა უნდა, ცოტა უფრო ძვირად, ვიდრე ეს იქნება სხვა მომხმარებლისთვის. რუსთავში არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებთანაც შეიძლება ბარტერზე დაფუძნებული ურთიერთობა ჩამოყალიბდეს და ამ მიმართულებითაც ვაპირებთ მუშაობას, მაგრამ მთავარი არის ის, რომ სანაცვლოდ თეატრს რაღაცის შეთავაზება უნდა შეეძლოს და, ვიდრე თეატრში არ იქნება რეპერტუარი, ვერავის ვერაფერს შევთავაზებთ. გარდა ამისა, სპონსორებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ვინ არის მათი ბრენდის წარმომჩენი. ამისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თეატრის დასში ცნობადი სახეების მოყვანა, რომ მათი სახელით კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები გვქონდეს. იყო ასეთი შემთხვევა: ჩავატარეთ თეატრალური სასკოლო ფესტივალი, სკოლებში დგამდნენ სპექტაკლებს და ამ პროექტისთვის „თიბისი“ ბანკს ვთხოვე 6000 ლარი, რომელიც ბანკისთვის არაფერი არაა, თუმცა მათ საერთოდ არ დააინტერესა ამ პროექტმა და ჩემმა მეგობარმა, რომელიც ამ ბანკში მუშაობს, თავისი ჯიბიდან მომცა ეს ფული. „თიბისიმ“ განაცხადა, რომ არანაირი ინტერესი არ ჰქონდა და ფულს ვერაფრით ვერ ჩადებდა. სამწუხაროდ, ჩვენს ქალაქში არავინ არ ჩამოდის ფულის დასახარჯად, პირიქით, აქედან ყოვლთვის სხვაგან მიედინება ფული.
- **რა არის მთავარი პრობლემა თეატრის მენეჯმენტის თვალსაზრისით?**
- მთავარი პრობლემა არის ის, რომ არ მყავს ადამიანი, რომელსაც თეატრის შემოქმედებით მხარეს მივანდობ და ის უხელმძღვანელებს ამ ყველაფერს, ხოლო მე ვიქნები მისი საუკეთესო დამხმარე გაყიდვებში. ამ ეტაპზე მე ვარ ის ადამიანი, რომელიც ითავსებს სამხატვრო ხელმძღვანელის ფუნქციებს, თუმცა არ ვარ კომპეტენტური ამ საკითხში და არ შემიძლია ვთქვა, შემოქმედებითად თეატრი როგორ უნდა განვითარდეს.
- **რა არის თეატრის ყველაზე დიდი წარმატება მარკეტინგული თვალსაზრისით?**
- ჩემს მოსვლამდე თეატრში 2 წლის განმავლობაში იყო გაყიდული 416 ლარის ბილეთი. ჩემი მოსვლის შემდეგ იყო რამდენიმე სპექტაკლი, რომელზეც 800-900 ლარის ბილეთი გაიყიდა ერთ სპექტაკლზე. გარდა ამისა, უკეთესად ავამუშავეთ კომუნიკაციები. თუ ვამბობთ, რომ ჩვენი სამომხმარებლო ბაზარი არის სკოლები, მათთან ურთიერთობა იყო ასეთი, რომ ვიღაც მიდიოდა და ეუბნებოდათ, რომ თეატრში გარკვეულ დღესა და დროს იყო სპექტაკლი და, ვისაც სურვილი ჰქონდა, მოსულიყო. ახლა ჩვენ ვაკეთებთ თეატრის საიმიჯო ბანერს, რომელზეც იქნება ყველანაირი ინფორმაცია თეატრზე და ყველა სკოლაში იქნება თეატრის კუთხე, სადაც იქნება ფლაერები, აფიშები და ყველანაირი ინფორმაცია, რა ხდება ჩვენთან. გარდა ამისა, სექტემბრიდან თეატრში იქნება „თეატრალური ორშაბათი“, თეატრს მივცეთ მუზეუმის სახე და სკოლებისთვის მოვაწყოთ ექსკურსიები - გავაცნოთ მსახიობები, ბავშვები გაეცნონ თეატრის მეურნეობას, როგორ მზადდება სპექტაკლები და ა.შ. ანუ ბავშვებს მიეცემათ საშუალება, გაეცნონ თეატრის მუშაობას. თეატრს არ ჰქონდა ფეისბუქის გვერდი და ესეც გავაკეთეთ. გვინდა ვებგვერდი, რომელსაც ვაკეთებთ, იყოს მიმზიდველი და საინტერესო, იდოს ინფორმაცია არა მარტო თეატრის შესახებ, არამედ სხვადასხვა სახალისო ამბავი, ვიქტორინა. გარდა ამისა, ვგეგმავთ უშუალო მარკეტინგზე (Direct Marketing) გადასვლას, ვინაიდან ამ ქალაქში დიდი მნიშვნელობა აქვს უშუალობას და ამ მიმართულებითაც იქნება ბევრი აქცია. ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სადადგმო ხარჯი. ფული არის იმისათვის საჭირო, რომ ჩვენ კარგ ტელემაუწყებლობასთან ვითანამშრომლოთ, რომ გვქონდეს შესაბამისი რეკლამა. ადგილობრივ ტელევიზიას მაყურებელი არ ჰყავს. ქალაქში არ არის სააფიშეები და ამასაც ვაკეთებთ. როგორც კი გვექნება რეპერტუარი, მზად ვართ, გადავიდეთ უფრო აქტიურ ინტერაქციაზე და არა კომუნიკაციაზე, ანუ მაყურებლისგანაც ძალიან ბევრი ინფორმაცია მივიღოთ. შესაბამისად, თეატრში ყველა სპექტაკლის შემდეგ მოხდება გამოკითხვა. რა თქმა უნდა, არა შერჩევითი, არამედ ზოგადი გამოკითხვა. მინდა შევქმნათ ისეთი სივრცე, სადაც დაინტერესებული ადამიანიებისთვის მოეწყობა სპექტაკლის განხილვა.

- **რა ასაკობრივი კატეგორიის მაყურებელი გყავთ?**
- აქ ბილეთის მყიდველი მაყურებელი არ არსებობს, მაგრამ არ არსებულაო ვერ ვიტყვი. იყო დრო, როდესაც ეს ადამიანები მოდიოდნენ და ყიდულობდნენ ბილეთს. პირველი მიზეზი, რის გამოც მოდიან თეატრში, ეს არის სნობური დამოკიდებულება. არის მაყურებელი, რომელსაც უნდა გაუგზავნო მოსაწვევი და არის მაყურებელი, რომელიც მოდის ცნობილი სახეების ხათრით. სეგმენტაციაზე თუ ვილაპარაკებთ, არსებობს ერთადერთი სტაბილური სეგმენტი - სკოლა.
- **თუ აქვს თეატრს საქველმოქმედო პროექტები?**
- რამდენჯერმე ვითამაშეთ ბავშვთა სახლებისათვის, თუმცა ამან ხმაურისა და ყოველგვარი გაშუქების გარეშე ჩაიარა. პრობაციონერებთან გვაქვს გარკვეული საქველმოქმედო სპექტაკლები, თუმცა აქტიური პიარის ნაწილი ეს ჯერ არასდროს ყოფილა.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები
რუსთავის მუნიციპალური თეატრი
გამოიკითხა 100 მაყურებელი

ხშირად ესწრებით თუ არა სპექტაკლებს?



რუსთავში საგანგაშო მდგომარეობაა მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით: 100 გამოკითხულიდან მხოლოდ 5 ნახულობს ყოველ ახალ დადგმას, ხოლო 15 მხოლოდ საინტერესო სპექტაკლებს ესწრება. 50 გამოკითხული ბოლო 3 წლის განმავლობაში არც ერთხელ არ ყოფილა თეატრში. ამ გამოკითხვის მიხედვით გამოდის, რომ, ფაქტობრივად, რუსთავის თეატრში მაყურებელი არ დადის.

ხშირად თუ არ ხართ თეატრში რატომ?



თეატრში არმისვლის მიზეზად 31 გამოკითხული მაყურებელი თავისუფალი დროის არქონას ასახელებს, მაგრამ 24 გამოკითხული ამბობს, რომ თეატრში საინტერესო არაფერი ხდება. სხვა გამოკითხვებთან შედარებით, ეს შედეგი საგანგაშოდაც კი შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, როგორც ჩანს, ის, რაც ხდება რუსთავის თეატრში, იმაზეც კი არ აქვს მაყურებელს წარმოდგენა. ინფორმაციის სიმწირესთან ერთად, თეატრში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა მაყურებლის რეაქციაში გამოიხატა.



რუსთაველი მაყურებლის ნახევარზე მეტი თეატრში დასვენებისა და გართობის მიზნით მიდის, ხოლო თანაბარი რაოდენობა ამბობს, რომ სურს გაიგოს რაიმე ახალი, ნახოს მსახიობების თამაში და, ასევე, მიიღოს ესთეტიკური სიამოვნებაც.



რუსთავში ყველაზე პოპულარული ჟანრი კომედიაა, რომელსაც ფსიქოლოგიური დრამა და მუსიკალური კომედია მოსდევს.



სპექტაკლის გამართვის შესახებ ინფორმაციას რუსთავში გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ინტერნეტის საშუალებით იგებენ, თუმცა, ასევე, დასახელებულია აფიშა და სატელევიზიო რეკლამა. სასიამოვნოა, რომ რუსთავში აქტიურად მუშაობს ინფორმაციის გავრცელებისა თანამედროვე ეფექტური საშუალება ინტერნეტის სახით.



თუ რა ტიპის დრამატურგიის განხორციელება სურს რუსთავის თეატრის სცენაზე მაყურებელს, გამოკითხულთა 46 ერთეული თანამედროვე ქართულ დრამატურგიას ასახელებს, 34 კი ამბობს, რომ რუსთავის თეატრში სასურველია რეპერტუარი იყოს მრავალფეროვანი და დაიდგას ყველა ტიპის დრამატურგია.



თუ რატომ მიდის მაყურებელი თეატრში, უპირველეს მიზეზად ასახელებს ინტერესს სპექტაკლის თემის მიმართ, ხოლო 28 გამოკითხული ამბობს, რომ ნაცნობებმა ურჩიეს ენახა კონკრეტული სპექტაკლი.



რუსთაველი მაყურებლისთვის ყველაზე მთავარი სპექტაკლში საინტერესო ამბავია, ასევე, ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღო ზნეობრივ-აღმზრდელობითმა შინაარსმა და მსახიობის ნამუშევრმა. საერთოდაც გამოიკვეთა, რომ მაყურებელი თეატრში მაინც მსახიობის სანახავად მიდის.



როგორ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ დღეს თეატრში სპექტაკლია? გამოკითხულთა დიდი რაოდენობა, 69 რესპოდენტი, ინტერნეტსაშუალებას ასახელებს, მას მოსდევს 44 ხმით ტელევიზია, ხოლო 27 ხმით - აფიშა.



რუსთაველი მაყურებლის დიდი უმრავლესობა, საერთოდ, არ ენდობა კრიტიკას, მხოლოდ 12 რესპოდენტი ნაწილობრივ ენდობა, ხოლო 4 მაყურებელი ამბობს, რომ მთლიანად ენდობა კრიტიკოსის რეკომენდაციას.

რეჟისორებს შორის რუსთავში გიორგი შალუტაშვილი დასახელდა 8-ჯერ, ხოლო 4-ჯერ დაასახელეს კოტე აბაშიძე. საერთო რეიტინგი კი ასე გამოიყურება:



36 ხმა მიიღო ლევან წულაძემ, 24 ხმა კი- რობერტ სტურუამ, მესამე ადგილზეა გოჩა კაპანაძე, ხოლო მას თითო-თითო ხმით მოსდევს გიორგი თავაძე და ავთანდილ ვარსიმაშვილი.

შეკითხვაზე - ვინ არის თქვენი საყვარელი მსახიობი? - მაყურებლის გამოკითხვის შედეგად ასეთი შედეგები მივიღეთ:

1. მარინა კახიანი 19-ჯერ
2. ზურაბ ყიფშიძე 6-ჯერ
3. გურანდა გაბუნია 6-ჯერ
4. გიორგი ყიფშიძე 4-ჯერ
5. ნინელი ჭანკვეტაძე 4-ჯერ
6. ლევან ხურცია 3-ჯერ
7. ჟანრი ლოლაშვილი 3-ჯერ
8. ია სუხიტაშვილი 3-ჯერ
9. მიშა მესხი 3-ჯერ
10. რუსკა მაყაშვილი 3-ჯერ
11. მარინა კახიანი 2-ჯერ
12. მურმან ჯინორია 2-ჯერ
13. ნანკა კალატოზიშვილი 2-ჯერ

- არჩილ სოლოღაშვილი
- ნანა შონია
- კოტე თოლორაია
- დუტა სხირტლაძე
- ჯაბა კილაძე
- ლევან უჩანეიშვილი
- ზაზა პაპუაშვილი
- ბაჩო ჩაჩიბაია
- ნინო ბურდული
- ნატო მურვანიძე
- ანკა ალექსიშვილი

უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში რაიმე ტიპის გასართობი დაწესებულება, ამ საკითხზე რუსთაველი მაყურებლის უმრავლესობა ფიქრობს, რომ სასურველია, თეატრში პარალელურად არსებობდეს სხვა ტიპის გასართობი დაწესებულებაც.



100 გამოკითხულიდან 74 მომხრეა თეატრში ფუნქციონირებდეს კაფე (39 ხმა), ღამის კლუბი (23 ხმა), კარაოკე კლუბი (11 ხმა) და 10 რესპოდენტს მიაჩნია, რომ სასურველია დისკოთეკის არსებობაც. 100 გამოკითხულიდან უარყოფითი პასუხი გასცა მხოლოდ 26 მაყურებელმა.

მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები საქართველოს მასშტაბით

საქართველოს 13 ქალაქში (რგიონულ ცენტრში) გამოიკითხა 751 მაყურებელი, ამათგან 55% არის ახალგაზრდა (16-დან 45 წლამდე), ხოლო 45% (45-დან 75-მდე) არის უფროსი თაობის წარმომადგენელი.



750 გამოკითხულიდან 229 ნახულობს ყოველ ახალ დადგმას, 220 - მხოლოდ საინტერესო სპექტაკლებს, 133 თეატრს ხშირად სტუმრობს, 194 რესპოდენტი ამბობს, რომ წელიწადში 1-2-ჯერ მიდის თეატრში, ხოლო 178 უკვე სამი წელია საერთოდ არ ყოფილა თეატრში.



750 გამოკითხულიდან 400 თეატრში არმისვლის მიზეზად თავისუფალი დროის უქონლობას ასახელებს, 99 - შორს ცხოვრებას, 83 ვერ ყიდულობს ბილეთს, ხოლო 73-ს არ აკმაყოფილებს სპექტაკლების დონე. 59 გამოკითხული მიიჩნევს, რომ თეატრში არაფერი ხდება, ხოლო 42-ს არ იზიდავს თეატრი. ეს მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ პრობლემა არ არის მხოლოდ მაყურებლის ტრანსპორტირების საკითხი, არამედ ბილეთის ფასიც. ასევე, სამწუხაროა, როცა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებლები საკუთარ თეატრზე ამბობენ, რომ მათ თეატრში მნიშვნელოვანი არაფერი ხდება.



ქართველი მაყურებლის უმრავლესობა თეატრში საყვარელი მსახიობებისა და რეჟისორის ახალი ნამუშევრის სანახავად დადის, 751 გამოკითხულიდან ასეთი 281 რესპოდენტია, 227 თეატრში დასვენებისა და გართობის მიზნით დადის, 194 მაყურებელი - ესთეტიკური სიამოვნებისთვის. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ თეატრში მისვლა მეგობრებში თავის მოწონების მიზნითაც ყოფილა აქტუალური. მართალია, გამოკითხულთაგან ასეთი მცირე რაოდენობაა, მაგრამ მაინც აღმოჩნდა 22 რესპოდენტი.



როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი მაყურებლის უმრავლესობას კომედიის ჟანრი მოსწონს. 751 გამოკითხულიდან 435 კომედიას ანიჭებს უპირატესობას, მას მოსდევს ფსიქოლოგიური დრამა 160 ხმით. 153 მაყურებელი უპირატესობას მელოდრამას ანიჭებს, ხოლო 137 მუსიკალურ კომედიას. ჟანრებს შორის ეს ოთხია ყველაზე პოპულარული, ხოლო ყველაზე ნაკლებად გამოკითხვისას რესპოდენტები ვოდევილს ასახელებენ.



მთელი საქართველოს მასშტაბით ყველაზე პოპულარული სარეკლამო საშუალება, რომელიც მუშაობს, აფიშაა, მას მოსდევს სატელევიზიო რეკლამა და ინტერნეტი, ძალიან მცირე რაოდენობაა სახელებს პრესასა და რადიოს



თანამედროვე უცხოური - 101
თანამედროვე ქართული - 235
ისტორიული ჟანრი - 160
ქართული კლასიკა - 121
უცხოური კლასიკა - 71
ყველა - 265

ქართველი მაყურებელი მრავალფეროვანი რეპერტუარის მომხრეა, თუმცა დიდი უპირატესობით ლიდერობს თანამედროვე ეროვნული დრამატურგია. მაყურებლებს ისტორიული ჟანრის პიესები მოსწონთ. ყველაზე ნაკლები მოთხოვნა კი უცხოურ კლასიკურ რეპერტუარზეა.



ქართველი მაყურებლისთვის ყველაზე მთავარი სპექტაკლში ზნეობრივ-აღმზრდელობითი შინაარსია, მას 299 ხმით მოსდევს საინტერესო ამბავი, ხოლო მესამე ადგილს მსახიობის ნამუშევარი იკავებს.



კითხვაზე, რატომ მოხვედით დღეს თეატრში, 751 მაყურებლიდან 286 ამბობს, რომ აინტერესებდა სპექტაკლის თემა, 206 მაყურებლისთვის კი საინტერესო იყო საყვარელი მსახიობები ახალ ამპლუაში, 118 მაყურებელი თეატრში ნაცნობ-მეგობრების რჩევის შემდეგ მიდის. რეგიონში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული მაყურებლის აზრი, რადგან მათ გამოქვთ აზრი საზოგადოებაში კონკრეტული სპექტაკლის ავკარგიანობის შესახებ.



რეგიონებში მაყურებელი ფიქრობს, რომ მათ სპექტაკლის შესახებ ინფორმაცია უნდა მიიღონ აფიშიდან, სატელევიზიო რეკლამის სახით და ინტერნეტ გამოცემებიდან. მაყურებლის მცირე, მაგრამ საკმარისი რაოდენობის აზრით, ინფორმაცია სპექტაკლის შესახებ უნდა ვრცელდებოდეს პრესისა და რადიოს საშუალებითაც.



ძალიან დაბალია საზოგადოებაში ნდობა კრიტიკისადმი. 751 რესპოდენტიდან მხოლოდ 113 ენდობა კრიტიკას, 419 კი კრიტიკისადმი ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, ხოლო 328, საერთოდ, არ ენდობა მას.



როგორც მოსალოდნელი იყო ყველაზე პოპულარული რეჟისორი საქართველოში რობერტ სტურუაა, ხოლო მეორე ადგილს ლევან წულაძე იკავებს. რეგიონის მაყურებელში ძალზედ პოპულარულია სოსო ნემსაძე, ის მესამე ადგილზე გავიდა 110 ხმით, ხოლ მეოთხე ადგილზეა ავთანდილ ვარსიმაშვილი, რომელსაც, ფაქტობრივად, რეგიონულ თეატრში სპექტაკლი არ დაუდგამს, განსხვავებით სოსო ნემსაძისგან, გიორგი შალუტაშვილისა და ანდრო ენუქიძისგან.



უნდა ფუნქციონირებდეს თუ არა თეატრში სხვა ტიპის გასართობი დაწესებულება, ქართველი მაყურებლის უმრავლესობა, 468 რესპოდენტი, ფიქრობს, რომ უნდა ფუნქციონირებდეს, ხოლო 363 ამის წინააღმდეგია. მნიშვნელოვანია ის, რომ 256 ხმით გასართობი დაწესებულებების ტიპებიდან კაფე ლიდერობს, ხოლო მას 74 ხმით ღამის კლუბი მოსდევს.

მსახიობთა რეიტინგი

გამოკითხული 751 მაყურებლიდან ყველაზე მეტჯერ (136-ჯერ) დასახელდა ოთარ მეღვინეთუხუცესი. ვინაიდან გამოკითხვის მიმდინარეობის პერიოდში მსახიობი გარდაიცვალა, გამოცემის პრინციპიდან გამომდინარე (რეიტინგში გარდაცვლილი მსახიობები არ ხვდებიან) ჩვენ ვერ შევიტანეთ მსახიობთა ამ სიაში ბატონი ოთარი, თუმცა ამ გამოცემას მის ნათელ ხსოვნას ვუძღვნით, რადგან ის უალტერნატივო ლიდერი გახლავთ მაყურებელთა გამოკითხვებში.

მსახიობთა რეიტინგი თეატრების მიხედვით

მოკლე რეიტინგში შესულია მხოლოდ ის მსახიობები, რომლებიც 5-ჯერ, ან უფრო მეტჯერ არიან დასახელებულნი.

ბათუმის თეატრი

22. კახი კავსაძე 17-ჯერ
23. მარინა კახიანი 12-ჯერ
24. ზურაბ ყიფშიძე 9-ჯერ
25. გივი ბერიკაშვილი 6-ჯერ
26. ნინო საკანდელიძე 5-ჯერ
27. მანუჩარ შერვაშიძე 5-ჯერ
28. რუსკა მაყაშვილი 5-ჯერ

ხულოს თეატრი

13. რუსკა მაყაშვილი 33-ჯერ
14. კახი კავსაძე 18-ჯერ
15. გივი ბერიკაშვილი 16-ჯერ
16. გიორგი ვარდოსანიძე 10-ჯერ

ოზურგეთის თეატრი

16. ბელა კიკვაძე 8-ჯერ
17. ვახტანგ ჩხარტიშვილი 6-ჯერ
18. თამარ მდინარაძე 6-ჯერ
19. კახი კავსაძე 6-ჯერ
20. რუსკა მაყაშვილი 6-ჯერ
21. ზაზა პაპუაშვილი 5-ჯერ

ზუგდიდის თეატრი

18. ირაკლი სამუშია 8-ჯერ
19. ზურაბ ყიფშიძე 6-ჯერ
20. მერაბ კაკალია 5-ჯერ

ფოთის თეატრი

19. ჯანო იზორია 15
20. გუჯა ქარაია 11
21. სანდრო გუჯაბიძე 10
22. გია სურმავა 7
23. მარიკა ბუკია 7
24. რუსკა მაყაშვილი 7
25. მარინა კახიანი 6
26. ნინო პაჭკორია 6

სენაკის თეატრი

24. რუსკა მაყაშვილი 19-ჯერ
25. გივი ბერიკაშვილი 16-ჯერ
26. გიორგი ვარდოსანიძე 14-ჯერ
27. კახი კავსაძე 13-ჯერ
28. მურმან ჯინორია 13-ჯერ
29. ნინელი ჭანკვეტაძე 8-ჯერ
30. ლელა მებურიშვილი 7-ჯერ
31. გურანდა გაბუნია 5-ჯერ
32. ვანიკო თარხნიშვილი 5-ჯერ

ქუთაისის თეატრი

18. გივი ბერიკაშვილი 9-ჯერ
19. კახი კავსაძე 7-ჯერ
20. გიორგი ზანგური 6-ჯერ
21. კახა შარტავა 6-ჯერ
22. მარინა კახიანი 5 -ჯერ

ჭიათურის თეატრი

11. როდენ ჩაჩანიძე 12-ჯერ
12. ქეთევან შარიქაძე 11-ჯერ
13. გოჩა აბაშიძე 9-ჯერ
14. თამარ ჯაჯანაშვილი 7-ჯერ

ზესტაფონის თეატრი

7. კახი კავსაძე 3-ჯერ
8. ეკა კახიაი 3-ჯერ
9. თათული დოლიძე 2-ჯერ
10. დუტა სხრიტლაძე 2-ჯერ
11. გიორგი ყიფშიძე 2-ჯერ
12. მარინა კახიანი 2-ჯერ

თელავის თეატრი

17. ვანო იანტბელიძე 9-ჯერ
18. კახი კავსაძე 7-ჯერ
19. გივი ბერიკაშვილი 6-ჯერ
20. რუსკა მაყაშვილი 6-ჯერ

გორის თეატრი

36. კახი კავსაძე 12-ჯერ
37. ლიკა კევლიშვილი 8-ჯერ
38. მარინა კახიანი 7-ჯერ
39. ბაჩო ქაჯაია 7-ჯერ
40. ანა ჩოგოვაძე 6-ჯერ
41. ნათია მელაძე 6-ჯერ
42. გვანცა კანდელაკი 5-ჯერ
43. ზურა ყიფშიძე 5-ჯერ
44. ამირან ქაჩიბაია 5-ჯერ

ახალციხის თეატრი

1. მანუჩარ გოგოლაური 8-ჯერ
2. კახი კავსაძე 7-ჯერ
3. მანანა ბერიძე 6-ჯერ
4. თენგიზ არჩვაძე 6-ჯერ
5. გივი ბერიკაშვილი 5-ჯერ

რუსთავის თეატრი

1. მარინა კახიანი 19-ჯერ
2. ზურაბ ყიფშიძე 6-ჯერ
3. გურანდა გაბუნია 6-ჯერ

მსახიობთა საერთო რეიტინგი სქესის მიხედვით

	ქალი	თეატრის დასახელება		მამაკაცი	თეატრის დასახელება	
1	რუსკა მაყაშვილი	რუსთაველის თეატრი	85-ჯერ	კახი კავსაძე	რუსთაველის თეატრი	93-ჯერ
2	მარინა კახიანი	რუსთაველის თეატრი	66-ჯერ	გივი ბერიკაშვილი	მარჯანიშვილის თეატრი	64-ჯერ
3	ნინელი ჭანკვეტაძე	თუმანიშვილის თეატრი	32-ჯერ	გიორგი ვარდოსანიძე	მუსიკისა და დრამის თეატრი	37-ჯერ
4	გურანდა გაბუნია	მარჯანიშვილის თეატრი	19-ჯერ	მურმან ჯინორია	რუსთაველის თეატრი	29-ჯერ
5	ია სუხიტაშვილი ეკა კახიანი	რუსთაველის თეატრი	15-ჯერ	ზურა ყიფშიძე	თუმანიშვილის თეატრი	28-ჯერ
6	ნანკა კალატოზიშვილი	მუსიკისა და დრამის თეატრი	12-ჯერ	გიორგი ყიფშიძე	თუმანიშვილის თეატრი	25-ჯერ
7	ქეთევან შარიქაძე	ჭიათურის თეატრი	11-ჯერ	ჟანრი ლოლაშვილი	რუსთაველის თეატრი	23-ჯერ
8	ლიკა კევლიშვილი ბელა კიკვაძე	გორის თეატრი ოზურგეთის თეატრი	8-ჯერ	თენგიზ არჩვაძე ჯანო იზორია	მარჯანიშვილის თეატრი ფოთის თეატრი	16-ჯერ
9	ლელა მებურიშვილი მარიკა ბუკია თამარ ჯაჯანაშვილი	მარჯანიშვილის თეატრი ფოთის თეატრი ჭიათურის თეატრი	7-ჯერ	დუტა სხირტლაძე	მარჯანიშვილის თეატრი	14-ჯერ
10	მარინა ჯანაშია მანანა ბერიძე ანა ჩოგოვაძე ნათია მელაძე ნინო პაჭკორია თამარ მდინარაძე	რუსთაველის თეატრი ახალციხის თეატრი გორის თეატრი ფოთის თეატრი ოზურგეთის თეატრი	6-ჯერ	ზაზა პაპუაშვილი როდენ ჩაჩანიძე ბაჩო ქაჯაია	რუსთაველის თეატრი ჭიათურის თეატრი გორის თეატრი	12-ჯერ

მსახიობთა საერთო რეიტინგი საქართველოს მასშტაბით

რეიტინგის რიგი	**დასახელების რაოდენობა**	**მსახიობი**	
		ქალი	**მამაკაცი**
1	**93-ჯერ**		**კახი კავსაძე**
2	**85-ჯერ**	**რუსკა მაყაშვილი**	
3	**66-ჯერ**	**მარინა კახიანი**	
4	**64-ჯერ**		**გივი ბერიკაშვილი**
5	**37-ჯერ**		**გიორგი ვარდოსანიძე**
6	**32-ჯერ**	**ნინელი ჭანკვეტაძე**	
7	**29-ჯერ**		**მურმან ჯინორია**
8	**28-ჯერ**		**ზურა ყიფშიძე**
9	**25-ჯერ**		**გიორგი ყიფშიძე**
10	**23-ჯერ**		**ჟანრი ლოლაშვილი**
11	19-ჯერ	გურანდა გაბუნია	
12	16-ჯერ	ჯანო იზორია თენგიზ არჩვაძე	
13	15-ჯერ	ეკა კახიანი ია სუხიტაშვილი	
14	14-ჯერ		დუტა სხირტლაძე
15	12-ჯერ	ნანკა კალატოზიშვილი	ბაჩო ქაჯაია ზაზა პაპუაშვილი როდენ ჩაჩანიძე
16	11-ჯერ	ქეთევან შარიქაძე	გუჯა ქარაია
17	10-ჯერ		ვანიკო თარხნიშვილი სანდრო გუჯაბიძე მიშა მესხი
18	9-ჯერ		ვანო იანტბელიძე ზურაბ ყიფშიძე გოჩა აბაშიძე
19	8-ჯერ	ლიკა კევლიშვილი ბელა კიკვაძე	ირაკლი სამუშია გია ბურჯანაძე მანუჩარ გოგოლაური
20	7-ჯერ	მარიკა ბუკია თამარ ჯაჯანაშვილი ლელა მებურიშვილი	გიორგი ზანგური გია სურმავა
21	6-ჯერ	ანა ჩოგოვაძე ნათია მელაძე მარინა ჯანაშია მანანა ბერიძე ნინო პაჭკორია თამარ მდინარაძე	ლევან შენგელია კოტე თოლორდავა ნანა ფაჩუაშვილი ზურაბ ყიფშიძე ლევან ხურცია ნიკა თავაძე ზურაბ ყიფშიძე კახა შარტავა ვახტანგ ჩხარტიშვილი
22	5-ჯერ	ნინო გაჩეჩილაძე გვანცა კანდელაკი ნინო საკანდელიძე	ლევან უჩანეიშვილი ამირან ქაჩიბაია ჯაბა კილაძე მერაბ კაკალია მანუჩარ შერვაშიძე

23	4-ჯერ	ნინო ბურდული ეკა ნიჟარაძე დარეჯან ჭამაური ევა ხუტუნაშვილი მარიკა სამანიშვილი	ოთარ ქათამაძე ტიტე კომახიძე ჯემალ ღაღანიძე მურმან ჯინორია კახა ბერიძე ლევან ჯამბრიშვილი რაულ ბარბაქაძე ნუგზარ ბარამიძე ზაზა ჯინჭარაძე
24	3-ჯერ	ნონა ხუმარაშვილი თეა კეჭაყმაძე შორენა მამრიკიშვილი მარინა დარსალია მაიკო კულუა თათული ედიშერაშვილი სოფო მაიერი ენდი ძიძავა ეკა კახიანი სოფო ლეთოდიანი	პაატა გულიაშვილი ჯემალ კეჭაყმაძე გიორგი დოლიძე გოგი გუგუჩია გივი სიხარულიძე ზურაბ ყიფშიძე გოგა ბარბაქაძე მიშა გომიაშვილი ვაჟა ნიკოლაიშვილი ოთო კოვზირიძე ერემო სვანაძე ანზორ ხერხაძე ლეო ანთაძე
25	2-ჯერ	ნატო მურვანიძე ლალი გულიაშვილი თამარ სულხანიშვილი თამუნა ნიკოლაძე მაკა ძაგანია ცირუ შონია ანკა ალექსიშვილი ლაურა რეხვიაშვილი ნანუკა ხუსკივაძე ცირა ტაბატაძე მარიამ ჯოლოგუა ჯუნა თუმანიშვილი რუსიკო ბოლქვაძე ბაია დვალიშვილი	არჩილ სოლოღაშვილი დათო წერეთელი ავთანდილ ქარჩავა ზურაბ ყიფშიძე კახა კინწირაშვილი თამაზ ფანჩულაძე კოტე თოლორაია ბაჩო ჩაჩიბაია ლევან ყოჩიაშვილი რაულ გოგოტიშვილი ვანო ხუციშვილი დავით ხურცილავა ზაზა კოლელიშვილი ლეო ოზგებაშვილი ქიშვარდ მანველაშვილი ლევან როსტომაული აპოლონ კუბლაშვილი კობა კოპაძე გოგა პიპინაშვილი თურნაბედ რევაზიშვილი ლაშა ბუტულაშვილი გელა ხახანიშვილი კახა გოგიძე ზაზა გოგუაძე ზურაბ ყიფშიძე ზურაბ ცინცქილაძე

26	1-ჯერ	მაია ტურაშვილი რუსუდან ბოლქვაძე ლია აბულაძე მარინა ბურდული ია ნინიძე ნუნუ ხინიკაძე შორენა ბეგაშვილი ნინო კასრაძე მარიკა ასათიანი ნინო ქარცივაძე ია ფარულავა მაკა გრემელაშვილი ვენერა ფეიქრიშვილი ლელა მებურიშვილი ლია გოგიძე ნანა შონია ნინო ჯუღელი თინა მიქაუტაძე ლილი თავაძე მარიამ თევდორაშვილი ბუბა გოგორიშვილი ჩეკო ტატიშვილი ქეთი ცხაკაია ნუკა კაციტაძე ლელა მებურიშვილი ზემფირა გუნია მზევინარ ჩარგაზია ნანა შონია ცირა ადამია ქეთი კანტიძე ანა ტყებუჩავა ნინო დანელია ჩიტო პატარიძე რუსუდან ბოლქვაძე	ალეკო მახარობლიშვილი ოთარ ქუთათელაძე დავით ჯაყელი დათო კვირცხალია აკაკი სვანაძე ავთო ბოლქვაძე გენო ბოლქვაძე გურამ თავართქილაძე გია მელაძე გოგი ქავთარაძე რამაზ ბოლქვაძე გიო ბოლაშვილი თემო ხუხაშვილი გია ბურჯანაძე გიორგი გურგულია თენგო ვარდიძე ნიკა მაისურაძე თემურ კვირკველია ომარ ურუშაძე არჩილ ხვედელიძე ანზორ გვამაბია გიორგი ბერილაშვილი შოთა ათოშვილი მამუკა ხითარიშვილი ბექა ბარბაქაძე ზაზა სალია რამაზ იოსელიანი ამირან ნასყიდაშვილი როლანდ ოქროპირიძე რეზო ჯოჯუა ალეკო მახარობლიშვილი შალვა ლიპარტელიანი ტრისტან სალარიძე გურამ ჯაში ელგუჯა ნოდარიძე სოსო ჯაჭვლიანი მარტინ ღამბარაშვილი გოგიტა ჭანტურია იური ცანავა

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

ISBN 978-9941-0-6086-1

9 789941 060861

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

Modern Georgian Theatre Research Center

PUBLICA HELIAE UNIVERSITAS

A.I.C.T.I.A.T.